

ISSN 1512-2905

1126
2005



საგარეო საზღვაო საზღვაო



აგვისტო 2005

218

სარეკლამო

ISSN 1512-2905

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია

იდეალური გრადუირების გრადუირება
(ლაშა იმედაშვილის მოხსენებით)

ეთიკური თანამართლება

პოსტმოდერნისტული მინორიტეტები ირანში 15

ილუსტრაციები მკობინა

ინტერვიუ — დოქტორი

მირიადი საკითხებზე იროტეტიკური მინორიტეტი

რეკლამის თანამართლება ილუსტრაციების თანამართლება

„მამის ვიდეო სტუდიაში“ 27

ლიტერატურა და სხვა

...საინტერესო საკითხები

დღევანდელი ბრძოლა ილუსტრაციების მინორიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტი 36

შორეული აღმოსავლეთი

ივანე ჯავახიშვილი

ესაიას თვალის დანახვაში 34

რუსული საზოგადოება

„ილუსტრაციები“ ილუსტრაციების მინორიტეტში მშენებელი

„ქობინა“ მინორიტეტში მინორიტეტში 66

„ოტტომანიანი“ მინორიტეტში ილუსტრაციების მინორიტეტში


რამდენიმე მინორიტეტში ქობინა და ილუსტრაციები

საინტერესო საკითხები უნივერსიტეტში 73

საინტერესო საკითხები უნივერსიტეტში ილუსტრაციების მინორიტეტში

„ილუსტრაციები“ ილუსტრაციების მინორიტეტში 80

თბილისი
აგვისტო, 2005



მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

ნომრის რედაქტორი
ელისო კალანდარიშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
გია ალიბეგაშვილი,
ლევან ბრეგაძე
მურმან თავდიშვილი,
კახა ჭყეიშვილი

აღმანახს გამოსცემს გამომცემლობა „უნივერსალი“.
ჰონორარს გასცემს საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

სარჩევი

ტექსტი, როგორც მხატვრული დისკურსი

მაია ჯალიაშვილი

იდეალები ყოველდღიურობის კონტექსტში
(ლაშა იმედაშვილის მოთხრობები).....5

ქეთევან თავლიშვილი

პოსტმოდერნისტული მონაქროლი15

ინტერვიუ — და არა მარტო

პირად საკითხებზე

რეზა თვარაძე — ელისო კალანდარიშვილი

„მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე...“27

„...საცნობლად თავისადაო“

ლევან ბრეზაძე, ამირან ბოგართელი

სასკოლო „წარმოდგენის“ შინაარსს

სახელმძღვანელო განსაზღვრავს36

შორეული ახლო წარსული

ინგა მილორაძე

ესთეტიკის თვალის დანახული სამყარო54

რუსუდან დუშვილი

გრივოლ რობაქიძე და ანდრეი ბელი —

შეხვედრა 23 წლის შემდეგ66

მარინე ბეჟიტაძე

რამდენიმე შტრიხი ქართველ და რუს

სიმბოლისტთა ურთიერთობიდან73

ანა ქურდოვანიძე, თეიმურაზ ქურდოვანიძე

„დეკადენტური მადონა“ „პოეტი-მეფის“ შესახებ80

ტექსტი, როგორც მხატვრული დისკურსი

მაია ჯალიაშვილი

იდეალები ყოველდღიურობის კონტექსტში

(ლაშა იმედაშვილის მოთხრობები)

წიგნს, რომლის გარეკანიდან უცვეთი საიდუმლო დიმილით შემოგვეცქერის მონა ღიზა, გულგრილად ვერ ჩაუვლი. ეს ნაცნობი, დროში გამოცდილი ესთეტიკური განცდაა, რომელიც ხელოვნების მოყვარულს საინტერესოსა და საგულისხმოს ჰპირდება. ამ მხატვრულ „ინფორმაციას“ გადამოწმება, განსჯა და ზედმეტი კირკიტები არ სჭირდება.

ეს ლაშა იმედაშვილის ნოველების ახალი კრებულია („ბიოგრაფიები“, თბ., 2003. წიგნი მხატვრულად გააფორმა დიმიტრი ერისთავმა. გამომცემლობა „ლომისი“). ყდაზე წარწერაა: ბიოგრაფიები. ცნობილ ნახატთან ერთად დღეს განსაკუთრებით პოპულარული ჟანრი მკითხველის მოლოდინს კიდევ უფრო მუხტავს. ამის შემდეგ თვალი იწყებს ყდაზე გამოტანილ ნოველათა სათაურების წაკითხვას: „იესო ქრისტე“, „ლეონარდო და ვინჩი“, „ალფრედ ბერნჰარდ ნობელი“, „მიხეილ ჯავახიშვილი“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „დიადოლოს“. რომელ მკითხველს არ აუთრთოლდება გული! ასე რომ, წიგნი თავის თავს, როგორც იტყვიან, თვითონვე უწევს რეკლამას, რაც ჩვენს დროში, ეგრეთ წოდებულ, პოსტმოდერნისტულ კულტურულ განზომილებაში, მეტად მნიშვნელოვანია.

თანამედროვე საზოგადოება, სენსაციებს დახარბებული, ახალ-ახალ ინფორმაციას ნარკოტიკებივით ეტანება. განსაკუთრებით კი ცნობილი სახელების მანიითაა შეპყრობილი. რა თქმა უნდა, ეს სახელები უმთავრესად შოუბიზნესისა და პოლიტიკის სივრციდანაა. ამ ადამიანთა ცხოვრების ინტიმურ დეტალებში ისე იჩნებიან, თითქოს წმინდა წერილი იყოს. ლაშა იმედაშვილი ამგვარი ზედაპირულ-უღიმილამო გატაცებისგან შორსაა, მაგრამ მასაც იზიდავს ცნობილი სახელები და ამბები, მათ შორის, მკითხველის მოლოდინის პორიზონტზე გამოჩნდება იესო ქრისტე. მისი „ბიოგრაფია“ დიდი ხანია იქცა მწერლობის საგნად და არა ერთი ინკვიზიტორული ინტერპეტაციაც განიცადა. ეს აღარავის აკვირვებს. მაგრამ ცნობისმოყვარეობა ამ თემისადმი იოტისოდენადაც არ შემცირებულა. როგორც ხორხე ლუის ბორხესი წერს, „ჩვენი ურწმუნოების მიუხედავად, ქრისტე ყველაზე ცოცხალი ხატია კაცობრიობის მესხიერებაში“. ამ ცოცხალ ხატს ლაშა იმედაშვილიც

23946

საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდიუმი
ბიბლიოთეკა

გამოიხმობს სხვა ცნობილ ხატებთან ერთად და თავისი მხატვრული სამყაროს ნიღბებად აქცევს.

ქართულ პოსტმოდერნიზმზე ამ ბოლო დროს ბევრი იწერება, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ლევან ბრეგვაძის თვალსაზრისებია. ლაშა იმედაშვილის შემოქმედებაც ლიტერატურის ექსპერტებმა უკვე შეაფასეს, როგორც პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის ღირებული მოვლენა.

ამართლებს თუ არა ზემოთ ნახსენები „სარეკლამო ანონსი“ მოლოდინს? (საგულისხმოა, რომ „ჩვენს მწერლობაში“ ამ ნოველათა ნაწილი განსხვავებული სათაურებით დაიბეჭდა. ცვლილება კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი მიზნით მოხდა. აუცილებლად წაიკითხავ ნოველას სათაურით „ლეონარდო და ვინჩი“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიაქციო ყურადღება სათაურს: „ვალერიან ჯოლობორდის სევდიანი აღსასრული“.).

ჩვენი დრო, როგორც სიუზან სონტაგი იტყვოდა, „მეტისმეტად რთული და მეტისმეტად დარეტიანებულია ისტორიული და ინტელექტუალური გამოცდილების მრავალხმიანობით“. ყველაფერთან ერთად შეიცვალა ტრადიციული, ხელშეუხებელი ღირებულებებისადმი დამოკიდებულება. შეჩვეულ-შეგუებული ზნობრივ-უსთეტიკური იერარქიული სისტემები დაირღვა. შეფასების კრიტერიუმებიც მოძველდა. ყველაფერი მოწონების, დაწმენდილი გემოვნების მიღმა და მოხმარების, გამოყენების მოვადროებულ წრეში ტრიალებს.


ჰემინგუეის მიაჩნდა, რომ ნებისმიერ დროში მწერლის ამოცანა სიმართლის წერაა და თანაც იმგვარად, რომ მკითხველმა თავისი გამოცდილების ნაწილად აღიაროს. ბორხესი კი აღიარებდა, რომ „ავტორმა არ იცის, რას წერს“, „ერთადერთი, რაც მე ვიცი, სენტენციების შექმნაა!“.

მიხეილ ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ მხატვრული ნაწარმოების შესაფასებლად მოგონილ ათასგვარ საზომს შორის მთავარია: მკაფიობა, მარტივობა, ზომიერება.

ასეა თუ ისე, ის, რაც არ იცვლება, რეალობის (მატერიალისტური თუ მეტაფიზიკური გაგებით) მხატვრული გააზრების წყურვილია. მკითხველი კი ყოველთვის სხვადასხვანაირად იგებდა ერთსა და იმავე წიგნს, რადგან, როგორც ნათქვამია, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ.

პოსტმოდერნიზმმა მკითხველთან დისტანცია შეამცირა, ააგო რა მხატვრული სახეები ორმაგი კოდირების პრინციპით, განსხვავებით მოდერნიზმისგან, რომელთა ადებატებსაც ერთი გენიალური მკითხველი აკმაყოფილებდათ.

დღევანდელი მასობრივი კულტურა, კიჩით გაჯერებული, ორიენტირებულია მკითხველზე, საინფორმაციო ნიაღვარში დანთქმულზე, დაღლილსა და გამოფიტულზე, რომელსაც აღარც თავი აქვს და აღარც სურვილი სიღრმეების ჩასაწვდომად და ლიტერატურისგან ჭადაგებასა და წერთნას კი არა, დასვენებასა და გართობას, ხელმისაწვდომ სიამოვნებას მოელის. დეტექტივები, პატარ-პატარა მანვილგონივრული გამოსაცნობი ხვეულებით, მკითხველს იზიდავს



და თუ შაქრის ამ მცირე ნამსხვრევებში მალულად ცხოვრების საზრისის შესაძინად წვეთებს შეაპარებ, ოსტატი მწერალი უნდა იყო. ძველი სატყუარები აქ აღარ გამოვადგება, თამაშის ახალი წესებია საჭირო.

„იდეალები, იდეალები! რა დამლელია ქალაქის ეს შარიშური. ნეტავი ადამიანები იდეალებს წინ არ იფარებდნენ, ნეტავ შეიძლებოდა „მების“ წმინდა შეხვედრა“, – წუხდა პერბერტ დევიდ ლოურენსი. მაგრამ ადამიანს კერპების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია და იქნება ახალი, ფსევდო იდეალები. მწერალსაც ადარანაირი ილუზია აღარ რჩება და უმბერტო ეკოსავით აღიარებს: „არა მგონია, ნიჭიერ ტექსტებს სამყაროს შეცვლა ძალუძდეთ“.

როგორია ლამა იმედაშვილის პროზის მხატვრული სისტემა? რას და როგორ წერს? მისი თხრობის ყველაზე გამოკვეთილ ელემენტებად ამბების გადმოცემის პარადოქსული მანერა, ცნობილი ამბების ორიგინალური რაკურსით წარმოჩენა და აბსურდული პარალელები მიგვაჩნია.

მის ნოველებში გვხვდება, ერთი მხრივ, ძარღვიანი, გაშლილი, მოქნილი და შედარებით სავსე თხრობა, მეორე მხრივ, მშრალი, საკანცელარიო სტილის აღწერები. ერთი მხრივ, ფერწერული სილალით შექმნილი პორტრეტები, მეორე მხრივ, უსისხლო და უხორცო კარიკატურები. მონტაჟური ტექნიკით აწყობილი ეპიზოდები, ციტატები, ესეისტური მსჯელობანი, იუმორისტულ-პაროდული ქვეტექსტები და დეტექტიური სიუჟეტები. და რაც მთავარია, ბრწყინვალე იმპროვიზაციები.

წიგნში შესული პირველი ნოველის სათაური ჩვეულებრივი სიმულაკრაა (ბოდრიარი), რადგან მასში არ არის მოთხრობილი იესო ქრისტეს ბიოგრაფია, ტრადიციული ვაგებით.

მწერალი ქმნის აბსურდულ სიტუაციას. ნოველის პერსონაჟები, როგორც პოსტმოდერნისტული საზოგადოების რიგითი წევრები, ისტორიას, ბიბლიას და აქამდე ცნობილ, ჭეშმარიტების ნიშნით აღბეჭდილ ამბებს უყურებენ როგორც ჩვეულებრივ ინფორმაციას (ნონსელექციის პრინციპი), რომელიც შეიძლება მოძველდეს ან, საერთოდ, ყალბი აღმოჩნდეს. გამომძიებელი ხელკეციის სახარების ცნობილი ამბის, მაცხოვრის ჯვარცმის გამოძიებას ავალებს.

დღევანდელი ადამიანის ერთი უმთავრესი პრობლემა ისიცაა, რომ მოარიგოს ერთმანეთთან ცხოვრების ორი რიტმი (ბერდიაცი): ყოფითი და რელიგიური. ერთი მხრივ, საეკლესიო რიტუალში მონაწილეობისას განცდილი ღვთაებრივი აღმაფრენა, ცოდვისა და სინანულის გრძნობები, მეორე მხრივ – ყოველდღიური საზრუნავები. ეს იწვევს ადამიანის მუდმივ გაუწონასწორობლობას. ნოველის მთავარი პერსონაჟი სულხანი რელიგიურ დღესასწაულზე შედის ეკლესიაში და ისე ტოვებს იქაურობას, „როგორც რაიონულ პოლიკლინიკაში დიფტერიის აცრაზე მისული ბავშვი“. გასაგებია, მწერალს ბიბლია აინტერესებს ამ პერსონაჟის თვალთ, ერთგვარი შოკისმომგვრელი რაკურსით. წარმოიდგინეთ

საქადაგოდ წარწერით „იესოს საქმე“. უნდა გამოიძიონ, „ვინ მოკლა, როდის და რატომ, ან თუ მოკლეს საერთოდ, იქნებ თავი მოიკლა“.

მწერლის მთავარი მიზანი მკითხველის გაკვირვებაა. ამას შესანიშნავად ახერხებს. მწერალი ქმნის ძიების ლაბირინთს. მოთხრობის პერსონაჟებისთვის ეს მართლაც ჩვეულებრივი გამოძიებაა, იმ განსხვავებით, რომ მოწმეები რეალური ადამიანები კი არა, ბიბლიის გმირები არიან. წიგნისა და ცხოვრების სიბრტყეები ერთმანეთში გადადის. ეს კი ქმნის ფანტასმაგორიულობის განცდას. ახალგაზრდა გამომძიებელი ბეჯითად და გულდასმით ჩაჰკირკიტებს ამ უჩვეულო საქმის დეტალებს და არკვევს დანაშაულის პოლიტიკურ, სოციალურსა თუ ეკონომიკურ მოტივებს და ამასობაში ბიბლია, როგორც იტყვიან, „შემოეკითხება“ (რომელიც ჩვენს დროში იშვიათად თუ ვინმეს აქვს ბოლომდე ჩაკითხული). მართალია, მწერალი იწყებს შავი კატის ძებნას ბნელ ოთახში, სადაც ის საერთოდ არ არის, მაგრამ ლიტერატურაც ხომ ესაა. ფიქცია. მაგრამ მოტივაცია? და ახლა მე, მკითხველი, ვიწყებ ძიებას, რატომ? მართალია, იესო ქრისტეს სახე ხელოვნებამ დიდი ხანია ჩამოხსნა ხელშეუხებლობისა და მიუწვდომლობის კვარცხლბეკიდან, მაგრამ მინც გეჩოთირება, როდესაც მასზე საუბრობენ, როგორც პროფესიონალ მქადაგებელზე, ღვინის მოყვარულზე, საძმოს ფულის განმკარგავზე...

როგორც თვითონ ლაშა იმედაშვილი წერს, „სიტყვა თუ გაფრინდა, მორჩა“. ამ ნოველაშიც ხშირად გაფრინდლ სიტყვას მისდევს მწერალი, მაგრამ ხელიდან უსხლტება. თავის „ყალბზე შემდგარ აზრს ლაგამს ვერ სდებს“ და „ყაჩაღ წარმოსახვას“ ტყვედ ბარდება.

ასეა თუ ისე, რაც მთავარია, მწერალმა უჩვეულო გზით თავის პერსონაჟს ბიბლია ბოლომდე გადააფურცვლინა. ჩემი აზრით, ეს არის მწერლის ამგვარი აბსურდული, ხანდახან გამაოგნებელი ძიების მოტივაცია. ჯერ ერთი, „სულხანმა ბიბლიის კითხვისას თავი მსუბუქად, წყნარად და უშფოთველად იგრძნო“. თანაც ისე მიაგნო ცხოვრების საზრისს, თვითონაც ვერ მიხვდა. მას ხომ ორი უბედურება სჭირდა: „საკუთარი ჭერი არ ჰქონდა და ღმერთი არ სწამდა“. ამ საქმის გამოძიების დაწყებამდე მას არც ერთი აწუხებდა და არც მეორე. ძიებამ კი ორივეს სურვილი გაუჩინა და იმასაც მიახვედრა, რომ შინ დაბრუნება იყო მისი სიცოცხლის გამამართლებელი – პირდაპირი და სიმბოლური მნიშვნელობით. ნოველის ძიებას ასეთი დასასრული აქვს: იუდას იესო არ გაუყვია. მკვლელობის მოტივია ფული. შემსრულებელი: პილატე და მისი ლეგიონერები. დამკვეთი: კაიაფა და ფარისეელები. ნაწილობრივ სადღეკველეებიც ავტორი თითქოს შორიანლოდან შემოგვყურებს და სიცილით გვამართავს: „მეც, შენც და საკუთარ თავსაც“. მთავარი კი ის არის, რომ სულხანი, ამ ე.წ. „საქმის დასკვნას“ აღარ დაწერს, რადგან მოულოდნელად გონება გაუნათდება (სავლეს პავლედ გადაქცევის პარადიგმის ალუზია). „თუ არც მკვლელობის იარაღი ჩანს და გვამსაც ვერ მიაგენი, საქმეც არ ყოფილა. იესო ცოცხლია“. ასე მიდის „ერეტიკოსი“ სულხანი რწმენამდე, ეს კი მწერლისთვის გზის

არჩევას უდრის. მან, როგორც პიროვნებამ, მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიის წაკითხვის შემდეგ მოახერხა, რომ „იუარა კიდევ, აირჩია კიდევ და ამორჩეულით გარეთაც გამოვიდა“. ასე გაიხსნა სამყარო კიდევ ერთი უძღვები შეიღის სამასპინძლოდ. ჩემს ინტერპრეტაციას მხარს უმაგრებს მწერლის ბოლო სიტყვა: „ამინ“, რომელიც თავისი პერსონაჟის დასტურადაც აღიქმება და ერთგვარ გათავისუფლებადაც ყოველგვარი ეჭვისაგან. ეს კი მისთვისაც და მისი პერსონაჟისთვისაც ერთგვარი „პეფი ენდა“, ცხოვრებისეული ტვირთის გამსუბუქებაა, ყოველდღიური მელანქოლიურობის იუმორით დაძლევა.

„ადამიანის სრულყოფა“, ღმერთო, რა საზარელი თემაა! ფორდის ფირმის ავტომანქანის სრულყოფა! რომელი ადამიანის სრულყოფაზეა ლაპარაკი? ჩემში მრავალი ადამიანია, რომელი ერთის სრულყოფას აპირებთ. მექანიკური გამოგონება ხომ არა ვარ? – ვფიქრობ, ლოურენსის ამ წუხილს ეთანხმება ლაშა იმედაშვილიც და შეიძლება მასავით ასე ფიქრობს: „არც ერთ შემთხვევაში არ დაგნებდები, საზოგადოებავ, არ დაგნებდები შენს განზრახვას, განმანათლო, ანდა ჩამახშო, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვს შენ მიერ შექმნილი მანეკენის სტანდარტები“. სწორედ ამგვარი „პროტესტიდან“ იბადება ლაშა იმედაშვილი, როგორც მწერალი, სხვათაგან განსხვავებულობის უსაზღვრო წადილით და ამიტომაც – მარგინალური ინტერპრეტაციებით. მან იცის, რომ „ადამიანის სულს ზუსტად ვერ მივუჩენთ ადგილს ვერც საფულებში, ვერც ჩეკის წიგნაკში, ვერც გულში, ვერც თავში. ადამიანის სული მისი მთლიანობაა. ეს სული კი უზარმაზარი ტყეა“ (ლოურენსი).

ამ უზარმაზარ ტყეში ხელთილი მწერლის ყველაზე საყვარელი საქმეა და კარგადაც არის ამ „საქმეში“ დაოსტატებული.

თუ პირველ ნოველაში მწერალმა ქრისტესთან შეგვახვედრა, მეორე ნოველაში, უცნაური სათაურით „დიაბოლოს“, თავიდან კორექტურული შეცდომა რომ მეგონა, ეშმაკს „გადაგვყრის“. ეშმაკიც არა ნაკლებ განებივრებულია ლიტერატურული ინტერპრეტაციებით. რას გეთავაზობს ამ თვალსაზრისით ახალს ლაშა იმედაშვილი? იგი ეშმაკს ხატავს, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს, ოღონდ, ოღნავ განსხვავებულს – მას რამდენიმე ზომით პატარა ფენსაცემლები აცვია.

ამ ნოველაშიც მხატვრული ამოცანა ზემოთ ნახსენები პრინციპებით ხორციელდება. აბსურდულ-პაროდული მსჯელობებით პერსონაჟები არკვევენ, რა მსგავსებაა იესო ქრისტესა და სტალინის შორის. საზოგადოებას წინამძღოლი სჭირდება. ვინ შეიძლება იყოს? ან ერთი, ან მეორე. პირველის კლონირება შეუძლებელია, რადგან კვალი არ ჩანს გენეტიკური კოდის ასაღებად. პერსონაჟთა ულოგიკო, სოფისტურ-აბსურდული მსჯელობით, მათ შორის დიდი განსხვავება არც არის. აი, სიმონის, იმავე ეშმაკის, არგუმენტები: ორივენი ღარიბ ოჯახში დაიბადა, ორივეს იდეები ჩაგრულებმა აიტაცეს, ორივე წამებული არიან და ა. შ. ეს არის გონების სრული კოლაფსი, სულის სიცარიელე.

სადაც არ არის რწმენა ღვთისა, იქ სატანას სცემენ თავყვანს. ლაშა იმედაშვილი ასე ხელავს და ხატავს თანამედროვე საზოგადოებას. ფაუსტური პარადიგმა კი ცნობილი ნიღბების ახლებური თამაშით წარმოჩნდება. ნოველაში ჩანს ჩვენი დროის ქართველთა მეშინაობა, ფსევდოკულტურულობა, გარეგნული, ზედაპირული, აზრობრივი ზიზილ-პი პილოებით გატაცება, მდარე იდეალები, კლიშეები, სტერეოტიპები, შაბლონები, ღატაკი აზრები და რეკლამით აღძრული სურვილები – გულუბრყვილო რწმენით, „რომ ახალი შენაძენი სხვაზე რაღაცით აამაღლებს მეიდველს“ (ვლ. ნაბოკოვი).

ერთი სიტყვით, ნოველაში იხატება, როგორ იშლება და ცამტვერდება ადამიანური ურთიერთობები და როგორ აკეთებს ეშმაკი თავის ბინძურ, სისხლიან საქმეს ჩვეულებრივი მოქალაქეების ხელით. „ვეყვო ამდენი ცრემლები, შებრალება, თანაგრძნობა, ფუჭი სიტყვები, გაახილეთ თვალები... თუ შენ არ ესვრი, ის გესვრის“. ასეთია სიმონის მორალი და ამითვე შხამავს ყველას, ვისაც გაეცნობა. მწერალი ყოველივეს ამ კუთხით წარმოაჩენს და ამიტომაც ჩნდება ასეთი შედარება: „ხეებს შორის ნისლის ფთილები ისე ჰკიდა, როგორც ახლად გარეცხილი, მაგრამ ძველი საცვლები“. ასე ირეკლება ჩვენი დრო ჩვენთან ერთად ნოველის სარკეში – და რაც იქ ჩანს, რა თქმა უნდა, ჩვენ, ვისაც ჩვენზე საუკეთესო ქვეყანაზე არავინ გვგონია, არ მოგვეწონება, მაგრამ მწერალი, როგორც მავრი, თავის საქმეს აკეთებს და მიდის. აქ კი ნებისმიერს შეუძლია ნოველის პერსონაჟივით დაიტრაბახოს: „ჩემამდე რას მოვა ეგ?! (იგულისხმება ეშმაკი!) რა უნდა გააკეთოს ისეთი, მე რომ არ გამიკეთებია?!“

რაც მთავარია, იგი აქვე, ჩვენს გვერდითაა და ამის მოსმენაზე შეიძლება იქედნურადაც იღიშება.

ამ ორ ნოველას შორის გაჭიმულსა თუ გაშლილ სივრცეში კი კიდევ არაერთხელ გააკვირვებს მწერალი მკითხველს. ისეთი აზარტითა და ექსპრესიით ჩანს მათთვის სიუჟეტს, სუნთქვას არ დაგაცლის.

ნოველაში „აღფრედ ბერნჰარდ ნობელი“ ცნობილ ამბებს გვიამბობს ჩვეული მანერით. აქაც საქმის ძიებაა. ისევ ახალი დეტალები და ნიუანსები, ასე რომ, მწერალი შესანიშნავი მეზღაპრეა, რომ გვონია, დაამთავრა სათქმელი, ისევ ახალი, უცხო მიმართულებით წარმართავს ცნობისმოყვარეობას. ნოველაში ერთმანეთის გვერდით ორი ამბავია მოთხრობილი. ერთი ნობელისა, რომლის სიყვარული თავის დროზე ერთ ქართველ ქალს, მშვენიერ ანას უარუყვია და მათემატიკოსს გაჰყოლია, მეორე კი მწერალ ვუკოლ ნაყოფიასი, რომელიც ნობელის პრემიაზე ოცნებობს. სად და როგორ უნდა გადააბას ერთმანეთს ეს ორი ამბავი მწერალმა? იგი ზედმეტი ზღაფროთის გარეშე ქმნის კომიკურ სიტუაციას: ეს ჩვენი რიგითი მწერალი ტელევიზორიდან იგებს ინფორმაციას, რომ ნობელმა ანდერძით ქართველებისთვის პრემიის გადაცემა აკრძალა. მწერლის კომენტარი: „რას ერჩოდა ქართველებს აღფრედ ნობელი,

ვუკოლისთვის საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ რადგანაც თავს ქართველად თვლიდა და თანაც მწერლად, ეს აკრძალვა მასზეც მოქმედებდა.“

ბედი არ ვინდა?! – გაიფიქრა მან, – არადა, რა ახლოს ვიყავი მიზანთან“. აი, ეს არის ნოველის მარილი. აქაც თხრობისას უხვად მიმოაბნევს შედარებებსა და აფორისტულ გამონათქვამებს: „ბოდიშიც ბერდება, როგორც ადამიანი“, „იარაღიც ისევე სჭირდება ადამიანს, როგორც ბიბლია“, „ისე არ ეწერა გამარჯვება, როგორც სამას დაღუპულ სპარტანელს“, „ადამიანები იწვიან, როგორც საფერფლეში დარჩენილი ასანთის ღერები“, ან კიდევ: „მკვდრები ისე ყრია, როგორც მიტოვებული ხეხილის ბაღში ხეხილიდან ჩამოცვნილი, აუკრეფავი მოსავალი“ და სხვა.

შეიძლება თუ არა, გამოჩნდეს ისეთივე გენიალური მხატვარი, როგორიც ლეონარდო და ვინჩი? შეიძლება, მაგრამ არ აღიარებენ. დაახლოებით ესაა ნოველა „ლეონარდო და ვინჩის სათქმელი“. ასეა თუ ისე, წარმოიდგინეთ, როგორ გაიამბობდათ ამ ამბავს ლაშა იმედაშვილი, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ აქაც არის „საქმე“, რომელსაც იძიებენ. ლუვრში ნამდვილი ჯოკონდა კი არ კიდია, არამედ ქართველი მხატვრის მიერ შექმნილი ასლი. თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ ეს ნოველა და შეჭველად დაიჯერებთ. ისე, რეალურად, არსებობდა ასეთი მხატვარი ჰანს ვან მეეგერნი (1889–1944), მან იან ვერმეერის ისეთი ასლები შექმნა, რომ როცა ერთი სურათი „ქრისტე და მეძავი“ გერინგს მიჰყიდა 256 ათას დოლარად, ეროვნული საგანძურის გაყიდვაში დასდეს ბრალი, როგორც მოღალატეს. ჩემი ფალსიფიკაციებიაო, რომ თქვა, მასხრად აიგდეს. მხატვარმა თავი გაიმართლა, არ მაღიარებდნენ, კბილის ჯავარისების დასასხატავად თუ გამოდგებოთ, მე კი დავამტკიცე, რომ დიდი მხატვარი ვარო.

შეიძლება თუ არა ლიტერატურული ასლების შექმნა? ყოველ შემთხვევაში, ცდა შეიძლება და ამ სიუჟეტზე იგება ნოველა „მიხეილ ჯავახიშვილი“. მთავარი პერსონაჟი ნიკა მძიმე, ღუხჭირ დროში თავს იმით გადაირჩენს, რომ ცნობილი მწერლების ყალბი ხელნაწერების შექმნას შეუდგება. საქმე გაამართლებს – კარგად იყიდება.

ნებისმიერ მწერალს ტვირთად აწვება ის, რაც მასზე ადრე შეუქმნიათ. ყველა ისტორია უკვე დაწერილია, ყველა ჟანრის შესაძლებლობებიც ამოწურულია, ყველაფერი „სიძველეა ახალი“ (გალაკტიონი), მაშ რა ქნას ადამიანმა, რომელიც „წერას აუტანია“?

უმბერტო ეკოს აზრით, ვეღარ ათქმევინებ კაცს ქალისთვის უბრალოდ – მიყვარხარ. არამედ, როგორც მავანი იტყოდა, ხდება ერთგვარი გაშუალება „სხვისი ტექსტით“, თუმცა ეს გრძნობების სიმძაფრეს სრულებით არ ანელებს.

ლაშა იმედაშვილსაც აწუხებს ეს ამბავი. მისი პერსონაჟი ნიკა ასე ფიქრობს: რა არის საჭირო მწერლისთვის? „ცოტა ისტორია, ცოტა გამონაგონი, ცოტა ჭკორი“ და ისეთი გმირი, რომელიც მკითხველს დაინტერესებს. მიხეილ ჯავახიშვილი ყველაზე სახიფათოდ მწიგნობრულ მასალას მიიჩნევდა,

თავისუფალი შემოქმედი ბრმა მიმბაძველი ხდებაო. ლაშა იმედაშვილს ეს გაფრთხილება არ აბრკოლებს, იგი ბრმა არა, მაგრამ წინასწარგანზრახული იმიტატორი ხდება – თუმცა, თვითონ კი არა, მხოლოდ მისი პერსონაჟი.

ნოველაში მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც პერსონაჟი, თვითონ წერს თავის ავტობიოგრაფიას. ეს სრულიად ახალი რაკურსით დანახული პორტრეტია. გამონაგონი და სიმართლე ერთმანეთში ირევა. ხშირად მწერალი პირდაპირ იწერს ციტატებს მიხეილ ჯავახიშვილის წერილებიდან, ბრჭყალების გარეშე (მაგალითად, „მასალები ლექციისათვის“, „როგორ ვმუშაობ“ და სხვა). თუმცა, აქ გასაკვირი არაფერია. პოსტმოდერნიზმი ხომ ცნობს სხვისი ტექსტების ამგვარ ციტირებას. მთავარია, რომ ლაშა იმედაშვილი ამ ციტატებით შესანიშნავ მონტაჟს ქმნის. აქვე ჭარბადაა მწერლის ინტერპრეტაციები მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებზე. ჩვეული პრინციპით, რაღაც ისეთი გამოიგონოს, რომ განაცვიფროს, შოკში ჩააგდოს მკითხველი და საკამათოდ, თუნდაც საზოგადოებრივად აღძრას. ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ, როგორც ნათქვამია. თუმცა, პოლ ვალერი დეკარტს ამ ნათქვამისთვის ასე აქილიკებდა: ხანდახან ვაზროვნებ, ესე იგი, ხანდახან ვარსებობო.

მწერალი დოკუმენტურობის ილუზიას ქმნის და მკითხველს აჯერებს, რომ სწორედ ასე დაწერდა ჯავახიშვილი ავტობიოგრაფიას. აქაც არის ამგვარი უჩვეულო თვალსაზრისები: „მამაჩემმაც ისევე დაისაკუთრა ქონება, როგორც ჯაყომ“, „სულ გოგოს სამოსში ვიყავი გამოხვეული“, „ნაზი პერანგის მატარებელი შეიძლება სახელოვანიც გამოვიდეს და ნასწავლიც, მაგრამ მისი კაცობისა არა მჯერა რა“ და სხვა ამგვარები.

ნოველაში ერთი ასეთი შესანიშნავი გამოგონილი ამბავია: მიხეილ ჯავახიშვილი გამოძიებელს საგანგებოდ შენახულ ტყვიას მიუტანს და ეტყვის: „ეს ის ტყვიაა, რომლითაც თქვენიანებმა ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს. მინდა, რომ ჩემზეც ეს ტყვია გამოიყენოთ“. თუმცა, ამ ამბავებულობას გამოძიებელი მიწაზე დაანარცხებს: „ამ ტყვიას მხოლოდ ჭიანჭველის გასასრესად თუ გამოიყენებ“.

ნოველაში წარმოჩნდება XX საუკუნის 30-იანი წლების ლიტერატურული გარემო. მწერალთა შორის შუღლი და მტრობა, გაუთავებელი კინკლაობა და ღირსეულის დამცირება. განა დღეს კი რამე არსებობდა შეიცვალა?

ერთი მხრივ, ბრძოლა ბედისწერასთან, გაიმარჯვებ თუ დამარცხდები, მხოლოდ შენი საქმეა. და მეორე მხრივ, ბრძოლა საზოგადოებასთან, რომელიც მოითხოვს, მას ჰკავდე „ერთი იმთვანი“, საყოველთაო თარგზე მოჭრილი. ძნელია ემსახურო კვისარსაც და ღმერთსაც ერთდროულად. ყოველ შემთხვევაში, მიხეილ ჯავახიშვილსა და გალაკტიონს ეს არ გამოუვიდათ.

ნოველაში „გალაკტიონ ტაბიძე“ იზატება დემონოკრატიის (გრიგოლ რობაქიძე) სიურცე, დახლართული აგენტურული ქსელით. შემოქმედთაგან ზოგი მოისყიდეს, ზოგი მოიშორეს და ჩნდება ახალი „საქმე“ – გალაკტიონის

მკვლევლობისა. მწერალი ხატავს ახალი ტიპის, საგანგებოდ გამოყვანილ ადამიანისნაირ არსებებს – აგენტებს, რომლებიც ახერხებენ ისეთ დიად ჩანაცვლებას, როგორიც მუზის გაყალბებაა. ისინი მუზის ნაცვლად გალაკტიონის აგენტს შეაჩერებენ.

გალაკტიონის „უბის წიგნაკში“ ახლახან ამოვიკითხე: „მე მინდა ვუთხრა ჩემს უსინდისო მტრებს; წყნარად, თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ, დიას, არა გაქვთ, ხმაძალა მელაპარაკოთ: მე ყოველთვის მზადა ვარ სიკვდილისათვის“.

ნოველაში უხვადაა პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სანდრო ცირეკიძის და ამ დროის ესთეტთა, მაღალი ხელოვნების მსახურთა და მისთვის შეწირულთა ციტატები. ბონდოს კი, მთავარ აგენტს, „აკლდა წინა კბილი და პატრიოტიზმი“ – ამგვარი სრულიად სხვადასხვა ცნების დაპირისპირებით მწერალი ქმნის სახეს უსულო კაცისას, რომელსაც პირისახე გაპარსულ ზღარბს უგავდა. მიზეთელ ჯავახიშვილის ჯავოს თავი კი „კუპრში ამოვლებულ“ ზღარბს მოგაგონებდათ.

მხოლოდ რამდენსამე ებიზოდში გაიეღვებს გალაკტიონი, როგორც კონკრეტული დრო-სივრცეიდან ამოვარდნილი პიროვნება. ნოველაში სიმბოლური და რეალური სიბრტყეები ერთმანეთს ეფინება. ლაშა იმედაშვილი ამ „საქმესაც“ შესანიშნავად იძიებს. ასე რომ, ის ნამდვილი სიტყვისა და საქმის მწერალია.

ეს ნოველები მეტალიტერატურაა, რადგან ავტორი ჰყვება ისტორიას ისტორიის შესახებ. შეიძლება პირველ წაკითხვაზე გამოგრჩეს ირონიული მინიშნებები და წაკითხვის მეორე ჯერზე, ორმაგი კოდირების პრინციპით, აღმოაჩინო და გაიაზრო მოთხრობილი ამბები სულ სხვა დონეზე.

რაც მთავარია, მწერალი, როგორც თვითონვე იტყვოდა, „ქართულის უმეცარი არ არის“ და „ენას არ აწვალებს“, „ამდგერეულად და ბნელად არ მეტყველებს“ და იცის, რომ „სიტყვაც სტილია“ (მიზეთელ ჯავახიშვილი).

როგორც ჟერარ ჟენეტი წერს, „ლიტერატურა პლასტიკური ველია, გამრუდებული სივრცე, სადაც ნებისმიერ დროს ყველაზე მოულოდნელი და ყველაზე პარადოქსული შეხვედრებია შესაძლებელი“. ლაშა იმედაშვილი ცნობილ მწერლებსა და პიროვნებებს პერსონაჟებად აქცევს, შეიძლება ბორხესისეული მოტივაციითაც, რომ ჩვენ ყველანი უცნობი ავტორის უცნობი ნაწარმოების პერსონაჟები ვართ. ოღონდ ესაა საკითხავი, ეს მხატვრული ტექსტი რეალისტური რომანია თუ ფანტასტიკა?

წიგნს საოცრად ჰკრავს პირველი და ბოლო ნოველა. კაცი გარეთ გამოდის „ამორჩეული გზით“ და ღვთისკენ წვალებით მიდის, გზაში კი ეშმაკს შეიძლება გადაეყაროს... ცხოვრებაც ზომ ეს არის, გამუდმებული ჭიდილი კეთილსა და ბოროტს შორის.

ლაშა იმედაშვილს ნიჭის წყალობით ამის წარმოჩენა შესანიშნავად ამოსდის. მისთვისაც ლიტერატურული სამყარო ერთგვარი ლაბორატორიაა, სადაც ის

სრულიად შეუსაბამო და უცხო ამბებს ერთმანეთთან აზავებს. ზოგიერთმა „ნაერთმა“ კი შეიძლება სახიფათოდაც იფეთქოს... მასალას კი რა გამოუღვევს: მოსაყოლია ამბები და გამოსადიებელია „საქმეები“ შოთა რუსთაველის საფლავზე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაზე...

დაბოლოს, ძალიან ბევრი რამ დამრჩა სათქმელი, შეიძლება აქედანაც დამეწყოს, მაგრამ სხვა დროს იყოს. მთავარია, რომ დღეს ლაშა იმედაშვილის სახით გვყავს მწერალი, რომლის შემოქმედებაც საშუალებას გვაძლევს ჩვენი საარაკო თავმოყვარეობაც დავიკმაყოფილოთ და სხვებთანაც მოვიწონოთ თავი.

დაბოლოს, ძალიან ბევრი რამ დამრჩა სათქმელი, შეიძლება აქედანაც დამეწყოს, მაგრამ სხვა დროს იყოს. მთავარია, რომ დღეს ლაშა იმედაშვილის სახით გვყავს მწერალი, რომლის შემოქმედებაც საშუალებას გვაძლევს ჩვენი საარაკო თავმოყვარეობაც დავიკმაყოფილოთ და სხვებთანაც მოვიწონოთ თავი.

ქართველთა მკვლევართა
ქართული ენათმეცნიერების
ქართული ენათმეცნიერების
ქართული ენათმეცნიერების


პოსტმოდერნისტული მონაქროლი

როდესაც იტალიელი მწერალი და ფილოსოფოსი უმბერტო ეკო საუბრობს სადი პლომო ნაშრომის დაწერის სპეციფიკაზე და გვთავაზობს საინტერესო რჩევებს, როგორ, რაზე და რანაირად დავწეროთ, ერთგან წამოჭრის ამგვარ საკითხს: რა მასალა ავირჩიოთ – თანამედროვე თუ კლასიკური? რადგანაც ამჯერად ჩვენი ინტერესი თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებსა და თანამედროვე მწერალზე შევაჩერეთ, თვალწინ გვიდგას ამ მწერლის რჩევა. ის გვეუბნება: „თანამედროვე საგნის შესწავლა უფრო ძნელია, ვიდრე კლასიკურის, მიმდინარე პროცესების შესახებ არსებული ლიტერატურის სია მოკლეა, სამაგიეროდ ტექსტების უმრავლესობა იოლი მოსაძებნია. ახლზე კრიტიკოსებს ჯერ ვერაფერი გაურკვევიათ, ყველაფერი ბუნდოვანი და ამორფულია, ვერც საკუთარ შესაძლებლობებს ენდობი და იძულებული ხდები, აღიარო, რომ დასკვნების გამოტანა ჯოჯოხეთური საქმეა“ (უმბერტო ეკო, „როგორ დავწეროთ სადი პლომო შრომა“, ჟურნ. „ლიტერატურა და სხვა“, 2003, ივნისი, გვ. 203). და მაინც, ჯოჯოხეთს ზურგი შევაქციეთ და შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, შერჩეულ საკითხზე ჩვენი მოსაზრებანი ჩამოგვეყალიბებინა და დასკვნებიც გაგვეკეთებინა.

თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს პოსტმოდერნიზმი წარმოადგენს.

რა ლიტერატურული მიმდინარეობაა პოსტმოდერნიზმი? შეიძლება თუ არა დღეს თამამად ვისაუბროთ, რომ ამგვარი მიმდინარეობისათვის არსებობდა ნიადაგი საქართველოში? იქნებ ის ხელოვნურად დამკვიდრებულია და ქართველი მწერლებიც, წერენ რა ამ მანერით, მხოლოდ მოდას მიჰყვებიან, თუ ეს ეპოქისმიერი, დროისმიერი მონატანია?

ქართული პოსტმოდერნიზმი მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლურისაგან. როგორც ყოველთვის, ევროპულ ლიტერატურულ მიმდინარეობას ჩვენში ქართული ნიადაგი ხვდება და ქართველი მწერლებიც ცდილობენ, თავიანთ ქურაში გაატარონ ყოველივე უცხოური. ის ნიშან-თვისება, რაც აშკარად გამოარჩევს ამგვარი მანერით შესრულებულ ტექსტებს სხვა სკოლისა და მიმართულების ნიმუშებისგან და რაც მოაქცევს მათ პოსტმოდერნიზმში, არის: ინტერტექსტუალობა, ორმაგი კოდირება, ესეისტურ-თეორიული ნაკადის ფართოდ შემოჭრა, ეკლექტიკურობა, რაც გულისხმობს ნაირგვარი მხატვრულ-სტილისტური საშუალებების გამოყენებას, განსხვავებული მანერით შესრულებული პასაჟების გვერდიგვერდ არსებობას, რაც ქაოტურ ელფერს



სძენს ნაწარმოებს და, რაც მთავარია, მისწრაფება იქითკენ, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ჩართოს მსოფლიო კულტურის მთელი გამოცდილება მისი ირონიული ციტირების გზით.

რასაკვირველია, ის მგრძობელობა, რამაც ევროპაში პოსტმოდერნიზმის ჩამოყალიბებას მისცა ბიძგი, საქართველოში არ არსებულა, ევროპული კაცობრიობის ტრავმული ჩვენთვის ტრავმულიად არ აღიქმებოდა. „ჩვენ არასოდეს შეგვიქმნია ინდივიდუალიზმსა და რაციონალიზმზე დაფუძნებული საზოგადოება, რათა მერე მის ყოვლის მომცველ კრიზისს ჩვენთვის რეალური პრობლემები შეექმნა“ (ნუგზარ მუხაშვილი, „პოსტმოდერნისტული ბიოგრაფიები“, „ჩვენი მწერლობა“, 2001, 30 ნომბერი – 7 დეკემბერი, გვ. 3). მაშ, რამ განაპირობა ჩვენში ამგვარი ლიტერატურული მიმდინარეობის არსებობა? ამგვარი მგრძობელობის ჩამოყალიბებას ჩვენში, ვფიქრობთ, ხელი შეუწყო იმპერიის დაშლამ და აფხაზეთის ომმა. საბჭოეთის დანგრევის შედეგად ადამიანმა მონობის უღელი გადააგდო და თავისუფლება მოიპოვა. აქედან გამომდინარე, ის უფრო ღრმად ჩაუკვირდა თავის ფუნქციებს, მოვალეობას ერისა და ქვეყნის წინაშე. ამასთან ერთად, ქართველ კაცს შეუჩნდა უნდობლობისა და ეჭვის ჭია, რისთვის იბრძოდა, რა უნდოდა, რას აკეთებდა ამდენი ხნის განმავლობაში? უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს მოქალაქე ახორციელებდა საკუთარი თავის დაფუძნებას და გარემო სამყაროზე საკუთარ შეხედულებათა ლეგიტიმიზებას. „ქართული პოსტმოდერნის საფუძველი საკუთარი ვინაობისა თუ რაობის გაურკვევლობას დაუკავშირდა. დღევანდელი კრიზისის ფონზე უნებლიეთ საერთო-საყოველთაო ეჭვის ქვეშ დადგა ყველა ის „ცოდნა“, რაც საკუთარი თავის შესახებ მოგვეპოვებოდა. გამოიკვეთა ჩვენი მეტამოთხრობების აპოლოგეტური, პათეტიკური, არარეალური შინაარსი“ (ნუგზარ მუხაშვილი, „პოსტმოდერნისტული ბიოგრაფიები“). აფხაზეთის ომმა კი ყველანაირი ილუზიების მსხვერვეა გამოიწვია, ქართული შესაძლებლობები, თურმე, უსუსური აღმოჩნდა, არადა, აქამდე ჩვენს სიძლიერესა და შეუდრეკლობაზე მხოლოდ ქებას ვისმენდით. ყოველივე ამას თან დაერთო მსოფლიო გლობალური მოვლენებიც, აღმოჩნდით აპოკალიფსური სანახაობის მომსწრენი. ჩვენ თვაღწინ, დედამიწაზე, იქმნება არა სამოთხე, არამედ ფოჯოხეთი – ფასეულობათა და ტრადიციათა რღვევა, ნარკომანია-პროსტიტუცია, გარემოს დაბინძურება, ნავის გატანის პრობლემა, მასობრივი უმუშევრობა, საერთაშორისო ფინანსური დავალიანება, გამალებული შეიარაღება, საყოველთაო დაღუპვის საშიშროება, ტერორიზმი, ბირთვული კატასტროფა. ამგვარი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება თანამედროვე ადამიანისათვის, ნელ-ნელა მივდივართ აღიარებისკენ, რომ რაციონალიზმი და დახვეწილი ტექნიკა ვერანაირად ვერ დაგვეხმარება. ეს გრძობა-განცდა კი სწორედ პოსტმოდერნისტული გამოხატულებაა.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ამ ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე მწერლებისთვის ეს მწერლური ვარჯიშია, ხმამაღალი განაცხადია ლიტერატურაში თავის დასამკვიდრებლად და თითო იშვერენ თავის დროზე ხმაურით მოსული ფუტურისტებისკენ. კრიტიკოსები ლევან ბრეგვაძე, ბელა წიფურია, ნუგზარ მუზაშვილი, თინათო თევზაძე და სხვანი მოუთითებენ, რომ ეს მიმდინარეობა შეინიშნება არა თუ თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაში, არამედ დღეისათვის უკვე აღიარებულ სიტყვის ხელოვანთა ნაწერებშიც და ეს ხდება გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე XX ს-ის ბოლო ათწლეულია. ამ კუთხით მიმოიხილავენ ნაირა გელაშვილის, გურამ დონანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის („რახათ-ლუხუმი“), რევაზ ინანიშვილის („ჯვარგვალე“) ნაწარმოებებს.

ზურაბ ქარუმიძის ესეში „დიდი თამაშის დასასრული, ანუ ვოდო აკაკუნებს“ (ჟურნ. „არილი“, 2001, 18 ოქტომბერი) ვკითხულობთ: „2001 წლის 11 სექტემბერს, მანკეტენზე, საერთაშორისო საეკვტრო ცენტრის ცათამბჯენზე ტერორისტების მიერ გატაცებული „ბონგის“ შეჯახებით დასრულდა პოსტმოდერნიზმი: კულტურის მდგომარეობა, რომელიც 40 წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. დასრულდა ეს თამაში, რომელიც ქმნიდა გამოგონილი ორიგინალების აბსოლუტურად იდენტურ ასლებს... დასრულდა ორაზროვან და განუსაზღვრელ ნიშანთა ღია სისტემებში, როგორც ლაბირინთებში, ხეტიალი“. ამავე აზრისაა ბერლინელი ფილოსოფოსი ვილჰელმ შმიდიც: „ეს ეპოქა (ეპოქა, რომელიც 11 სექტემბრის შემდეგ დადგება) ველარ იქნება „პოსტმოდერნი“, ეს იქნება მისი შემდგომი ხანა. განა ამის შემდეგ (ტრაგედია იგულისხმება) კიდევ შეიძლება ვირტუალური მოვლენებით, თამაშითა და გართობით თავის შექცევა? ჯოჯოხეთური აფეთქების წყალობით რეალობამ ყოველგვარ ვირტუალობას, ყოველგვარ გართობას „გადაუჯოკრა“. ეს გახლავთ პოსტმოდერნის დასასრული“ („ჩვენი მწერლობა“, 2001, 7 დეკემბერი). კრიტიკოსი ლევან ბრეგვაძე კი თვლის, რომ სანამ ახალი ეპოქა ახალ ფორმებს მოიძებნის, „მანამდე პოსტმოდერნული ინერცია გაგრძელდება“ (ჟურნალი „სჯანი“, 2002, №3, გვ. 143).

„უფროსი თაობის ზრუნვის მიუხედავად, არსებობს ჩვენი შემცველი, ჩვენი იმედი და მომავალი – ახალგაზრდა მწერალი. იგი ჭეშმარიტი შემოქმედებითი ნიჭით მადლმოსილია და დღითიდღე პროულარული ხდება“ (რ. მიშველაძე, „არ უნდა მეთქვა?“, გვ. 118). ახალი თაობის წარმომადგენლებიდან ლაშა იმედაშვილის მწერლური ნიჭი უდავოდ გამოსარჩევია.

ადრეული მოთხრობები ლაშა იმედაშვილს ჟურნალ „პირველ სხივში“ დაუბეჭდავს, 80-იანი წლების მიწურულს „ცისკარსაც“ სტუმრობდა. მისთვის გზა თავის დროზე რ. მიშველაძესა და ჯ. ჩარკვიანს დაულოცავთ. „ჩემი სახელოსნო“ ჰქვია ახალგაზრდა მწერლის პირველ მოთხრობებს, რომელთაც ჯ. ჩარკვიანი მოთხრობა-პარაბოლებს უწოდებს. ამ ნაწერებიდან შეიგრძნობა,

საქართველო
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ახალგაზრდა მწერალი ძიების პროცესშია, მისი საფიქრალთა კითხვა — რა არის ადამიანი, როგორია გარესამყარო და რანაირად შეიცნობს პიროვნება მას? ამ მოთხრობებიდან იმედების გაცრუება და სიმარტოვე შემოგვცქერის.

ლ. იმედაშვილის ეს ნაწერები, რასაკვირველია, არაა პოსტმოდერნისტული მანერით შესრულებული, მაგრამ მათში მანაც შეიცნობა ამ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი მგრძობელობა-იმედგაცრუება და ეჭვი. გარდა ამისა, შეინიშნება რეჰინისცენცია — ალუზიები სიმბოლისტთა ესთეტიკასთან — რეალური და ირეალური, ცხადი და სიზმარეული, ჩვენებანი, ხილვები. ვხვდებით იმპრესიონისტული მანერით გამართულ უზმნო, მოკლე წინადადებებს, ლაბიარულ ფრაზებს.

მოგვიანებით გამოცემული წიგნების „იმიტაციური მწერლობა“, „ქართული ბესოსელერი“, „ბიოგრაფიები“ წაკითხვის შემდეგ მკითხველისთვის ნათელი ხდება, რომ ამჯერად სათქმელის გამოხატვის ახლებური ცდა შეინიშნება, გამოხატვის ფორმაც თანამედროვეა, ჟანრისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებული. ამ მოთხრობებს, რაც უნდა ეცადო, პოსტმოდერნიზმამდე ცნობილ ვერცერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას ვერ მიაკუთვნებ.

თუ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ შექმნისკენ რამდენიმე ფაქტორმა უბიძგა — მოჭრილი მარჯვენა, ოსტატის დაღრუჯილი სახე, სვეტიცხოვლის ფასადზე გამოკვეთილი და ხალხური ლექსი „ხეკორძულას წყალი მისვამს“, ლაშა იმედაშვილს ისტორიის ლაბირინთებიდან „მიჩქალოული გმირების“ გამოხმობა არ დასჭირვებია. მან ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები მოიძია სათქმელის გამოსახატავად. ამ პიროვნებათა ბიოგრაფიებში მწერალი პოულობს „თეთრ ლაქებს“, ანუ იმგვარ ადგილებს, რომლებსაც საკუთარი ფანტაზიით ავსებს და მკითხველს სრულიად ახლებურად აცნობს მიხეილ ჯავახიშვილს, ალფრედ ნობელს, ლეონარდო და ვინჩს, გალაკტიონს და, რაც არ უნდა საკვირველი აღმოჩნდეს, იესო ქრისტესაც კი. ამ წიგნებში ვხვდებით პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ ალუზიებს, „სხვა ავტორიტეტთა“ (იგულისხმება მწერლები, მხატვრები, რეჟისორები და მათი ქმნილებანი) დამოწმებებს, ანუ პრინციპს, რომელსაც რ. ბარტი ამგვარად გამოხატავს: „ყოველი ტექსტი არის შუა ტექსტი რომელიმე სხვა ტექსტთან მიმართებაში“ ან უმბერტო ეკო რომ ამგვარად აყალიბებს: ყოველი წიგნი მოგვითხრობს მხოლოდ სხვა წიგნების შესახებ და შედგება მხოლოდ სხვა წიგნებისგან. ამას პოსტმოდერნიზმში ინტერტექსტუალობას უწოდებენ. ლ. იმედაშვილის ამგვარმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, ბორხესის „პიერ მენარი, ავტორი დონ კიხოტისა“ გაგვახსენოს. არგენტინელი მწერლის ამ პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებში გამოგონილი პერსონაჟი გადაწერს სერვანტესის „დონ კიხოტს“ (როგორც ლ. იმედაშვილის გამოგონილი პერსონაჟი ნიკა მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიას გვიყვება და თავის სათქმლსაც შესანიშნავად ჩაავტორისტებს) და ამტკიცებს, რომ, „თუ ცნობილ ტექსტს



სხვა ავტორის, სხვა ბიოგრაფიის მქონე ადამიანის სახელს მოვაწერთ და სხვა ეპოქაში შექმნილად გავასაღებთ, ის სხვაგვარად წაიკითხება, სულ სხვა ნაწარმოებად გადაიქცევა, სხვა იქნება მისი მხატვრული იდეა“ (ლ. ბრეგაძე). დაახლოებით ამგვარადვე იქცევა ლ. იმედაშვილი. მან ჯავახიშვილის სათქმელი ვათანამედროვა, დღევანდელი ეპოქისათვის ყურადსაღები საკითხებით გააჯერა და დააწერინა გამოგონილ პერსონაჟს – ნიკას. „ნიკამ ამბების თხრობის მეტი არაფერი იცოდა, ჩვენს არეულ დროში სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ისევ ამ საქმით გადაწყვიტა თავის რჩენა. საკუთარი გვერდით გადადო და სხვების მიბაძვა დაიწყო ისე, როგორც მხატვრები ბაძვენ დიდი ოსტატების ხელნაწერსა თუ ფერთა შეხამებას. ამბავს თვითონ იგონებდა, სიტყვა, თხრობის მანერა და წყობა კი იმისი იყო, ვისაც საგულდაგულოდ შეარჩევდა ზოლმე“ („საეჭვო ბიოგრაფიის კაცი“). ამ ნაწარმოებებში კიდევ ერთ პოსტმოდერნისტულ ხერხსაც შევნიშნავთ – ესაა ავტორის ნილაბი. ეს ტერმინი ამერიკელმა კრიტიკოსმა მამგრენმა შემოგვთავაზა. ავტორის ნილაბი გულისხმობს ავტორისავე რეფლექსიას ტექსტისა და მისი შექმნის პროცესზე თვითონ ტექსტშივე. ტექსტის შექმნის პროცესზე ტექსტშივე რომაა მითითება, ამას ადასტურებს რამდენიმე აბზაცი მოთხრობიდან: „ეს მგონი სხვა მოთხრობიდანაა, – გაიფიქრა ნიკამ, – ჰო, დოჩანაშვილია, ნაღდად ეგ არის, ეგ ჯერ არ მჭირდება. ნიკამ ნაწერი გულმოდგინედ გადასაზა, ისე რომ ტელმანას არაფერი გაეგო. ისე, გადასაზული ნაწილი ნაწერს მოუხდა, სიძველის ეშხი და ბუნებრიობა შეიმატა“. ან კიდევ: „დღე მირჩენია ღამეს, მუშაობაც უფრო გამოძღის. ღამით აზრიც და გრძნობაც ფიქრიანია, შფოთიანი, მოუსვენარი. დღისით კი ღინჯია, ნათელი, დაწმენდილი და მოსვენებული. ღამით ნაწერის რიტმი უფრო სწრაფია და მაღალი, მაგრამ, იმავე დროს სახიფათოც არის და მავნებელიც... გმირთა სახე ლოგინში ჩაგყვება, გჯიჯგნის, გწურავს... ჯანსაღი შრომა მხოლოდ დღისით შეიძლება, ვინაიდან დღისით შენ თვითონ იმორჩილებ იმ ვიღაც ქვეშეცნობილს და მტკიცე ხელით მიგყავს იგი, როგორც გამოცდილ მხედარს თავგამწვევი ცხენი („საეჭვო ბიოგრაფიის კაცი“). როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტმოდერნული მგრძნობელობისთვის დამახასიათებელია ფასეულობებსა და ტრადიციებში დაეჭვება, ის მამხილებელ, კრიტიკულ დამოკიდებულებამდე მიიყვანს ლ. იმედაშვილს როგორც წარსულის, ისე თანამედროვეობის მიმართ. „არ მჯერა, ვითომ საქართველოზე დიდი სავაჭრო გზა გადიოდა, ვითომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ადებ-მიცემობა აქ ინლართებოდა, ვითომ შუა აზიიდან მდინარით, კასპიის ზღვით, მტკვრით, რიონითა და შავი ზღვით დიდძალი ქონება გადიოდა და შემოდოდა. რა თქმა უნდა, ასეთი გზა არსებობდა, მაგრამ იგი უფრო მთის ბილიკს ჰგავდა, ვიდრე სავაჭრო გზას და ამ დახლართული, დაწყვეტილი ბილიკებით ერთი მუჭა საქონლის დატრიალებაც ძლივს შეიძლებოდა“.

იოსიფ ბროდსკი, საუბრობს რა თანამედროვე ამერიკულ პოეზიაზე, ამ ქვეყნის უახლესი ლიტერატურის ერთ თავისებურებაზე ამხვნილებს ყურადღებას: „ამერიკელი პოეტი არ იშვერს საჩვენებელ თითს ყოველი მიმართულებით დამნაშავეის ძეხნაში. მან იცის, რომ თავადაა დამნაშავე. ეს სრულიად სხვაგვარი ფსიქოლოგიური წყობაა, სხვა მენტალობაა. ეს არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ლიტერატურა... გარდა ამისა, ამერიკულ პოეზიას არ ახასიათებს საკუთარი თავის გმირად წარმოჩენის, თვითდრამატიზების ტენდენცია“ (ი. ბროდსკი, ჟურნ. „პოლილოგი“, 1994, №1, გვ. 139). როგორც ჩანს, თანამედროვე მწერალი ცდილობს, თვითონაც გადავიდეს და ლიტერატურაც გადაიყვანოს ამერიკული პოეზიისათვის დამახასიათებელ მენტალობაზე. ჩვენში ამგვარი თვითკრიტიკული განწყობა საბჭოური იმპერიის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა: „მუდამ ვბაქბუქობდით, განუმეორებლობას ვიჩემებდით... ქართული მწერლობა არათუ შვილი, მეზობელიც კი არასოდეს ყოფილა ევროპული, დიდი მწერლობისა“... ლ. იმედაშვილი ჩვენი მწერლობის ამ „არაბაბუღარიზმს“ ახსნასაც საინტერესოს უძებნის: „ნიჭიერებით სხვაზე ნაკლები არ ვიყავით, მართალია, ჩვენში ქანდაკება ვერ განვითარდა, მუსიკაში ხალხური სიმღერის იქით ვერ წავედით, მაგრამ მათ სანაცვლოდ ლიტერატურა განვითარდა...“ ჩანაფიქრიც კარგია, ამავეც მოსაწონი, გმირიც გამახსოვრდება და ყოველივე ფორმის ისეთ სამოსშია გახვეული, ბევრ რუსსა თუ ევროპელს შეშურდება. მაშ, რა ხდება? რად მოიკოჭლებს ყველა ჩვენი მოთხრობა, რომანი, ნოველა თუ ესე? სად მარხია ძაღლის თავი? ამის მიზეზი ქალია!.. როცა ქართველ ქალს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში თავისი წვლილი შეჰქონდა, აღმოსავლური დედაკაცი პარამხანასა და ჩადრში იხრჩობოდა. ჩადრი არც ევროპამ მიიღო. ჩვენც ჩამოვიხსენით, მაგრამ ევროპულმა მწერლობამ, ჩადრთან ერთად, ქალი სამოსიდანაც გაათავისუფლა, ჩვენ კი ჩადრს გადავარჩინეთ და მასზე უარესი ხუნდები დავადეთ. ვერსად ვერ ნახავთ შიშველ სხეულს, ვნებიან კოცნას, მიჩქმალული გრძნობის დუღილს. ამის გამო ვიხარშებით საკუთარ წვენიში, ვერაფრით გავვირღვევია საზღვარი და ვერც ევროპის მაჯისცემას ავღვევნივართ“.

მართალია, მ. ჯავახიშვილს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ ქალის გრძნობები, შიშველი სხეული და ვნებათაღელვა არ გამოუხატავსო, მაგრამ ამგვარი „ბრალდება“, ალბათ, უფრო ჯავახიშვილამდე და მის შემდგომი მწერლობისკენა მიმართული.

ყველას კარგად გვახსოვს ჯავახიშვილის მოთხრობა „ყბაჩამ დაიგვიანა“, ალბათ, ის სცენაც გვემახსოვრება, როდესაც ბრმა თინა შიშველია და წყალში ჭყუმპალაობს, ნაპირზე ნებივრობს. შემდეგ ის ცეკვას იწყებს. „ქალის მოქნილი ტანი იკლაკნება, მოხდენილად იგრინება და შოლტივით იხნიქება... ზარის გუგუნე მრევლს უხმობს, გლეხს ეძახის, გონჯ მუშას იტყუებს, მორჩილებას, ფიქრსა და განსჯას სთხოვს, ღმერთთან მიმავალ ხიდს ამავრებს და სავალ

გზას ამსუბუქებს. თინა კიდევ იმ იდუმალ ხმას ისე იყენებს, როგორც თარზე დაკრულს, როგორც დამხმარე რამეს და შიშველ სხეულს ცხვირ-პირში გვანჩრის. ამერიკასა თუ ევროპაში ამ ცეკვას სტრიპტიზს ეძახიან, მაგრამ იქ მუსიკაც სხვაა და ბევრი სხვა რამეც, ეკლესიის ხმაზე შიშველი სხეულის მტვრევა მხოლოდ ჩემს ქალს შეუძლია“.

გასაოცარია! დამეთანხმებით, ალბათ, ამბის ამგვარად შემობრუნებას რომ არ ელოდით. მოლოდინის ჰორიზონტი დაირღვა. ჰანს რობერტ იაუსის მიხედვით, „ახალი ტექსტი მკითხველში აღვიძებს ადრე აღქმული ტექსტების საფუძველზე ჩამოყალიბებული მოლოდინის და თამაშის წესთა ჰორიზონტს, რომელიც მერე (ახალი ტექსტის აღქმის პროცესში) კორექციას, განახლებას განიცდის“ (ყურნ. „ლიტერატურა და სხვა“, 2003, ივნისი, გვ. 25).

ამრიგად, ლ. იმედაშვილი რეციპიენტს (მკითხველს) სთავაზობს მოულოდნელ სიახლეს, ანუ არღვევს მოლოდინის ჰორიზონტს, რის შემდეგაც „მკითხველს აღძვრება არა კრიტიკული რეაქცია, არამედ – ღრმად პოეტური გრძნობა, რომელსაც ბადებს ჭეშმარიტი სიახლის მიგნება“ (ყურნ. „სჯანი“, III, გვ. 221). სხვასთან ერთად, სწორედ ამის გამოცაა, რომ ლ. იმედაშვილი საინტერესოდ საკითხავი მწერალია და ხდება ისე, რომ ბოლომდე მიჰყვები, შედიხარ მის გამოგონილ სიმართლეში და ტკბები.

ცნობილი ადამიანის, ალფრედ ნობელის, ცხოვრებიდან უმთავრეს მომენტებზე ჰყვება ლაშა იმედაშვილი მოთხრობაში „წარსულის იმიტაცია: ვუკოლის პრემია“. დოკუმენტური წყაროებიდან ვიცით, რა გზა განვლო ემანუელ (ალფრედის მამა) ნობელმა, შემდეგ მისმა ვაჟმა, მაგრამ მწერალი არსებულ სიმართლეში შთამბეჭდავად და, რაც მთავარია, დამაჯერებლად შეაპარებს თავის გამონაგონს, ტყუილს. ალფრედ ნობელს, თურმე, დედით ქართველი ქალი – ანა – ჰყვარებია. რადგანაც ქართველები ორ ქალაქს – მოსკოვსა და პარიზს – ეთავყანებოდნენ და ნობელი კი არც ერთი ამ ქალაქის შვილი არ ყოფილა, ანამაც მას ფრანგი ლემარჟი ამჯობინა. ნობელმა სიყვარულში მარცხი იწვნია. შინ მისულმა „დარდი ათორია და საკუთარ ოთახში ჩაიკეტა. იმ აებედით სალამოს ალფრედს მაფი გაუწყდა. გული ჩაცურდა, შარვლის ტოტიდან გაძვრა, დაიკარგა. მას მერე აღარც უძებნია. ღირდა კი?“ ამ სულიერმა ტრაგიკამ, როგორც მოთხრობის ბოლოს შევიტყვობთ, უარყოფითად განაწყო ალფრედი ქართველების მიმართ. ანდერძში, რომელიც შთამომავლობას დაუტოვა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში საუკეთესოს პრემიის სახით ფულადი ჯილდო დაუწესა, ქართველები გამოტოვა. „ანდერძის მიხედვით, ვერც ერთი ქართველი ვერ მიიღებდა საწუკვარ პრემიას. ამ გადაწყვეტილებას ვერც დრო შეცვლიდა, ვერც აღმოჩენის მნიშვნელობა და ვერც ავტორის ნიჭი“. მოთხრობის ბოლოს ლ. იმედაშვილმა ქართველი მწერლის ტიპი შემოიყვანა, რომელიც ძლიერ ჰგავს ზოგიერთ დღევანდელ „სიტყვის ოსტატს“. მას ვუკოლ ნაყოფია ჰქვია. ის ნობელის პრემიაზე ოცნებობს, თუმცაღა

ნიჭითა და უნარით, რასაკვირველია, ვერ გამოირჩევა. ვუკოლს კოვზი ნაცარში მაშინ ჩაუვარდა, როცა ტელევიზიით შეიტყუო ნობელის ანდერძის დაკარგული ფურცლის შესახებ, რომელზედაც ქართველები საგანგებოდ იყვნენ გამოტოვებული. ლ. იმედაშვილის სკეპტიკური და ირონიული დამოკიდებულება ქართველ მწერალთა მიმართ ამ დასკვნითაც ჩანს: გურჯი კალმოსნები ტყუილად ირჯებიან, ისინი ვერასოდეს დაწერენ იმგვარ ნაწარმოებს, შვედი ჟიურის მოწონება რომ დაიმსახუროს!

წიგნიდან „ბიოგრაფიები“ ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობა, ვფიქრობთ, „გალაკტიონ ტაბიძე“. აქ მწერალმა შესანიშნავად გადმოსცა იმ ეპოქის სუსხიანი სული, რომელშიც ტაბიძე მოღვაწეობდა. ეს არის უმკაცრესი დრო, როდესაც ქვეყნის მართვის სადავეები „წითელი ეშმის“ წარმომადგენლებს უპყრიათ. პოსტმოდერნიზმის თვალსაზრისითაც მოთხრობა საინტერესოა, ვინაიდან ალუზიებით, რუმინისცენციებით, დამოწმებით უხვადაა გაჯერებული. პარტია და მისი დამკაშები (ამხანაგი კახაბერი) ათვინიერებენ „სხვანაირად“ მოაზროვნე მწერლებს. ამისათვის ყველანაირ არაკაცურ მეთოდებს მიმართავენ. ნაწარმოები ასე იწყება: „ბონდოს აკლდა წინა კბილი და პატრიოტიზმის გრძნობა, მიუხედავად ამისა, მაინც დააწინაურეს“. ბონდოს დაევალა, პოეტი გამხდარიყო! „პარტიამ დიდი ნდობა გამოგვიცხადა, საიდუმლო ოპერაციის განხორციელება დაგვავალა... — მე აქ ლექსების საწერად არ მოვსულვარ, მე სამშობლოს მინდა ვემსახურო, — მტკიცედ თქვა ბონდომ. — თუ პარტია გიბრძანებს, პოემასაც დაწერ — მოჭრა კახაბერმა“. გვაგონდება ერთ-ერთი პროლეტარი „პოეტის“ ნათქვამი: „ო, მოვკლავ დედას, მივახვრეტ მამას, რევოლუცია თუ მეტყვის ამას!“ აი, ამგვარი დროა! ბონდოს ხმარებისგან გაცვეთილი მსუქანი პორტფელი გადასცეს, თან ინფორმაციაც მიაწოდეს: ამ პორტფელის ავტორი უკვე დახვრეტილია, როგორც ხალხის მტერი და ბურჟუაზიული ფსევდო კულტურის წარმომადგენელიო! ეს კი ტყუილი გახლდათ. გალაკტიონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო!

ბონდო მოპარული ლექსებით სახელს გაითქვამს (აბა გალაკტიონის გენიას წინ ვინ აღუდგებოდა!), მას მწერალთა კავშირშიც მიიღებენ, ნიჭიერების გამოსავლენად ლექსების წაკითხვას მოსთხოვენ, მოიწონებენ და აზრს გალაკტიონსაც ჰკითხავენ, პოეტთა მეფე შესძახებს: „მპარავენ რითმებს თვალსა და ხელს შუა, თან მეუბნებიან, შენ ვინ ხარო. მთელი პორტფელი მომპარეს, ლექსებით სავსე!“ ვინ დაუჯერებს? შემდეგ თავს საკუთარი რეპლიკით იმშვიდებს: „ერთი კაცი და კავშირი გაგიგონიათ სადმე?“ რასაკვირველია, არც ამაში დაეთანხმებიან.

ბონდომ პოეტის მანტია მშვენივრად მოიხრგო, ერთგვარად აზარტშიც შევიდა, მაგრამ ბოლოს საქალაქო დაცარიელდა. მართალია, ქურდობა „ხევით“ არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბონდოს ბოჰემურ ცხოვრებას გალაკტიონის სიკვდილმა დაუსვა წერტილი. ამხანაგი კახაბერი თვალებს

არ უჯერებდა და მერამდენედ კითხულობდა ცნობას: „სალამოს ექვს საათზე ავადმყოფი ტაბიძე დაუკითხავად შევიდა განყოფილების გამგის კაბინეტში, მოინურა კარი, გაიხადა ავადმყოფის ხალათი, დადო სკამზე, აიღო სკამი, მიიტანა ფანჯარასთან, გამოალო ორმაგი ფანჯარა, ავიდა ჯერ სკამზე, მერე ფანჯრის რაფაზე და ქვევით გადაეშვა... ავადმყოფი ტაბიძე ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვლილს ჯიბეში აღმოაჩნდა ერთი კოლოფი პაპიროსი „რეკორდი“ ექვს ღერთან ერთად, იქვე ნაპოვნია უბის წიგნაკი და ფანქარი“. კახაბერმა შვებით ამოისუნთქა... ოპერაცია დასასრულს მიუახლოვდა. მწერლობის მოთვინიერებაც სულ მალე დასრულდება!

მემუარულ ჟანრს ეხმაურება ლ. იმედაშვილის „მოტივის იმიტაცია: „ჰალე!“ ამერიკულმა ცივილიზაციამ ბევრი შორეული სახელმწიფო, ქვეყანა დაიმორჩილა. მოერია ისეთ უძველეს და უდიდეს სახელმწიფოს, როგორც არაბეთია. მოტივის იმიტაციაო, – სათაურში გვეუბნება მწერალი და ჩვენთვის არაა რთული ამოსაცნობი, ვის მოტივსაც ჰბაძავს იგი – ეს გრიგოლ რობაქიძეა. სინტაქსური წყობით, სიმბოლისტური წერის მანერით „გველის პერანგს“ გვასხევენებს. ეს არ არის მოთხრობა, აქ ვერ ამოვიკითხავთ ამბავს. „ჰალე!“ დაწერილია ერთი ამოსუნთქვით. მთელი აბზაცები თეთრი ლექსის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ლაიტმოტივად შეიძლება სიტყვები გასდევს: „სხვანაირი ცხოვრება უნდათ სხვანაირ არაბებს“. აი, რამდენიმე ამონარიდიც: „აღარ ცვალიათ არაბებს ბაზრისთვის. მანქანით მიდიან მოვლილ ვიტრინებთან. შიგნითაც მანქანით შედიან... მზე აღარ აღლობს ოქროში გაბნეულ ლავაშებს. ლავაშის მაგივრად ერთმანეთზე ახორხლილი აპარატურა. უდაბნოს ქარი აღარ ებრძვის ჩადრებს. ჩადრის მაგივრად აბჯარივით ასხმული სამკაული... ჰოკეის მოედანი ოცნების ნაცვლად. მოლა აღარ წუის ცეცხლთან ერთად. ძველი მხოლოდ სიცილი რჩება, სიცილი და თედოსქელი ქალები“.

პოსტმოდერნული ხანა მოდერნული ეპოქისაგან რელიგიური თვალსაზრისითაც განსხვავდება. ჰანს კიუნგი ნაშრომში „რელიგია გარდატეხის ჟამს“ ამბობს: „პოსტმოდერნიზმი რელიგიას ახალ შესაძლებლობებს უხსნის. მისი ერთ-ერთი უდიდესი ამოცანაა განწმენდილი, გაკეთილშობილებული რელიგიის შექმნა... რელიგიის მოწინააღმდეგე განათლებულმა ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ გვიანდელი მოდერნიზმის ეპოქაში – ფოიერბახის, მარქსის, ნიცშესა და ფროიდის დიაგნოზებისა და პროგნოზების დროიდან – ნაკარაუდვეი რელიგიის გაქრობა არ მოხდა... რელიგიის თვალსაზრისით, პოსტმოდერნიზმის ახალი მოდელი შეიძლება განისაზღვროს თეზად, რომელიც მიზნად ისახავს ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობას, რელიგიებს შორის მშვიდობასა და ერებს შორის თანამეგობრობას“ (ჟურნ. „პოლილოგი“, 1994, №3, გვ. 158).

იმპერიის დამხობის შედეგად საქართველო უფრო გაბედულად მოუბრუნდა რელიგიას. დემოკრატიამ ფართოდ გაუხსნა გზა სარმწუნოების ხმამაღლა ქადაგებას, აშენდა ბევრი ეკლესია-მონასტერი; სიტყვის თავისუფლებამ მეტი

სითამამე შესძინა პიროვნებას, უბრალოდ ქადაგება და ბრმად მორჩილება მას აღარ აკმაყოფილებს, XXI ს-ის ადამიანს სურს, იცოდეს, რას მორჩილებს და რატომ?! თანამედროვე ევროპელი მწერლებიდან ამ კუთხით მეტად საინტერესოდ მსჯელობენ იტალიელი უმბერტო ეკო და ბრაზილიელი პაულო კოელიო. ეს უკანასკნელი რომანებში სწორედ ღვთის წიაღისკენ მობრუნებას ქადაგებს. კითხვები ქართველ ლაშა იმედაშვილსაც უჩნდება და საინტერესო პასუხს თვითონვე სცემს მოთხრობაში „იესოს საქმე“.

მთავარი პერსონაჟი, სულხანი, პროკურატურის გამომძიებელია. კეთილსინდისიერი, პატიოსანი თანამშრომელია. ოღონდაც მას ორი უბედურება სჭირდაო, – ამბობს ავტორი, – საკუთარი ჭერი არ ჰქონდა და ღმერთი არ სწამდა. „ღმერთისთვის ვერ იცლიდა. ამის დრო ნამდვილად არ ჰქონდა... გული არც მღვდლებისკენ უწევდა. ერთი სული ჰქონდა, ეკითხა: ქრისტე რომ გამხდარი იყო, თქვენ რამ გაგასუქათო?!“ არ გაგვიჭირდება ჩვენს გვერდით სულხანისნაირი ადამიანის პოვნა. სულხანს უფროსიც ჰყავდა – ვალერიანოვიჩი. „მისნაირი ბაჯალლო ოქრო კაცებით“ ხომ სავსეა ჩვენი ქალაქი. „კარგი კაცია. ენდობიან. პატივს სცემენ, მისი იმედი აქვთ. მართალია, საფუძვლიანად არაფერი იცის, არაფერს აკეთებს, მაგრამ არც არაფერს აფუჭებს, ასე რომ, ქართული გაგებით, ბაჯალლო ოქროა!“

პროკურატურის ამ ორ თანამშრომელს „ზემოდან“ ერთი საქმის გამომძიება დაავალეს – ქრისტეს მკვლელობის გახსნას სთხოვენ. აინტერესებთ, მოხდა თუ არა ნამდვილად დანაშაული, ვინ იღებდა მონაწილეობას მასში, არის თუ არა სამხილები, მოწმეები და ა. შ. ანუ ჩვენთვის კარგად ცნობილი მეთოდებით გამომძიებას სთხოვენ. მწერლის ირონია არა მხოლოდ საეროებს მიემართება, არამედ სამღვდლოების წარმომადგენელთაც, როგორც ჩანს, იესოს საქმის გამომძიებით ისინიც არიან დაინტერესებული (საოცარია პირდაპირ! ნუთუ მათ მაინც არ იციან, რა როგორ მოხდა?!). „თანხმობა განაცხადეს, აბა, მაგათ გარეშე როგორ შეიძლება, დახმარებას დაგვიპირდნენ... დროს მიყვებიან, უმეტესად უსწრებენ, საერო და სასულიერო ცხოვრებას აახლოებენ, სხვანაირად არც შეიძლება, ახალი საუკუნე მოდის, ახალი აზროვნება“. ეს „ახალი“ საუკუნე რიგით, მოკვდავ ადამიანს საკუთარი აზრის თამამად და საჯაროდ გამოხატვის უფლებას აძლევს ქვეყნის შემქმნელზე: „მამობის ტესტი, მოგვესწებათ, მაშინ არ არსებობდა... ისე ჭორად დადიოდა, რომ თითქოს იესოს მამა ბებერი ღურგალი იოსები კი არა, რომელიღაც ჯარისკაცი პანდირა იყო. ჭორებს ჩემი მტერი ენდო, მაგრამ ადამიანები ვართ და მოქმედებს მაინც...“

სულხანმა საქმეს მოჰკიდა ხელი... ორჯერ ყურადღებით წაიკითხა ბიბლია, ხშირად ეკლესიის მსახურებთანაც დადიოდა განმარტებებისთვის. თამაშში ჩაერთო, მაგრამ ისე, რომ თავდაპირველად თვითონაც ვერ გააცნობიერა, მორწმუნედ იქცა. მოთხრობის ფინალში ეს არაორაზროვნადაა მითითებული. თანამედროვე გამომძიებამ ბევრ საიდუმლოს მოჰფინა ნათელი: თურმე, იესო

კაპიტალის გადანაწილებას გადააყოლეს, იუდა გამყიდველი სულაც არ ყოფილა, მთავარი დანაშაუნი პილატაზე, ჩვენ კი ვიცოდით, რომ პილატემ ხელები დაიბანა, ანუ განზე გადავა. მკვლელობის დამკვეთი კაიაფა და ფარისევლები, ნაწილობრივ საღუკიელებიც ყოფილან, გარდაცვალების საათი – 12-დან 8-მდე, დღე – შაბათი...

ამ გამოძიებამ კიდევ ერთი მორწმუნე შეჰმატა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, აი, ესაა მთავარი. სულხანი მიხვდა, რომ „თუ არც მკვლელობის იარაღი ჩანს და გვაძსაც ვერ მიაგენი, საქმეც არ ყოფილა, ესე იგი, ცოცხალია! ცოცხალ კაცს კიდევ სად გადააწყდები, ვინ იცის. დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად შეგხვდება“. სულხანმა აირჩია – „უარყოფაც გზაა და, როცა იქნება, გარეთ გამოვიყვანს“. გამგონე გამოძიებელმა „იუარა კიდევ, აირჩია კიდევ და ამორჩეულით გარეთაც გამოვიდა“.

რამდენიმე სიტყვით შევაფასოთ ლაშა იმედაშვილი, როგორც მხატვარი. შესაძლოა, მწერალს რამდენიმე შენიშვნაც მისცენ. მაგალითად, არ ჩანს პერსონაჟთა დახასიათება, იერსახის ჩვენება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უკვე რეალისტური პრინციპების ერთგულებას გულისხმობს, პოსტ-ომოდერნიზმმა კი „წინასწარ შერჩეულ წესებზე“ უარი თქვა. ლ. იმედაშვილის გმირები ძირითადად მოქმედებით, დინამიკით წარმოჩინდებიან, თუმცა აქა-იქ მწერალს მაინც გაეპარება კალამი მათი პორტრეტის შესაქმნელად: „ვიწრო წელი, მოსაწონი სიმაღლე, გრძელი, ბგობობიარე თითები, დამფრთხალი შვლის თვალები და ამ თვალებში ჩაღვრილი თაფლი“, – ესაა ანა, ნობელის გულის მურაზი. „ბონდო იყო ოცდაათი წლის, შეუმჩნევლად დაბალი, წვრილი თვალით, გრძელი ცხვირით და კენჭის თავით. თუ ვინმეს გაპარსული ზღარბი წარმოუდგენია, სწორედ ისეთი. მუდმივად გაქონილი ტუჩებისა და ასეთივე გაქონილი ღიმილის მატარებელი“. „ამხანაგი კახაბერი ბონდოზე რამდენიმე წლით უფროსს ჰგავდა. ისიც დაბალი, ისიც დაშინებული ცხოველის მსგავსი, ლაპლაპა კანით და მოკლე კიდურებით. ორივენი, უფროსიც და ქვეშ მოქცეულიც, ერთი იარაღის ტყვიებს ჩამოჰგავდნენ. ბონდო ახალს, ჯერ უხმარს, კახაბერი გასროლილსა და გამოყენებულს, რადგან, ყველაფერთან ერთად, თმასაც მიეტოვებინა, ხოლო აქეთ-იქით შემორჩენილი ბალანი დამკვლევული, მორღვეული, ფორმადაკარგული ნაქსოვი ხელთათმანივით ეკიდა დაცქვეტილი ყურების ზემოთ“. „ჟენია იქნებოდა 35 წლის, დაბალი, ძლიერი ხელით (მრეცხავია), თემოსქელი, ლამაზი თვალებით, მუქი კანით, შავი თმით, უნაკლო კბილებითა და დიდი მკერდით“.

ლ. იმედაშვილს შედარების ოსტატად მიიჩნევენ (ლ. ბრეგაძე). მართლაც რომ, საინტერესოა, ხანაც უჩვეულო შედარებებით დაგვხუნძლავს ხოლმე ავტორი: „მომავალს ისეთი თვალით შეჰყურებდა, როგორც გვიანი შვილით კმაყოფილი მშობელი ნიჭიერ ბავშვს“, „სიჩუმე ისე მოულოდნელად დგება, როგორც სიბერე“, „ერთმანეთში ირევა ქართული, ჩინური, რუსული, აფხაზური – ნამდვილი

ინტერნაციონალური კონგრესი - და აზრს მართვით ბინად საკითხებზე

რევან თვარაძის სახელი და გვარი კარგად იცის წიგნიერმა მკითხველმა. ბატონმა რევანმა ღრმა კვალი დააჩნია ქართულ სალიტერატურო კრიტიკას თუ ესეისტიკას, მთარგმნელობით სკოლას თუ ლიტერატურათმცოდნეობას, ფილოსოფიის ისტორიისა და საღვთისმეტყველო პრობლემების კვლევას. ეს უთუო და უთუმცაო ფაქტია. ღვთის მადლით, ამას მისი მრავალრიცხოვანი წერილი, სტატია თუ წიგნი ადასტურებს. ოღონდ ამ ჩამონათვალში ერთ რაიმეს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა - მათი ავტორის მოქალაქეობრივ და ეროვნულ პოზიციას. მან დროთა დარღვეული კავშირი აღადგინა, იმ ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შორის იყო, ვინც XX საუკუნის 30-იან წლებში ხელოვნურად შეწყვეტილი ქართული სულიერებისა და ინტელექტუალიზმის ხელახალი აღორძინება დაიწყო.

ვთქვი, იმ ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შორის იყო-მეთქი, ვინც... მაგრამ ვვარძობ, რომ ეს ფრაზა მოვლენის არსს ვერ გამოხატავს სრულად. რევან თვარაძეს იმათ შორის, ვინც ქართული სულიერების აღორძინებისთვის იბრძოდა, გამორჩეული ადგილი უკავია. პირადად მე (მიუხედავად იმისა, რომ მისი, როგორც პროფესორის აუდიტორიაში არასოდეს ვმჯდარავარ), აკაკი ბაქრაძესთან ერთად, ის ჩემი თაობის მასწავლებლად მიმაჩნია. ხშირად ბატონი რევანის მიერ თეზისის სახით წამოყენებული დებულება შეიძლება ცალკე წერილის ან გამოკვლევის თემად იქცეს. ასეთი შემთხვევა ჩემს ლიტერატურულ საქმიანობაშიც ყოფილა (ამაზე ეგებ საგანგებოდ დავწერო). მეტიც, რევან თვარაძის მოსაზრება მაშინაც კი შეიძლება გახდეს სტიმულის მომცემი, როცა რაიმეში არ ეთანხმები. ეს იმიტომ, რომ საკითხი მან დასვა, მან მოახდინა ჩვენი გონების პროექტირება აღნიშნულ საკითხსა თუ მოვლენაზე.

ასეთი კაცის „მოგონებათა წიგნის“ გამოსვლა გასახარელი ამბავია და მომეტვეოს, თუ თავი ვერ შევიკავე, ვისარგებლე ალმანახის მთავარი რედაქტორის მდგომარეობით და რევან თვარაძის და ელისო კალანდარიშვილის შინარსიან დიალოგს სარედაქციო წინათქმა წავემძღვარე.

ამირან გომართელი

„მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე...“

(საუბარი რევაზ თვარაძესთან)

– ბატონ რევაზ, „მოგონებათა წიგნის“ ბოლოს, მინაწერში თქვენ ბრძანებთ, რომ მისი წერა 2003 წელს დაიწყო, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში. როგორ აღიღვინეთ ასე დეტალურად ბავშვობასა და ყრმობასთან დაკავშირებული ნიუანსები? ვქონდათ თუ არა რაიმე ადრეული ჩანაწერები?

– ჰირველივე კითხვის პასუხად ქაღილს უნდა მოვეყუ: არავითარი ადრეული ჩანაწერები არ მქონია. ის, რაც „მოგონებათა წიგნში“ მაქვს მოთხრობილი, თვით უმნიშვნელო დეტალებიც, მარტოოდენ მეხსიერების, ალბათ კარგი მეხსიერების წყალობით აღვაღვინე. ქაღილს-მეთქი, – ხუმრობით ვთქვი, თორემ ადრეულ ჩანაწერთა უქონლობა სასიხარულო კი არა, ფრიად გულდასაწყვეტი ფაქტია, იქნებ საძრახისიც. რადგან ჩემი ბავშვობის ხანს ყოველ რიგიან ოჯახში მოზარდებს დღიურის წერას ასწავლიდნენ და აჩვენებდნენ კიდევ. მეცხრამეტე საუკუნიდანვე მოდიოდა ეს მშვენიერი ტრადიცია (სხვათა შორის, თვით ყოვლად მოუწესრიგებელ გალაკტიონ ტაბიძეს ეს ჩვევა იმდენად ჰქონდა გამჯდარი, სიცოცხლის ბოლომდე წერდა დღიურებს, ფხიზელი იქნებოდა თუ ნასვამი). ჩვენს ოჯახშიც ასე იყო და, გარდა ამისა, მასწავლებელიც მოგვეითხავდა ხოლმე – დღიურები მაჩვენებო. მერე ჩვენს ოჯახს ოცდაჩვიდმეტის კომმარო დაატყდა თავს, მერე მსოფლიო ომიც დაიწყო და ცხოვრება ისე ამეწეწა, ნამდვილად აღარ მედღიურებოდა. გვიანდა მივხვდი, რაოდენ ფასდაუდებელი საგანძური მექნებოდა ხელთ, ბავშვობის თუ სიჭაბუკისდროინდელი, ანდა მომდევნო ხანის თითოთოროლა ჩანაწერი მაინც რომ შემომრჩენოდა.

ერთს კი მოგახსენებთ: რაც დავწერე, შემიმძლია დავიფიცო, ზუსტად ისე მოხდა ყველაფერი, გამოგონილის საცდურს არსად გამოვდევნებოვარ. დიალოგებიც კი ზედმიწევნით მაქვს აღდგენილი. ზუსტად თუ აღარ მახსოვს, იმეკარ ნაუბარს წინ ტირეს არ ვუსვამ, სხვათა სიტყვის ო-ს მეშვებობით ვადმოვცემ ხოლმე ვისიმე ნათქვამს. ეს იმას ნიშნავს, ამჯერად ზუსტ სურათს კი არ წარმოვადგენ, არამედ მიახლოებითს-მეთქი.

– თქვენს წიგნს ეპიგრაფად უძღვის ნ. ბარათაშვილის სტრიქონი – „მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“ ვფიქრობთ, მოგონებათა წიგნისთვის ეს ერთ-ერთ ყველაზე ზუსტად შერჩეული და მოხდენილი ეპიგრაფია. მასში გამოსტკვივის წუთისოფლის წარმავლობით აღძრული სევდაც და ამავე წუთისოფლის მიერ დასავიწყებლად განწირული ადამიანების, მოვლენების და განცდების აღდგენა-გაცოცხლების წყურვილი. თქვენი აზრით, როგორ ეგუება მოაზროვნე ადამიანი საკუთარ მოკვდავობას, რით ძლევს ის ყველაზე

მეტად ამაოების სასოწარმკვეთ განცდას? საკმარისია თუ არა საამისოდ, რომ „კაცნი გვქვიან, შეილნი სოფლისა“?

— ბარათაშვილის იმ ფრაზას რომ ჩაუღრმავდეთ, შესაძლოა შეიშალოს კაცი. ოღონდ მანამდე წინა სტრიქონიც უნდა გავიხსენოთ და მთლიანად წარმოვიდგინოთ ის ნათქვამი: „მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს, მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“ არ მეგულება სხვა ქმნილება, ესოდენ მძაფრად რომ წარმოაჩენდეს არსებობის დრამატიზმს, უკეთ — ტრაგიზმს. მთელი ესქატოლოგიაა აქ — თვით სამყაროც („სოფელი“) რომ აღარ იქნება, მაშინ რაღა? მე ასე შორს არ წავსულვარ, მარტოოდენ მეორე სტრიქონი დავიმოწმე — „მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“ ესე იგი, ეს კონკრეტული კაცი, ეს კონკრეტული პიროვნებანი რომ აღარ იქნებიან, მათთან ერთად უამრავი რამ უკუნეთში დაინთქება, სამარადისოდ გაუჩინარდება, სამუდამოდ გაქრება ხსოვნაც. ამიტომ, ჩემის აზრით, ყოველ დაფიქსირებულ მოვონებას საგულისხმო როლი მიუძღვის. სწორედ ამან გადამაწყვეტინა წარსულის შეძლებისამებრ აღდგენას ვცდილიყავი.

ახლა — თქვენ მიერ დასმული საშიში კითხვები: როგორ ვეგუებით საკუთარ მოკვდავობას და რით ვძლეეთ სოფლის მსწრაფლწარმავლობისა და ამაოების სასოწარმკვეთ განცდას?

ალბათ სულის უკვდავების რწმენით. მართალია, ეს რწმენაც ყოველთვის ვერ კურნავს ყველა სატკივარს, ჟამიდან ჟამზე არსებობის ტრაგიზმს გაუსაძლის ძრწოლამდეც მიყვავართ (ეელი, ელი, ლამა საბაქთანია!). ოღონდ დიდთა სიღრმეთა მიმოხილვისას იქნებ ისიც შევამჩნიოთ, რომ ტრაგიზმისა და ძრწოლის ეს განცდაც კი, თითქოს ყოვლად ულოგიკოდ, მშვენიერების განცდასაც ერწყმის ხოლმე. დიდი საიდუმლო უნდა იყოს აქ დაფარული. მეტს ნულარაფერს მათქმევინებთ, თორემ ვინმე შერეკილად ჩამთვლის.

— „მოვონებათა წიგნიდან“ კარგად ჩანს, რომ არც ახალგაზრდობაში და არც შემდგომ ზნაში თქვენ არასოდეს უფროთხოდით არაქრისტიანული მოძღვრებების შესწავლას (პლატონიზმი, ბუდიზმი, ინდური რელიგიები, ანთროპოსოფია), უფრო მეტიც, სიღრმისეულად ეწაფებოდით მათ. თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია თქვენს აღმსარებლობაზე — იყავით და დარჩით მართლმორწმუნე ქრისტიანად. ერთგან წიგნში, თქვენ ცხონებას უთვლით თქვენს ქურთ ნაცნობს, ალის, და იქვე ფრჩხილებში, ვაჟა-ფშაველას კვალობაზე, ღიმილნარევი ინტონაციით სვათ კითხვას — ქურთის ცხონება არ დაწერილა რჯულადაო? როგორ აუხსნიდით თანამედროვე ქართველს, რომელმაც ეს-ესაა შედგა ფეხი ტაძარში, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სხვა აღმსარებლობებთან? მართლა მიელით ურჯულოთ „უპარში ქშენანი“?

— მაღლობას მოგახსენებთ ამ შეკითხვისათვის. სიღრმისეულად შეცნობილი, ჭეშმარიტი ქრისტიანობა იმდენად უნივერსალური მოძღვრებაა, ვერცერთი სხვა რელიგია თუ ფილოსოფიური ან რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა ვერ შეარყევს მის საფუძვლებს. ჭეშმარიტი ქრისტიანი, ასე ვფიქრობ, კი არ უნდა გაუბოდეს სხვა მოძღვრებათა ნაცნობობას, პირიქით, გულდასმით უნდა სწავლობდეს მათ. უამისოდ კაცის მსოფლმხედველობითი თვალსაწიერი, გონებრივი ჰორიზონტი შეზღუდული იქნება მულამ. ვისაც ქრისტიანობა რელიგიური ფანატიზმისგან ვერ განუსხვავებია, ვისაც ქრისტიანობა მარტოოდენ დოგმების ბრმად მიდევნება და წესთა ფორმალური აღსრულება ჰგონია, ის, სურს თავად თუ არა, გაცნობიერებული აქვს თუ არა, იმ სექტის ნაგვიანევი მიმდევარი გახლავთ, ესოდენ უღმობლად რომ გამობდა ჩვენი მაცხოვარი.

რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს სხვა აღმსარებლობებისადმიო, — ბრძანებთ. ჩემის აზრით, ერთადერთი — ტოლერანტული. ყველა სარწმუნოებას, ყველა აღმსარებლობას პატივი უნდა ვცეთ-მეთქი, — დავუწერე ბავშვებს რელიგიის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში და ამან რამდენიმე რელიგიური ფანატიკოსის ისეთი გააფთრება გამოიწვია, სასამართლომდე მიმიყვანეს — თვარაძის სახელმძღვანელოები მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგებო.

და ერთი კიდევ: ვერაფერი მაიბულებს შევეგუო იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც აწინდელი ექვსი მილიარდი კაცობრიობისგან მხოლოდ და მხოლოდ ორას ორმოცდაათი თუ სამასი მილიონი მართლმადიდებელი ცხონდება, ზოლო ყველა დანარჩენს „კუპარში მიელის ქშენანი“.

— *თქვენ ერთგან წერთ, რომ სამშობლოს სიყვარულის გარეშე ადამიანის არსებობა ვერ წარმოვიდგენიათ. ამიტომაც უაზრობად მიიჩნით ოთხმოცდაათიან წლებში წამოწყებული კამათი იმის თაობაზე, სამშობლო უფრო მაღლა დგას თუ ჭეშმარიტება. როგორც მახსოვს, ეს კამათი წარმოშვა მერაბ მამარდაშვილის მიერ სრულიად კონკრეტულ სიტუაციაში წარმოთქმულმა დებულებამ, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას. როგორ გესმით ჭეშმარიტების ცნება და რა ვითარებაში შეიძლება დავაყენოთ ის სამშობლოზე მაღლა?*

— არანაირ ვითარებაში. ჭეშმარიტება იმის ჭეშმარიტებაა, ვითარებისდა მიხედვით ვერ უნდა შეიცვალოს მისი გაგება. აქ სხვა რამ მგონია უმთავრესი. თავისი არსებით ჭეშმარიტება (სიკეთეც, მშვენიერებაც, სიყვარულიც) ღვთაებრივი ბუნებისაა. გარნა ღვთაებრივი ბუნებისავე გახლავთ ყოველი პიროვნების უკვდავი სულიც და ამ სულთა ერთობლიობაც — ერის სული, ანუ სამშობლო თავისი ნამდვილი გაგებით. არ შეიძლება ერთიმეორეს დავუპირისპიროთ ჭეშმარიტება და უკვდავი სული (რომელიც ფსიქიკაში არ უნდა აგვერიოს), არ შეიძლება ერთიმეორეს დავუპირისპიროთ ჭეშმარიტება და ერის სული,

ანუ სამშობლო და მერე სერიოზული ბჭობა გავმართოთ იმის თაობაზე, თუ რომელი უფრო მალლა დგას.

თუმცა ჩემი „არ შეიძლება“ ერთობ კატეგორიულად არის ნათქვამი. მშენივრად შეიძლება, თუკი უკვდავი სულის ან ჭეშმარიტების ღვთაებრიობისა არაფერი გვწამს და ჭეშმარიტება მატერიალისტურად გაგებული ობიექტური რეალობის ასახვად მიგვაჩნია მსოლოდ. ნებისმიერ მარქსისტს შეუძლია ამის ქმნა, რაგინდ ეგზისტენციალისტობა უნდა დაირქვას შემდგომში იმ მარქსისტმა (კაცმა რომ თქვას, დიდი განსხვავება მაინც არ არის ამ ორ მოძღვრებას შორის). ღმერთმა ყველას თავისი მწარმსი შეარგოს, ჩვენ ჩვენი ვთქვათ: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყნაზზედა“.

– „მოგონებათა წიგნში“, მეცნიერების არსზე მსჯელობისას, თქვენ წერთ, რომ მარტოოდენ ინტელექტს დამყარებული მეცნიერება მშრალსა და მოსაწყენ სქემებს ქმნის, ამ საზარლად სქემატურ სამყაროში დანთქმული მეცნიერი კი სულიერი სილატაკის გზას ადგება. შესაბამისად, მეცნიერებსაც ორ ქვეჯგუფად ყოფთ – ერთნი, რომელთათვისაც მეცნიერება გამომშრალ აზრობრივ სქემათა შექმნას ნიშნავს და მეორენი, ვისთვისაც მეცნიერება სულიერ მოღვაწეობას და მშენიერებას უთანაბრდება. პირველი ჯგუფის მეცნიერთა ნიმუშად თქვენ არისტოტელეს და მის მიმდევართ ასახელებთ, მეორე, ჭეშმარიტი მეცნიერების წარმომადგენლებად პლატონს და მისი ყაიდის მოაზროვნეებს სახავთ.

სრულიად გასაკებია, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება აღმაფრენას, სულიერ მოღვაწეობას უნდა ემყარებოდეს. სქემატიზმი და მშრალი რაციონალიზმი, რა თქმა უნდა, აღარიბებს აზროვნებას. თუმცა მინდა გკითხოთ, არისტოტელესა და მისი მიმდევრების მეცნიერული მოღვაწეობა მართლა იმდენად სქემატურია, რომ მათ სულიერ სილატაკეს წარმოაჩენს? ნუთუ არავითარი ფასეულობა არ გააჩნია მათ არც თუ მცირერიცხოვან სამეცნიერო შრომებს? ძალიან მკაცრი ხომ არ ხართ ამ კონკრეტულ შემთხვევაში?

– მართალი ბრძანდებით: მკაცრიც ვარ და უაღრესად სუბიექტურიც. მაგრამ მოგონებათა წერას რაკი შევუდექი, იმთავითვე გადავწყვიტე აბსოლუტურად გულწრფელი ვყოფილიყავი, არაფერი დამემალა მკითხველთათვის. ხოლო სუბიექტურად ერთობ უარყოფითად ვარ განწყობილი არისტოტელეს მიმართ, უმაღური შეგირდის მიმართ, რომელიც, თავისი ღვთაებრივი მოძღვრისადმი შურით გატენილი, თან ძარცვავდა და თან გააღმასებული უბირისპირდებოდა იმ მოძღვარს (ლენინის გულის გასახარად!). ეს ვრცელი სასაუბროა, ჩვენი დღევანდელი დიალოგი ამხელა თემას ვერ დაიტევს. აქ ერთს მოვახსენებთ: არისტოტელეს შეეძლო ფილოსოფიური ფორმულები დაეწერა იმის შესახებ, თუ რა არის სიყვარული, რა არის

მეგობრობა, მაგრამ „ნადიმს“ ვერასოდეს შექმნიდა, მისთვის და მისნაირებისათვის აღამიანურ ურთიერთობათა საღმრთო პოეზია სამარადისოდ უცნობი დარჩა. რადგან რარივ კარგად უნდა იყოს დაპროგრამებული გამომთვლელი მანქანა, ეს მაინც გამომთვლელი მანქანაა, თუნდაც უაღრესად ანგარიშგასაწვევ სამეცნიერო ფასეულობათა შექმნელი. და ჩემდათავად ღმერთმა დამიფაროს ასეთ მანქანებთან ხშირი ურთიერთობისაგან.

— „მოგონებათა წიგნში“, როცა თქვენი კლასის მოსწავლეთა სიას აღადგენთ მესხიერებაში, თქვენ წერთ: „ადრეული ასაკიდან დღემდე გვარებს რაღაც საკრალურ მნიშვნელობას ვანიჭებ, თითქოს იდუმალი აზრს, აღამიანის არსების წარმომარინებელ მნიშვნელობას ვეძიებ მათში. ასეა ყოველი პიროვნების გაცნობისას, ყოველი ახალი, მანამდე უცნობი გვარის გაგონებისას.“

გვარ-სახელთა საკრალური გააზრება უძველესი დროიდან მომდინარეობს. ამ საკითხს მრავალი ენათმეცნიერული, ფოლკლორული თუ რელიგიურ-ფილოსოფიური გამოკვლევა ეძღვნება (საკმარისია დავასახელოთ თუნდაც პ. ფლორენსკის „Имена“). თქვენი აზრით, მაინც რა საკრალურ ინფორმაციას შეიცავს აღამიანის გვარი? რა განსხვავებაა ამ მხრივ კეთილზმოვან და არაკეთილზმოვან, ეტიმოლოგიურ და, ასე ვთქვათ, „უშინარსო“ გვარებს შორის? ხომ არ გიფიქრიათ, ასეთივე საკრალური მნიშვნელობა აქვთ თუ არა ტოპონიმებს?

— თავდაპირველად — ბოლო კითხვა. ტოპონიმებსაც რომ საკრალური მნიშვნელობა აქვთ, ამაზე აქამდე, ვიდრე თქვენს შეკითხვას გავეცნობოდი, არ მიფიქრია და ახლა გულიც მწყდება — როგორ ვერ მოვისაზრე-მეთქი. იმაზეც მწყდება გული, რომ ფლორენსკის ნაშრომს, თქვენ მიერ ნახსენებს, არ ვიცნობ. ალბათ ძალიან საინტერესო იქნება. ისე, მართალი მოგახსენოთ, არც, „მრავალ ენათმეცნიერულ, ფოლკლორულ თუ რელიგიურ-ფილოსოფიურ“ გამოკვლევას ვიცნობ, აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილს, სამწუხაროდ, ამისთვის ვერასოდეს მოვიცალე. ასე რომ, მარტოდენ ჩემი საკუთარი ინტუიტიური მოკვლევები თუ მოსაზრებები შესაძლოა ერთობ გულუბრყვილოც აღმოჩნდეს.

— ბატონო რევაზ, თქვენს წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა 1937 წლის რეპრესირებულთა ტრაგიკული ბედის აღწერას. ამ გვერდებს აღამიანი აუღელვებლად ვერ წაიკითხავს. რამ განაპირობა იმდროინდელი საზოგადოების ასეთი დათრგუნული მდგომარეობა? აღ. სოლჟენიცინი „გულაგის არქიპელაგში“ ერთვან წერს, რომ იმ ავადსახსენებელ დროში აღამიანებს საერთოდ დაკარგული ჰქონდათ წინაღმდეგობების გაწევის უნარი. მისი აზრით, სახლიდან დასაპატიმრებლად გამოყვანილ აღამიანს, რომელიც სასიკვდილოდ იყო

განწირული, უნდა ეყვირა, გამვლელ-გამომვლელთა, ირგვლივ მაცხოვრებელთა ყურადღება მიექცია, ხეს შემოხვეოდა, ხმამაღალი შეძახილებით შველა ეთხოვა. იქნებ ასეთ, თუნდა ეფემერულ წინაღმდეგობას, თუ იგი მასობრივი გახდებოდა, რაღაც მაინც შეეცვალა. როგორ ფიქრობთ, ძალიან გულუბრყვილოა სოლჟენიცინის ეს შეხედულება, თუ არის მასში რაიმე რაციონალური? ამას საბოძავლო მნიშვნელობაც აქვს — რა უნდა მოიმოქმედოს საზოგადოებამ, რომ ტოტალური დამონების პროცესს გადაურჩეს.

— სოლჟენიცინის ეს შეხედულება მარტოოდენ გულუბრყვილო კი არა, აბსურდულიც არის. სოლჟენიცინი ჩემი თაობისაა (თუ გნებავთ ასე ვთქვათ — მე ვარ მისი თაობისა) და ამ ასაკის კაცს კარგად უნდა ახსოვდეს, რა ხდებოდა იმ საზარელ ხანაში, ოცდაჩვიდმეტში. რა ყვირილი და ვისი ყურადღების მიპყრობა, რომელი ხეს შემოხვევა და რომელი ხმამაღალი შეძახილები! იქვე მიახვერტლნენ ულაპარაკოდ — მოყვირალსაც და მისი ბედით დაინტერესებულებსაც. არანაირი პროტესტის გამოხატვას ოცდაჩვიდმეტში უკვე აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა, ძალიან, ძალიან დავგიანებული იყო. სხვა საკითხია, რომ აქამდე არ უნდა მისულიყო საქმე, განუკითხავ დიქტატურამდე. ოღონდ საამისოდ ერთი პირობა იყო აუცილებელი, სახელდობრ, საქართველოსთვის: სატანის მოციქულთა — ორივე ფრთის სოციალ-დემოკრატი — აღზევება რომ იწყებოდა მეოცე საუკუნის დამდეგს, მაშინვე უნდა მივმხვდარიყავით, რომ ქართველი ერის დაუძინებელი მტრები იყვნენ ბოლშევიკებიც, მენშევიკებიც, და რუსეთის პროლეტარიატის ბედი ჩვენი სატირალი არ უნდა გაგვეხადა. ვერ შევძელით ამის გაკეთება, როგორც მუდამ გვჩვეოდა, ამჯერადაც დავივიანეთ ქართველებმა და გონს რომ მოვეგეთ. უკვე გვიანი იყო, თითქმის მთელი საუკუნე დაგვარგეთ.

არ მინდა სიტყვა გამიგრძელდეს, მაგრამ ერთ საკითხსაც უნდა შევეხო. 1964 წელს ვთარგმნე სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ (იმავე წელს „მნათობში“ დაიბეჭდა, ამას წინათ ცალკე წიგნადაც გამოიცა). მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ სოლჟენიცინიც ისეთივე გულნამცეცა ველიკოდერჟავნიკი აღმოჩნდებოდა, როგორც აბსოლუტური უმრავლესობა რუსი მწერლებისა და მეცნიერებისა, ოდესღაც ჩემი კარგი ნაცნობები და ახლობლებიც რომ იყვნენ.

ამას იმიტომ მოვასხენებთ, რომ საქართველომ და რუსეთმა ცალ-ცალკე ერთიმეორისგან დამოუკიდებლად უნდა განსაზღვრონ თავ-თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მომავალი. ამდენი ჭკუა რომ გვყოფნოდა მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში, დამოუკიდებლობასაც აღარ დაგვარგავდით, ხელახლა ტოტალიტარიზმის უღელქვემაც არ აღმოჩნდებოდით. რამეთუ, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოსნაირ ქვეყანაში, ცალკე აღებულში, ვერავითარი დიქტატურა ვერ გაიმარჯვებს ვერასოდეს. ოთხმოცდაათიან წლებში

„პროვინციული ფაშიზმი“ რომ დაგვაბრალა ვიღაცამ, გარედან შემოგდებული მგონია ეს ცნებაც, ანდა გადაჯიშებულ ქართველთა მიერ მოგონილი. აუცილებელი არაა უეჭველად „ზვიადისტი“ იყოს კაცი, ამას რომ მიხვდეს. ზვიადს სხვა უბედურება სჭირდა და მისი ხელისუფლება იმთავითვე აშკარად განწირული იყო. თუ დამცალდა, მოგონებათა წიგნის მეორე ნაწილში შევხვები ამ საკითხს დაწვრილებით.

— *მივაჩნიათ თუ არა, რომ ჰუმანიტარული მიდრეკილების მქონე ადამიანები გამოირჩევიან საზოგადოებაში? თქვენ ხომ ძირითადად ასეთ პიროვნებებს აღწერთ თქვენს წიგნში განსაკუთრებული სიმპათიით? როგორია ჰუმანიტართა ბედი ოცდამეერთე საუკუნეში?*

— ესეც ერთობ ვრცელი სასაუბრო საკითხია. შევეცდები მოკლედ ჩამოვყალიბო სათქმელი. ყველას კარგად მოგვეხსენება, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დეჰუმანიზაცია გლობლურ ტენდენციად რომ იქცა. რეალურ ცხოვრებაში გულამოჭმული პრაგმატიზმის სახე მიიღო ამ ტენდენციამ, მწერლობასა და ხელოვნებაში კი, გამოთქმისთვის ბოდიშს მოვიხდი, გულისამრევი პოსტმოდერნიზმისა. ჩემის დაკვირვებით, ამ მხრივ უკიდურეს ქვედა ზღვარზე იმყოფება კაცობრიობა. და, ყველა წესის მიხედვით, როგორც მრავალჯერ და მრავალჯერ მომხდარა ისტორიაში, ამას აღმასვლა უნდა მოჰყვეს უეჭველად, ადამიანურობის დღემდე არნახულ სიმაღლეზე აღტყორცნა. თუ არ გავეცინებათ, მოგახსენებთ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში სწორედ რენესანსს ველოდები, იმისდა მიუხედავად, საკუთრივ მე მოვესწრები თუ ვერა ამას.

— *თქვენს წიგნს, მიუხედავად იმისა, რომ უძძიმეს წლებს ასახავს, მაინც დაჰკრავს ნოსტალგიური ელფერი. ბოლოსიტყვაობაშიც გარდასულ დღეებს თან სვევამწარებულს, თან კი სანეტაროს უწოდებთ. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ დროთა გადმოსახედიდან ყოველგვარი, თუნდაც მწარე მოგონება, ძვირფასი ხდება? იქნებ არ ღირს ვივაგლახლოთ აწმეოს უკულმართობის გამო, თუკი იგი მომავალში მაინც სანეტარო მოსავონარი იქნება? და კიდევ ერთი: აქვს თუ არა მზცოვანებას თავისებური ჯადო და ხიბლი?*

— ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ჩემდათავად პრაქტიკულადაც დამიდასტურდა ჩემი სათაყვანებელი ფსევდო-ლიონისე არეოპაგელის, ანუ პეტრე იბერიელის თეორიული მონაპოვარი: ბოროტებას ძირი არ უდგას, არსება არ გააჩნია. „დამერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“, — რუსთაველის ნათქვამისა არ იყოს. ბოროტ ტენდენციათა აღზევების იმ სამხელო წლებში ჩემი სული და მრავალი ჩემი ახლობლის სული იბრძოდა და იწრთობოდა და ამ პროცესს თავისებური მშვენება ახლდა. ამიტომ მაქვს ნოლსტალგია იმ წლების მიმართ და სანეტაროდაც ამიტომ მიმაჩნია.

მხცოვანებას თავისებური ჯადო და ხიბლი, ასე მგონია, მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუკი სულით არ დაბერდება და დაჩაჩანაკლება, ვინც უნდა იყოს.

– „მოგონებათა წიგნი“ უმშვენიერესი სიტყვებით მთავრდება: „ღროს მსწრაფლწარმავლობის გამო მარად ვოდებდნენ ამ სოფლად მოვლენილი მაღალი და მაღლად მხედნი სულნი. მე ჩემი ვოდებით აღარ შევაწუხებ არც მკითხველს, არც უფალ ღმერთს. ერთს ვთხოვ გამჩენს — ამ წიგნის მეორე ნაკვეთიც გამასრულებინოს მშვიდობიანად“.

ჩვენც ვისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანისა და სულის სიმრთელეს. გთხოვთ გვითხრათ, რა შინაარსის იქნება თქვენი წიგნის მეორე ნაწილი?

– უღრმეს მადლობას მოგახსენებთ კეთილი სურვილისთვისაც, იმისთვისაც, რომ ამდენი დრო გამოძებნეთ და ამდენი უღრესად საგულისხმო კითხვა დამისვით.

„მოგონებათა წიგნის“ მეორე ნაწილი ჩემი ცხოვრების იმ მონაკვეთს დაეთმობა, როდესაც უმაღლესი დაგამთავრე და ცხოვრების ასპარეზზე გამოვედი. აქ გაცილებით ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მენსიერებას ჯერჯერობით არ ვუჩივი, მით უფრო, უამრავ საინტერესო პიროვნებასთან მელის შეხვედრა. აქ უმთავრესი, ალბათ, ის არის, ისევე როგორც წიგნის პირველ ნაწილში, ყველაზე მნიშვნელოვანის გამოცალკეება შევძლო და ყველა წვრილმანს არ გამოვედევნო. უამისოდ მოგონებებს წერტილი ვერსად დაესმება და შესაძლოა გრაფომანთა ამქარში აღმოჩნდეს კაცი.

რევაზ თვარაძეს ესაუბრა
ელისო კალანდარიშვილი

„სასკნობლად თავისადათ“

ლევან ბრეზაძე
ამირან ბოშარტიანი

სასკოლო „წარმოდგენის“ შინაარსს სახელმძღვანელო განსაზღვრავს

წერილი პირველი*

სამშობლოში ახლად დაბრუნებული კოტე მარჯანიშვილისთვის უკითხავთ: „აუცილებელია თუ არა თეატრში რეჟისორი?“ სახელმძღვანელო რეჟისორის პასუხი იყო: „თეატრალური წარმოდგენისთვის აუცილებელია სამი რამ: პიესა, მსახიობი და მაყურებელი“. სასკოლო განათლების სფეროში ეს მაქსიმა, ალბათ, ასე გამოითქმება: „სკოლისათვის აუცილებელია სამი რამ: სახელმძღვანელო, მოსწავლე და მასწავლებელი“.

და მაინც, პიესის მსგავსად, სახელმძღვანელოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — სასკოლო „წარმოდგენის“ შინაარსს სახელმძღვანელო განსაზღვრავს, მოწაფეც და მასწავლებელიც მას ემყარებიან. ამიტომ უნდა იყოს სახელმძღვანელო საგანგებო ზრუნვის საგანი, მით უფრო რეფორმის მიმდინარეობის პირობებში. კითხვა, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ, ვფიქრობთ, თანაბრად დაინტერესებს განათლების მესვეურებსაც და ფართო საზოგადოებასაც.

ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი და უჩვეულო სიახლე, რაც განათლების რეფორმამ მოიტანა ჩვენში, ის არის, რომ არცერთ საგანში აღარ არსებობს ერთადერთი და აუცილებელი სახელმძღვანელო. ამიერიდან სახელმძღვანელოს დაწერის (შედგენის), გამოცემის და ბაზარზე გატანის უფლება აქვს ყველას. მასწავლებელი კი იმ სახელმძღვანელოს აირჩევს, რომელსაც უკეთესად ჩათვლის. რეფორმირებული განათლების სამინისტრო ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ამ სფეროში გაუქმდეს მონოპოლია, შეიქმნას კონკურენტული გარემო, რაც იმის წინაპირობა იქნება, რომ საუკეთესომ გაიმარჯვოს და ჩვენმა ბავშვებმა რაც შეიძლება კარგი სახელმძღვანელოები მიიღონ.

და, აი, წიგნის ბაზარზე გამოჩნდა კიდევაც ალტერნატიული სახელმძღვანელოები. პედაგოგები არჩევანის წინაშე დადგნენ. ეს არჩევანი კი არცთუ ადვილი მოსახდენია, მით უფრო, რომ ამ სახელმძღვანელოების აკვარეიანობის თაობაზე ჩვენს საზოგადოებაში სერიოზული სჯა-ბაასი,

* წერილი მეორე იბეჭდება „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის“ მე-8 ნომერში.

დისკუსია თუ პოლემიკა არ გამართულა (სხვათა შორის, ამგვარ განხილვათა ორგანიზება, სახელმძღვანელოების კრიტიკული შეფასების ხელშეწყობა, უწინარეს ყოვლისა, თვით განათლების სამინისტროს ევალება – ყველაზე მეტად ის უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ მასწავლებლებს არჩევანი გაუადვილდეთ). ამის გარეშე კი ვერანაირ საქმეში, და მით უფრო განათლების სფეროში, პროგრესი ვერ მიიღწევა. სამინისტროს შემუშავებული აქვს მოთხოვნები, კრიტერიუმები, რასაც სახელმძღვანელოები უნდა აკმაყოფილებდნენ, მაგრამ როგორ უპასუხებენ ეს სახელმძღვანელოები ამ მოთხოვნებს ან რომელი მათგანი უპასუხებს მათ უკეთ, რომელ სახელმძღვანელოს რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, არავინ იცის. მასწავლებელთათვის ამ სახელმძღვანელოების შეთავაზება ცნობილი საბავშვო თამაშის პრინციპით ხდება: „ვისი სული გსურს?“

ჩვენ გადავწყვიტეთ, ხელი მივყოთ ამ საშურ საქმეს და შეძლებისდაგვარად შევაკვსოთ ეს ხარვეზი. ამერიიდან სისტემატურად შემოვთავაზებთ ჩვენი წიგნის ბაზარზე გამოტანილი სახელმძღვანელოების კრიტიკულ შეფასებას, შევეცდებით მათ განხილვას რაც შეიძლება ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი მივცეთ – რა სახელმძღვანელოებს ვთავაზობთ სკოლებს, ამით ყველა უნდა დაინტერესდეს.

ვიწყებთ „მშობლიური ლიტერატურის“ V კლასის სახელმძღვანელოთი, რომელიც შარშან, 2004 წელს, მესამედ გამოცემულა 1998 წლის პირველი და 2000 წლის მეორე გამოცემის შემდეგ (დამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ. შემდგენლები: ვახტანგ როდონაია (ჯგუფის ხელმძღვანელი), ლალი ვაჭაიძე, ლია თუშური, დალი ლორია, ლილა მანჯგალაძე. გამომცემლობა „ნათია“. რედაქტორი ვია მურულუია. რეცენზენტები: ეთერ გულდამაშვილი, რევაზ სირაძე, აღდა ქარსელაძე).

სახელმძღვანელო ექვსი თავისაგან შედგება, აქედან ხუთი თემატურია („ადედა, მშობლიური გარემო“, „გმირი წინაპრები“, „ადამიანი და ბუნება“, „ბიჭები და გოგონები“, „ღვთის სადიდებელი“), ხოლო ერთი – „შოთა და საბა“ – შეიცავს ნაწყვეტებს შოთა რუსთაველისა და სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებიდან.

თავების დასათაურებები და ამ თავებში შესული მასალა სრულად შეესატყვისება ერთმანეთს. ოღონდ ერთი შენიშვნა მაინც გვაქვს იმ თავთან დაკავშირებით, „ბიჭები და გოგონები“ რომ ეწოდება. ასეთი თავის ცალკე გამოყოფა უთუოდ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნებისთვის ანგარიშის გაწევით არის გამოწვეული (იხ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული „ინსტრუქციები სახელმძღვანელოების ავტორებისათვის“). მაგრამ ეს თავი ოთხ მოთხრობას შეიცავს და აქედან მხოლოდ ერთის პერსონაჟია გოგონა (რ. ინანიშვილის „მირანდუსტ“), დანარჩენი სამი მოთხრობა ბიჭებზეა. ამ თავში შესულ მოთხრობებში ექვსი მთავარი

პერსონაჟი ბიჭია, ხოლო გოგონა ერთადერთია. ასე რომ, გენდერული თანაფარდობა მეტისმეტად დარღვეულია, არადა განყოფილებას „ბიჭები და გოგონები“ (მრავლობით რიცხვში) ჰქვია! (ბარემ აქვე ვიტყვი: ავტორები ბავშვებს „იავნანის“ სამ ტექსტს აცნობენ. აქედან ორი ხალხურია, ერთის ავტორი კი დიმიტრი ბაგრატიონი გახლავთ; ეს მამის ნამღერი „ნანინაა“! (გვ. 57-58). ამ ტექსტის სახელმძღვანელოში შეტანილ ავტორები მასვე გონივრულად ეხმაურებიან გენდერული თანასწორობის აქტუალურ პრობლემას. ამ შემთხვევაში ლექსს ასეთი საგულისხმო კომენტარი მოსდევს: „ნანინა“, ისევე როგორც „იავნანა“, ბავშვის დასაძინებელ სიმღერას ეწოდება. ამიტომ მას ყოველთვის დედასთან ვაკავშირებთ ხოლმე. ახლა კი თქვენ მამის ნათქვამი იავნანა წაიკითხეთ“).

შესასწავლი მასალა ჟანრობრივად მრავალფეროვანია. აქ არის როგორც მცირე და საშუალო ზომის მხატვრული პროზის ნიმუშები („იავნანამ რა ჰქმნა?!“ იაკობ გოგებაშვილისა, „ნიკოლოზ გოსტამაბიშვილი“ ილია ჭავჭავაძისა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ვაჟა-ფშაველასი, ივანე-არაკები ს.-ს. ორბელიანისა, „ბიჭი და ძაღლი“ არჩილ სულაკაურისა, „ძმები“ ნუგზარ შატაიძისა, „გალმევილები“ გოდერძი ჩოხელისა, „მუხა“ რევაზ ინანიშვილისა და სხვ.), ასევე ნაწყვეტები დოკუმენტურ-მემუარული ლიტერატურიდან (აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“, ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყვეთარის მოგონებანიდან“, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ზიდან“); აქვეა ამონარიდი საისტორიო თხზულებიდან („ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“), უხვად წარმოდგენილი ლირიკული ლექსების გარდა არის აგრეთვე ნაწყვეტები პოემებიდან („ვეფხისტყაოსნიდან“, გრიგოლ ორბელიანის „სადღევრძელოდან“), ასევე ბიბლიური ისტორიები და ფსალმუნის ერთი ნიმუშიც.

ამ თვალსაზრისით ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სახელმძღვანელოში არ გვხვდება არცერთი ანდაზა და გამოცანა, იმ ასაკის ბავშვთა საყვარელი ჟანრები, რომელთათვისაც ეს წიგნია განკუთვნილი.

კლასიკოსთა გარდა, რომლებიც ტრადიციულად შეისწავლებოდნენ საშუალო სკოლაში, მოსწავლე ამ სახელმძღვანელოთი თანამედროვე ავტორებსაც გაეცნობა: ანა კალანდაძეს, რევაზ ინანიშვილს, არჩილ სულაკაურს, ნუგზარ შატაიძეს, გოდერძი ჩოხელს.

ყველაზე უხვად – ხუთი-ხუთი ნაწარმოებით – გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და რევაზ ინანიშვილი არიან წარმოდგენილნი.

პროზაული ტექსტები ადაპტირებულია მკითხველის ასაკის, ასათვისებელი მასალის მოცულობის, ამა თუ იმ თავის თემატიკის, წიგნის დიდაქტიკური დანიშნულებისა და, ნაწილობრივ, დღევანდელი ენობრივი ნორმების გათვალისწინებით.

ტექსტების ადაპტაციასთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე შენიშვნა.

მოძველებულ ან დიალექტურ ფორმებს შემდგენლები, როგორც წესი, თანამედროვე ორთოგრაფიის მიხედვით ასწორებენ, მაგალითად: *ძომანვენ* –

მომაწუნენ, რაღამაც – რაღაცამ (გვ. 32), მანდერ – მანდ (გვ. 32), აქ – აქვს (გვ. 31), ესები – ესნი (გვ. 35), ყოველიფერი – ყველაფერი (გვ. 31, 36, 37), მადრიელ ბუნებას – მადლიერ ბუნებას (გვ. 296) და სხვ. მაგრამ ენობრივი ადაპტაციის ერთიანი პრინციპი (პრინციპები) არ შეინიშნება. ზოგჯერ „დიად“-ს ცვლიან „დიას“-ით (გვ. 295), ზოგჯერ დატოვებულია „დიადაც“ (გვ. 300). აკაკი წერეთელი წერს: „სასახლეში ადრეც ბევრჯელ ყოფილვარ“. საზგასმულ სიტყვას სახელმძღვანელოს ავტორები 30-ე გვერდზე ამჟამინდელი ორთოგრაფიით გვთავაზობენ: „...ბევრჯერ ვყოფილვარ“ (ასევე იქცევიან მე-300 გვერდზეც: ვაჟა-ფშაველასაც უცვლიან „ბევრჯელ“ ფორმას „ბევრჯერ“ ფორმით). ოთხი გვერდის შემდეგ კი აკაკი წერეთლის იმავე ტექსტში დატოვებულია ფორმა „ბევრჯელ“ („...მამაჩემის ახირებულობა ბევრჯელ ხელს უშლიდა...“ გვ. 35) და იგი სქოლიოშია „განმარტებული“ ამგვარად: „ბევრჯელ – ბერჯერ“.

ამის მსგავსადვე აკაკი წერეთლის ფრაზაში „თავი დაედვით გაზრდილის გულისათვის“ საზგასმულ სიტყვას სახელმძღვანელოს ავტორები ასე ასწორებენ: (თავი) დაედოთ (გვ. 26). მაგრამ იმავე ზმნის იგივე ფორმა გამოთქმაში „ფიციც დადვა“ გაუსწორებლად არის ტექსტში დატოვებული (გვ. 35) და ესეც სქოლიოშია „ახსნილი“: „დადვა – დადო“.

ასევე, აკაკი წერეთლის მიერ გამოყენებული ფორმა „მექონი“ 34-ე გვერდზე ჩასწორებულია და მის ნაცვლად არის „მქონე“, მაგრამ მომდევნო გვერდზე ვკითხულობთ: „ამ ორს, სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგ (უნდა იყოს – წინააღმდეგი. – ავტ.) ბუნების მექონ ადამიანთ ხშირად ჰქონდათ ერთმანეთში საყვედური“, და ამჯერად „მექონი“-ც სქოლიოშია განმარტებული სიტყვით „მქონი“ (აჯობებდა „მქონე“).

195-ე გვერდზე სქოლიოში ვკითხულობთ: „რთვილი – თრთვილი“. ვობდა ამ შემთხვევებშიც ადაპტაციისთვის მივემართა, რითაც ამ უხერხულ სქოლიოებსაც ავიცილებდით და არც არჩეულ პრინციპს ვულადატებდით.

ზოგჯერ სწორი ფორმა არასწორით არის შეცვლილი: აკაკის უწერია: „...გაჰვლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილს“ (ასეა აკაკი წერეთლის თხუთმეტტომეულის მე-7 ტომში). სახელმძღვანელოში კი ვკითხულობთ: „გაჰვლეჯდა“ (გვ. 28), რაც მცდარი ფორმაა, უნდა დარჩენილიყო „გაჰვლეჯდა“.

გვხვდება გადმოწერისას (ან გადმობეჭდვისას) დაშვებული შეცდომები, რითაც აზრი იცვლება:

„საკვირველია, მრისხანე დედაჩემს არ უყვარდა არავის დასჯა, მხოლოდ სიტყვითა და შეხედულებით იყო საშიში“, ვკითხულობთ 35-ე გვერდზე. აქედან ისე გამოდის, თითქოს აკაკის უკვრდეს, დედაჩემს რომ არავის სჯიდა. სინამდვილეში აკაკისთან „საკვირველია“ კი არ არის, არამედ „რასაკვირველია“.

გიორგი ლეონიძეს უწერია: „ჩემი სოფლის *ტყისპირებში* ყოველ გაზაფხულზე ია ბლუჯეულად ამოდოდა“. ხაზგასმული სიტყვის ადგილას სახელმძღვანელოში არის „ტყისპირეთში“ (გვ. 47). ბ-ს თ-თი შეცვლამ აზრობრივი ცვლილება მოიტანა: „ტყისპირეთი“ გეოგრაფიულ ტერმინად აღიქმება (შდრ. ბალტიისპირეთი და მისთ.).

ჯობს, ვერიდოთ ჩასწორებას, თუკი ამის აუცილებლობა არ არის. გაუგებარია, რატომ შეიცვალა „ბიჭებს ურიგო არა *წასტდეს-რა...*“ „ურიგო არა *წამოსცდეთ-რა*“-თი (გვ. 40).

ან კიდევ:

იყო: „...აქა-იქ *მოგროვებული* კვერცხები კი სულ დაემტვრათ“, არის: „...აქა-იქ *მოგროვილი*...“ (გვ. 35).

იყო: „...რომ ჩემ *ძმებსავით* მეც წერა-კითხვის ღირსი გავმხდარიყავი“, არის: „...ჩემი *ძმებივით*...“ (გვ. 41).

იყო: „ვენახები *ულეველი* ხილით იყო სავსე“, არის: „...*ულევი* ხილით...“ (გვ. 49).

იყო: „მე მაინც არ დავეთანხმე, *გაეუძაღდი*“, არის: „...*გაეუძალიანი*დი“ (გვ. 248).

ესენი პარალელური ფორმებია და ისე უნდა დარჩეს, როგორც დედანშია. ყველაზე მეტი ენობრივი ადაპტაცია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს განუცდია. ისინი თითქმის თავიდან ბოლომდე თანამედროვე ქართულით გაუმართავთ. იყო: „ორნი მეფენი შეიბნენ. ერთმან მეფემან მეორესა სძლო, შეიპყრა და ორმოში ჩააგლო“, არის: „ორი მეფე ერთმანეთს შეება, ერთმა სძლია, შეიპყრო მეორე და ორმოში ჩააგლო“ (გვ. 128); იყო: „მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა“, არის: „ქალს დათვის სიმყრალე ეცა, გადააფურთხა და თქვა“ (გვ. 131); ნაცვლად ფორმისა „ამოვიდის“ არის „ამოვიდოდა“ (გვ. 129) და ა. შ. ისე კი, სახელმძღვანელოს შემდგენლებს შეეძლოთ ზოგიერთ შემთხვევაში ადაპტირებისათვის თავი აერიდებინათ და საბასეული სიტყვები დაეტოვებინათ. ამით, უდავოდ, შეუწყობდნენ ხელს მოზარდის ლექსიკის გამდიდრებას და ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ათვისებისთვის მის მომზადებას. მით უფრო, რომ ერთ ამგვარ მაგალითს თავად იძლევიან. ადაპტირებულ ტექსტში დატოვებულია გამოთქმა „რას ზარობ?“ (გვ. 127); იგი სქოლიოში ჩაუტანიათ და იქ განუმარტავთ („რას შფოთავ? რისი გეშინია?“).

საბას ერთ არაკში ვკითხულობთ: „სანამ ამომიყვანდა, *ყვედრებით* ამავესო“, ხოლო ხაზგასმული სიტყვა სქოლიოში ასეა ახსნილი: „ყვედრება – საყვედური“.

უცნაური ის განხლავთ, რომ საბასთან „ყვედრების“ ადგილას არის „საყვედური“, ანუ სწორედ ის სიტყვა, რომელიც თავიანთი ჩანასწორების განსამარტავად გამოიყენეს ავტორებმა!

ამ კუროიზს ისიც ემატება, რომ „ყვედრება“ თანამედროვე ქართულში *საყვედური* კი არ არის, არამედ – *ღამადღება* (იხ. ქველ, ტ. 7, სვ. 532).

თხზულების სათაურს წიგნის ავტორები ასე წერენ: „სიბრძნე-სიცრუისა“ (გვ. 127. ასევეა სარჩევშიც), უნდა იყოს „სიბრძნე სიცრუისა“ – უდევისოდ.

გთავაზობთ რამდენიმე ფრაზას აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“ და გიორგი ლეონიძის „ნატურის ხიდან“, რომლებშიც თითო სიტყვა არის გამოტოვებული (ისინი კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით), მათი უგულებელყოფის მოტივები ძნელი დასადგენია. როგორც ჩანს, ისინი გადაწერის დროს გამორჩენიათ:

„მომერლებმაც რომ დაინახეს ლომივით კაცი, პერანგის ამარა, თავშიშველა, [ფეხშიშველა], მათკენ მუქარით მიმართული, დაფრთხნენ“ (გვ. 35).

„რა არის, ეს რჯულძალდი, რო ასე აგვიანებს და [სასადილოს] არ დაუკრავსო?“ (გვ. 35).

„– ყველაფერი კარგი, [მაგრამ] თვითონ თქვენ ვინლა ბრძანდებით?“ (გვ. 36).

„მე ამ [ახალ] ამხანაგებთან ერთად დიდიდან საღამომდე სულ მინდორში დავბობდი“ (გვ. 39).

„– აბა, ვაბრო, ამ [დასხმულ] ხეს გაბარებ. ასევე უნდა დამახვედრო, ბავშვებმა არ მომიკრიფონ“ (გვ. 50).

საერთოდ, გადმოწერისას დაშვებული უზუსტობები ბევრია. რამდენიმეს კიდევ დავიმოწმებთ:

„მაგრამ დიდელას მუხლქვეშ გაზრდილებს ქურდობისა ეშინოდათ, ან ყურში ჩასაძახლათ ის სიტყვები, ჩარჩმა რომ დაავედრა მათ მამებს...“ (გვ. 50). „ან“-ის ნაცვლად უნდა იყოს „თან“.

„ბებერ, ცხონდი, ბებერ, ცხონდი, *ყმაწვილებო* ულიტო“ (გვ. 304). უნდა იყოს: „ყმაწვილები ულიტო“.

„რამდენჯერმე ვიპოვეთ *ბულბული* ჩვენი ვარდის ძირში, სადაც ბულბულებს დამე ცხოვრება და გალობა უყვართ“ (გვ. 298). პირველი, ჩვენ მიერ საზგასმული, „ბულბულის“ ნაცვლად უნდა იყოს „ბუმბული“ (ეს ბოლო ორი მაგალითი ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგონებიდან“ არის).

აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალში“ გვხვდება სიტყვა „თორნეული“ (ანუ – რაც თონეში ცხვება). სახელმძღვანელოში ამის ნაცვლად „თორნოული“ წერია ტექსტშიც და სქოლიოშიც (გვ. 43), სადაც იგი განსამარტავად ჩაუტანიათ (განმარტებული სწორად არის).

მოსწავლეთათვის ტექსტების გაგების გასაადვილებლად ადაპტირების გარდა ავტორები სქოლიოებსაც იყენებენ – სქოლიოებში განმარტავენ ამ ასაკის ბავშვთათვის გაუგებარი სიტყვების, გამოთქმების, რეალიების, მოვლენების

მნიშვნელობებს. სქოლიოებშია ახსნილ-განმარტებული *კვერი*, *კანვლი*, *ჭონა*, *საული*, *სამოელი* და სხვა მრავალი.

გვაქვს შენიშვნები ზოგიერთ განმარტებასთან დაკავშირებით.

საბას არაკში „ორმოში ჩაგდებული მეფე“ ასეთი შესიტყვება გვხვდება: „გამოხდა ხანი“ (გვ. 128). „ხანი“ სქოლიოშია განმარტებული სიტყვით „დრო“. ეს, ცხადია, სწორია, მაგრამ არა გვეჩინა, მეხუთე კლასის მოსწავლისთვის, რომელსაც არაერთხელ ექნება გაგონილ-წარმოთქმული ისეთი გავრცელებული გამოთქმები, როგორებიცაა „დიდი ხანია“, „რა ხანია“, „ცოტა ხანს“ და მისთანანი, „ხანის“ ახსნა-განმარტება საჭირო იყოს. ამ ჩვენს მოსაზრებას ისიც განამტკიცებს, რომ ეს სიტყვა ამ განმარტებამდე ამავე სახელმძღვანელოს მე-7 გვერდზე ორჯერ გვხვდება („სოფელ ვაშლოვანში კარგა *ხნიდან* სავაჭროდ დაიარებიდა ორი ბაჯაჯგუნა ლეკი“, „რამდენი *ხანია*, რაც ჩვენ სავაჭროდ დავიარებით“), მაგრამ არცერთი მათგანი განმარტებული არ არის.

თუკი გამოთქმაში „გამოხდა ხანი“ ბავშვისთვის რაიმე განსამარტავია, ეს დღეისთვის აშკარად მოძველებული „გამოხდა“ (გავიდა) უფროა, ვიდრე „ხანი“! ფრაზა „ხალვათად ჩაეველო ყელში“ (ლაპარაკია ლუქმაზე. — ავტ.) ასეა განმარტებული: „ყელში თავისუფლად საყლაპავი“ (გვ. 198). გაუგებარია, რას ნიშნავს. ყველა წესის თანახმად უნდა ეწეროს — „ყელში თავისუფლად ჩასულიყო“.

253-ე გვერდზე აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“ მოტანილ ფრაგმენტში ვკითხულობთ: „ჩვენი კლასიდანაც, *განკითხვის დღე* რომ დადგა (ასე ვეძახოდით საზოგადოდ მაქსიმოვიჩის ეგზემენებს), სამი მოწაფე აიყვანეს და ჩააყენეს თორენში“. „განკითხვის დღე“ სქოლიოში ასეა განმარტებული: „როცა ყოველივე დაფარული უნდა გამომჟღავნდეს“.

განკითხვის დღეს, ცხადია, ყოველივე დაფარული გამომჟღავნდება, მაგრამ იმ დღეს ბევრი სხვა რამეც მოხდება, მათ შორის ისიც, რასაც ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებს სისასტიკით ცნობილი სასწავლო ოლქის უფროსის მოადგილის მიერ ჩატარებული გამოცდები მოაგონებდათ — სამიწილი სამსჯავრო — „Страшный суд“ (გიმნაზიაში სწავლა რუსულ ენაზე იყო და შეგირდები უთუოდ ასე მოიხსენიებდნენ იმ ცოდვის ტრიალს, რაც მაქსიმოვიჩის მიერ ჩატარებულ გამოცდებს ახლდა).

რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „უშიშარი ბიჭი იოსება“ ასეთი წყველა გვხვდება: „შავო ჭირო! ხორველ!“.

„ხორველ“ სქოლიოში ასეა განმარტებული: „ქოლერა, იგივე შავი ჭირი“ (გვ. 277).

ქოლერა და შავი ჭირი სხვადასხვა დაავადებაა.

მოცემული მითითებები დაწესების მიხედვით ირანულად მიყვანილია

მისთვის (შეიტყობისათვის) ***

შესასწავლ ტექსტებს დანომრილი შეკითხვები მოსდევს, ამგვარად დასათაურებული: „წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ“. ეს განლაგებული ყველაზე ორიგინალური ნაწილი სახელმძღვანელოსი, მისი ავტორების შემოქმედების უმთავრესი ნაყოფი. სწორედ ეს განყოფილებები წარმოადგენს ამ წიგნის თვალსაჩინო ღირსებას, აქ იჩენს თავს ავტორთა პედაგოგიური უნარ-ჩვევები, გემოვნება, მხატვრული ტექსტისადმი ანალიტიკური დამოკიდებულება.

თვით სახელწოდება ამ განყოფილებებისა – „წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ“ – უკვე განაწყოს მოსწავლეს მხატვრული ტექსტის დინჯი, დაგემოვნებული ანალიზისთვის.

ამ სახელმძღვანელოში ლიტერატურის თეორიისადმი მიძღვნილი პირადადები არ არის, მოსწავლეს ჯერ მხოლოდ მშობლიური ლიტერატურის რჩეულ ნიმუშებს ეცნობა. ლიტერატურის თეორიისადმი (და, აგრეთვე, თვით მწერლების ცხოვრება-მოღვაწეობისადმი) მიძღვნილი ნაკვეთები მომდევნო, მე-6 კლასის, სახელმძღვანელოში გამოჩნდება. აქ კი, სარეკენზიო წიგნში, მხოლოდ ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის ელემენტებთან ზიარება ხდება ოსტატურად დასმული შეკითხვებისა თუ მინიშნებების მეშვეობით.

ვნახოთ, როგორ უქმნიან სახელმძღვანელოს ავტორები მოსწავლეს პირველ წარმოდგენას მხატვრული ხერხის – გაპიროვნების – შესახებ, თუმცა თვით ტერმინს (გაპიროვნებას ან პერსონიფიკაციას) არ ახსენებენ. ანა კალანდაძის ლექსი „ასეთი დარი თუ იდგა მაშინ“ ამგვარად იწყება: „მზემ აიწია ფეხის წვერებზე“. დააკვირდით, აქ გამოყენებულ მხატვრულ ხერხზე ყურადღების გასამახვილებლად როგორი ფორმით დასვავენ შეკითხვას სახელმძღვანელოს ავტორები:

„ჩვეულებრივ ვიტყვით: „ქალაქი მზის სხივებით განათდა“; „ქალაქი მზით გასხივოსნდა“. როგორ გამოხატა პოეტმა იგივე აზრი? რას მიეწერა ადამიანის მოქმედება (ფეხის წვერებზე აწევა). რატომ?“ (გვ. 82).

ამგვარი, როგორც ზემოთ ვთქვით, ოსტატურად დასმული შეკითხვები არამარტო მოვლენის არსში წვდომისკენ უბიძგებენ ბავშვს, არამედ სახალისოსაც ხდიან ცოდნის შეძენის პროცესს (ამ შემთხვევაში განსხვავების შემჩნევამ სადაგი და ხატოვანი მეტყველების ფორმებს შორის შეუძლებელია, ნორჩ მკითხველს ამ მოვლენის მნიშვნელოვანების შეგნებასთან ერთად გაღრმავებული ცოდნისკენ მიმავალ გზაზე დადგომით გამოწვეული სიხარულის განცდაც არ მოჰგვაროს).

ანდა, აი, კვლავაც ტერმინის დაუსახელებლად მინიშნება (ჯერჯერობით, მეხუთე კლასში, მხოლოდ მინიშნება) იმაზე, რომ ენაში უცნაური გამოთქმები არსებობს, რომლებიც „სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. მაგალითად: „დარღმა დალია“, „გული გაუტყდა“, „სახელი გაუვარდა“ – და ამას მოსდევს შეკითხვა: „მსვავსი გამოთქმა ამ ტექსტშიც ხომ არ გვხვდება?“ (გვ. 106).

აქ ნაგულისხმევ ხალხურ ლექსში („კიდევაც დაიზრდებიან“) მსგავსი გამოთქმის – „ჯაკარი შესჭამონ მტრისანი“ – დამოუკიდებლად მიგნება ახლად მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებით გამოწვეულ სინარულს განაცდევინებს სამყაროს შესაცნობად გამზადებულ მოზარდთ.

ვნახოთ ერთი ნიმუში შეკითხვისა, რომელიც მოსწავლეს ტექსტის გულმოდგინედ წაკითხვის უნარს გამოუმუშავებს და მის ყურადღებას მიაქცევს ენაში განსხვავებული სტილისტიკური შეფერილობის მქონე სინონიმურ სიტყვათა არსებობის ფაქტს. სულხან-საბა ორბელიანის არაკის „მეფე და ავსიტყვას“ გასაანალიზებლად დასმული ერთი შეკითხვა ასეთია:

„გომიასა და აქლემის შესახებ მწერალი წერს: „მოკვდაო“. რა ითქვა დედისა და დედოფლის სიკვდილზე? (დაძებნეთ შესაბამისი ადგილები)“ (გვ. 131). (დედის სიკვდილზე ითქვა „გარდაიცვალა“, დედოფლის სიკვდილზე – „საწუთრო დასცალა“).

ძალზე მნიშვნელოვანია ქვემოთ მოტანილი შეკითხვა-კომენტარი, რომელიც ხელოვნების დანიშნულების ერთ ასპექტზე დააფიქრებს მოსწავლეს. ანა კალანაძის ლექსს „თუთა“-ს დართული ერთი შეკითხვა ასეა ფორმულირებული:

„ანა კალანაძე წერს: „თუთის ხე, რომელსაც ეს ლექსი მივუძღვენი, სამოციან წლებში მოჭრეს, თუთის ავადმყოფობის გამო“. როგორც ვხედავთ, ამ ლექსის დაწერის „უშუალო მიზეზი“ ბუნებაში აღარ არსებობს, თვით ლექსი ზემოქმედების ძალას არ კარგავს, უწინდებურად ხიბლავს მკითხველს. როგორ გგონიათ, რა არის ამის მიზეზი? (...) რა აღმოჩნდა უფრო მტკიცე – ხე თუ სიტყვა?“ (გვ. 160-161).

აი, კიდევ ერთი ამავე ყადის შეკითხვა-შედეგრი, რომელიც ავტორებმა მოსწავლეებს დაუსვეს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მუხა“-ს შესწავლისას:

„როგორ ფიქრობთ, რისი თქმა სურდა პოეტს ამ ლექსით – იქნებ იმისი, რომ ყველაფერი წარმავალია, მარადიული არაფერია; რაც უნდა ლამაზი, ძლიერი და გამორჩეული იყო, დაიღუპები და მალე აღარავინ გაგახსენებს? – თუ ასეა, მაშინ რატომ დაწერა მან ლექსი მუხაზე? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სილამაზე, ამადლებული სულისკვეთება უკვალოდ არ ქრება?“ (გვ. 202).

ასეთ საკითხებზე დაფიქრება ბუნებრივად, ძალდაუტანებლად შეიყვანს ბავშვს ესთეტიკის საუფლოში და მოვლენებისადმი ფილოსოფიური მიმართების უნარსაც გამოუმუშავებს მას შეუქმნევლად.

ერთი სიტყვით, მახვილგონივრული „ღია“ შეკითხვების მოფიქრება, რომლებიც აიძულებენ მოსწავლეს, დამოუკიდებლად იაზროვნოს, ამ სახელმძღვანელოს ავტორთა ძლიერი მხარეა, მაგრამ აქაც შეინიშნება ლაფსუსები. რამდენიმე მათგანზე შეგვირდებით.

ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილ ხალხურ ლექსს თანდართულ შეკითხვათაგან პირველი ასეთია: „რა არის ნათქვამი პირველ სტრიქონში?“ (გვ. 68). ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს არავითარი ძალისხმევა არ მოუწევს: იგი წაიკითხავს ლექსის პირველ სტრიქონს – „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“ – და ამით „ამომწურავ“ პასუხს გასცემს შეკითხვას.

მსგავსი ვითარებაა ამ შეკითხვაშიც: „წაიყვანა ვეზირმა, მიხვდა, რომ სიცოცხლისთვის მოიგონა ენათა ცოდნა და გაუშვა“, – ამ სიტყვებით დასრულდა იგავის ერთი ნაწილი. რითი იწყება მეორე?“ (გვ. 128).

ესეც „უქში“ შეკითხვაა, „ტვირის განძრევას“ არ მოითხოვს: თუ პირველი ნაწილი ამ სიტყვებით მთავრდება, მეორე ნაწილი იმ სიტყვებით დაიწყება, რომლებიც ამათ მოსდევს.

ზოგიერთი შეკითხვა ისეა ფორმულირებული, რომ ბავშვს სწორ პასუხს თვითონვე უკარნახებს. მაგალითად: „გაჭირვებულისთვის დახმარების აღმოჩენა, თავისთავად, როგორი საქციელია?“ (გვ. 129). ასე დასმულ შეკითხვას ყველა დაუფიქრებლად გასცემს პასუხს: კარგი.

ასევე, არსენ იყალთოელის „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიის“ განხილვისას დასმული „დახურული“ შეკითხვა – „იგრძნობა თუ არა ლექსში ხოტბადიდების რაიმე კვალი?“ (გვ. 70) – ისეა ფორმულირებული, რომ უარყოფით პასუხს აგვიკარნახებს.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ზოგჯერ მომდევნო შეკითხვა გვიკარნახებს წინა შეკითხვის პასუხს. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ცელი კივის“ გააზრებისათვის დასმული მე-4 შეკითხვა ასე უდრის: „...ციდეე ერთხელ გადაიკითხეთ პირველი სტროფი. როგორ ფიქრობთ, მინდვრად ხმაურია თუ სიჩუმე?“ (გვ. 164).

ეს, ერთი შეხედვით, უცნაური შეკითხვა ძალიან კარგად არის მოფიქრებული, ვინაიდან ლექსი ასე იწყება: „ცელი კივის“. საზოგადოდ, კივილი ხმაურია, მაგრამ ცელის კივილს მხოლოდ მაშინ გავიგონებთ, თუ ირგვლივ სიწყნარე, სიჩუმე სუფევს!

ოღონდ, თუ ბავშვს თვალი გაექცა და პასუხის მოფიქრებამდე მომდევნო შეკითხვას გაეცნო, იქ ამ წინა შეკითხვის პასუხსაც იპოვის, ვინაიდან ასეთ რამეს წაიკითხავს: „რომელი სიტყვა იწვევს თქვენში ყველაზე მეტად სიჩუმის განცდას“ (და დასახელებულია ათი სიტყვა პირველი სტროფიდან. – ავტ.).

ასევე, გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ქარი ჰქრის“ გასაანალიზებლად №1 მოთხოვნა ასეთია: „ამოაჩინეთ სიტყვები, რომლებიც ამ ლექსით გამოხატულ განწყობილებას გადმოგვცემენ: მღელვარება, სიხარული, მოლოდინი, მრისხანება, სევდა, სიმშვიდე, ტკივილი, მხიარულება, მწუხარება“ (გვ. 165).

ახლა მომდევნო შეკითხვის ექსპოზიცია ვნახოთ, რომელიც წინა შეკითხვის პასუხსაც შეიცავს: „თქვენს (უნდა იყოს: თქვენ. – ავტ.) მიერ არჩეული სიტყვები ლექსში არ გვხვდება, მაგრამ საერთო შთაბეჭდილებას ეს არ

ცვლის. მაგალითად, პოეტი პირდაპირ არ გვეუბნება, რომ იგი *აღლევებული* და *დამწუხრებულია*. პირდაპირი თქმის ნაცვლად, (აქ მძიმე ზედმეტია. — ავტ.) სხვა ხერხებს მიმართავს“ და ა. შ. (ხაზგასმა ჩვენია. — ავტ.).

ზემოთ ვთქვით, რომ ამ წიგნში ლიტერატურის თეორიის ელემენტებთან ახალგაზრდა მკითხველთა ზიარება ოსტატურად დასმული შეკითხვების თუ მინიშნებების მეშვეობით ხდება. ახლა იმის ნიმუშსაც გავეცნოთ, ამავე მიზნით რაოდენ მარჯვედ იყენებენ ექსპერიმენტის მეთოდსაც, როცა სურთ, ლექსწყობის საკითხებზე შეუქმნან მოსწავლეებს წარმოდგენა. ამისათვის თავიდან ბოლომდე წავიკითხოთ ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსის გასაანალიზებლად მოფიქრებული შეკითხვების სათანადო ადგილი:

„თუ დავითვლით, ვნახავთ, რომ ამ პატარა ლექსში სულ 14 სიტყვაა. ამ სიტყვებიდან მხოლოდ ორი ჩამოჰგავს ერთმანეთს, დანარჩენი — არა. რომელია ეს სიტყვები? *სანამ ამ მსგავს შეწყვილებულ სიტყვებს თავის სახელს დავარქმევდეთ*, დავაკვირდეთ, სად არიან ისინი მოთავსებული — სტრიქონის თავში, შუაში თუ ბოლოში?

ახლა ამ ორი მსგავსი სიტყვიდან ერთს ადგილი შევუცვალოთ:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა დრეკა იწყეს.

ან კიდევ:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან რეკა ჩამოესმა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ლექსით მოგვიჩილი სიამოვნება თითქოს გაუფერულდა. რით ვუშველოთ მას? იქნებ სიტყვა თავის ადგილზე დავაბრუნოთ?“ (გვ. 68-69).

ასე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, ინტერესის აღმძვრელი, თანაც ადვილად აღსაქმელი მსჯელობის მეშვეობით შეჰყავთ ნორჩი მკითხველი ლექსმცოდნეობის სამყაროში (მსგავსი ექსპერიმენტივე უქმნიან წარმოდგენას ამ წიგნის მკითხველთ სალექსო საზომზეც — ტაბათ თანაბარმარცვლიანობის ფუნქციაზე — 159-ე გვერდზე, ანა კალანდაძის ლექსის „პაწაწინა რტო ვარ“ გარჩევისას).

ახლა ყურადღება მივაპყროთ ზემოთ ჩვენ მიერ ხაზგასმულ ადგილს: „სანამ ამ მსგავს შეწყვილებულ სიტყვებს თავის სახელს დავარქმევდეთ“. ამ მსგავსი შეწყვილებული სიტყვების სახელი, ცხადია, რითმია, მაგრამ ის აქ არსად იხსენიება, არადა, მოსალოდნელი იყო, რომ მსჯელობის ბოლოს ავტორები მკითხველს გაუძნელდნენ „მსგავსი შეწყვილებული სიტყვების“ სახელს

(საგანგებო სტატიას რითმის შესახებ მოსწავლეები მხოლოდ VI კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოში გაეცნობიან. შეუძლებელია, ციტირებული ფრაზის „სანამ“ მომავალ წელს გულისხმობდეს – „სასპენსი“ მეტისმეტად ხანგრძლივი გამოდის).

მეორე მხრივ კი სიტყვა „რითმა“ სულაც არ არის ამ სახელმძღვანელოს მკითხველთათვის უცხო – ჯერ 54-ე, ხოლო შემდეგ 59-ე გვერდებზე ავტორები იყენებენ ამ სიტყვიდან ნაწარმოებ ზმნას „ერთიმება“-ს („ეს სიტყვები ჟღერადობით ერთმანეთს ეხმიანება, ერთიმება“ და „დააკვირდით, რას ერთიმება ეს სიტყვა“, – ვკითხულობთ ზემოხსენებულ გვერდებზე). ასე რომ, ვინც „ერთიმება“ ზმნის მნიშვნელობა იცის, იმან არ შეიძლება არ იცოდეს, რა ეწოდება „მსგავს შეწყვილებულ სიტყვებს“.

ავტორები, საეხებით მართებულად, ლექსის სხვა კომპონენტებზე მეტ ყურადღებას უთმობენ ტაეხთა დამამთავრებელ „მსგავს შეწყვილებულ სიტყვებს“, ვითარცა ლექსის ყველაზე თვალშისაცემ, უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რამდენჯერმე უბრუნდებიან მას. რითმის მნიშვნელობის ხაზგასასმელად ერთგან (გვ. 159) ისინი წერენ: „სიტყვათა ეს გადაახილი, ურთიერთშეხმიანება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პოეტები ხშირად მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვების შესარჩევად უჩვეულო ფორმების მოძიებასაც არ ერიდებიან. თქვენი აზრით, რატომ მოიხმო პოეტმა ამ ლექსის პირველი ტაეხის ბოლოს ისეთი უჩვეულო სიტყვა, როგორცაა „მთხოვარს“? (საუბარია ანა კალანდაძის ლექსის „ბაწაწინა რტო ვარ“ პირველ ტაეხზე: „მეფერება მზე ალერსის მთხოვარს“. – ავტ.).

არა გვეგონია, „მთხოვარის“ უჩვეულო სიტყვად მონათვლა მართებული იყოს. იგი, ისევე როგორც უფრო ხშირად ხმარებული მისი სინონიმი „მთხოვნელი“, „თხოვნა“ ზმნის მოძლეობაა, ყველა წესის დაცვით ნაწარმოები. „მთხოვარი“ და „მთხოვნელი“ ისეთივე კანონიერი პარალელური ფორმებია, როგორც „მაქებარი“ და „მაქებელი“ (იხ. ორთოგრაფიული ლექსიკონი) და მისთ. „მთხოვარი“ შესულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეკტომეულში (საილუსტრაციო ნიმუშად ანა კალანდაძის სწორედ ეს სტრიქონია მოხმობილი), იგი არის ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონშიც“, თუმცა ცოტა განსხვავებული მნიშვნელობით (მათხოვარი).

მოკლედ, ამ ფორმის უჩვეულობაზე ლაპარაკი გაუმართლებლად მიგვაჩნია ამის მსგავს მსჯელობას ვხვდებით 170-ე გვერდზეც:

„ტაეხთა ბოლოების ასეთი შეწყობა, მათი ერთმანეთთან გართმება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პოეტი ხშირად ამ მიზნის მისაღწევად სიტყვების არასწორი ფორმით ხმარებასაც არ ერიდება. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც პირველი სტროფი (საუბარია გალაკტიონ ტაბიძის უსათაურო ლექსზე, რომელიც ასე იწყება: „ზღვა წყარია ნამეტანი“. – ავტ.): პირველი ტაეხის დამამთავრებელი სიტყვა „ნამეტანი“, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, არასწორი, კუთხური

მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმაა. სწორი ფორმა იქნებოდა „ძალიან“. მაგრამ მაშინ პირველი ტაეპის დასასრული ვეღარ შეეწყობოდა, შეერთებოდა ჟღერადობის მხრივ მესამე ტაეპის დასასრულს. კუთხური ფორმა „ნამეტანის“ ხმარება გამოიწვია იმან, რომ ამ სტროფის მესამე ტაეპის ბოლო სიტყვაა — „ტანი“.

„ნამეტანი“ არც „სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არასწორი“ ფორმაა და არც კუთხურია. კუთხური რომ იყოს, ეს მინიშნებული იქნებოდა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. ამჟამად მოძველებული „ნამეტანვისგან“ მომდინარე „ნამეტანი“, „ნამეტანად“ და ამთვან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი „ნამეტანობა“ სხვადასხვა კუთხის მწერალთა თხზულებებში გვხვდება (იხ. ამ სიტყვების საილუსტრაციო ნიმუშები რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის V ტომში. სვ. 1226-1227). „ნამეტანი“ არც ვ. ნეიმანის და კ. ჯორჯანელის სინონიმთა ლექსიკონებშია მიჩნეული კუთხურ ფორმად.

ამვე დროს ბავშვი უთუოდ იფიქრებს, რაკი V კლასის სახელმძღვანელოში ამაზე საუბარი საჭიროდ მიუჩნევიათ, ეტყობა, რითმის გასამართავად არასწორი ფორმების გამოყენება ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენაა ლექსშიო, რაც, რა თქმა უნდა, ასე არ არის. სიტყვების დამახინჯებას ან არასწორი ენობრივი ფორმების გამოყენებას გარითმების საჭიროება ვერ გაამართლებს. ავტორები კი თითქოს ამ არასასურველი მოვლენის ლეგიტიმაციას ცდილობენ. გარდა ამისა, კუთხური მეტყველების ფორმათა „არასწორ“ (თუნდაც „სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არასწორ“) ფორმებად გამოცხადებისას სიფრთხილე გვმართებს; სათანადო კოლოროტის შექმნის მიზნით კუთხური მეტყველების ფორმათა გამოყენება ლექსსა თუ მოთხრობაში ცნობილი, გავრცელებული სტილისტიკური ხერხია (ვაჟა-ფშაველა მას მარტო გარითმების საჭიროების გამო როდი მიმართავს!).

მოსწავლესაც და მასწავლებელსაც უთუოდ დააბნევს „ვეფხისტყაოსნის“ არაკის — „ჭაში ჩავარდნილის“ — კომენტარები. შეგახსენებთ: ჭაში ჩავარდნილ კაცს მეორე, ვისაც მისი შველა სწაღია, დაუფიქრებლად ასეთ რამეს ეუბნება: მანდ დამიცადე, თოკს მოვიტან და ამოგიყვანო. ჭაში მყოფს გაეცინა და უთხრა, „არ გელოდო, სად გაგექცე, სად წავიდეო“ (ამ არაკს ავთანდილი ეუბნება ასმათს).

და, აი, ამ იუმორისტული ნაკვეთის გასაანალიზებლად დასმულ პირველ შეკითხვაში ვკითხულობთ: „წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი — გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი მთლიანად მეორეზეა დამოკიდებული, მას იქით გზა არა აქვს. ის მეორე კი ეუბნება: თუ ჩემს ნებას დაყვები (უნდა იყოს „დაჰყვები“. — ავტ.), თუ დამიჯერებ, დაგეხმარებიო. ცხადია, ასეთი პასუხი გაკვირვებას გამოიწვევს“ (გვ. 126).

რა არის გასაკვირი იმაში, რომ დახმარების სანაცვლოდ ვინმემ თავისი პირობები წამოუყენოს მას, ვისაც ეხმარება. ისიც შესაძლებელია, რომ ზოგი პირობის შესრულებას გასაჭირში მყოფმა სიკვდილიც კი ამჯობინოს.

ციტირებული მსჯელობა, გარდა იმისა, რომ არაზუსტია, სრულიად ზედმეტიც არის, ვინაიდან არაკეტი ისეთ გაჭირვებულზეა ლაპარაკი, რომელსაც ადგილიდან ფეხის მოცვლა არ შეუძლია. მხოლოდ ამგვარი ადამიანის მიმართ ნათქვამი „იყავ მანდა, მომიცდიდე“ არის ღიმილისმოძგერელი.

მეტად ბუნდოვანია მე-3 შეკითხვა: „ახლა წარმოვიდგინოთ, რომ არაკის მოქმედი პირები *ჯერაც* (?! – ავტ.) გზაზე მიმავალი ადამიანები კი არ არიან, არამედ ჩვენთვის უკვე ნაცნობი – ავთანდილი და ასმათი. როგორ გგონიათ, ამით მოთხრობილი ამბავი მეტ დამაჯერებლობას შეიძენდა?“ (იქვე).

გაუგებარია, რას გულისხმობს ეს შეკითხვა (განსაკუთრებით დამაბნეველია ჩვენ მიერ ხაზგასმული „*ჯერაც*“).

მომდევნო შეკითხვებიც იმას მოწმობს, რომ სახელმძღვანელოს ავტორების სურვილია, იმაზე მეტი „გამოადნონ“ ამ ნაკვესიდან, ვიდრე შესაძლებელია. მაგალითად, მე-5 შეკითხვა ასე ჟღერს:

„იგავის მიხედვით, უხერხულ მდგომარეობაში ჭაში ჩავარდნილი კაცი იმყოფება. რა ერთადერთი იარაღი აღმოაჩნდა მას? ამჯერად ვის უნდა შეექმნას მისი პასუხით უხერხულობა?“ (იქვე).

„ერთადერთ იარაღში“ ავტორები, ეტყობა, ჭაში ჩავარდნილის მიერ გამოვლენილ იუმორის გრძნობას გულისხმობენ, მაგრამ რატომ არის იუმორის გრძნობა აქ „იარაღი“? გასაჭირში მყოფი პერსონაჟი არც თავს იცავს, არც ვინმეს უტევს. მას, ვისაც მისი დახმარება სწადია, ღიმილის მოძგერელი ლაფსუსი მოსდის, დაბნეული ადამიანისთვის დამახასიათებელი. ამის შესახებ მიანიშნებს მას ჭაში ჩავარდნილი. ეს არის და ეს. ამიტომ აქ „უხერხულობაზე“ ლაპარაკი, ვფიქრობთ, უმართებულოა.

ვიდრე ჩვენს უმთავრეს შენიშვნას ჩამოვყალიბებდეთ, ამ სახელმძღვანელოს გაცნობის შემდეგ რომ გაგვიჩნდა, მანამდე აკაკი ბაქრაძის ერთ მოსაზრებას შეგახსენებთ, 1971 წელს გამოთქმულს, წერილში, რომელიც საყმაწვილო ჟურნალ „დილის“ 1970 წლის ნომრების მიმოხილვას ეძღვნება. გთავაზობთ ამონარიდს:

„ძალიან მეჭკვება, რომ დღევანდელი ბავშვი ბზრიალას ან ღვრიალას გაკეთების საიდუმლოთი დაინტერესდეს. ურთულესი სათამაშოები აქვთ დღეს ბავშვებს, სულ ერთია, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი – ქალაქად თუ სოფლად [...].“

შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ბზრიალასა და ღვრიალაზე წერა უფრო საკუთარი ბავშვობის გახსენება-დარდით არის ნაკარნახევი, ვიდრე დღევანდელი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით [...].

იმაზე უკეთესი რა იქნება, კაცმა ყველაფერი იცოდეს. მაგრამ ვაი, რომ დღეს ეს შეუძლებელია [...]. ამიტომ მიდგა საქმე არჩევანზე [...]. რატომ უნდა იყო კაცი იმის წინააღმდეგი, რომ დღევანდელმა ყმაწვილმა იცოდეს, რა არის

საცალო ან კოდი რას ნიშნავს. კი ბატონო, იცოდეს, მაგრამ განა სხვა ყველაფერი შეითვისა? [...] უმჯობესია, ჯერ დღევანდელ გარესამყაროში ორიენტირება ვასწავლოთ, მისი (დღევანდლობის) სურათი დაუხატოთ ყველა განზომილებით“ (ა. ბაქრაძე, „კრიტიკული გულანი“, გვ. 85-87).

ამ თვალთახედვით თუ შევხედავთ განსახილავ სახელმძღვანელოს, დამაფიქრებელ ვითარებას აღმოვაჩინოთ: მასში შეტანილ ტექსტებში ერთხელაც არ იხსენიება ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, თვითმფრინავი და მისთანანი (აღარაფერს ვამბობთ კომპიუტერსა და ინტერნეტზე). თვით ავტომობილიც კი გაკერით არის ნახსენები ნუგზარ შატაიძის მოთხრობის პირველ ფრაზაში: „ქალაქიდან დილის ავტობუსს ამოჰყვენ“ (გვ. 238), ამავე მოთხრობაში ტრაქტორის გუგუნი მხოლოდ შორიდან იხსენიება: „შორიდან მინდორში მომუშავე ტრაქტორის გუგუნი იხმოდა“ (გვ. 240). ამ წიგნში შესულ ორად ორ მოთხრობაში აღწერილი ამბავი ხდება ქალაქში (ორივე შედეგია: ერთი არჩილ სულაკაურის „ბიჭი და ძაღლი“ გახლავთ, მეორე – რევაზ ინანიშვილის „მირანდუსი“), მაგრამ ორივე ავტორი არიდებს თავს თანამედროვე ქალაქური ატრიბუტების ხსენებას.

სოფრომ მაგალობლიშვილის „ყაყიტას ქურდი“ საყვარელი ნაწარმოებია, მაგრამ, ვფიქრობთ, შეიძლება მის ნაცვლად არანაკლები მხატვრული ღირსებების მქონე თანამედროვე მოთხრობის შერჩევა.

გავიხსენოთ დავით გურამიშვილის სიტყვები:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო;
ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

ეს მარტო ხატოვანი ფრაზა როდია, ეს განმანათლებლობის ფორმულაა, დღესაც კი პედაგოგ-დიდაქტიკოსთა სახელმძღვანელოდ გამოსადეგი. ამ ფორმულის მეორე ტაეპში დასმულ პირველ მოთხოვნას – „ვინ არის, სიღამ მოსულა“ – ეს სახელმძღვანელო კარგად უპასუხებს; მეორე და მესამე მოთხოვნები – „სად არის?“ (რაც დღევანდლობას გულისხმობს) და „წავა სადაო“ (რაც მომავალსაკენ მზერის მიპყრობას ნიშნავს) – არადაამკმაყოფილებლად არის შესრულებული.

შეიძლება თქვან, ქართულ მწერლობაში, საბავშვოშიც და სადიდოშიც, ქალაქი სათანადოდ არ არის წარმოჩენილი და სახელმძღვანელოს ავტორებს რა პასუხი მოეთხოვებათო, რა მათი ბრალია, რომ ჩვენი ცნობიერებით ჯერაც უფრო სოფელელები ვართ, ვიდრე ქალაქელებიო. ამგვარ მოსაზრებას ხშირად გაიგონებთ, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის გასაზიარებელი – თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში შესაძლებელია ამ ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი „ქალაქური“ მოთხრობების მოძიება და, გარდა ამისა, სასკოლო სახელმძღვანელოსთვის ამგვარ თხზულებებზე კონკურსების გამოცხადების ან მათი სვანგებოდ შეკვეთის პრაქტიკაც არ არის უგულებელსაყოფი.

ეს არც არის გასაკვირი: როგორც სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებული ტექსტიდან ვგებულობთ, მასში თხუთმეტი მხატვრისა და ფოტოხელოვანის ნამუშევრები ყოფილა გამოყენებული (ვის მიერ იქნა ისინი შერჩეული და ტექსტში განლაგებული, ანუ ვინ არის წიგნის მხატვრული რედაქტორი, უცნობია). შეუძლებელია არაფერი ითქვას მხატვრული გაფორმების ერთ თვალში საცემ ლაფსუსზე: 168-ე გვერდის მარჯვენა ნახევარზე დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ზღვა წყნარია“, მარცხენა მხარეს კი, გვერდის თითქმის მთელ სივრცეზე, ხორბლის სტილიზებულ თავთავებს ვხედავთ, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ამ ლექსის შინაარსთან.

ყდაზე კკითხულობთ: „მშობლიური ლიტერატურა. 5 კლასი“.

ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, არაბული ციფრებით რაოდენობითი რიცხვითი სახელები აღინიშნება, ხოლო რომაულით – რიგობითი. ამიტომ ყდაზე მოთავსებული წარწერა ასე წაიკითხება: „ხუთი კლასი“. უნდა ეწეროს ან „მე-5 კლასი“, ან კიდევ – „V კლასი“ (სატიტულო ფურცელზე სწორედ ასეა – ხუთი რომაულად წერია).

ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ ავტორთა და გამომცემელთა წინაშე მდგარ პრობლემებსაც.

„ვარდების რევოლუციამდე“ ასეთი ვითარება იყო: სახელმძღვანელოების გამოცემა ნაწილობრივ სოროსის ფონდის მიერ ფინანსდებოდა, რაც საშუალებას აძლევდა გამომცემლობებს, კონკურსი გამოეცხადებინათ და იმ ავტორთა შრომა, რომლებიც ვერ გაიმარჯვებდნენ, მინიმალურად მაინც აენახლაურებინათ. ახლა სახელმწიფომ საერთოდ აიღო ხელი ავტორთა და გამომცემელთა ფინანსურ დახმარებაზე, რის შედეგადაც სახელმძღვანელოების შექმნა უადრესად სარისკო წამოწყებად იქცა. ვითარება, რომელიც ამის შედეგად შეიქმნა, კუროიზულია: სახელმძღვანელოებისგან წიგნის გამყიდველებს მეტი შემოსავალი აქვთ, ვიდრე ავტორებს. ამ პირობებში რომ კარგი სახელმძღვანელოები ვერ შეიქმნას, რა გასაკვირია.

ახლა უფრო შორეული წარსულის – ოქტიმბრის რევოლუციამდელი ვითარებაც გავიხსენოთ: ღარიბი მღვდლის ოჯახში დაბადებული იაკობ გოგებაშვილი საკმაოდ შეძლებული კაცი გახლდათ (ამას მისი ანდერძიც მოწმობს), თუმცა არსად მუშაობდა (დიპლომიც კი დაწვა სახელმწიფო სამსახურზე გულაყრილმა). იგი „დედაენით“, „ბუნების კარით“ და „რუსსკოე სლოვოთი“ გახდა მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანი და ამიტომაც მოახერხა, ძალიან მაღალ დონეზე აეყვანა სასკოლო განათლების საქმე საქართველოში, თანაც, – არ დაკავიწყდეს – კოლონიურ, ცარიისტული რუსეთის მიერ დამორჩილებულ საქართველოში! ასე რომ, სახელმძღვანელოთა ავტორების

მატერიალური დაინტერესების გარეშე ამ სფეროში სერიოზულ წარმატებას არ უნდა ველოდოთ.

როგორც ზემოთ ვთქვით, სასკოლო „წარმოდგენის“ შინაარსს სახელმძღვანელო განსაზღვრავს. არადა, კვლავ ვიმეორებთ, იმ ვაჭვში, რომელიც სახელმძღვანელოს შექმნასა და მკითხველამდე მიტანაზე მუშაობს (ავტორი, გამომცემელი, გასაღების ქსელი), ყველაზე დაჩაგრული და დაბეჩავებული ავტორია. გასაღების ქსელის ფასდამატება საშუალოდ 30 (ზოგჯერ 40) პროცენტია. სახელმძღვანელოს ავტორს ან ავტორთა ჯგუფს საგამომცემლო ფასის 10-15% ეძლევა. ჩვენი სოციალური პირობებიდან გამომდინარე, სახელმძღვანელოების საგამომცემლო ფასი 4-5 ლარია. ელემენტარული არითმეტიკით სამკაციანი საავტორო ჯგუფი 10000 ტირაჟიან სახელმძღვანელოზე (ალტერნატიული სახელმძღვანელოების პირობებში ასეთი ტირაჟით სავსებით რეალური და დამაკმაყოფილებელია) მიიღებს 7500 ლარს (15%), ისიც იმ შემთხვევაში, თუ საგამომცემლო ფასი 5 ლარია, ასე რომ, თითოეული ავტორს შეხვდება 2500 ლარი. აქედან საცოდავ ავტორს კიდევ 12% საშემოსავლო დაეკეთება და მინიმუმ ერთი წლის შრომის შედეგად, საუკეთესო შემთხვევაში, ის 2200 ლარს მიიღებს. ეს, თუ არ ვცდებით, პატიოსანი პარლამენტარის ერთი თვის ხელფასია. ამიტომაც აუცილებელი ამ საქმეში სახელმწიფოს დახმარება მსოფლიო ბანკის 60 მილიონიანი კრედიტიდან იქნება თუ სხვა რამ საშუალებით. ბუნებრივია, ამაზე უნდა იფიქროს იმან ვისაც ეს ევალება და მოგვარებაც ხელეწიფება.

ჩვენ, ჩვენდათავად, შევეცდებით ამ საშურ საქმეს იმით შევეწიოთ, რაც ამჟამად ყველაზე აქტუალურად გვესახება: შევაფასოთ შემოთავაზებული სახელმძღვანელოები, კარგზე კარგი ვთქვათ და არც ნაკლზე დავხუჭოთ თვალი, რათა საზოგადოების ყურადღება ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში არსებულ პრობლემებს მივაპყროთ.

შორეული ახლო წარსული

ინგა მილორაძე

ესთეთის თვალის დანახული სამყარო

XX საუკუნის მოდერნისტული მოთხრობის მსატკრულ სახეთა მრავალმხრივ გააზრებას, რელიეფურად გამოკვეთას ხელს უწყობს „ასახვის მოძრავი ცენტრი“, რაც გულისხმობს მისი რაკურსისა და პოზიციის ცვლას ასახვის რთულ პროცესში. ასახვისა და გამოსახვის მრავალასპექტიანი კონცეფცია საერთოდ მოდერნისტული ხელოვნების წიაღიდან იღებს სათავეს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ასახვის და გამოსახვის გრძობად-ემოციური და ესთეტიური პლანები და არა ასახვის ობიექტის დაწვრილებითი, რაციონალური შესწავლა-ანალიზი. თუმცა გარკვეული განსჯა არც მისთვისაა უცხო. ყველაზე ნათლად ეს ფრანგ იმპრესიონისტ ფერმწერთა შემოქმედებაში გამოვლინდა. როცა ვინსენტ ვან გოგი „ბუჩქს“ ქმნიდა, მისთვის არსებითი იყო არა იმდენად ფორმა ან ფერი, ან თუნდაც, რა პარადოქსულიც უნდა მოგვეჩვენოს, შთაბეჭდილება, არამედ უფრო ღრმა შრე, შთაბეჭდილების მიღების შემდეგ წარმოშობილი გრძობა, ემოცია. „ბუჩქში“ აისახა შთაბეჭდილება – ფორმასა და ფერში გარდასახული, მაგრამ თვალნათლივ გამოისახა გრძობაც. ამ მიმართებით და ამდენად თვით „ტერმინი“ იმპრესიონიზმიც კი შეიძლება არაზუსტი მოგვეჩვენოს, თუ სამყაროს ასახვისა და გამოსახვის ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ სიღრმისეულ აზრს ჩავეძიებით. ასახვისა და გამოსახვის მრავალფეროვანი ხერხების შერჩევა უკავშირდება ხელოვნების საგნისა და, საერთოდ, ხელოვნების არსის შეცნობას.

ასახვისა და გამოსახვის მოდერნისტული კონცეფციის ერთი ასპექტის – მთელი სამყაროს ესთეტიკური განჭვრეტის და „ასახვის მოძრავი ცენტრის“ აბსოლუტურად ესთეტიზებულ გარემოში გადანაცვლების საილუსტრაციოდ გამოდგება პოლ გოგენის მთელი ფერწერული სივრცე და, განსაკუთრებით, თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დოკუმენტური მოთხრობა „ნო-ნო“. ფერწერულ ტილოებში ნათლად გამოჩნდა „ასახვის მოძრავი ცენტრის“ ნაცრისფერი ურბანისტული სიბრტყიდან ტაიტის ესთეტიზებულ გარემოში გადანაცვლების შემდეგ მიღებული შედეგი. უხვი ფერთა და მოქნილი შტრიხებით გამოკვეთილი პლასტიკური ფიგურებით, ფერადოვანი ლაქებითა და ღრმა აზრობრივი დატვირთვის მქონე კომპოზიციებით შეძლო მან აესახა და გადმოეცა, გაენივებინა თავისი გრძობად-ემოციური ველი, მაგრამ უთუოდ დარჩა გარკვეული უკმარისობის გრძობა ან შიში, რომ ტილოს მხილველი მხოლოდ

ასახული შთაბეჭდილების აღქმით შემოიფარგლებოდა და აღარ „განაგრძობდა გზას“ მხატვრული ნაწარმოების შემეცნების შემდგომი დონისაკენ, არ ამოიკითხავდა ფერთა და ფორმათა უნაპირო პლასტიკურ სიბრტყეში ჩაქსოვილ, განზავებულ გრძნობას, ქვეტექსტებში ჩატვირთულ ესთეტიკურ შინაარსს. სავარაუდოა, რომ სწორედ თავისი განცდებისა და ესთეტიკური შეხედულებების სიტყვიერ ფორმაში მოქცევის, სამყაროს აღქმის საკუთარი გამოცდილების თუნდაც მოთხრობის მხატვრულ ქსოვილში გარკვეულ დებულებებად ჩამოყალიბების სურვილმა შექმნა „ნოა-ნოა“ – მხატვარი შეეცადა გადმოეცა სამყაროს მისეული ესთეტიზებული ხედვა.

გოგენის ტილოების ფერთა მისტიკიასთან ნაზიარები მკითხველისათვის გასაგები და ახლობელი უნდა იყოს დოკუმენტური მოთხრობების „ნოა-ნოა“ განუშიორებელი „ქვეყანა“. მასში მძაფრად აჟღერდნენ გოგენისეული უცხო ფერითა და ველური სურნელით გაჯერებული სიტყვა-ხილვანი, იმპრესიონისტთა შორის გოგენმა ყველაზე შორს შეძლო წასვლა, შეძლო მთლიანად გაეწყვიტა ჯაჭვი მასა და ნაცრისფერ ცივილიზაციას შორის და თავდავიწყებით ჩაფლულიყო პირველქმნილ, ტროპიკულ, ველურ, ჩახჩახა ფერებში. მზე და მზით გაბრწყინებული პეიზაჟი, მზის შუქისაგან სიხასხასემომატებული ტონები საერთოდ დამახასიათებელია იმპრესიონისტთათვის, მაგრამ გოგენთან ეს მზე კიდევ უფრო მწველია, სხვაა, უცხოა, ახალია. იგი ანათებს ტროპიკულ მუქ-მწვანე და მარჯნისფერ, ოქროსფერ, ლურჯ, იისფერ ტყეებს და ლაჟვარდ ყურეებს, გამჭვირვალე ჩანჩქერებს, ტაიტელთა, მაორთა მკვირვ, ლაბლაბა ყვისფერ სხეულებს, მაგრამ გოგენის ფერი არ არის შიშველი, ზედაპირული, მხოლოდ საღებავთა თუნდაც ოსტატური შეხამებით მიღებული. მოდერნისტი ხელოვანის ფერი ღრმაა, ფილოსოფიური აზრით დამუხტული, სავეს და მოქნილი. ფერი აქ ცოცხალი და მფეთქავია, მასთან შერწყმა და შეერთება შეუძლებელია, ისევე როგორც დედამზუნებასთან. ფერისა და ხაზის მისტიკური შენიღბება აზროვნების წესია და პირველქმნილ სიწმინდეს მონატრებულთა თავშესაფარი, და ეს შეგრძნება კარგად გამოჩნდა ცივილიზაციას განრიდებული პოლ გოგენის იმპრესიონისტულ „ნოა-ნოაში“.

მხატვარი ეძებს ხელოვნლებელ ბუნებას და ტაიტის ზეგანთა და სანაპიროთა ლაღი, თავისუფალი ხაზები, ტაიტელთა სხეულების ფერთა ორგია ნელ-ნელა ასუფთავებს და ექსტაზით ავსებს მხატვრის სულს, მზის, მარჯნისა და ლაჟვარდის მკვირვ სითბოში აფლობს და უბრუნებს პირველყოფილ სიჯანსაღეს ცივილიზაციისგან შუურყენელი ადამიანისა, ისეთისა, როგორიც იყვნენ მის გარშემო მყოფი ადამიანები: „პირუტყვისა და მცენარის სურნელება სცემდა მათგან, მათი სისხლისა და გარდენიის სურნელება, თმაში რომ ჩაებნიათ „ტეინ მერაი ნოა ნოა“ /ახლა ძალიან სურნელოვანიაო/, იტყოდნენ ზოლმე“¹.

¹ პოლ გოგენი, ნოა ნოა, თბ., 1994, გვ. 8.

და მკითხველიც ნელ-ნელა ბრუვდება მსატყვის მთერ უკვე სიტყვით დახატული სამყაროს ტკბილი სურნელით — ნოა ნოა, ივსება გარდასულ, უხსოვარ, მითიურ დროებზე ნოსტალგიით, ტკბება შიშველი, ველური გრძნობებით და უფრო ღრმად სწვდება გოგენის ტილოებიდან უკვე ნაცნობი ფერების დედაარსს, ისიც ხედავს მშვენიერ სურათებს: „პიროგაში მჯდარი ქალი ბადეს დაჰყურებდა. ზღვის ლურჯ ხაზს წამოქოჩრავდა ტალღები, მარჯნის კლდეებს რომ ეხეთქებოდნენ...“². ან „...მისი თვალები ხანდახან ისეთ ცეცხლს დაანთებდა, რომ ყველას დახანძრავდა. ასევე ამოზიდულია ოკეანიდან კუნძული, ასევე აფავებულან მზის სხივებში გახვეული მცენარეები და ყვავილები“³. ეს ფერადი სამყარო გოგენისათვის იღუმალი ჩრდილებითა და ჰანგებით იყო სახსე და ზუსტად გადმოსცემს სამყაროს ასახვისა და გამოსახვის მისეულ კონცეფციას. „შევიცან ტაიტური ღამის მღუმარება. ჩემი გულის ბაგაბუგი მესმოდა მხოლოდ. საწოლიდან ვხედავდი დაწყობილ ბამბუკის ღეროებს, მთვარე რომ დაჰნათოდა. ერთი ძველი სამუსიკო საკრავი მომაგონდა, ძველებური ფლეიტა, ტაიტელები ვივოს უხმობენ. ეს ისეთი საკრავია, რომელიც მთელი დღე დღემს, მხოლოდ ღამით, მოგონებებითა და მთვარის სხივებით სულჩადგმული, გვიკრავს საყვარელ ძველ ჰანგებს. ჩამაძინა ამ მუსიკამ, ზეცასა და ჩემ შუა მხოლოდ ჰანდანუსის ფოთლების მაღალი მსუბუქი სახურავია. ძილში ვხედავდი ზემო სივრცეს, ცის კამარას, ვარსკვლავებს, შორს ვიყავი ევროპული სახლებიდან, იმ საპატიმროებიდან. მაორების ქოხი არ აცალკევებს ადამიანს ცხოვრების, სივრცის უსაზღვროებიდან“⁴.

ესთეტიზებულ გარემოში ხელოვანი ადამიანი იოლად ახერხებს გადაერთოს წმინდა გრძნობადი აღქმის არხზე და მისი მეშვეობით დაუკავშირდეს მაკროკოსმოსს. აქ, ამ წარმოსახვისა და რეალობის მიჯნაზე მდებარე ფერად, მკვრივ, ჯანსაღ მიწაზე მჯდარი მსატყარი ეზიარება ზეცას, ეცნობა პირველყოფილ, სასტიკ და ბრძენ ღმერთებს, იკვეთება მოდერნისტული ხელოვნებისათვის ნიშნეული ასახვისა და გამოსახვის კონცეფციის კიდევ ერთი ასპექტი — მითის მსატყრული დრო-სივრცის შემოჭრა რეალურ, თუნდაც ესთეტიზებულ ან სტილიზებულ გარემოში, ტაიტელთა მითებსა და ლეგენდებს დიდი ადგილი ეთმობა „ნოა ნოაში“ და მათი საშუალებით ზორციელდება ხელოვნების გრძნობად-ემოციური შესაძლებლობების რეალიზაცია. მითი იძენს ესთეტიკური ფენომენის ფუნქციას.

პოლ გოგენმა ანალიტიკოსისა და ხელოვნების თეორეტიკოსის ოსტატობა ბელეტრისტის ნიჭთან შეახამა და შეძლო გადმოეცა სამყაროს აღქმის მოდერნისტული კონცეფციის რამდენიმე ძირითადი ასპექტი:

² პოლ გოგენი, ნოა ნოა, თბ., 1994, გვ. 16.

³ იქვე, გვ. 7.

⁴ იქვე, გვ. 17-18.

ა) ესთეტიზებული სამყარო;

ბ) მითის ფუნქცია;

გ) ფერის ფუნქცია.

ასახვისა და გამოსახვის საერთო მოდერნისტულ კონცეფციაში ამ სამ ძირითად ასპექტს კიდევ რამდენიმე ემატება:

დ) სამყაროს ვიზუალური დეესთეტიზება;

ე) ზღერის წაშლა ცხადსა და ზმანებას შორის;

ვ) ქვეცნობიერი იმპულსების ფუნქცია გრძნობის მხატვრული რეალიზაციის პროცესში;

ზ) ლირიკული ნაკადი.

შინაგანი ესთეტიზებისა და ვიზუალური დეესთეტიზების მხატვრული ასპექტები ერთად უნდა მოვიაზროთ იმ ფილოსოფიურ საფუძველზე, რომ სიბნელე არის სინათლის ნაკლებობა, არასინათლე; ბოროტება — სიკეთის ნაკლებობა, არასიკეთე და სხვ. შესაბამისად, სიმახინჯე მშვენიერების სიმწირე, არასილამაზება. სიმახინჯისადმი ინტერესი იმავე ესთეტი-ხელოვანის ცნობიერებაში წარმოიშობა და სინამდვილის ვიზუალური დეესთეტიზებით ახდენს სიმახინჯის შინაგან ესთეტიზებას. იკვრება წრე და ერთმანეთს საბოლოოდ უკავშირდება მშვენიერებისა და სიმახინჯის განუყრელი ერთიანობიდან არეკლილი გრძნობა და განცდა.

პაბლო პიკასოს „ქალი აბსენტი“ ნათელი ილუსტრაცია იყო დეესთეტიზების პროცესში ესთეტიკური განცდის, გრძნობის გამოწვევის მექანიზმის მოქმედებისა: შხამიანი ფერი, ქალის და ბოთლის კუთხოვანი სხეულები, დეფორმირებული სახე. სუბიექტური იდეალიზმის პირდაპირი გამოძახილი — ტილოზე ასახულია მხატვრულად ტრანსფორმირებული რეალობა, ხოლო ეს „ტილოსმიერი“ სინამდვილე კი არეკლილია მასზე გამოსახულ სარკეში. ცხადსა და ზმანებას, რეალობასა და მხატვრულ სინამდვილეს შორის ზუსტი განწყობილების შექმნით იშლება ზღვარი. წარმოიშობა მშვენიერების განცდა და ემოციური ველი, რომელსაც სამყაროს ესთეტიკური აღქმა უდევს საფუძველად. ტრადიციული ესთეტიკური კანონების თანახმად, ტილოზე გამოსახული ქალი მახინჯია, კომპოზიცია დაშლილი, სივრცე და ფერი შხამიანი და შეხუთული, მძიმე, მაგრამ შთაბეჭდილების მიღებას თან მოსდევს რეალობის შინაარსის გააზრება და მისგან წარმოდგარი გრძნობის გათავისება. შესაბამისად, თანამედროვე ხელოვნების სააზროვნო პრინციპების თანახმად, ფერწერულ ტილოზე გამოსახულია არა უბრალოდ სიმახინჯე, არამედ ღრმა შინაარსის მქონე ესთეტიკური მოვლენა, რომელსაც საფუძველად უდევს სილამაზის გრძნობის ტრანსფორმირება, ნოსტალგია სილამაზეზე. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ საპროგრამო ნაწარმოებებზე, როგორიცაა ვინსენტ ვან გოგის „სკამი“, „კაფე არლში“ ან „ავტობორტრეტი“. აქ არ არის ასახული მშვენიერება, მაგრამ გრძნობადი ღონის ამოქმედების მეშვეობით გამოისახება უმაღლესი

მშვენიერება. ეს მოვლენა შემდეგ სახვით ხელოვნებაში უფრო განვითარდა და ვიზუალურად დეესთეტიზებული მხატვრული სახეებიდან ესთეტიზებული განცდის მიღებამ ფორმისა და გრძობის შეერთების სრულყოფას კუბიზმში მიაღწია. პიკასოსეული „გერნიკა“ დეფორმირებული, დამსხვრეული სამყაროს ტრაგიკულ მშვენიერებას ასახავს და ზუსტად ერგება თანამედროვე ხელოვნების ასახვისა და გამოსახვის კონცეფციის ერთ-ერთ საფუძვლისმიერ ფორმულას, რომელიც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ის, რაც ვიზუალურად დეესთეტიზებულია, გრძობის აღძვრისა და გამოსახვის თვალსაზრისით, ესთეტიკურია. ამ ფორმულით აისახება ესთეტიზება-დეესთეტიზების პრინციპების ერთიანობა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ანალიზის პროცესში.

მწერლობას ამ თვალსაზრისით ფართო ასპარეზი აქვს. პოეზია, განსაკუთრებით სიმბოლისტური პოეზია, ბოლომდე ჩასწვდა ვიზუალური და მუსიკალური სახეებიდან წმინდა გრძობისა და ესთეტიკური ტკობის მიღების ხელოვნებას. პროზამ, მოცემულ შემთხვევაში კი მოთხრობამ, ამ პროცესში თემისა და პრობლემის მნიშვნელოვანი საკითხიც ჩართო, შესაბამისად, ძალაუწებურად გაძლიერდა რაციონალური ელემენტიც სუფთა მგრძობელობის წიაღში. მოდერნისტული მოთხრობის ეს თვისება გასათვალისწინებელია. კონსტანტინე გამსახურდია „ქოსა გახუში“ წერდა:

„სულო ცოდვილო!

მე იმ ხანებში ახალ მოთხრობების თემებს ვეძებდი. —

თქვენ ბედნიერი გგონიათ მწერალი?

მუდამ დამკვირვებლის როლშია. მთხრობელივით უთვალთვალეს ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს და ყველაზე მეტად თავის თავს. აბა რა შენიშნოს, რა დაიჭიროს, რა დაიხსოვნოს.

მწერალს არ შეუძლია თავდავიწყება თვით უაღრესი ტკობისა და ექსტაზის ფაშს. საყვარლის სარეცელზე, ხმელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში ყველგან, ყოველთვის აკვირდება იგი სამყაროსა და თავის თავს.

მომეცით მე ჯადოსნური ძალა თავის თავგადასავალი ვაამბობინო ტაგუ სამუეიას.⁵

მართლაც „ჯადოსნური ძალა“ სჭირდება მწერალს, რომ სრულად და მაღალმხატვრულად გამოსახოს გარესამყაროს ის ხატი, რომელიც მის წარმოსახვაში აღმოცენდება. მოდერნისტული მწერლობა თავს აძლევს წარმოსახვითი რეალობისთვის უპირატესობის მინიჭების ფუფუნების უფლებას. მთავარი და მნიშვნელოვანი ასახვისა და გამოსახვის დროს ხდება ამ წარმოსახვის მფლობელი ინდივიდი — „მე“. მეთოდი და საგანი ამ რთული შემოქმედებითი პროცესისა სხვადასხვაგვარია. ერთმანეთისგან განსხვავებული სტილისა და მსოფლმხედველობის მქონე მწერლები შეხედულებათა შესაბამისად ირჩევენ მათთვის ბუნებრივ „ასახვის მოძრავ ცენტრს“, რომელიც განაპირობებს

⁵ კ. გამსახურდია, თხზ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 57.

ნაწარმოების აზრობრივ-სახეობრივი სისტემის თავისებურებას. ამ სამზეროდან აკვირდება, აღიქვამს და გადმოსცემს შემოქმედი სამყაროს და ამ სამყაროს მისეულ დეფინიციას. ე.წ. „ასახვის მოძრავი ცენტრი“ თავისუფლად გადაადგილდება, „დასრიალებს“ ნაწარმოების შიდადონეებზე და მისი მდებარეობა განსაზღვრავს არჩეული თემისა და პრობლემის ესთეტიკურად გამოსახვისთვის საჭირო ხერხებს.

მოდერნისტული მწერლობის „ასახვის მოძრავი ცენტრი“ მთლიანად შემოქმედის წარმოსახვის „შიგნითა“ მოქცეული და მოძრაობაც მხოლოდ შიდადონეებზე ხორციელდება. ასახვა და გამოსახვა მიმართულია შიგნიდან გარეთ, წარმოსახვაში შობილი მხატვრული სახეები სიტყვიერ ქსოვილში ნივთდება და იწყებს დამოუკიდებელ არსებობას. თუ „ასახვის მოძრავი ცენტრი“ ცნობიერებიდან ქვეცნობიერზე გადაინაცვლებს, მაშინ ნაწარმოებში წინა პლანზე წამოვა ქვეცნობიერი იმპულსებით გაპირობებული ქმედება ან შინაგანი მეტყველება. ასე რომ, მოდერნიზმისთვის მნიშვნელოვანია არა გარესამყაროს, რეალობის გამოსახვა, არამედ ინდივიდის ცნობიერებისა და წარმოსახვის მიმართება ამ სინამდვილესთან. საპირისპიროდ, რეალისტური ასახვისა და გამოსახვისას „ასახვის მოძრავი ცენტრი“ შიგნიდან გარეთ გადაინაცვლებს და ახალი მხატვრული სამყაროს შექმნის პროცესიც გარედან შიგნითკენ მიმართული ხდება: გარე მოვლენები და სახეები დაილექება ცნობიერებაში, მწერლის წარმოსახვაში გარედან წამოსული იმპულსების მხატვრული ტრანსფორმაცია ხდება, ამოსავალი წერტილია არა „მე“, სუბიექტი, არამედ ობიექტური რეალობა, თუმცა ამ რეალობის მხატვრულ ნაწარმოებში გამოსახვისას გარკვეული დოზით სუბიექტივიზაცია გარდაუვალია. ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების თემატიკას, პრობლემატიკასა და ესთეტიკურ კრელოს, რადგან „ასახვის მოძრავი ცენტრის“ მდებარეობა თავისთავად გულისხმობს იმ თემათა და პრობლემათა არეალის მოზღუდვას, რომელსაც შეიძლება მისწვდეს მწერლის მზერა. მოდერნისტული პროზა აქ ამ თვალსაზრისით თითქოს შეზღუდულია, რაკილა მხოლოდ შიდასამყაროს აპრობს მზერას, მაგრამ, მეორე მხრივ, მიკროკოსმოსი, წარმოსახვა უსაზღვრო და უნაპიროა და მეტ შესაძლებლობებს მოიცავს, ვიდრე ხელშესახები რეალობა. მოდერნისტული აზროვნებისა და ესთეტიკის თავისებურების სათავე მის ინტროსპექტულობაშია. მოდერნისტულ პროზაში, სადაც ფაბულამ დაკარგა მთავარი ფუნქცია, წინა პლანზე გადმოვიდა თვითნაწილიზი, ასოციაცია, რეტროსპექცია, პერსონაჟი, როგორც აქტიურად მოქმედი, ფიზიკურად მკვეთრად გამოხატული ფიგურა, თანდათან ქრება (ნატალი საროტი, „ოქროს ნაყოფი“; ალენ რობ-გრეიე, „მოშურნება“). მწერლობა, პროზა, რომლისთვისაც „ასახვის მოძრავი ცენტრის“ ასეთი მკვეთრი და მთლიანი გადაინაცვლება ე.წ. ვირტუალურ რეალობაში, აბსოლუტური თვისებრივი სიახლე იყო, ინტროსპექტუალიზი ხდება (მარსელ პრუსტი, ფრანკ კაფკა, ჯეიმზ ჯოისი, უილიამ ფოლკნერი, ვირჯინია

ვულფი, სემუელ ბეკეტი). მოდერნისტული ესთეტიკის ელემენტებმა ჯერ კიდევ ჭოლა ლომთათიძის მოდერნისტული, ფსიქოლოგიური რკალის მოთხრობებში გაიელვა („უბის წიგნიდან“, „დემილი“, „აღრწევა სულისა“, „წერილი“, „თეთრი ღამე“, „შიში“, „უბედური“ და სხვ.). მწერალი ცდილობს გაერკვეს ადამიანის ფარულ გრძნობებსა და განცდებში. ფაქიზი ფსიქოლოგიური ანალიზი, გამახვილებული პოეტური მგრძნობელობა, თანაგანცდა ქმნის მისი მოთხრობების თვითმყოფად სახეს, რომელშიც უკვე მეტ აქტუალობას იძენს მოდერნისტული პროზისთვის ნიშნული აღსარება, მიგნებები, რომლებიც ჩნდება ასოციაციათა ნაკადში, საკუთარ თავთან გაუცხოების მოტივი, სულის ბნელ ხეულებში ხეტიალი. სიუჟეტური ფაბულა ამკარად შესუსტებულია, შეიმჩნევა ცნობიერების ნაკადისათვის დამახასიათებელი თხრობის დინამიკა. ხშირად ზმანებასა და ცხადს შორის ზღვარი წაშლილია, რაც უკვე პირდაპირ მიუთითებს მოდერნისტულ სულისკვეთებაზე. ასევე ვასილ ბარნოვის მოდერნისტული მოთხრობების უმთავრესი თემაც წარმოსახვასა და რეალობას შორის წაშლილი ზღვარია და ამ ერთიანობის შეგრძნება ნატიფი ესთეტიკის თვალითაა დანახული და გამოსახული.

საკუთარ გრძნობებში ჩაღრმავებული მწერალი, უპირველეს ყოვლისა, გაფაქიზებული ესთეტიკა, რომელიც სამყაროს შეგნებული ესთეტიზების პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს. მათ შორის ერთ-ერთი ყურადსადები მოვლენაა ხელოვნების მიერ შექმნილის ბუნებრივთან დაპირისპირება და აქედან მიღებული მხატვრული ღირებულების მქონე ნებისმიერი შედეგის გააზრება. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი იდეისა და ნივთის ურთიერთმიმართების ესთეტიკური არსის გარკვევა. ქართულმა მოდერნისტულმა მოთხრობამ თავისებური სახით და დროით ასახა ეს ტენდენციები, მთლიანი, ერთიანი მოდერნისტული აზროვნების ესთეტიკური პრინციპები ნათლად გამოვლინდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, როგორც რომანში, ისე მოთხრობებში და ნოველებში. ამ შემთხვევაშიც თავს არ იჩენს ის სირთულე, რაც ჩვეულებრივ თან სდევს მოთხრობისა და ნოველის ზუსტ გამიჯვნას. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებად წოდებული ნაწარმოებები ფორმით, სიუჟეტური ქარგითა და კომპოზიციით, ხასიათთა სტრუქტურის სირთულითა და დამუშავების ფილიგრანული ტექნიკით, სავსებით შეესაბამება მოთხრობის შედარებით უფრო ეპიკურ ფორმას. სოსო სიგუა „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურაში“ წერს: „მისი მცირე ფორმის ნაწარმოებებს ნოველებს სრულიად პირობითად, ერთგვარი ინერციით ვუწოდებთ. ისინი მოთხრობების ჟანრს განეკუთვნება. კ. გამსახურდიას არ უცდია დაეცვა ნოველის კანონიკური ფორმა. ის ისწრაფოდა ტრაგედიად გააზრებულ დიდი ნაციონალური ეპოსის შესაქმნელად, რომელიც წარმოედგინა ჯერ როგორც რელიგია, შემდეგ — მითოსი, ამ ურთულესი ამოცანის გადაძვეთ ფოკუსში გადატყდა მისი

პიროვნული შესაძლებლობა. ზოლო ნოველისათვის ნიშნული სხარტი სიუჟეტი, უეცარი ფინალი, ერთგანზომილებიანი ფაბულა ამ ნაწარმოებს არ გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ რომანების ცალკეული თავები უფრო ნოველისტურია, ვიდრე ამ სახელით მონათლული ქმნილებანი. მწერლის საუკეთესო მოთხრობები — „ფოტოგრაფი“, „ზარები გრივალში“, „ქოსა გაზუ“, „დიდი იოსები“, „ტაბუ“, „ხოგაის მინდია“ ნოველისათვის სპეციფიკური თვისებებით არ ხასიათდება.

ეტყობა, მწერლის ტემპერამენტისთვის მისაღები არ იყო ნოველისათვის აუცილებელი მოქმედების სიზუსტე, არამედ იტაციურობა, ყოფითი დეტალიზება, ობიექტივიზებული თხრობა, სიუჟეტის სწრაფი გაშლა. კ. გამსახურდიას ფართო კულტუროლოგიური თვალსაზრისით, მასშტაბური წარმოსახვის ნიჭი, დიდი სულიერი მღელვარება ვრცელ სარბიელს უნდა გამოეყვინა⁶

მართლაც, კ. გამსახურდიას ე.წ. ნოველები თავისი მიზანდასახულობით უფრო მოთხრობებია და მათში ასახული მხატვრული შიდასამყაროც ამ თვალსაზრისით უნდა გავიაზროთ. მოთხრობების სახეთა სისტემა უფრო მასშტაბურია. საერთო სტრუქტურა — მთლიანი თუ რამდენიმე მონაკვეთად დანაწევრებული — ხდება გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი ნაწარმოების ჭეშმარიტი არსის შეცნობისას. ნაწარმოების ჭეშმარიტ არსს კი მხატვრული დრო — სივრცის პარამეტრების გათვალისწინებასთან ერთად და შეიძლება უფრო მეტადაც ამ დრო-სივრცის აგების მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპი ქმნის.

კონსტანტინე გამსახურდია თხემით ტერფამდე გაფაქიზებული ესთეტიკა და მის მიერ შექმნილი მხატვრული სივრცეც უმეტესად ესთეტიზმის, ზოგჯერ დენდიზმის ანაბეჭდს ატარებს და, შესაბამისად, ასეთი ხელოვნური საფუძვლისათვის შესაფერის არათანამიმდევრულად მოძრავი დროის შემავსებელ მოვლენებსაც ემორჩილება, განსაკუთრებით აგებულების თვალსაზრისით. თითქმის ყველა შემოქმედს თავისი საკუთარი მხატვრული სამყაროს აგების პრინციპი აქვს შემუშავებული, მაგრამ არსებობს საერთო კანონზომიერებაც, რაც თანამედროვე მწერლობამ შემოიტანა და მეტ-ნაკლები დოზით თითქმის ყველა ამ პერიოდის მნიშვნელოვანი შემოქმედის მხატვრულ სამყაროში იჩენს თავს — ესაა ესთეტიზმის პრინციპის ბუნებრივი და თანაზომიერი შეხამება ნაწარმოების სხვა, შესაძლო იდეურ-გამომსახველობითი თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვან პლანებთან, პრობლემური საკითხები — სამშობლო, ერი, მარტოსულობა, სევდა, ეგზისტენციალური შიში და ა.შ. ქართველ მწერალთა, მოდერნისტთა შემოქმედებაში ფაქიზადაა ჩასმული მხატვრული სიტყვის ესთეტიზებული „ბრძოლის სფეროს“ ჰერმეტულ შიდასივრცეში და ამ უნიკალურ, თვითმყოფად და ყოველმხრივ განათლებულ გარემოში სხვა რაკურსით წარმოდგება, უფრო რელიეფურად წარმოაჩენს ძირითად სათქმელს და ამ სათქმელით აღძრულ გრძნობას.

⁶ ს. სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1989, გვ. 17-18.

კონსტანტინე გამსახურდიასეული სამყაროს ესთეტიზებული აღქმა და გამოსახვა სრულად გამოვლინდა მის რომანებში „დიონისოს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“, ასევე მოთხრობებშიც. ის, რაც რომანის მხატვრულ ქსოვილში ჩართული ერთი ესთეტიზებული ქრონოტოპია, თავისი საგნებით, ნივთებითა და მოვლენებით, ერთი კონკრეტული მხატვრული მიზნის ილუსტრაციას ემსახურება და მხოლოდ რომანის საერთო კომპოზიციურ ქარგაში იძენს. მნიშვნელობას, მოთხრობაში თითქმის იმავე აგებულების ქრონოტოპს თვითკმარი ღირებულება აქვს, ჩაკეტილია და ისეთი სიმძაფრით უნდა იყოს დახატული, რომ შეძლოს სრულად, ბოლომდე დაიტიოს და გამოსახოს მოთხრობის პათოსი.

ასეთია „სალონის“ მოდელი. „დიონისოს ღიმილში“ „სალონის“ მოდელი უფრო ვრცელ „უცხოობის“ ქრონოტოპშია მოთავსებული. გმირის უმძიმესი სულიერი ტკივილები, ძიება საკუთარი თავისა და გარესსამყაროსადმი მისი მიმართება შიდა და გარესივრცის ათვისებაში აისახება. სივრცის თვისებრიობაზე — ხელოვნურია იგი, ესთეტიზებული, ბუნებრივი, პირველქმნილი თუ სხვ. დამოკიდებულია დროის დინება და მოვლენათა შინაარსი. „უცხოობაში“ დრო — შეჩერებული ან ძალიან შენელებულია, რაც სრულ სტატიკურობასთან, უდროობასთან თანაბრდება და საშუალებას არ აძლევს მასში მხოლოდ მექანიკურად მოძრავ, გაყინულ გმირს, გაერკვეს საკუთარ არსში, ევროპის ესთეტიზებული სალონების ჰაერში უძრავად, უდროოდ და უსაყრდენოდ გამოკიდული საგარსამიძის სახის სიღრმისეული დამუშავებისას მწერალმა მრავალი მხატვრული ხერხი, შტრიხი, სიტუაცია შექმნა და გამოიყენა. „სალონის“ ქრონოტოპმა თავისი წვლილი შეიტანა მხატვრულად სრულყოფილი ხასიათის შექმნაში.

საგარსამიძე შინაგანი უდროობის, ბუნებრივი გარემოდან, ფესვებიდან მოწყვეტის მიზეზით შეჩერებული დროის მსხვერპლია. გოგენის „ნოა-ნოას“ გმირს საკუთარი თავი აპოვნინა მისთვის არამშობლიური ტაიტიის ჭეშმარიტი, ბუნებრივად ესთეტიზებულ სამყაროსთან მიახლებამ. საგარსამიძემ დაკარგა სამშობლოც და სამშობლოს ესთეტიკური აღქმის სიმბოლოც — ულამაზესი ფარვიზი. მას ხელთ შერჩა მხოლოდ ხელოვნურად ესთეტიზებული გარემო — „სალონი“. ჭეშმარიტი და ფუჭი ესთეტიკის დაპირისპირება ქართულ პროზაში დაუკავშირდა „სალონის“ მოდელს. კონსტანტინე საგარსამიძის შემთხვევაში მან ნათლად გამოსახა გრძნობის, სამშობლოს გრძნობის გარეშე ნებისმიერი ესთეტიზებული გარემოს უაზრობა. ეს უკვე კონცეფციაა. გარემო, რომელსაც ხატავს მწერალი, მთლიანად ესთეტიზებულია, უარეს შემთხვევაში — ბუტაფორია. ადამიანთა ჩაცმულობიდან, გარეგნობიდან დაწყებული ვერნისაჟის ფერწერული ტილოებით დამთავრებული, ყველაფერს მშვენიერების ბეჭედი აზის, ლამაზი, ფერადოვანი, მომზიბლავი და მიმზიდველია, მაგრამ, თუ არა აქვს ზნეობრივი საფუძველი, სიყალბედ აღიქმება. ესთეტი ადამიანი უფრო იოლად

იჭერს ყალბ ნოტას და აქედან სულ ერთი ნაბიჯია დარჩენილი, რომ ნატიფი სულის ადამიანმა შეიგრძნოს ამოება: მშვენიერია, მაგრამ ფუჭი, ლამაზია, მაგრამ წარმავალი. ოღონდ ამ შეგრძნებამ გამოიწვია ერთი შეხედვით საპირისპირო რეაქცია: ნაცვლად იმისა, რომ XX საუკუნის ადამიანს უარი ეთქვა მისთვის უკვე სანახევროდ ამოებად ქცეულ სილამაზეზე, იგი კიდევ უფრო ხარბად ჩაეჭვიდა მშვენიერებიდან მონაბერ გრძნობას. ესთეტიკის თვალთ დანახულმა სამყარომ გრძნობიერ სფეროში გადაინაცვლა. კიდევ უფრო თავდავიწყებით დაეწაფა ხელოვანი ფერის, ხაზის, ფორმის განცდას. ქართული პროზა არ შემოიფარგლა სიმბოლოს წმინდა ესთეტიკური ფუნქციით, რაც ევროპულ მოდერნისტულ ხელოვნებას დეპუდანიზაციის ფასად დაუჯდა და მასში იდეის, ზნეობრივი მარცვლის ძიებას მიჰყო ხელი. მხოლოდ ამ შემთხვევაში აისახება და სრულად გამოისახება გრძნობა, რაც საბოლოოდ ნებისმიერი ესთეტიკური აღქმის მიზანია.

ევროპულ მოდერნისტულ ხელოვნებაში ბუნებრივი არსებობისაგან დაშორება გახდა მშვენიერების ნოსტალგიის გაჩენის მიზეზი. თეორეტიკოსები თვითონ უარყოფდნენ ყოველივეს, გარდა წმინდა მშვენიერებისა, მაგრამ იმავე თეორეტიკოსების, როგორც მწერლების, მხატვრულ ნააზრევში ჩანს სამყაროს ჯერ მრავალმხრივ აღქმის და მხოლოდ შემდგომ ამ საფუძველზე ესთეტიზების ფარული სურვილი. ტომას სტერნზ ელიოტის „ბერწი ევროპა“ თვალნათლივ წარმოაჩენს XX საუკუნის ადამიანის სულიერ კრიზისს, მის დაცლას ბუნებრივი მშვენიერებისგან, ბუნებასთან თავისუფალი შერწყმით მოპოვებული თვისებებისაგან. სიცარიელეს კი თითქმის ყოველთვის ამოების ტკივილი ავსებს. ჯერ კიდევ კლასიციზტებმა გადაიტანეს აქცენტი მოზღუდულ ესთეტიზებულ სივრცეებზე, გამარტივებული ტერმინოლოგიით, „ჟალაქის“ და „სასახლის“ ქრონოტოპებზე. მაგრამ იმ ეპოქაში გაშლილ სივრცესთან, ბუნებასთან, მიწასთან კავშირი ჯერ კიდევ მტკიცე იყო და ესთეტიკური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი მოვლენებიც აქედან იღებდა სათავეს. მცირე, მოზღუდულ მოდელში მოქცეული ხასიათებისა და სახეების გამოსახვა უფრო ექსპერიმენტად აღიქმებოდა, ვიდრე შინაგან მოთხოვნილებად. თანამედროვე ადამიანს თავს დაეცა და წინ ჩამოეფარა ინდუსტრიულიზაციისა და ურბანიზაციის უზარმაზარი კედელი. ამ კედელმა გამოყო იგი ბუნების წიაღიდან, მაგრამ იმავდროულად გაუმძაფრდა მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ძიების სურვილი, იგი შეეცადა დაენახა ის, რაც „კედლის“ მიღმა აბსოლუტური ჭეშმარიტების საუფლოში ეგულებოდა, და აქ, ამქვეყნიურ სინამდვილეში, გამოესახა სიმბოლოს, მეტაფორის, პარაბოლის მეშვეობით (საფუძველი ასეთი აღქმა-გამოსახვისა პლატონის მოძღვრებაში ძვეს). XIX-XX საუკუნეების მოდერნისტულმა მსოფლმხედველობამ იდეის ემანაცია ლამის ერთადერთ ღირებულ ფილოსოფიურ დებულებად მიიჩნია და მისი განვრცობა-განვითარებით შეიქმნა ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმართულებანი. ესთეტიზებული იდეა

ხელს უწყობდა შემოქმედს გამოეთქვა თავისი განცდა და შეექმნა შესაბამისი გარემო. სწორედ ასეთი ტევადი მოდელია „სალონის“ ჯგუფის ქრონოტოპები, რომელთაც ქართულ მოთხრობაში თვითმყოფადი სახე მიიღეს. XX ს-ის დასავლეთევროპული და ამერიკული ხელოვნებისა და ლიტერატურის ყურადღების სფეროში ინტერიერი მოექცა. აქცენტი გადავიდა „სალონის“, „ყავახანის“, „კაფეს“ და ა.შ. მოდელებზე. რომანში მათ სხვა, უფრო საერთო მოზაიკის ერთი შემადგენელი ნაწილის ფუნქცია ენიჭებათ და ეს ნათლად გამოვლინდა „დიონისოს ღიმილში“. მოთხრობაში მან სხვა, უფრო ფართო მიზანდასახულობა შეიძინა. მოთხრობის შედარებით ვიწრო დრო-სივრცულმა კონტურმა საშუალება მისცა მწერალს შეზღუდულ სივრცესა და დროულ მონაკვეთში მოქნილად და მთელი სისავსით გამოეხატა სათქმელი.

კონსტანტინე გამსახურდიას „პორცელანის“ ქრონოტოპი ზუსტად შეესაბამება მოდერნისტული ხელოვნების წიაღში წარმოქმნილი სამყაროს ემოციურ, ესთეტიზებულ ხატს. მწერალი თავიდანვე ქმნის შესაბამის სამოქმედო არეალს: „ძველი, ტრადიციული, გერმანული ბარონის ოჯახი, რომელიც თავისი დეკადანსის მწუხრში მისტიკით, წმინდა ხელოვნების იდეალებითა, და არისტოკრატიული ესთეტიზმით იკვებება“.⁷ ასეთია ის გარემო, რომელშიც მოქმედებენ საუკუნის დამდეგის ნიშან-თვისებებით აღბეჭდილი პერსონაჟები. ესთეტიზებული ინტერიერი შესაბამისი ფერთი დახასიათებით – ნარინჯისფერი კედლები, მე-17 საუკუნის მხატვართა ტილოები კედლებზე – იგულისხმება ფერთა გამა, ყავისფრიდან შინდისფრამდე, შავი მაჰაგონის მაგიდა და, რაც მთავარია, პორცელანის უმშვენიერესი ჭურჭელი. ყოველივე ეს ქმნის ფერადოვან, ოდნავ დამტკბარ, თან მაცდურ, შინაგანი მლელვარებით, ხილვებითა და თრთოლვით გამსჭვალულ ატმოსფეროს. ევროპელი ბარონის სალონის ყაიდაზე გაწყობილ ინტერიერში შემოჭრილია აღმოსავლეთის, ჩინეთის უარმაზარი კულტურის პაწაწინა ნაშხვრევი – პორცელანის ჩაის სერვიზი. მკითხველის წარმოსახვა იოლად გააცოცხლებს და წარმოსახვით შეასხამს ხორცს იმ ფერთა ოპოზიციას, რასაც შექმნიდა პორცელანის გამჭვირვალე სადაფისებური ტონები ბარონის მუქ რემბრანდტიკული კოლორიტის მქონე სალონში. საგულისხმოა, რომ მწერალი მოვლენათა ცენტრში აღმოსავლურ ნივთს ათავსებს...

აღმოსავლურმა კულტურამ, ხელოვნებამ თვისი ფერადოვნებით, ბუნებრიობით და ფილოსოფიური სიღრმით მიიზიდა და დაინტერესა თანამედროვე ადამიანი. კ. გამსახურდიას მოთხრობაში პორცელანის ჩაის სერვიზი – სიმბოლოდ გარდაქმნილი ნივთი, საგანი იჭერს „სალონის“ სივრცული მოდელის ცენტრს და მოქმედების მთელი აზრობრივი დატვირთვაც მასზე გადადის. წინა პლანზე იწევს „ნივთის“ დროული ფუნქცია – უძველესი ჭურჭელი, დროში გადაებული ხიდი, დროთა კავშირის შემკვერელი წერტილი, რომელსაც მწერალმა-ესთეტიმა მშვენიერი საგნის ფორმა მისცა. იგი თავისი სინატიფითა და სისადავით

⁷ კ. გამსახურდია, თხზ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 25.

ერთვება ომით, სოციალური და სულში მიმდინარე შინაგანი ძვრებით აბორ-გებული ადამიანების ცხოვრებაში, რომელთა სუბიექტური დრო-სივრცის დინება სწრაფად იცვლის ტემპს და თავბრულამხვევი სისწრაფით მიექანება მომავლისაკენ. მაგრამ ასეთი იოლი „ჩართვა“, „შეთვისება“ მოჩვენებითია. „ნივთს“, „საგანს“, რომელმაც სიმბოლოს ფუნქცია იტვირთა, თავისი განზომილება აქვს, თავისი გრძობადი ველი, რომელიც გარს აკრავს და გადმოსაცემი იდეის შესაბამის განცდას იწვევს. „ნივთი“ შეკუმშული, გამკვრივებული, სავანდ ქცეული დრო-სივრცის სახეა, რომელიც ერთვება ნაწარმოების მხატვრული დროის დინებაში და ხელს უწყობს მისი მტრული ბუნების გახსნას, დროის დამანგრეველი ფუნქციის გამოსახვას. პორცელანის მუზეუმის სამარხში გამოკეტვას, რაც დროის შეჩერებას, სტატიკაში გადასვლას, სავნის ჭეშმარიტი დანიშნულების — ესთეტიკური ტკობის მინიჭების უნარის დაკარგვას გულისხმობს, მწერალი აღიქვამს როგორც ჰარმონიული სამყაროს მსხვერვეს, ჭეშმარიტი სილამაზის დათრგუნვას, ფასეულობათა სისტემის რღვევასა და ჩანაცვლებას. მართლაც რომ „ბერწმა ევროპამ“ გაყიდა რაფინირებული, სუფთა სილამაზე — პორცელანი და ამით გამოიხატა მშვენიერების გაუფასურება-დაკარგვის აშკარა საფრთხე. მოდერნისტული აზროვნება შეეცადა შეძლების-დაგვარად სრულყოფილად აესაზა ეპოქის მსხვერვეს, შინაგანი განხეთქილება, ერთი დროული პლასტის მეორეთი შეცვლის მტანჯველი პროცესი. „პორცელანში“ ეს მოვლენა ესთეტიკის თვალთაა დანახული და პოეტურად გარდასახული. სერვიზის ჩაკეტვით და თვალსაწიერიდან გაქრობით გაწყდა კიდევ ერთი ძაფი, რომელიც ადამიანს შინაგანი გაუხეშების, გაუცხოების კედელს გადალახვინებდა და ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნებდა, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტ სილამაზესთან შესებით მოიპოვებს ადამიანი სულიერ შვებას, სიმშვიდეს, საკუთარი ფასისა და ადგილის შეგრძნებას უზარმაზარ სამყაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შინაგანი სიცარიელე, დამცირება და გაუფასურება ელის. „პატარა ადამიანის“ ფენომენის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად მშვენიერების ესთეტიკურ-ხეობრივი მნიშვნელობის დაკარგვაც შეიძლება მივიჩნიოთ.

„ნივთები“ პორტრეტულ და პეიზაჟურ ცვლილებებთან ერთად, ჩვეულებრივ, იოლად და თვალსაჩინოდ გამოხატავენ დროის მსვლელობას და მის ფუნქციას, დროთა კავშირს. „პორცელანში“ სერვისმა თანამედროვე ევროპული ტექნო-კრათიული ცივილიზაციის დეესთეტიზების, დროის მსვლელობასთან ერთად მშვენიერების თანდათანობით გაქრობის, ე.ი. დროის მტრული ფუნქციისა და სხვადასხვა დროულ პლასტში ლოკალიზებულ თვისებრივად განსხვავებულ ცივილიზაციათა შორის გაბმული კავშირის რღვევის გამომსახველი სიმბოლოს სახე დანიარჩუნა.

... თვალის დანახული სამყაროში, რომელიც ადამიანს უწყობს მისი მტრული ბუნების გახსნას, დროის დამანგრეველი ფუნქციის გამოსახვას, პორცელანის მუზეუმის სამარხში გამოკეტვას, რაც დროის შეჩერებას, სტატიკაში გადასვლას, სავნის ჭეშმარიტი დანიშნულების — ესთეტიკური ტკობის მინიჭების უნარის დაკარგვას გულისხმობს, მწერალი აღიქვამს როგორც ჰარმონიული სამყაროს მსხვერვეს, ჭეშმარიტი სილამაზის დათრგუნვას, ფასეულობათა სისტემის რღვევასა და ჩანაცვლებას. მართლაც რომ „ბერწმა ევროპამ“ გაყიდა რაფინირებული, სუფთა სილამაზე — პორცელანი და ამით გამოიხატა მშვენიერების გაუფასურება-დაკარგვის აშკარა საფრთხე. მოდერნისტული აზროვნება შეეცადა შეძლების-დაგვარად სრულყოფილად აესაზა ეპოქის მსხვერვეს, შინაგანი განხეთქილება, ერთი დროული პლასტის მეორეთი შეცვლის მტანჯველი პროცესი. „პორცელანში“ ეს მოვლენა ესთეტიკის თვალთაა დანახული და პოეტურად გარდასახული. სერვიზის ჩაკეტვით და თვალსაწიერიდან გაქრობით გაწყდა კიდევ ერთი ძაფი, რომელიც ადამიანს შინაგანი გაუხეშების, გაუცხოების კედელს გადალახვინებდა და ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნებდა, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტ სილამაზესთან შესებით მოიპოვებს ადამიანი სულიერ შვებას, სიმშვიდეს, საკუთარი ფასისა და ადგილის შეგრძნებას უზარმაზარ სამყაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შინაგანი სიცარიელე, დამცირება და გაუფასურება ელის. „პატარა ადამიანის“ ფენომენის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად მშვენიერების ესთეტიკურ-ხეობრივი მნიშვნელობის დაკარგვაც შეიძლება მივიჩნიოთ.

რუსუდან დაუშვილი

გრიგოლ რობაქიძე და ანდრეი ბელი – შეხვედრა 23 წლის შემდეგ

„რუსეთის იმპერატორებს ბარბაროსული ჩვეულება ჰქონდათ – საუკეთესო მწერლებს გასაცემბრებლად კავკასიაში გზავნიდნენ. მაგრამ ეს „სამზრეთის ციმბირი“ მათთვის შთაგონების წყარო ხდებოდა და ამ ბუნების გავლენის გარეშე არც შეიძლება მათი შემოქმედების ახსნა“ (ენუტ ჰამსუნი). XIX საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველო და თბილისი რუსი პოეტებისათვის ალექსანდრე პუშკინის იქცა. ამ პერიოდში ძალზე საინტერესო სანახავი იყო თბილისი... ეწყობოდა დისპუტები, შეხვედრები, საღამოები, სადაც ქართველებთან ერთად რუსი მწერლებიც მონაწილეობდნენ. რუსი მწერლები და პოეტები ნათლობას თბილისში იღებდნენ. აქეთ მოუწევდათ გული. საქართველოში ჩამოდიან ესენინი, მაიაკოვსკი, პასტერნაკი, ერენბურგი, კამენსკი, ივანოვი, ვოლოშინი, სოლოგუბი, ზაბოლოცკი, ანტოკოლსკი და სხვები. ბუნინი კი პრალაში ოცნებობდა, თურმე – „ღმერთო, ნეტავ, ახლა დამსვა საქართველოში“-ო. „ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ყველა ახალი იდეა თბილისში იბადებოდა...“ – შენიშნავდა ლადო გუდიაშვილი.

1915 წელს ქუთაისში ჩამოყალიბებულ „ციციანურწელთა“ ორდენში გაერთიანებულმა ახალგაზრდა მწერლებმა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ მოდერნიზმს და მიზნად დაისახეს ქართული ლექსის განახლება – „ქართული პოეზიის გამართვა მსოფლიო რადიუსით“ 20-იანი წლების დასაწყისში ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლეს და ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა გაშალეს – ატარებდნენ ლექციებს, დისპუტებს, ლიტერატურულ საღამოებს, შეხვედრებს. 1914 წელს საქართველოში ჩამოვიდა გრიგოლ რობაქიძე, რომლის საჯარო ლექციებმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. მალე იგი „ციციანურწელთა“ აღიარებული მეთაური და მეტრი გახდა.

შეხვედრები იმართებოდა როგორც თვით პოეტების ოჯახებში, ასევე კაფეებში. ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის სახლი მალე იქცა XIX საუკუნეში აღექვანდრე ჭავჭავაძის სალონის მსგავს XX საუკუნის სალონად. „ვინ არ მინახავს ტიციანის სახლში, – იგონებდა გუდიაშვილი, – მასთან გავიცანი ბორის პასტერნაკი, სერგეი ესენინი, ვიქტორ გოლცევი, ოსიპ მანდელშტამი, ნიკოლოზ ტიხონოვი, პავლე ანტოკოლსკი, ანდრეი ბელი, კონსტანტინე ბალმონტი, ილია ერენბურგი და სხვები... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მისი კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისათვის, მისი მოყვარული და

კეთილშობილური გული ყველგან მეგობრებს პოულობდა...”.

ეს იყო პერიოდი, როდესაც „ცისფერყანწელები“ თავს თავიანთ ნამდვილ სტიქიაში გრძნობდნენ. როგორც იური ტინიანოვი ამბობდა: „Тициан ходит по Тифлису, как ходит человек по своей комнате в своих предстиховых ощущениях“.

„თბილისი შეიქმნა ფანტასტიური. ფანტასტიურ ქალაქს ფანტასტიური კუთხეც ეჭირვებოდა — და ერთ დღეს იმავე პოეტებმა და მხატვრებმა რუსთაველის პროსპექტზე, №12, შიგნით ეზოში გასსნეს „Фантастический кабачок“, პატარა ოთახი, სადაც შეიძლება 10-15 კაცი დატეულიყო, მაგრამ რაღაც განვებით 50-მდე ეტეოდა. აქაც: მსმენელი ქალი იყო მეტი, ვიდრე ვაჟი. ოთახის კედლებიდან ფანტასმები იხედებოდნენ, ისე იყო ოთახი მოხატული (აქ მართლაც გამართლდა „41 გრადუსის“ ლოზუნგი). ეს „კაბაჩოკი“ თითქმის ყოველ საღამო იყო ღია. კითხულობდნენ იგივე პოეტები და მხატვრები ლექსებს თუ მოხსენებებს“, — წერდა გრიგოლ რობაქიძე რომანში „ფალესტრა“. „ყველაფერს რაღაც არარეალური, უადრესად ფანტასტიკური იერი ჰქონდა“, — შენიშავდა გუდიაშვილიც. ფანტასტიკურ განწყობას კიდევ უფრო აძლიერებდა მათი თავშეყრის ადგილები — კაფეები, რომლებიც მრავლად იყო თბილისში — რობაქიძის მიერ შემოადწერილი „ფანტასტიკური ყავახანა“, ანუ პოეტების საამქრო, მოხატული ლადო გუდიაშვილისა და ძივა ვალიშევსკის მიერ, „მშური ნუგეში“, „არგონავტა იალქანი“ და სხვა, მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო კაფე „ქიმერიონი“ დღევანდელი რუსთაველის თეატრის ფოიეში ფრესკებით მოხატული ხუთი მხატვრის — გუდიაშვილის, კაკაბაძის, ზღანევიჩის, ვალიშევსკის და სუდეიკინის მიერ.

გარდა საღამოებისა, აქ იმართებოდა დისპუტები, გამოფენები, მეჯლისები, შეხვედრები მსახიობებთან, რეჟისორებთან, მხატვრებთან. „ქიმერიონის“ შეხვედრებმა და საღამოებმა უდიდესი როლი შეასრულეს არა მარტო რუსი და ქართველი შემოქმედებითი საზოგადოების დაახლოების, არამედ თვით ქართული ინტელიგენციის ეროვნული სახის ჩამოყალიბებასა და მისი ეროვნული პოზიციის განმტკიცებაში. არასდროს, ალბათ, არც მანამდე და არც შემდეგ არ ყოფილან ასე დაახლოებული ერთმანეთთან მხატვრები, მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, დრამატურგები...

მიუხედავად ახალი რეჟიმის დამყარებისა, პირველ ხანებში, სიმბოლისტური პრესის გარდა, გამოდის მრავალი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი. აღმავლობის გზაზეა ქართული თეატრი. თავის საუკეთესო სპექტაკლებს დგამენ კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ანბექელი. თეატრში მოღვაწეობს მხატვარი ირაკლი გამრეკელი, საფრანგეთიდან ჩამოდიან დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი. სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს თბილისი. იდგმება ახალი სპექტაკლები, იხსნება ვერნისაუბები, გასტროლებზე ჩამოდიან მეიერჰოლდი, ევრინი,

სუმბათაშვილ-იუჟინი, დუნკანი; იკრიბებიან მხატვრები: ვრუბელი, სუდეიკინი, სორინი, ზდანევიჩი. ითარგმნა ვერლენი, ბოდლერი, რემბო, ვერჰარნი, მაღარმე, უაილდი. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი.

რუსი პოეტები მონაწილეობას იღებენ თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებაში; კითხულობენ ლექციებს, ესწრებიან სპექტაკლებსა და საღამოებს. მოგზაურობენ, ეცნობიან ქართულ ზნე-ჩვეულებებს. ბევრმა შემდეგ ლექსებში, ნარკვევებში, მოგონებებში ასახა საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები. ოჯახებით ჩამოდიან დასასვენებლად ზღვისპირეთში, კოჯორში, წინანდალში. ქართველ მწერლებთან ერთად ატარებენ შვებულებებს. ბევრგან ეს ურთიერთობა ნამდვილ მეგობრობად იქცა. ბორის პასტერნაკს ტიცციანის სიკვდილის შემდეგ კიდევ დიდხანს ჰქონდა მიმოწერა ნინო ტაბიძესთან და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მორალურად და მატერიალურად. შემონახულია შოლოხოვის, ზაბოლოცკის, ანტოკოლსკის, ბალმონტისა და სხვა მწერალთა წერილები ქართველი მეგობრებისადმი. ბევრი მათგანი სერიოზულად ფიქრობს საქართველოში გადმოსვლაზე საცხოვრებლად. რუსმა ფუტურისტებმა ზდანევიჩმა, გოროდეცკიმ და კრუჩინიხმა თბილისი აირჩიეს რეზიდენციად და თბილისთან გამავალი პარალელის მიხედვით თავიანთ კორპორაციას უწოდეს „41 გრადუსი“. თბილისში დაწერა და აქვე, „ზარია ვოსტოკაში“, გამოაქვეყნა ლექსი „კავკასია“ მაქსიმ გორკიმ.

1927 წელს რუსული სიმბოლიზმის მეტრი ანდრეი ბელი პირველად ჩამოდიან საქართველოში. თბილისს „აღმოსავლური გარეგნობა აქვს, აგებულია და რიტმი კი – დასავლური („დასავლურში“ ვგულისხმობ კულტურას, მეცნიერებას, საზოგადოებას)... ყველგან ღია ფანჯრებიდან ისმის ბეთხოვენიის, შუმანის, ლისტის მუსიკა; ქუჩებში ყველგან ხვდები ინტელიგენტურ სახეებს“ – წერდა იგი ერთ-ერთ წერილში, – „ვრუბელმა სწორედ აქედან აიღო დატეხილი ცისარტყელები თავისი დამხობილი ანგელოზების ფრთებისათვის. იგივე იისფერი, ზოგჯერ იისფერ-ყავისფერი ფონი, მასზე კი ფარშევანგისფერი, ათასფერი ბზინვა“, – წერს იგი.

ასევე შესანიშნავად აღწერა ანდრეი ბელიმ წიგნში „კავკასიის ქარი“ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პოეტური ბუნებით გამოწვეული შთაბეჭდილებები: „იყო ორი მხატვარი: ერთი – თავზე განიერფარფლებიანი შლაპით, პირში ყალიონით, თმამოშვებული და გრძელწვერა – ასეთები ოდესღაც დადიონენ ქუჩაში. მას ყველა ცნობდა, რომ იყო მხატვარი და თანაც რომანტიკოსი. სტილი: „სულ ერთია“... უნიჭიერესი კი იყო. ერთ-ორი მოსმით დახატა აჭარა, ყველა განაცვიფრა და გაქრა. იყო მეორეც – პირხმელი, ყოველთვის სუფთად გაპარსული, მტკიცედ მოკუმული ტუჩებით. მიღებული ჰქონდა აკადემიური განათლება... კლასიკური იყო... არავის გაოცება არ სურდა, მხოლოდ თვალებში, სათვალეებს მიღმა მიმალო, პატარა, თაფლისფერ

თვალეებში უხტოდნენ უცნაური ნაპერწკლები. რას ხატავდა, არავინ იცოდა, რაღაც მშრალსა და აკადემიურს. გარდაიცვალა. გახსნეს მისი საქაღალდეები, დაათვალიერეს ნახატები და კინაღამ დაწვეს. საბედნიეროდ, იქვე მცოდნეც აღმოჩნდა: „შეხედეთ, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ეს გენიალურია! ერთი შეხედვით მარტივი აქ უმაღლეს მწვერვალზეა ატყორცნილი... რა შესაძლებლობებია, ფორმის რა ცოდნა!“ სწორედ ის გენიოსი გარდაცვლილი მხატვარი წარმოიძღვა თვალწინ შიდა ქართლში ყოფნისას და ამ ნახატს ერქვა „მცხეთის შემოგარენი...“

მაგრამ მარტო აღტაცებით და ხოტბის შესხმით არ შემოფარგლულან რუსი პოეტები. საჭირო იყო ქართული სულის და ქართული პოეტიკის მიტანა რუს მკითხველამდე. იწყება ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა: ბალმონტი თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“, პასტერნაკი — ვაჟა-ფშაველას, ბარათაშვილს, ადგენს ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგიას. თარგმნიან ბლოკს, ესენინს, მაიაკოვსკის, ანენსკის, ბრიუსოვს... კირილე და ილია ზდანევიჩები თბილისის სარდაფებსა და დუქნებში აგროვებენ ფიროსმანის ნახატებს. მათ პირველად აღმოაჩინეს ნიკო ფიროსმანიშვილი, მიაკვლიეს 70-მდე სურათს, შეძლებისდაგვარად აღწერეს და აღწუსხეს. კირილე ზდანევიჩმა გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია ფიროსმანზე და 1913 წელს მოაწყო კიდეც მისი სურათების ერთდღიანი გამოფენა. თავის მხრივ, გრიბოედოვის იუბილესთან დაკავშირებით, 1929 წელს ქართველმა საზოგადოებამ მთაწმინდაზე მოაწყო გრიბოედოვის გამოფენა. ქართველი მწერლები მონაწილეობას იღებდნენ ტოლსტოის საიუბილეო დღეებში მოსკოვსა და იასნაია პოლიანაში.

ყველა ეს ღონისძიება ხელს უწყობდა რუსი და ქართველი ინტელიგენციის დაახლოებას. ეს იყო შემოქმედებითი მეგობრობის საუკეთესო მაგალითები რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებში. საქართველოში გამეფებული პოეტური და შემოქმედებითი ატმოსფერო რუსი პოეტებისათვის ახლობელი და ნაყოფიერი გახდა. ალბათ, ყველა მათგანის განწყობა გამოხატა ბორის პასტერნაკმა ერთი პატარა ფრაზით: „საქართველო იმისთვის არსებობს, რომ ადამიანებმა სიხარულის შეცნობა შეძლონ“.

წიგნში „კავკასიის ქარი“ ანდრეი ბელიმ არაერთი სტრიქონი უძღვნა ქართველ სიმბოლისტებს. წიგნი მან საქართველოში 1927 წელს მოგზაურობის შთაბეჭდილებით დაწერა. მაშინ ანდრეი ბელი და გრიგოლ რობაქიძე ერთმანეთს ვერ შეხედნენ, რადგან ამ დროს რობაქიძე გერმანიაში იმყოფებოდა თავისი ლიტერატურული საქმეების მოსაგვარებლად. „ამაღელვებელია: მთელი დღე მარწმუნებდნენ, რომ წრის ნამდვილი ლიდერი — ისინი კი არა — რობაქიძეა; სამწუხაროა, რომ ის ბერლინშია; რომ გამეცნო, ნათელი გახდებოდა, რომ ძალა — მასშია. აღარ ვღავობ: ასე იყოს. მაგრამ რა მშვენიერი ნიუანსია: გახსენება არ მყოფელისა და მუდმივად შემოყვანა ყოველდღიურობაში; სამწუხაროდ, რობაქიძეს ვერ შეხვდები; მაგრამ ჩვენ ნაცნობები ვართ; ის გამაცნო მისმა ორმა ერთგულმა მეგობარმა; ჩვენს შორის ის იღვას; აქვე

აღვნიშნავ, რით იწვევენ ჩემს ალტაცებას ჩემი ახალი მეგობრები; არც ერთი შტრიხი საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისა და პირველობის სურვილისა; იაშვილი სულ მუდამ ხაზს უსვამს: „მე არა, აი, ტიცინი — ვინაა ძალა!“, ტაბიძე კი თავს იჩენვს: „მე კი არა — პაოლო“. ორივენი კი ამტკიცებენ: „რობაქიძე! რა სამწუხაროა, რომ ავციდით ერთმანეთს“... აი, კოლექტივი, მტკიცე „ჩვენ“. ამ ფრაგმენტში ჩანს ბელის დაინტერესება რობაქიძის პიროვნებით. ეს ინტერესი მას ადრეც აღძვრია. წიგნში „ორ რევოლუციას შორის“ მან აღწერა გრიგოლ რობაქიძე, რომელიც 1907 წ. უნახავს პარიზში მერეჟოვსკის ლექციაზე: „მტკიცე შესახედაობის მამაკაცი, გულხელდაკრეფილი, კელელს მიყრდნობილი იდგა მარმარილოს ქანდაკებასავით გაქვავებული პროფილით.

— ის კაცი ვინ არის? — ვკითხე ზინაიდა ნიკოლოზის ასულ ვიპიუსს.

უცხო მამაკაცი არ გავიდა საკამათოდ. მკაფიო ხმით ადგილიდანვე უპასუხა მისი პროფილივით მტკიცედ ჩამოქნილი სიტყვებით. მერე დადუმდა, ისევ დაიკრიფა გულზე ხელები, მიყრდნო კელელს და აღარც განძრეულა ადგილიდან.

— ქართველია, რობაქიძე, ფილოსოფოსი, — მითხრა მოგვიანებით ვიპიუსმა.

ამ გამოჩენილ მწერალს, სიმბოლიზმის კლასიკოსს, ქართველი პოეტების ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელმაც მოგვიანებით სახელი გაითქვა გერმანიაში, ოცდასამი წლის შემდეგ შევხვდი თბილისში“.

გრიგოლ რობაქიძესთან ეს შეხვედრა შედგა 1929 წელს საქართველოში ანდრეი ბელის მეორედ ჩამოსვლისას, რაც აისახა ცნობილ ფოტოსურათზე.

1931 წელს რობაქიძე გერმანიაში გაემგზავრა ავადმყოფი ცოლის სამკურნალოდ და მოლაპარაკების საწარმოებლად რუსთაველის თეატრის გასტროლების შესახებ, რომლის სცენაზე წარმატებით იდგებოდა მისი „ლამარა“. 1930 წელს ეს პიესა წარმოადგინეს მოსკოვში. ტრიუმფი იმდენად დიდი იყო, რომ უცხოელთა ყურადღება მიიპყრო და ყოველი მხრიდან წამოვიდა მიწვევები.

ანდრეი ბელისთან გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობის დასტურია სამი წერილი, რომლებიც დაცული იყო საბჭოთა კავშირის ცენტრალურ არქივში. წერილები რუსულ ენაზე 1989 წელს გამოვიყენეთ „Молодёжь Грузии“-ის 14 იანვრის ნომერში. ახლა გთავაზობთ ამ წერილების თარგმანს.

„25.XI.1930.

ძვირფასო ბორის ნიკოლოზის ძევ!

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა თქვენი და კლავდია ნიკოლოზის ასულის ნახვა. სამწუხაროდ, ავად გავხვდი (რაღაც გრიპისმაგვარი შემხვდა). ახლა უკეთ ვარ, ტემპერატურაც ნორმალურია, მაგრამ სხვა გასაჭირი მაქვს — უქუჩოდ ჩამოვედი. ჩემი პალტოთი კუჩინოში წამოსვლა კი სარისკოა. თქვენ მწერთ, რომ კვირას მოსკოვში იქნებით, იქნებ, მაშინ შევხვდეთ სადმე?! მაგრამ თქვენ, ალბათ, საქმეები გაქვთ!.. ყოველ შემთხვევაში გაცნობებთ ჩემი ტელეფონის ნომერს: 3-51-37. ორშაბათს 1 დეკემბერს ვაპირებ გამგზავრებას.

ვეცდები კლავდია ნიკოლოზის ასული ვნახო. ძმური საღმით, გულწრფელად
თქვენი მოყვარული

გრიგოლ რობაქიძე
ამ დღეებში პაოლო უნდა ჩამოვიდეს! თქვენი წერილი მივიღე.

9.XII.1930

ძვირფასო ბორის ნიკოლოზის ძე!
ძალიან მწყინს, რომ კუჩინოში ჩამოსვლა ვერ მოვახერხე. გულდაწყვეტილი
არიან პაოლო და ტიცციანი. პირად შეხვედრებში ხომ ყოველთვის არის
რადაც უსაზღვრო და მარად ახალი. სადაველმა გრიპმა და ჩემმა თავპარიანობამ
ხელი შემიშალა ჩამოვსულიყავი (მოსკოვში ნოემბერში თხელი პალტოთი
წამოვედი). თუ ევროპაში ჩემი გამგზავრება გამოვიდა — რის იმედიც მაქვს,
გზად კუჩინოში შემოვივლი. აუცილებლად. მაშინ კი მექნება საშუალება
გელაპარაკოთ თქვენს წიგნზე „ორი საუკუნის მიჯნაზე“. აქვე შევნიშნავ
მხოლოდ: პორტრეტული ხელოვნება სავსებით ახალია წერის მანერითა და
გამომსახველობით. თავში „პოლივანოვი“ კი ამას ემატება არაჩვეულებრივი
სიყვარულიც. მოკლედ, როცა შევხვდებით, ყველაფერ ამაზე შეძევ ვილაპარაკოთ.

თქვენი გრიგოლ რობაქიძე

გულითადი საღამი კლავდია ნიკოლოზის ასულს. საღამს გითვლიან
ელენე ვლადიმერის ასული, ნინო ალექსანდრეს ასული, თამარ გიორგის
ასული, პაოლო და ტიცციანი.

16.I.1931. თბილისი

ძვირფასო ბორის ნიკოლოზის ძე!

დიდი მადლობა გულითადი წერილისათვის. ძალიან მიხარია, რომ, როგორც
იქნა, გაბედეთ და მეგობარი მიწოდეთ. მე თქვენ არა მარტო გაფასებთ —
არამედ მიყვარხართ. თქვენ წელს 60 თაბახი დაწერეთ. რასაც აკეთებთ,
საოცრებაა! მე, რა თქმა უნდა, ეჭვი არ მეპარება თქვენს შემოქმედებით
შესაძლებლობებში, მაგრამ ფიზიკურზეც უნდა იფიქროთ. მაპატიეთ მკაცრი
გამონათქვამებისათვის, მაგრამ ეს ხომ თვითგანადგურებაა. ჯანგატეხილობა
თქვენი წერილის სტრიქონებს შორის ამოვიკითხე. სოხუმი მოვიხდებათ.
ძალიან. ზღვა შეძლებს მოვიხსნათ ის სიმძიმე, რაც ასე ხშირად მოგყვებათ
ხოლმე კავკასიისკენ. ნუ გადაიფიქრებთ სამხრეთში გადმოსვლას.

მოსკოვიდან მაცნობეს, რომ ჩემი საქმე დადებითად გადაწყდა. შესაძლოა
ძალე მომიხდეს გამოგზავრება და მაშინ მოგინახულებთ აუცილებლად.

ჩვენთან თოვლია, ყინავს. ამას შეუჩვევლები ვართ, განსაკუთრებით ყინვას
(ჩვენი თბილისის უსწორმასწორობის პირობებში). ხალხი ეცემა, შავდება
(ზოგი სასიკვდილოდაც). გუშინწინ ღამით მეც ღავეცი. კიდევ კარგი, ადვილად

მარინე ბაჟიტაძე

რამდენიმე შტრიხი ქართველ და რუს სიმბოლისტთა ურთიერთობიდან

XX საუკუნის 10-იან წლებში ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში პირველად გამოვიდა მწერალთა ჯგუფი ჩამოყალიბებული ლიტერატურული პროგრამით და მანიფესტით, რომლითაც მკითხველ საზოგადოებას თავისი მხატვრულ-ფილოსოფიური კრედიტ ამცნო. ეს დაჯგუფება გახლდათ „ცისფერი ყანწები“. მათ, მართლაც, მნიშვნელოვანი კვალი დააჩნინეს ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას და გარკვეულ პერიოდში მის მედროშედაც სახავდნენ თავს.

„ცისფერყანწელთა“ მოღვაწეობა ქართული სიმბოლისტური სკოლის წარმოშობასა და განვითარებასთან ასოცირდება. ამ ლიტერატურულმა მიმართულებამაც ისევე გვიან შემოაღწია საქართველოში, როგორც სხვა „იზმებმა“. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა შემოქმედთა ჯგუფი „ცისფერი ორდენის“ ჩამოყალიბების იდეამდე ფორმალისტურ-ვერსიფიკატორულმა ძიებამ მიიყვანა.

ლიტერატურის ისტორიკოსები ხშირად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ქართველი სიმბოლისტები არ იყვნენ ორთოდოქსები, რომ მათ მანიფესტებში ერთმანეთში გადაიხლართა სიმბოლისტურ და ფუტურისტულ სკოლათა კრედელები, შეიჭრა რეალიზმის ელემენტები. ერთი რამ ფაქტია: ახალგაზრდა პოეტთა სულიერ მოთხოვნილებად იქცა ევროპულ და რუსულ სააზროვნო სივრცეში გაჭრა და ახალი ფორმებისა და სახეების ძიება მაშინ, როდესაც ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ძირითადად აკაკი წერეთლის უნიჭო მიზამძეველები იყვნენ გაბატონებულნი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. ს. კლდიაშვილი იგონებს: „მაშინ ტიცციანი გიმნაზიელი იყო. დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა... მისი ოთახის ფანჯრები ბალახვანის ქუჩაზე რიონს გადაჰყურებდა... ოთახში შეუწყვეტლად ისმოდა მდინარის ხმაური... ძალიან ხშირად ნასადილეკს მასთან მივიჩქარი. საწოლის გვერდით დადგმულ პატარა მაგიდაზე წიგნების გროვა აწყვია. მათი ავტორები აქამდე ჩემთვის უცნობი პოეტები და პროზაიკოსები არიან. მათ შესახებ აქამდე ჩემთვის უცნობი მსმენოდა. თითქმის სასწაულს ჰგავდა ის ამბავი, თუ თითქმის არაფერი მსმენოდა. თითქმის ამ პატარა ქალაქში... აქამდე ლიროგორ აღმოჩნდა ეს წიგნები იმერეთის ამ პატარა ქალაქში... აქამდე ლიტერატურული სამყარო ჩემთვის შემოფარგლული იყო ყველასათვის ცნობილი ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების სახელებით. და უეცრად ახალი სახელები მესმის: ვერლენი, ლაფორგი, კლოდელი, ვერჰარნი, მეტერლინიკი, უალდი, ჰამსუნი, სტრინდბერგი, ბრიუსოვი, ბალმონტი და სხვა და სხვა. არა

მგონია, რომ მთელ ქალაქში ჩვენს გარდა, ორ პირტიტველა გიმნაზიელს გარდა, კიდევ ვინმეს რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა ამ მწერლებზე“ (1,87).

1936 წელს ტიცინ ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „ყველა მეგობარს, რომელიც შემდეგში „ცისფერი ყანების“ ჯგუფში შევიდა, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვიცნობდი. მოზარდები ვიყავით და უკვე ვოცნებობდით ახალი სიტყვა გვეთქვა ქართულ პოეზიაში... ლექსების წერა ძალიან ადრე დავიწყე... ლექსების გარდა მაშინ მთელი რიგი თარგმანებიც დავებუქდე: ა. ბლოკის, ვ. ბრიუსოვის, თ. სოლოგუბისა, ი. ანენსკისა და ფრანგი პოეტებისა.“

ქუთაისი მაშინ წარმოგვედგინა როდენბახის მკვლარ ბრიუგელ. ამ მკვლარი ქალაქის ფონზე ცოცხლობდა „აჩრდილები“ და ჩვენც ლიტერატურული სახეებით ვიყავით დატყვევებულნი. ქალაქი გაღატაკებული წვრილი მემამულეებისა, რომელთაც უკვე კარგა ხანია გაენიავევინათ საკუთარი მამულები, ქალაქი ეშმაკობაში გაწვრთნილი ხალხისა, ოხუნჯობისა და უსაქმო მუქთახორებისა – იწვევდა ჩვენში მეშინაობისადმი ბოჰემურ ოპოზიციურ განწყობილებას და გვამხედრებდა „საზოგადოებრივი გემოვნების“ წინააღმდეგ“ (2,7).

1913 წელს ტიცინ ტაბიძე მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აქ მას თვალნათლივ გადაეშალა იმდროინდელი მოსკოვის სულიერი სამყარო. იგი ასე იხსენებს ამ პერიოდს: „1914-1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო... შვეიცარიიდან ახლადდაბრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა ბუნდოვანი მისტიური დაქანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები ჟესტ-მიმიკის თეატრზე. მახსენდება სკრაიბინის სიკვდილი და მისი დაკრძალვა, სკრაიბინისავე მუსიკის კულტი, იგორ სევერიანინის პოეზიის უთვალავი საღამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სხდომები და ფორმულა „კანტიდან პრუდონამდე“. მარინეტისა და ემილ ვერჰარნის ჩამოსვლა მოსკოვში, „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების“ სხდომა ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში და ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, აკემისტებისა და ადამისტების შეტევა სიმბოლისტების წინააღმდეგ, ნაცნობობა ბალმონტთან, რომელიც მაშინ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა, გატაცება ბლოკითა და ანენსკით. ყოველივე ეს მალეღებდა და მიტაცებდა, და ასე თუ ისე აისახა ჩემს შემდგომ მუშაობაში“ (2,7).

„ცისფერყანწელთა“ ლიდერი პაოლო იაშვილი გახლდათ. იგი 1913 წელს აარსებს ჟურნალ „ოქროს ვერძს“. ჟურნალის სათაური ემთხვევა მოსკოველ სიმბოლისტთა ორგანოს სახელწოდებას „Золотое руно“¹. უდავოა, რომ ორივე

¹ როდესაც ანდრეი ბელი პირველად ჩამოვიდა საქართველოში, ციხისძირიდან მეგობარს სწერდა: „ეს მიწა ხომ უბედული ვერძის მიწაა. რატომღაც მახსენდება ჩემი ადრინდელი ლექსი „არგონავტები“. ეს ხომ ციხისძირის ჩემული პანორამაა... ახლაკი ვხედავ, კოლხეთი მგზნებარე, ცვესლოვანია მისი მიწა, და კიდევ: „ოქროს ვერძი“ – ყვაილნარიდან და ზღვა სიმწვანოდან გამოშინალი ციხისძირის ქარაფები... 25 წელი ვინებთაიღე და აჰა, მოვადექი ოქროს ვერძის სიმბოლისტთა მუშაობის წინააღმდეგ და ახლა ვხედავ, რომ ისინი არცაა დაკრძალულნი, არცაა დაკრძალული, არცაა დაკრძალული ჩემს არგონავტებში“ (3,81).

დაჯგუფებას შემოქმედებითი მიზნის მიღწევის სიმბოლოდ ოქროს ვერძი ესახებოდა. უკვე „ოქროს ვერძში“ იბეჭდებოდა იგორ სევერიანინისა და ლეონიდ ანდრეევის ნაწარმოებთა თარგმანები, ასევე ცნობები ვალერი ბრიუსოვის და იგორ სევერიანინის შესახებ.

1913 წელს პაოლო იაშვილი ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა. იქ გაიცნო და დაუმეგობრდა სხვადასხვა ეროვნების მხატვრებსა და პოეტებს, იქ გაიჟღინთა „პოეზიის შხამით“ და სიტკბოთი. სწორედ პარიზში შეხვდა პირველად უფროსი თაობის რუს სიმბოლისტ პოეტს კონსტანტინე ბალმონტს და აქვე ჩაისახა მათი შემოქმედებითი მეგობრობა. ქართველ საზოგადოებას პირველად პაოლო იაშვილმა აცნობა პარიზიდან კ. ბალმონტის გადაწყვეტილების შესახებ რუსულად ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. მისი კორესპონდენცია გახეთ „თემის“ 170-ე ნომერში დაიბეჭდა სათაურით „ვეფხისტყაოსანი“ და კონსტანტინე ბალმონტი“. წერილს დაჰკრავს ავტორის აღტაცებული ტონი, რაც რუსი პოეტის ქართული კულტურით დაინტერესებითაა გაპირობებული. კ. ბალმონტს, რომელსაც მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, განგების ნებად მიუჩნევია, რომ საქართველო ჯერ არ ენახა²: „ეგებ რაღაცა ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“. პაოლო იაშვილს იმის დასტურად, თუ რას ნიშნავდა საქართველო კ. ბალმონტისათვის, მოჰყავს რუსი პოეტის მიერ მისთვის ნაჩუქარ წიგნზე გაკეთებული წარწერა: „საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მატყვევებელი მარგალიტი კავკასიისა, აყვავებული საქართველო“. ამავე წერილმა შემოინახა კ. ბალმონტის განცხადება: პაოლო იაშვილი იუწყება: „ვერ წარმოიდგენთ, — მითხრა ერთხელ მან (კ. ბალმონტმა — მ. ბ.) — როგორი ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს“. პ. იაშვილი ასევე იტყობინება: „თბილისში ბალმონტი იქნება დაახლოებით 14 აპრილს. აქ ის წაიკითხავს მეტად საინტერესო ლექციას... ჰოლინეზიაში მოგზაურობის

² ცნობისათვის. 1905 წლის რევოლუციის განწყობილება გადაელო კონსტანტინე ბალმონტსაც, რომელიც ვლადიმირელი მემამულის ვაჟი გახლდათ. მან თავისი რევოლუციური მოღვაწეობა ბოლოს პარიზში გამგზავრებით დაასრულა. 1912 წელს თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. მისთვის მოგზაურობა იყო უცხო ქვეყნების შემოქმედებითი დაწყობა. მან თარგმნა აცტეკებისა და მაიას ტომის კოსმოგონიური მითები. აღწერა ძველი მექსიკური ლიტერატურის ძეგლები, რაც მეცნიერთა აზრით, საინტერესო დაკვირვებების შემცველია, 1913 წლის ამინისტიის შემდეგ კ. ბალმონტი დაბრუნდა რუსეთში. 1914 წლის მსოფლიო ომმა კვლავ პარიზში მოუსწრო. დიდი წვალებით დაბრუნდა რუსეთში. 1915 წელს ლექციებით შემოიარა მთელი რუსეთის იმპერია. 1921 წელს საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა მიიღო. 1942 წელს კ. ბალმონტი საფრანგეთში გარდაიცვალა. მას ძალიან ბევრი თარგმანი აქვს შესრულებული. ცდილობდა რუსულად გადმოეცა მთელი პოეტური სამყარო — მაიას ტომის მითებიდან ადამ მიტკვეიჩამდე და ოსკარ უაილდამდე.

შთაბეჭდილებებს გაუზიარებს მსმენელებს... უკანასკნელად ჩვენი ქალაქი მან განგებ აირჩია, რომ მეტი შეძლება ჰქონოდა აქ დარჩენისა...“ პ. იაშვილი იქვე დასძენს: „ვსარგებლობ შემთხვევით და ვუგზავნი „თემს“ ბალმონტის რამდენიმე ლექსის თარგმანს“.

შემდგომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში კ. ბალმონტს დიდად დაეხმარა ტიციან ტაბიძე (4).

ზემოაღნიშნულ კორესპონდენციასთან ერთად „თემის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა კ. ბალმონტის ლექსების პოლო იაშვილისეული თარგმანები: „ყოფნის ანდერძი“, „მსურს“, „ვით ესპანელი“, „ნუ მაგონებ“, „ნელა, ნელა“. შემდეგ, 1915 წელს „თემი“ კვლავ აქვეყნებს კ. ბალმონტის რამდენიმე ლექსის პოლოსეულ თარგმანს, კერძოდ, 204-ე ნომერში „ორ ფრინველსა“ და „საქართველოს“, 212-ში „ყვავილები ნარგიზისას“, „ფარფატას“, „ფანტაზიას“, „ვის ვწირავ ლოცვებს“. გაზეთ „მეგობრის“ მეორე ნომერში კი გამოქვეყნდა „მსურს განა“. პოლო იაშვილს სულ თარგმნილი აქვს კ. ბალმონტის 13 ლექსი.

მართლაც, პ. იაშვილის ცნობის თანახმად, 1914 წლის 14 აპრილს კ. ბალმონტი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ქართველმა საზოგადოებამ იგი დიდი პატივით მიიღო (4,34-38). რასაკვირველია, გაცხოველდა ინტერესი კ. ბალმონტის შემოქმედებისადმი. გაზეთმა „თემმა“ მისი ლექსების კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა ითავა. 1914 წლის „თემის“ 183-ე ნომერში ვკითხულობთ: „პ. იაშვილი გვწერს პარიზიდან, რომ იგი შეუდგა კ. ბალმონტის ლექსების თარგმნას, რომლის გამოცემა ჩვენ ვიკისრეთ. კ. ბალმონტი აპირებს თურმე ამ გამოცემისათვის წინასიტყვაობის დაწერას საქართველოსა და ქართველების შესახებ“. კრებული არ გამოსულა. მიზეზი უცნობია. რაც შეეხება კ. ბალმონტის ლექსების პ. იაშვილისეულ თარგმანებს, მათ ნამდვილად ვერ მივიჩნევთ მაღალ დონეზე შესრულებულ ნამუშევრებად, მაგრამ აქვე გვინდა დავძინოთ, რომ მათი კვალი პოეტის ორიგინალურ შემოქმედებაში უდავოდ შეინიშნება, რაზეც ოდნავ ქვემოთ მოვახსენებთ.

ახლა კი ნიშუშად ავიღოთ კ. ბალმონტის ერთი ლექსის პ. იაშვილისეული თარგმანი. ეს გახლავთ „ყოფნის ანდერძი“:

Я спросил у свободного ветра,
Что мне делать, чтоб быть молодым.
мне ответил играющий ветер:
Будь воздушным, как ветер, как дым!

Я спросил у могучего моря,
в чем великий завет бытия,
мне ответил звучное море:
Будь всегда полнозвучным, как я!

Я спросил у высокого солнца,
Как мне вспыхнуть светлее зари.
Ничего не ответило солнце,
Но душа услышала: Гори! (5)

თარგმანში ვკითხულობთ:

მე შევეკითხე თავისუფალ ქარს:
რა ვქნა, რომ ვიყო ჭაბუკი მარად?
პასუხი მომცა თამაშით ქარმა:
იყავ ვით კვამლი ჰაეროვანი, გადიქეც ქარად!

ძლიერ ზღვას ვკითხე: რაში არსებობს
ყოფნის ანდერძი – ის დიდებული?
პასუხი იყო ხმიერი ზღვისა,
როგორც მე, ისე შეუჩერებლად გიმღერდეს გული.

რიჟრაჟზე უფრო ნათლიერ ძალად?
არ მიპასუხა მზემ არაფერი,
მაგრამ გულმა კი ეს გაიგონა – გადიქეც ალაღ!

როგორც მოტანილი მაგალითიდან ჩანს, ავტორმა ვერ შეძლო კ. ბალმონტისეულ ბგერწერასთან ოდნავადაც მიახლოება, ამავდროულად თარგმანში გვხვდება ისეთი ხელოვნური ფრაზები, როგორიცაა „რაში არსებობს ყოფნის ანდერძი“, „რიჟრაჟზე უფრო ნათლიერ ძალად“ და სხვ. ხატი „играющий ветер“ თარგმნილია „პასუხი მომცა თამაშით ქარმა“. ეპითეტი ანუ განსაზღვრება იქცა გარემოებად. ამით ფრაზა აზრობრივადაც დაშორდა ორიგინალს და ავტორისეული რაფინირებულობაც დაიკარგა. მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიმბოლისტურ ლიტერატურაში ეპითეტს დიდი დატვირთვა გააჩნია. თუ თვალს გადავავლებთ პ. იაშვილისეულ კ. ბალმონტის ლექსების თარგმანებს, ეს ერთი ნიმუშიც სრულ წარმოდგენას გვიქმნის მათ ხარისხზე. მათი არასრულფასოვნების ძირითადი მიზეზი კი იმ ფაქტშია საგულვებელი, რომ მთარგმნელმა წინა პლანზე ლექსების შინაარსობრივი მხარე წამოწია და მას ვერ შეუსატყვისა კ. ბალმონტის ლირიკისათვის დამახასიათებელი ბგერწერა, რომელიც საოცარი მელოდიურობით გამოირჩევა. სწორედ კ. ბალმონტმა გააფართოვა რუსულ პოეზიაში ალიტერაცია. თავადაც აღნიშნავდა: „Имею спокойную убежденность, что до меня в целом, не умели в России писать звучные стихи“. მას რუსული პოეზიის პაგანის უწოდებდნენ.

კ. ბალმონტის პ. იაშვილისეულ თარგმანში გამოჩნდა პირველად „სისხლიანი მზე“. ეს ხატი შემდეგ განივრცო ქართველი პოეტის ლირიკაში.

Я увижу солнце, солнце, солнце – красное как кровь.

და მთის იქით მზეს ვიხილავ, მზეს, მზეს ვნახავ სისხლისფერსა.

ლ. ავალიანი მიუთითებს, რომ „მზე, როგორც შეუცნობელი კოსმოსური სხეული – სიმბოლისტი პოეტების ტრანსცენდენტური სწრაფვის საგანია... მზისკენ, როგორც შეუცნობელ, ერთიან, ყოვლისმომცველ, მარადიულ სიმბოლოსაკენ სწრაფვა სიმბოლისტ პოეტებს მიწისგან, მისი ტკივილებისგან ამორებს.

მზის სახის შემოტანა რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში კონსტანტინე ბალმონტის სახელს უკავშირდება“ (6,133). მისთვის მზე სიცოცხლის მარადიული საწყისია. 1903 წელს გამოიცა კ. ბალმონტის წიგნი „Будем как солнце“, რომელმაც რუს პოეტებში განხეთქილება გამოიწვია. ნაწილი მიემხრო, ნაწილი კი წინააღმდეგი წავიდა. მომხრეთა შორის იყო ანდრეი ბელი: „За солнцем, за солнцем, свободу любя, умчусь в простор голубиный!“. მოწინააღმდეგენი იყვნენ ზინაიდა გიპიუსი და მის წრესთან დაახლოებული პოეტები. მზის კულტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანდრეი ბელის პოეზიაშიც. მზე აელვარდა პაოლო იაშვილის შემოქმედებაშიც. უკვე „ცისფერი ყანწების“ პირველთქმაში ისმის ფრაზები: „მრავლის სასიკვდილოდ გავჩნდით ჩვენ ბინძურ მზით გამთბარ ქვეყანაში“. ანდა „ღამური გზებით მივდიოდით ჩვენ, რომ დაგვენთო მზეკოცონი მღუპარებით დამშვიდებულ ქვეყნისათვის“ (7,28). მზე ხშირად ჩნდება მის ლირიკაში, რაც საგანგებოდაა გამოკვლეული ლ. ავალიანის მონოგრაფიაში (6,133-141). მხოლოდ ერთ დეტალზე შევაჩერებთ ყურადღებას. ლექსში „წითელი ხარი“ ფრაზა „ყველა მზისკენ! ყველა მზეში, მიწა ვეღარ გავგახარებს“ ასოცირდება ანდრეი ბელის ტაქტთან:

И разум мира в солнце был влюблен.

კ. ბალმონტის ლექსში „ვით ესპანელი“ ვხვდებით ასეთ სტროფს:

И стремясь от счастья к счастью, я пройду по океаном,

И в пустынях раскаленных я исчезну за туманом,

Чтобы с жадной быстротою аравийского коня

Всюду мчаться за врагами под багряной вспышкой дня (5,39).

პ. იშავილისეული თარგმანი:

ბედში მყოფსა, სხვა ბედისთვის, მსურს ვიხილო ზღვის საზღვრები.

ცეცხლით დამწვარ უდაბნოში ცისფერ ნისლში მე გავქრები,

რომ არაბულ ცხენის ვნებით, მისი სწრაფვით და სიმალით

ყველგან ვღვინო ჩემი მტრები, როცა დილა იფეთქს ლილით.

მოტანილი ნიმუშიც დაშორებულია კ. ბალმონტისეულ ბევრათა მდინარებას, მაგრამ ხატები არაბული ცხენის, მცხუნვარე მზის და დაუშრეტელი ვნების წარმორჩნდება „პირამიდებში“:

„იქ სადაც სდუმან პირმიდები მზის ქორწილის დროს მე დავწვები მზისფერ ქვიშაში...“

შენ მოგაქროლებს ცხენი არაბული, თვალებდანაბული“ (7,125).

ეს ნიმუში კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დარიანული ლირიკა აშკარად პ. იაშვილის შემოქმედების ნაწილია.

კ. ბალმონტის ლექსთა თარგმანები პ. იაშვილის პოეტად ჩამოყალიბების ხანაშია შესრულებული და ეს სამუშაო პოეტისათვის ერთგვარი ვარჯიში იყო დაოსტატების გზაზე. თუ თვალს გავადევნებთ მის მთარგმნელობით მოღვაწეობას შემდგომ წლებში, პ. იაშვილის თარგმანები ბევრად უფრო იხვეწება.

ლიტერატურა:

1. ს. კლდიაშვილი, „ლექსები იყო მისი საგზალი“, ანლობელი და შორეული, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1964.
2. ტ. ტაბიძე, ავტობიოგრაფია, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბილისი, „მერანი“, 1985.
3. ანდრეი ბელი საქართველოში, ე. კვიციანიშვილის თარგმანი, ჟურნ. „ციხარტყელა“, № 1, 1968.
4. ლ. ანდლულაძე, ბალმონტი და საქართველო, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1972.
5. К. Балмонт, Стихотворения, Москва, "Художественная литература", 1990 г.
6. ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, თბილისი, „მერანი“, 1977.
7. პ. იაშვილი, პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები, თბილისი, „ნაკადული“, 1975.

„დეკადენტური მადონა“ „პოეტი-მეფის“ შესახებ

„დეკადენტურ მადონას“ პოეტ ზინაიდა ვიპიუსის უწოდებდნენ რუსი სიმბოლისტები, ხოლო „პოეტი-მეფე“ ალექსანდრე ბლოკი იყო დიდი გალაკტიონისათვის. ამ ღვთიური ნიჭით მადლცხებულმა პოეტებმა ისეთი განძი დაუტოვეს ხალხს, რომელიც ყოველ თაობაში ახალი ძალით ხშიანობს და ახალი ფერით ელვარებას. ლექსებთან ერთად აღამიანებს პოეტების პიროვნული ცხოვრებაც აინტერესებთ, მით უმეტეს, რომ ისინი უერთმანეთოდ არ მოიაზრებიან.

წინამდებარე პუბლიკაციის მნიშვნელობას ის ზრდის, რომ ალექსანდრე ბლოკსა და მის პოეზიაზე მოგვითხრობს მგონის მეგობარი, ზინაიდა ვიპიუსი, „ვერცხლის საუკუნის“ რუსული სიმბოლისტური სკოლის ერთ-ერთი ორიგინალური ხმის პოეტი.

ზინაიდა ვიპიუსის ვარეგნობაში (ამოღობილი, ქერათმიანი, ზურმუხტისფერთვალება) ბოტიჩელის მოდელს ხედავდნენ. ჰქონია მხიარული და ენერგიული, ფეთქებადი, დაუმორჩილებელი ხასიათი, ჰყვარებია ცეკვა და ცხენოსნობა. ზინაიდა ვიპიუსის ლირიკაში დაწინაურებულია რაციო და გარკვეულწილად შებოჭილია საერთოდ ლექსისათვის ნიშანდობლივი ემოციური სტიქია. იგი პოეზიაში არ ასდევს შინაგან იმპულსებს, არ შეუძლია იყოს ჰაეროვანი, არც პასიური. ვიპიუსის ლირიკაცა და ესეისტური პროზაც ნაყოფია მამაკაცური კონებისა და ხედვისა, არის მძაფრი, ძლიერი და კონცეპტუალური.

ზინაიდა ვიპიუსს ყმაწვილქალობაში ბედმა არგუნა დაკავშირებოდა საკრთველოს, მონიბლოლიყო მისი ხალხითა და ბუნებით. 1889 წლის 8 იანვარს სწორედ ტფილისში, მიხეილ მთავარანგელოზის ეკლესიაში, დაიწერა ჯვარი ცნობილ პოეტსა და მოაზროვნე დიმიტრი მერეჟკოვსკიზე. აღიარებულია, რომ ამ კავშირმა განსაკუთრებული როლი შეასრულა „ვერცხლის საუკუნის“ ლიტერატურის ჩამოყალიბებაში.

ბლოკის შესახებ დაწერილ ესეში ვიპიუსს აინტერესებს პოეტის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა, იმ სულიერი მდგომარეობის ხატვა, რომელშიც ბლოკი აღმოჩნდება ხოლმე ვითარებათა გამო. პოეტი ზინაიდა ვიპიუსი, როგორც თავადაც უცილოდ დარწმუნდებით, ბრწყინვალე მთხრობელია. იგი არა მარტო ამჩნევს ფარულ, ჩვეულებრივი თვალისათვის უხილავ ნიუანსებს, არამედ გვთავაზობს მოვლენათა სიღრმისეულ განსჯას. გვიყვება საინტერესოდ, მძაფრად,

მინიშნებებით. ცდილობს გვერდიდან შენიშნოს თავის საყვარელ, ხშირად სულიერად დაუძლიურებულ მეგობარში მიმდინარე ძვრები და ჩვენამდე მოიტანოს ამ ტრაგიკულ ბედზე გაჩენილი ადამიანის საოცარი შეგრძნებების არსი.

მთავარი კი ის არის, რომ ტრაგიზმით, სულიერი მარტოობითა და დაუცველობით ტანჯული ბლოკის ყოფაში ჩვენ ვხედავთ ქართველთა საყვარელი ვალაკტიონის ტრაგიკულობის, მარტოსულობისა და დაუცველობის ანალოგიას. ეს იგივეობა ტიპოლოგიურია თავისი არსით. მშვენიერი ქალბატონი ბლოკთან და მერი ვალაკტიონთან არ მონაზრებიან ხორციელ ქალებად, არამედ პოეტთა წარმოსახვით ხორცშესხმული სიმბოლური ზატებია; ცხოვრებისეულმა სირთულეებმა ვერ შეძლო მათში ბავშვურობის აღმოფხვრა, ვერც შინაგანი ბუნების შეცვლა. პოეტთა გაუსაძლისი პირადი ცხოვრება არასოდეს გამხდარა ქვეყნის მესვეურთა ზრუნვის სავანი, საზოგადოების უსულგულობისა და დაცინვისა კი — ხშირად; პოეტთა ლექსებით აღტაცებული ბევრი იყო, მათი მატერიალური ყოფით დაინტერესებული — ცოტა ან თითქმის არაფერი. ეტყობა „ბელმა ძღვევარმა“ მთი დაბადებისთანავე დაუწესა მარტოსულობა და გარემოსთან შეუგუებლობა. პრაქტიკულობას სრულიად მოკლებულები მხოლოდ მათ მიერვე შექმნილ სივრცეში გრძნობდნენ თავს კარგად, რეალურ ყოფაში დაბრუნებულები კი მხოლოდ ღვინითღა იხალვათებდნენ არსებობას; მეფე-პოეტებმა ვერ მიიღეს თამაშის დაკანონებული წესები და ბუნებით მარტოსულებმა ვაჭირვებით იცხოვრეს. ისინი მძიმე სულიერი შეჭირვების უკმა ვაეცალნენ ამ ქვეყნის ამბოებას და უბრალო ადამიანებისაგან ვულწარფელი სინანული გაიყოლეს. სიკვდილამდე „დიდ ბავშვად“ დარჩენილი ვალაკტიონის უკეთეს სამყაროში გადასვლის გამო ამ ქვეყნის ძლიერებმა, როგორც წესია, ხმაური ატეხეს, თუმცა ისიც მოჩვენებითი გამოდგა (ვალაკტიონი მთაწმინდის მიწას კი მთაბარეს, მაგრამ ლანჩვაზვრეტილი ფეხსაცმლით!!!).

რუს და ქართველ პოეტებს შორის ეს ტიპოლოგიური მსგავსება აღმოცენებული ჩანს საფუძველზე, რომელიც ასაზრდოვა ინდივიდთა არასტანდარტული ბუნების, ბედის, ეპოქის სინამდვილის თავისებური აღქმის, მსოფლხედვისა და სხვა ფაქტორების ერთგვარობამ.

ანა ქურდოვანიძე,
თეიმურაზ ქურდოვანიძე

ზინაიდა გიპიუსი

ჩემი მთვარიანი მეგობარი

ბლოკის შესახებ
(იბეჭდება შემოკლებით)

.....
დაე, დაეგზავლონ თავზე ყორნებმა,
როს მოგვადგება სიკვდილი კარზე...
ოლონდ, უფალო, შენთან მიიღე
სული რჩეულთა, სიკეთით სავსე.

ალექსანდრ ბლოკი

ეს არ არის სტატია ბლოკის პოეზიის შესახებ. თავის დროზე მე ის ბევრჯერ დავწერე, სტატია არც თავად ბლოკის შესახებ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს არავითარ შემთხვევაში არ არის ბლოკის განსჯა, არც მისი შეფასება. მსურს მოგიხროთ თვით ბლოკზე. ჩვენი შეხვედრები მინდა გავიხსენო, გამოვიხმო ერთად ყოფნის ფერმკრთალი აჩრდილები. ეს არის და ეს.

ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე ასეთი შეხვედრები მრავლად გვქონდა, ძალიან მრავლად. ჩვენს ურთიერთობას მეგობრობა შეიძლება ეწოდოს... მთვარიანი მეგობრობა. ვილაცამ (მგონი, რომელიღაც ფრანგმა) თქვა, რომ მეგობრობა ყოველთვის მთვარიანია, მზიანი კი მხოლოდ სიყვარულია.

*

[დამწყები პეტერბურგელი პოეტის, ბლოკის, რამდენიმე ლექსი ზინაიდა გიპიუსის მოსკოველმა მეგობარმა ქალმა გაუგზავნა თხოვნით, აზრი გამოეთქვა მათზე].

*

...დრე გაზაფხულზე (ჯერ ისევ ციოდა, ბუნარი ენთო, მაშასადამე, მარტის დასაწყისი ან შუა რიცხვები იყო). ვილაცამ კარზე დარეკა. მივდივარ გასაღებად. დღე ნათელი იყო, თუმცა წინკარში ბნელოდა. მარტო იმას ვარჩევდი, რომ სტუდენტი იდგა, უცნობი. ღია ნაცრისფერი ქურთუკის ლაქა ჩანდა.

— მოვედი... ხომ არ შეიძლება ბილეთზე ჩაწერა... პარასკევისთვის, მერეეჟოვსკი¹ ლექციას კითხულობს.

— რა გვარი ხართ?

— ბლოკი...

— თქვენ ბლოკი ხართ? აბა, აქეთ მოდექით, გავეცნოთ ერთმანეთს. ბილეთზე შემდეგ, ვგ წვრილმანია.

და აი, ბლოკი ჩემს ოთახში ზის, ბუხრის მეორე მხარეს, მაღალი ფანჯრების მოპირდაპირედ. გარეთ ცაც უკვე კაშკაშაა, მწვანედ ელვარებს გაზაფხულის მაუწყებელი სინათლე.

ბლოკი ღამიანი არ მეჩვენება. მაღალი ვიწრო შუბლის ზემოდან ქუდად ხშირი ყავისფერი თმა ადევს (ყველაფერი სახეშიცა და თავად მასშიც ვიწრო და მაღალია, თუმცა კი თვითონ საშუალო სიმაღლისაა). სახე სწორი აქვს, უმოძრაო, ისეთი მშვიდი, თითქოს, ხისა ან ქვისა იყოს. ძალიან საინტერესო სახე აქვს.

ცოტას მოძრაობს, ხმაც შესაბამისი აქვს: ისიც „ვიწრო“ მეჩვენება, მაგრამ იმავდროულად ისეთი დაბალი და დახშულია, თითქოს ძალზე ღრმა ჭიდან ამოდიოდეს. ბლოკი ყოველ სიტყვას ნელა და ძალისხმევით წარმოთქვამს, გვერდება, ამ დროს რაღაც ფიქრებს სწყდება.

თან უცნაურია. ამ გაწელილი, დახშული ხმით ძალისძალად ამოდერდილ ცალკეულ სიტყვებში, სწორ გაშეშებულ სახესა და ნაცრისფერ, უყურადღებო თვალების სიმშვიდეში, — მთლიანად ამ სტუდენტის გარეგნობაში, არის რაღაც სასიამოვნო. დიასხ, სასიამოვნო, ბავშვური, „არა საშიში“. აკი ყოველი მოზრდილი ადამიანი „რაღაცით“ (როგორც ბორია ბუგაევმა² თქვა) საშიშია. ბლოკში კი, ეტყობა, ამ „უცნაურობის“ წვეთი იმიტომ არ იყო, რომ, მიუხედავად უძრავად ჯდომისა, სერიოზულობისა და გახევებულობისაც კი, აკლდა „მოწიფულობა“, ანუ სიმწიფის ის არასაიმედო თვისება, რომელიც ბადებს „საშიშროებას“.

ამაზე, ბუნებრივია, მაშინ არ ვფიქრობდი, არამედ თავისთავად შევიგრძნობდი. არ მახსოვს, ამ პირველი შეხვედრის დროს რაზე ვლაპარაკობდით. მაგრამ ისე ვსაუბრობდით, რომ მაშინვე ცხადი გახდა: კიდევ შეეხვდებოდით ერთმანეთს, უთუოდ.

*

მშვენიერ ქალბატონზე ბლოკის ლექსების მთელი სერია პირველად გამოქვეყნდა ჩენს ჟურნალში „Новый путь“³. ძალიან შეხმარებოდა ჟურნალის კრიტიკული ნაწილის ორგანიზაციაში. თითქმის ყოველი ნომრისთვის მაწვდიდა რეცენზიას ან მოკლე სტატიას ვიარქსლავ ივანოვზე⁴, ვლადიმერ სოლოვიოვის⁵ ახალ გამოცემაზე...

...ბლოკთან ჩემი საუბრის გადმოცემა არ შეიძლება. მას უნდა იცნობდე, რომ ნათქვამი გასაგები გახდეს. ჯერ ერთი, თქვენ გვერდით ყოფნისას მისი გონება სხვაგან ქროდა. ვფიქრობ, მხოლოდ ძალზე უყურადღებო ადამიანები ვერ ამჩნევდნენ ამას. მეორეც, მისი ზანტად წარმოთქმული სიტყვები ისე ტყვიასავით ხვდებოდა ყურს, ისე იყო რაღაცით დამძიმებული, რომ ნებისმიერი მსუბუქი სიტყვა, ანდა მსუბუქი სიტყვების გროვაც კი ვერ ივარგებდა პასუხად.

რასაკვირველია, შეგვეძლო ერთმანეთთან ორი სხვადასხვა მიმართულებით გვესაუბრა. ბევრი ადამიანი ჩემი თანდასწრებით ასეც ლაპარაკობდა ბლოკთან

— „ამაღლებულ“ საგნებზეც კი. მაგრამ მე ყველაზე უმნიშვნელო საუბრის დროსაც კი ჩემდაუნებურად ვეძინიდი განსაკუთრებულ ენას: სიტყვებს შორის და მათ სიახლოვეში გაცილებით მეტ აზრს ვდებდი, ვიდრე თავად სიტყვაში ან მის პირდაპირ მნიშვნელობაში იგულისხმებოდა: მთავარზე, არსებითზე არაფერს ვამბობდით. ითვლებოდა, რომ იგი „გამოუთქმელი“ იყო.

...*შეუძლებელია თქმა; რომ იგი მოწყვეტილი იყო რეალობას, იმის თქმა კიდევ უფრო ძნელია, რომ იგი „ჭკვიანი არ იყო“. და მაინც, ყველაფერს, რასაც ჩვენ ფილოსოფიას, ლოგიკას, მეტაფიზიკას, რელიგიასაც კი ვუწოდებთ, ბლოკი ისხლტდა თავისგან, არ იკარებდა. ვლადიმერ სოლოვიოვის მოწაფე და თავყანისმცემელი ბლოკი მთლიანად იზიარებდა სამყაროს ჭკვრეტის მისეულ ბურუსით მოცულ და მერყევ შეხედულებებს. ბლოკს მოსწონდა მასწავლებლის ლექსები, რომლებშიც ჩნდება მარადიული ქალწული, „იგი“ და ეს იმ დროს, როცა ვლ. სოლოვიოვს, ვისთვისაც ქრისტიანობა მისი „ჭკვრეტის“ საფუძველს წარმოადგენდა, შეეძლო უმტკივნეულოდ შეეცვალა ერთი თვალსაზრისი მეორით... ბლოკისათვის უცხო იყო ეს. „იგი“ მისთვის ან თანაბარი კაშკაშა ნათლით ანათებდა, ანდა მასთან ერთად იკარგებოდა უფსკრულში, სადაც არავის ეცალა საკუთარი თავის უწყინარი დაცინვისათვის.*

*

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნათლად ვხედავდი ბლოკის ერთ თვისებას — მის ორგემაგე ხასიათს: ჯერ ერთი, მის ტრაგიზმსა და, მეორეც, მის რაღაცნაირ დაუცველობას... რისგან? ყველაფრისგან: საკუთარი თავის, სხვა ადამიანების, სიცოცხლისა და სიკვდილისაგან.

მაგრამ სწორედ ამ ტრაგიკულობასა და დაუცველობაში იყო ბლოკის მთავარი მიძინდეველობა. ბუნებრივია, ბევრს არ ესმოდა ეს, მაგრამ მაინც მიილტვოდნენ მისკენ.

ჩემი შინაგანი ამბოხი ბლოკის „უთქმელობის“ გამო, რაც მძიმე ღრუბელივით შემოხვეოდა და ბოჭავდა, წარმოადგენდა ინსტინქტურ სურვილს, მოეპოვებინა რამენაირი დაცვა, ჩაბლაუჭებოდა რაიმე ადამიანურ იარაღს. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო დროულად დაკაცებულიყო. ზრდასრულობა კი — არცთუ უიმედო, ყველაფრისმკვლელი... თუმცა ყველა ადამიანისთვის აუცილებელი ზრდასრულობა ბლოკს არ დაუდგა. იგი რჩებოდა უიშვიათეს სიღრმეში, „პასუხისმგებლობის“ მიღმა.

იცოდა თავად ამის თაობაზე? იცოდა კი საკუთარი ტრაგიკულობისა და დაუცველობის შესახებ? ალბათ, იცოდა. ყოველ შემთხვევაში, გრძნობდა და წინათგრძნობდა მთანინებდა, რას უმზადებდნენ ისინი მთელი მონღოლებით.

*

ვფიქრობ, ბლოკს თავდაცვ უნდოდა „დავაჟაკცებულიყო“. იგი უანლოვდებოდა ცხოვრებას, ეჭმასნებოდა მას, მაგრამ, როცა ფიქრობდა, რომ უკვე მიაღწია

მიზანს და მის ფერხულშიც უნდა ჩაბმულიყო, ცხოვრება თითქოს ემანჭებოდა და დასცინოდა.

თუმცა არ ვიცი, როგორ მიდიოდა იგი ცხოვრებასთან, რა ძალისხმევას ხარჯავდა ამისათვის. მე ვწერ მხოლოდ იმ ბლოკზე, რომელსაც ჩემი საკუთარი თვალთი ვხედავდი...

მე, რა თქმა უნდა, ზოგადად ვიცოდი ბლოკის ბიოგრაფია, ის, რომ მშობლები გაყრილი იყვნენ, რომ იგი დედასა და მამინაცვალთან ცხოვრობდა, რომ მამამისი ბალტიისპირეთის მხარეში სახლობდა და მამასთან დარჩენილ დას თითქმის არ იცნობდა. არ მახსოვს, როდის და როგორ შევიტყვევ ეს ყოველივე. ბლოკის სულში ამ ფაქტების გამოძახილი ჩემთვის თავად ფაქტებზე უკეთ იყო ცნობილი. ერთხელ სეინრობიდან შინ მომაცილა. თითქმის კართან მოსულმა რატომღაც ვკითხე:

— როგორ ფიქრობთ, დაქორწინდებით, ალექსანდრ ალექსანდროვიჩ?

მან მოულოდნელად სწრაფად მიპასუხა: — დიას, ვფიქრობ, დაქორწინდები.

მერე დაამატა: ვფიქრობ, უთუოდ.

*

...[ლუბოვ მენდელეევაზე დაქორწინების შემდეგ] ბლოკი აბსოლუტურად ძველებურად გამოიყურებოდა, იოტის ოდენადაც არ გამოცვლილიყო. ცოტა რბილი ჩანდა, მაგრამ, იქნებ, ამიტომ, რომ უბრალოდ გაგვიხარდა ერთმანეთის დანახვა. მან ლექსები მომიტანა და ისინიც ძველებური იყო, ბლოკისეული, იმავე ხიბლით აღსავსე. ისევ იმ მშვენიერ ქალბატონზე ჩაფიქრებული.

ჩვენი საუბარიც ისევ ტრადიციულად წარიმართა. მხოლოდ ერთი არსებითად სრულიად უადვილო, ჯიქური კითხვა წამომცდა:

— მართალია რომ „მშვენიერ ქალბატონზე“ საუბრისას არასოდეს ფიქრობთ, არ შეგიძლიათ იფიქროთ რომელიმე რეალურ ქალზე?

თვალებიც კი დახარა, თითქოს შერცხვაო, რომ შემეძლო ასეთი კითხვის დასმა.

— არა, რასაკვირველია, არა, არასოდეს.

შემრცხვა. ბლოკისთვის, ცოლიანისთვისაც კი, ასეთი საფრთხე რეალური არ იყო. რაში მეპარებოდა ეჭვი! ხომ უნდა დამენახა, რომ ქორწინებამ შეცვალა იგი... მგონია, რომ ძალიან ცოტათი.

გამომშვიდობებისას:

— არ გინდათ გამაცნოთ თქვენი მეუღლე?

— არა, არ მინდა. ეს საჭირო არ არის.

*

არა მაქვს სურვილი გავიხსენო ბლოკის მეგობრებიდან რომელიმე, გარდა ერთისა (იგი ჩემი მეგობარიც იყო) — ბორის ბუგაევისა — „ანდრეი ბელისა“. მას მღუშარედ ვერ ავუვლი გვერდს.

იგი არ მომკვდარა. ჩემთვისა და მრავალი რუსი ადამიანისათვის იგი თითქოს დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ ეს სულ ერთია. როცა ცოცხლებსა ან მკვდრებზე საუბრობ, მნიშვნელოვანია სიმართლის თქმა. ეს ერთნაირად ეხება ცოცხალსაც და მკვდარსაც, თუმცა არ შეიძლება მთელი ფაქტობრივი სიმართლის გაცხადება. რაღაცაზე უნდა დადუმდე, ცუდზეც და კარგზეც.

საგანგებოდ ანდრეი ბელის შესახებ წერის სურვილი ნამდვილად არა მაქვს. მე გავიხსენებ ადრინდელ ბორია ბუგაევს, როგორც ის იყო იმ დროს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ბლოკთან ჩემი შეხვედრების ისტორია.

ძნელია წარმოიდგინო ორი უფრო ურთიერთსაწინააღმდეგო არსება, ვიდრე ბორია ბუგაევი და ბლოკი იყვნენ. მათი განსხვავებულობა აშკარად გამოხატული, თვალში საცემიც კი იყო. სამაგიეროდ, მათი უხილავი მსგავსების ამოცნობა ძნელდებოდა. იოლად ვერ აპოულობდი მათ შემაკავშირებელ ძაფს და ამიტომ არც მსგავსების განსაზღვრა ხერხდებოდა.

ბორია ბუგაევი გავიცანი დაახლოებით მაშინ, როცა ბლოკი (ალბათ, ბლოკიც იმ დროს შეხვდა მას) და, თუმცა ბ. ბუგაევი ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც ჩვენ არცთუ ხშირად ჩავდიოდით, ბლოკი კი – პეტერბურგში, ჩვენი ბორიასთან დამოკიდებულება გარეგნულად უფრო ახლობლური, მეგობრული თუ ფამილარული იყო.

მე ბ. ბუგაევს განვიხილავ ბლოკთან მიმართებით და ამიტომ არ ვჩერდები ჩვენი დამოკიდებულებების გადმოცემაზე. ყურადღებას ვამახვილებ მხოლოდ ამ ორი ადამიანის განსხვავებულობაზე. თუ ბორიას უბრალოდ სახელით მიემართავდით და სხვაგვარად ვერც წარმოგვედგინა, ბლოკისთვის „საშას“ დაძახება თავშიც არ მოგვივიდოდა.

ბლოკი იყო სერიოზული, ზანტი ადამიანი, ბორია კი – დაუდგრომელი, სულ ცეკვავდა. ბლოკი ტუნწად, მძიმედ, ყრუდ ლაპარაკობდა, ბორიას სიტყვები კი ჩანჩქერივით შეუჩრებელივ მოედინებოდა ექსტიკულაციისა და მიმიკის გამუდმებული ცვლით, გრიმასებადღეც კი. ის ხან იცინის, ხან ძალზე სასაცილოდ და საყვარლად ჭმუნის წარბებს და იელმებს თვალებს. ბლოკი დიდხანს დუმს, როცა რამეს შეეკითხები, შემდეგ ვიპასუხებს – „დიახ“ ან „არა“. ბორია ნებისმიერ კითხვაზე აუცილებლად გეტყვის: „დიახ, დიახ, დიახ...“ და უთვალავი სიტყვით ფრთაშესხმული წამიერად გადაეშვება სივრცეში. ბლოკი თხემით ტერფამდე მკვრივია, თითქოს ხისა ან ქვისა იყოს. ბლოკს თმებიც კი მუქი და ფაფუკი ჰქონდა, თუმცა მძიმედ ედო თავზე, ბორიას – ბუმბულზე მსუბუქი და მოყვითალო, როგორც ახლად გამოჩეკილ წიწილას.

ეს რაც შეეხება გარეგნობას. ახლა კი ცოტა სიღრმეშიც შევიდეთ. ბლოკი არაჩვეულებრივად, გამორჩეულად ალალი იყო და ამას მეგობრებიც გრძნობდნენ და მტრებიც. შესაძლოა, იგი ვინმესთან ტყუოდა კიდევ, არ ვიცი, მაგრამ მჯერა, მთელი მისი არსება მართალი იყო, მისგან, შეიძლება ითქვას, სიმართლედ

ოვრქვეოდა... იქნებ, მისი ენაბლუობა, მძიმე-მძიმედ ლაპარაკის მანერა ნაწილობრივ ამ ბუნებითი გულმართლობიდანაც მომდინარეობდა.

ფფიქრობ, ბლოკს არასოდეს ტოვებდა იმის მეგრძნება თუ განცდა, ეს თანამოსაუბრისთვისაც ადვილი შესაძრწევი იყო, რომ ნალაპარაკვიდან ვერაფერს იგებს. გიყურებს, გხედავს, — თუმცა მარტო ნათქვამი კი არ არის მოცული სიბნელით, არამედ თავდაც. ძალზე ძნელია ამ მტანჯველი გრძნობის გადმოცემა. გიყურებს და ვერ გხედავს, რადგან იმ რაღაცას ვერ ხვდება, რომლის გაუგებლადაც, ჩემი აზრით, საერთოდ შეუძლებელია რაიმეს მიხვდე.

როცა ბლოკს ეს მუდმივი მდგომარეობა განსაკუთრებით უმძაფრდებოდა, მე ფფიქრობდი: იქნებ სხვა ადამიანებსაც „არაფერი ესმით“ და ბლოკის განსაკუთრებულობა მხოლოდ ის არის, რომ იგი გამუდმებულად გრძნობს, რომ „არაფერი გაეგება“, დანარჩენები კი ვერ ხვდებიან ამას?

ყოველ შემთხვევაში, ბორიასთან ყოფნისას ასეთი აზრები თავში არ მომდიოდა. ის ლაპარაკობდა ძალზე ბევრს, ძალზე მძაფრად, ორიგინალურად, ღრმად, თავის შესაქცევად, ზოგჯერ პირდაპირ მომავალოებლად. ო, იგი ნათქვამს მარტო კი არ ხვდება, ზედმეტადაც კი იგებს... ყველაფერს. ამას ღიმილის გარეშე ვამბობ. უარს არ ვიტყვი „Речь“-ში⁷ დაბეჭდილ ერთ ჩემს წერილზე, მგონი „თეთრი ისარი“ ერქვა. ბ. ბუგაევი გენიოსი არ არის, გენიოსი ვერც იქნებოდა, მაგრამ მასში გენიალურობის რაღაც ნაპერწკლები გაიფლებდა ხოლმე. კაცმა არ იცის, საიდან მოქროდა და საით მისწრაფოდა გენიალურობის ეს ისრები, მას კი ნამდვილად ხვდებოდა. ამავე ღროს, იგი ყოველთვის მის პასიურ ობიექტად რჩებოდა.

ეს არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო გამორჩეულად არაგულმართალი ალალი ბლოკის საპირისპიროდ და, რაც ყველაზე საოცარია, იმავდროულად გულწრფელიც დარჩენილიყო. მაგრამ ისევ იგრძნობოდა სხვა მასალა, განსხვავებული ბუნება. ბლოკი არსებითად ერთგული იყო. „პეტრე, შენ კლდე ხარ...“⁸, ხოლო, როცა ერთგული არ იყო და თავს კარგავდა, ისეთი გრვეინვით მიექანებოდა ჯანდაბისაკენ, რომ ძვლებს აკრეფაც კი ჭირდა. თუმცა თავის დაკარგვა ძნელი არ იყო, რადგან „არაფერი გაეგებოდა“.

მეჩვენება, რომ ბორია ბუგაევი, მსუბუქი, მჩატე, როგორც ჭაბუკობისას მისი ბუმბულივით თმა, ცეკვა-ცეკვით გადაუფრენს ყოველგვარ „ჯანდაბას“. მასზე გადაფრენა, მის თავზე ცეკვა — იქით, აქეთ, მარჯვნივ, მარცხნივ... ზემოთ, ქვემოთ... ეს ხუსტად მისი ხვედრი იყო...

ბორია ბუგაევი ბუნებით ხორცშესხმული ორგულობა იყო.

*

რა აკავშირებდა ამ ორ, ასე განსხვავებულ ადამიანს? რითი ჰგვანდნენ ერთმანეთს?

ეს მსგავსება იყო. ისევ არ შეეეხები „ხელოვნებას“, იმას, რომ ორივენი პოეტები, მწერლები იყვნენ. მე ლიტერატურაზე არ ვლაპარაკობ, არამედ

ადამიანებზე და მათ სულებზე, უფრო სწორედ, მათ ხასიათზე.

უპირველესად, ისინი, ბლოკი და ბუგაევი, არიან ერთი და იმავე თაობის (შესაძლოა, „ნახევართაობის“) ადამიანები, ორივენი უკურნებლად „არაზრდასრულნი“. მოზრდილ ადამიანს, როცა იგი ცხოვრების ფხვას ვერ იჩენს, რასაკვირველია, რაღაც ბავშვური აქვს შემორჩენილი. მაგრამ ბლოკი და ბუგაევი ასეთი სულაც არ არიან. ისინი ვერ დაკაცდნენ და, რაც მეტი დრო გადიოდა, უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამ მღვთმარეობას ვერც მიაღწევდნენ. დაუღვინებლობის შთაბეჭდილებას არ აქარწყლებდა არც ბლოკის სერიოზულობა, არც ბუგაევის უდიდესი ერუდიცია. ყოველივე ეს მოწიფულობის მონაცვლე იყო, მაგრამ თავად ის – არავითარ შემთხვევაში.

წმინდა ბავშვური თვისებები ორივეს ჰქონდა, თუმცა სხვადასხვაგვარად გამოხატული: ბლოკის სხეულიდან იმზირებოდა ჩაფიქრებული, ჯვუტი, დამინებული, უცხო ადგილას მარტო დარჩენილი ბავშვი. ბორიაში იჯდა განებივრებული, უკიდურესად მეოცნებე, ახირებული, კანონის უარმყოფელი, ზან მიამიტი, ზოგჯერ კი გულუბრყვილობის მოთამაშე.

ბლოკმა ცოტა რამ იცოდა თავისი ბავშვურობის შესახებ, ბორია კი შესანიშნავად სარგებლობდა ამით, განაზავდა ამას, თამაშობდა ამით.

ორივენი, თუმცა გარკვეულად სხვადასხვაგვარად, უნებისყოფო იყვნენ. ორივეზე ბედისწერა ბატონობდა, მაგრამ, თუ ბლოკში იგრძნობოდა ტრაგიზმი, ბორია იყო დრამატული და, უარეს შემთხვევაში, მელოდრამატული.

შესახედავად უხეში, გაუცხოებული ბლოკიცა და ბუგაევიც, პირდაპირ ვიტყვი, „არანორმალურ“ ადამიანებს ჰგავდნენ. ბრბო შესაბამისი უხეშობით შეუნდობდა მათ „არანორმალურობას“ „ტალანტის“ გამო, იმისთვის, რომ ისინი „პოეტები“ იყვნენ. აქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე შეურაცხყოფელია – „არანორმალურად“ მიჩნევაც და „პოეზიის“ გამო პატიებაც. რას უნდა ელოდო გარეგნული შეფასებებისაგან? უბედურება ისაა, რომ ამ შეხედულებას შეუმჩნევლად ითვისებდნენ თავად ამ თაობის პოეტები და მწერლები, მრავალნი და მრავალნი (აქ არ ვლაპარაკობ კონკრეტულად ბლოკსა და ბუგაევზე). თავად „ხელოვნების მსახურნი“ თანდათანობით შეეჩვივნენ თავიანთი უნებისყოფობისა და მოუძწიფებლობის გამართლებას „ხელოვნებასთან“ თანაზიარობით. ვერ ამჩნევდნენ, რომ სცილდებოდნენ ცხოვრებას, გადაიქცეოდნენ უბრალო ტაკიმასხარებად, ბრბოს გამრთობებად, რის გამოც მათ ყველაფერი ეპატიებოდათ...

თუმცა მე გადავუხვიე. დავუბრუნდეთ მოთხრობას.

*

1904 წლის გაზაფხულზე საზღვარგარეთ გავემგზავრეთ. უცხოეთიდან პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ მალე გამახსენდა ბლოკთან განსაკუთრებული ერთი, *ძინიშნებებით* საუბრის ინსტინქტური აუცილებლობა. ვითარება უცვლელი დამხვდა. „გაიზარდა“ ბლოკი თუ არა? თითქოს ახალ გამოთქმებს ხმარობს.

ახლებურად მსჯელობს, მაგრამ ყველაფერი „ზოგადია“. არა, ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა. ძველებურად მტანჯველად დაფიქრებული და შენელებულია მისი პეტყველება, ხოლო გაქვავებული სახე ახლა ასე ცნობილი და საყვარელი პოეტისა, უფრო მეტად უმეტყველოა. მასზე გაკვირვებული, ავისმაუწყებელი ქანცაწყვეტილობის ნიშანია აღბეჭდილი და კიდევ მარტოსულობა, არც თვინიერი და არც მძვინვარე, მხოლოდ ტრაგიკული.

თუმცა ზოგჯერ მასში ეს ახალი რაღაც დაყინებით ერთო და ღელავდა, სიტყვით გამოხატვას ღამობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და მაშინ თვალბეჭდით ეხატებოდა შეცბუნება, ბავშვური იმედგაცრუება.

ბლოკი მიკითხავს თავის დრამას, ყველაზე (დღემდე!) უცნობ ნაწარმოებს... მაშინდელი ჩემი შთაბეჭდილების მიხედვით, იგი ძალიან კარგი იყო, მოუხელავად ზოგიერთი უთანაბრობისა, პირობითობისა, ხანდახან ველურობისაც. მისი გვიანდელი პიესა „ვარდი და ჯვარი“ მასთან შედარებით სუსტი და შეზღუდულია!

ერთი ნაწარმოების სათაური არ მახსოვს. საუბრისას მას მოვიხსენიებდით „ფაინად“, გმირის სახელის მიხედვით. ბლოკი ისევე კითხულობს, როგორც ლაპარაკობს: ყრუდ, ერთ ტონში და ეს თავისებურ ძალას ჰმატებს მის კითხვას.

ძალზე „ბლოკისეული თხზულებაა“. რაც უფრო მეტ ხანს ვისმენ, მით ნათლად მახსენდება ადრინდელი ჭაბუკი, მარადიული ბლოკი. ფაინა? არავითარ შემთხვევაში ფაინა, არამედ იგივე მშვენიერი ქალბატონი, იგი, მარადიული ქალწული და არავითარ შემთხვევაში მიწიერი ქალი.

გაღმა გახვედი, ყველაფერი დამთავრდა უკვე, კურთხეულ იყოს ეგ სახელი შენი მარადის.

არა, არ დამთავრებულა...

... წელი წელს მისდევს და უღმობლად ჩაგვივლის მიღმა და გული მიგრძნობს, შეიცვლება იერი შენი.

(თარგმანი რუსულან ჭანტურიშვილისა)

ჩემდა უნებურად ვეკითხები:

– ალექსანდრ ალექსანდროვიჩი. ეს ხომ ფაინა არ არის. ეს ხომ ისევ ივია.

– დიახ.

კიდევ კითხულობს რამდენიმე გვერდს და მე ისევ ვეუბნები, გაკვირვებული და დარწმუნებული: ეს ხომ ივია, მშვენიერი ქალბატონი, ხომ ივია – რუსეთი! და ისევ ძველებურად უბრალოდ მაძლევს პასუხს:

– დიახ. რუსეთი... შესაძლოა, რუსეთი იყოს. დიახ.

აი, ეს იყო მასში, ბლოკში, ახალი, მისეული სიღრმით და ტანჯვით ჩამოყალიბებული ან სანახევროდ გაფორმებული...

მაგიდასთან სხვების თანდასწრებით საუბრისას ის წარმოთქვამდა რაღაც

ასევე ჰარმონიაში არ იყო ჩვენს მაშინდელ საკმაოდ უკიდურეს განწყობილებასთან.

როცა მარტონი ვრჩებოდით, ნათლად ვხვდებოდით: მან სულში გამოზარდა საკუთარი ხატი, თავისი რუსეთი და შეიყვარა იგი. შეიყვარა თავისი სიყვარულიც — „გამოუთქმელი“.

*

ბლოკი ავად იყო. როგორღაც საღამოს მასთან წავედით...

ვიწროდ, მყუდროდ, სადაც ცხოვრობენ. ბევრი წიგნია. თავად ბლოკი შინ შეზღუდული და უბრალოა. ლუბოვ დმიტრიევნა, მისი ცოლი, ძალიან შეცვლილა. ძველებურად ლამაზია, მოსული, ზედმეტად დიდი მომცრო ოთახების, ჩაის პატარა მაგიდისათვის, მაგრამ მაინც ისეთი აღარაა. ქალში ჩამქრალა ის მოციმციმე ნათელი, რომელიც მისი მთავარი ხიბლი იყო...

*

ამ წლებში, გარედან ასე ხმაურიანსა და აფორიაქებულში, შიგნიდან კი რთულში, მიიმეხა და დაძაბულში, ბლოკი ყოველთვის ჩვენ გვერდით მასხოვს, თუმცა არა ჩვენთან, არა ჩვენს ცხოვრებაში, არამედ — მის სიახლოვეს. მოთხოვნილება მქონდა მისი ნახვისა. გასაგებია, მასაც ჰქონდა ამის სურვილი — ხშირად გვეწვეოდა. მაგრამ ყოველთვის მარტო მოდიოდა, მაშინაც კი, როცა ჩვენ მარტო ვიყავით. დიდი ხნით მოდიოდა. ვისხედით — ზოგჯერ განმარტოებულებიც — გვიან ღამემდე. მიკითხავდა თავისას ან უბრალოდ ესაუბრობდით... რაზე? არა ლექსებზე, არა ადამიანებზე, არა მასზე, — თუმცა, მგონი, ლექსებზეც, ადამიანებზეც და მასზეც, განსაკუთრებულ ასპექტში, როგორც „ყველაზე მნიშვნელოვან უკანასკნელ მოვლენებზე“, რასაკვირველია, მინიშნებით.

ჩვენ, ბუნებრივია, ვიცოდით, რომ ბლოკზე ლაპარაკობდნენ: ამბობდნენ, რომ „ქეიფობდა“... უფრო მეტიც, რომ სვამდა, მარტო მიდიოდა სადღაც და რამდენიმე დღით იკარგებოდა... უკვირდით: მარტო! თითქოს ეს საკვირველი ყოფილიყო. არა, სრულიადაც არა, არა. და, თუ მაინც მნიშვნელოვანია, არა თავისთავად, არამედ იმით, რომ აქ თავს იჩენს ბლოკისეული მარტობა, ტრაგიკულობა და „დაუცველობა“... ბედისწერისაგან, ტრაგედიისაგან?

ჩვენ ამ თემაზე არ გვილაპარაკია. რა საჭირო იყო? მისი ლექსები გვექონდა.

ჩემზე უფრო იშვიათად ვლაპარაკობდით, ვიდრე მასზე. ჩემზე, მგონი, სიტყვაც არ წამოგვეცდენია არასოდეს. ერთხელ მოვიდა — მაგიდაზე მედო ლექსების მეორე წიგნის ხელნაწერი, გამოსაცემად მომზადებული. ბლოკმა იგი ძალიან ყურადღებით გადაათვალიერა

(თუმცა ყველა ლექსი უკვე დიდი ხანია იცოდა).

გუბნები: ვნებათ, ალექსანდრ ალექსანდროვიჩ? ამირჩიეთ, რომელიც უფრო მოვწონთ და თქვენ გიძღვნით მას.

— შეიძლება? ძალიან მინდა.

დიდხანს შემოვრჩით მაგიდას. ერთმანეთის მიყვლებით რამდენიმე აარჩია, კარგები იყო თუ ცუდები, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ის ლექსები აარჩია, რომლებიც ჩემთვის სხვებზე ძვირფასი იყო.

*

და აი, მისი ცხოვრების ხანა, როცა ბლოკი მასსოვს უბრალო, ადამიანური, წარმოუდგენლად ნათელი სახით. საზოგადოდ, მისი ღიმილი არ ჩამრჩენია გონებაში. და, თუ მაინც იღიმიებოდა, წამიერად გადაუვლიდა ხოლმე სახეზე ნათელი, თითქმის შეუმჩნეველად. ცხოვრების იმ პერიოდიდან მასსოვს სწორედ ღიმილი, შეწუხებული და ნაზი. ხმაც ნამდვილად შესცვლოდა, უფრო დარბილებოდა.

ეს მაშინ იყო, როცა ბავშვს ელოდებოდა, უფრო მეტად კი, მისი გაჩენის პირველ დღეებში.

...ბიჭი სუსტი დაიბადა, მოწამლული, მაგრამ ბლოკს არ სჯეროდა, რომ მოკვდებოდა: „ისე ღიღია“. სახელიც შეურჩია, დიმიტრი, მენდელეევის პატივსაცემად.

ჩვენთან, სასადილო ოთახში, ჩაიზე, ბლოკი მდუმარედ ზის და თავისებურად აღარ იმზირება, ნათელი სახე აქვს და დაბნეული ჩანს.

— რაზე ფიქრობთ?

— იმაზე... ახლა როგორ უნდა აღვზარდოთ... მიტკა?

მისი საბრალო მიტკა გარდაიცვალა პერვე თუ მეცხრე დღეს.

...დიდი ხნის შემდეგ ცოლ-ქმარი გამოსამშვიდობებლად გამოჩნდა: საზღვარ-გარეთ მიემგზავრებოდნენ. გადაეწყვიტათ ცოლთა დაესვენათ, სხვა ადგილები მოენახულებინათ...

სახე ორივეს ჩამქრალი ჰქონდა და ეს ვიზიტი სულ არ იყო აუცილებელი. საერთოდ აღარაფერს ჰქონდა ფასი. უკანასკნელი იმედიც გაჰქრობოდათ. მიჯახუნებულიყო ოდნავ შეღებული კარი.

*

იქნებ, ვინმეს ვაუკვირდეს კიდევ, ვერ გამოვოს. რა იმედი უნდა ყოფილიყო ბლოკისთვის ყმაწვილი? ბლოკი — ოჯახის მამა! იგი პოეტია, მარადიული რაინდი და, თუ ნამდვილ „მოწიფულ“ კაცად ვერ იქცა, განა ეს მშვენიერი არ იყო — მარადიული ჭაბუკი! მისი ვაჟი ცოცხალიც რომ დარჩენილიყო, რას მოუტანდა იგი პოეტს? რაღაცას, ალბათ, უფრო წაართმევდა კიდევ. იქნებ, ოჯახურ წრეშიც ჩაეკეტა...

ბლოკი მნიშვნელოვანი ფიგურა და შესანიშნავი ადამიანური ღირსებების მქონე კაცი იყო, მაინცდამაინც იოლად შესაგუებელი ხასიათით არ გამოირჩეოდა, გულდასურული, მაგრამ მგრძნობიარე გახლდათ, თუმცა ვიმეორებ, პასუხისმგებლობის გრძნობა არ ჰქონდა. იგი ინსტინქტურად გრძნობდა, რა შეეძლო მიეცა მისთვის ამ ბავშვს, და როგორ სჭირდებოდა მისი სიცოცხლე. ბავშვს შეიძლო იგი სისხლსორიკულად დაეკავშირებინა ცხოვრებასთან და იგრძნო-

ბინებინა პასუხისმგებლობა. მისი „ზრდადაუსრულებლობა“ სრულიად სხვა რამ იყო, ვიდრე ბუნებრივი, ძალ-ღონით სავსე, ნათელი სიჭაბუკეა. რას იტყვით ცხოვრების ირგვლივ გამოუღმებულ სიარულზე? ამ უკიდევანო, გამოუვალ მარტოობაზე? ბავშვში ბლოკმა ცხოვრებასთან ნაზი ალერსით შეხების შესაძლებლობა იგრძნო, იმის შანსი დაინახა, რომ ცხოვრება, როგორც ყოველთვის, ადარ დაემანჭებოდა. აქ მამობა კი არ იყო მთავარი, არამედ სწორედ პასუხისმგებლობის ახალი გრძნობა: მხოლოდ მამობას შეეძლო მისი, როგორც ადამიანის, საბოლოო ჩამოყალიბება.

აწნობიერება ამას ბლოკი ასე ნათლად, ასე უხეშად, როგორც ახლა მე ვწერ? არა, რა თქმა უნდა. მაგრამ ერთიანად გაბრწყინდა იგი ამ იმედის გაჩენით. და, როცა ის ჩაქრა — ისიც ჩაიფერფლა. მიეცა თავის „არაფრისგაგების“ ტანჯვას, რომელმაც კიდევ უფრო მეტად იბარტყა, ვინაიდან არ ესმოდა: რატომ ჩაესახა იმედი ან რატომ წაერთვა იგი.

*

ბლოკის თავისებურება აძნელებს მის დახასიათებას ჩვეულებრივი სიტყვებით. თქმა იმისა, რომ იგი ჭკვიანი იყო, ისევე არასწორია, როგორც შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ის სულელი იყო. ერუდირებულს ვერ დაარქმევდი, თუმცა წიგნი კი უყვარდა და ძალზე სერიოზულად იყო განათლებული. არც მეტაფიზიკოსი გახლდათ, არც ფილოსოფოსი. ძალიან უყვარდა ისტორია, იცოდა, როგორ უნდა შეესწავლა, ზოგჯერ მთელი გზნებით ჩაეფლობოდა ხოლმე მის სამყაროში, მაგრამ, ვიმეორებ, იგი ყველაფერში თავისებური, მოუქნელი და მოულოდნელი იყო.

...ზოგჯერ ბლოკი სრულიად იკარგებოდა. ერთ მზით გაჩახჩახებულ საღამოს შინ დაბრუნებისას გზად შევეუარეთ ახალ სახლში. ფანარივით იყო განათებული მთლად თეთრი ბინა...

... ცოლი შეგვევა. ბლოკს ჯერ კიდევ ეძინა... გვიან დაბრუნდა, — მიგვანიშნა ლ. დ.-მ — მხოლოდ დილას. ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრე გამოვიდა. ფერმკრთალი, მშვიდი, გაქვავებული სახით, როგორც არასოდეს.

დიდხანს არ დავრჩენილვართ. ფანარივით ნათელ ბინაში სიბნელე ჩამოწვა. უკანა გზაზე ისევ გამახსენდა ჩვენი მარადიული თანამგზავრი — მუღმივად ცვალებადი სახე მშვენიერი ქალბატონისა.

მღვრიე გარინდებით დგანან რესტორნები,
ჰაერს მხურვალეობა არხევს დაზაფრული,
როცა ბორგნული ხმებით ესტუმრება
და სხვა სურნელებას მოჰყენს გაზაფხული.

... ..
და როს შებინდდება — დრო არს დანიშნული —
თუ ეს სიზმარია მცირეხანოვანი? —

ისევ გაიელვებს სარკმლით დანისლულით
ტანი ასხლეტილი უცხო ბანოვანის.

ნელა ჩამოივლის შორის შეინახეთ,
ჯდება ფანჯარასთან მარად მარტოსული,
ნისლით მობურვილი სურნელს შეინახავს,
ლანდებს მომაზმანებს დროის გარდასულის.

შორთა მოგონებათ ალად მოვიალე
კაბა აბრეშუმის - სიგრძივ დაღარული,
ქულზე დაბნეული ფრთები მგლოვიარე,
ძვირფას ბეჭდიანი ხელი დაღალული...

...
სულში იღუმალი ელავს საგანძური -
თურმე, გვიპოვნია ისევ ერთმანეთი!
ვიცან შემთვრალეთა ხმები დაქანცული,
ვიცან - ღვინოშია იგი - ჭეშმარიტი!

(თარგმანი რევაზ თვარაძისა)

„უცნობი ბანოვანი“ ყველასთვის ნაცნობია. მაგრამ ვინ ჩასწვდა ამ ლექსს ბოლომდე? აი ორი ტაეტი სხვა ლექსიდან, საშინელი და წინასწარმეტყველური სტრიქონები.

ო, ვიცი, წავა ჩემი საქმე უკან და უკან,
ვერ შევისრულებ იმ ოცნებებს, სანუკვარ ფიქრებს.

(თარგმანი რუსუდან ჭანტურიშვილისა)

„შეიცვლება იერი შენი“ - უკვე აღარ იყო საშინელი წინათგრძნობა, იგი აღსრულებას იწყებდა, თუმცა ჯერ კიდევ შორს იყო მის განხორციელებამდე. „იგი“ შავით იყო შემოსილი და არა თეთრი კაბით, არც ბინდით მოცული მდინარის ზემოთ ჩანდა, არც აღსავლის კართან, არამედ „მთვრალთა გარემოცვაში“. ო, ეს ჯერ კიდევ არ არის ისე საშინელი. ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი.

*

ომი.

...არ მინდოდა, არც შეიძლებოდა ტელეფონით გველაპარაკა ომზე და საუბარი მალე შევეწყვიტეთ. მე გამაკვირვა ბლოკის აღელვებულმა ხმამ და მისმა ფრაზამ: „ომი ხომ, უწინარეს ყოვლისა, მხიარულებაა!“

...ომით „ტკბობისაგან“ იგი გადაარჩინა რუსეთის სიყვარულმა, სიყვარულმა კი არა, როგორღაც მსხვერპლადქცეულმა შეყვარებულობამ, უზომოდ სინაზემ.

რანდულმა თაყვანისცემამ... აკი იმ დროს რუსეთი პოეტისთვის იყო ი გ ა, მუდმივად ცვალებადი სახე... „მშვენიერი ქალბატონისა“...

*

ჩვენ უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და უტყფვი შეთანხმების ძალით არ ვსაუბრობდით ომის შესახებ. მაგრამ, როცა მაინც ვეხებოდით ომს, ვკამათობდით. შემდეგ ვწყვეტდით დავას, თითქოს კედელს ვეხეთქებოდით. რასაც ერთნი ბლოკის „შავრაზმელობად“ შერაცხავდნენ, სხვები კი – „აპოლიტიკურობად“, ჩემთვის იყო „უპასუხისმგებლობის ტრაგედია“ და ვფიქრობდი, უკეთესი იყო ამ საკითხს სულაც არ შეეხებოდით-მეთქი.

*

ბლოკი ომში არ წასულა. 1915-1916 წლების ზამთარში მარტო ცხოვრობდა და ბევრს მუშაობდა.

რევოლუციის დღეები...

...მარტო დასასრულის, ჩავარდნის, დაღუპვის წინათგრძნობა კი არ გვექონდა, უკვე რეალურად ვგრძნობდით ყოველივეს. ჩვენ ყველანი აგონიაში ვიყავით. რა უნდა გვექნა, შევრიგებოდით, გაგზუმებულყავით, დაგვეცადა?

...სავინკოვმა? წამოიწყო ანტიბოლშევიკური გაზეთის გამოცემის ორგანიზაცია და შეძლო ინტელიგენციის გვარიანი ჯგუფის შეკავშირება. თითქმის ყველა ცნობილმა მწერალმა განაცხადა თანხმობა. ბევრი მათგანის მოწვევა მე მქონდა დავალებული. თუ ბლოკის მოწვევა ცოტა ხნით შეყოვნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბლოკში დაეჭვება თავშიც არ მომსვლია.

ეს ოქტომბრის დასაწყისში მოხდა... ვურეკავ. ბლოკი უმალ გამეპასუხა. მე აჩქარებულად, მოკლედ, ზუსტად (ტილეგრაფული დრო იყო!) ვუხსნი, რაც მოხდა. ჩვენთან ვუხმობ პირველ შეკრებაზე.

პაუზა. შემდეგ:

- არა, მე, ალბათ, ვერ მოვალ.
- რატომ? დაკავებული ხართ?
- არა, ასეთ გაზეთში ვერ ვითანამშრომლებ.
- რას ამბობთ? თანახმა არა ხართ? რა მოხდა?
- თუ სიმართლე გინდათ, მე უმალ ბოლშევიკებს შევეუერთდები... ისინი მშვიდობას მოითხოვენ, ისინი...

აქ უკვე გამიჭირდა თავშეკავება.

- მაგრამ რუსეთი?... რუსეთი?!
- რა მერე, რუსეთი?
- თქვენ ბოლშევიკებთან ხართ და დაივიწყეთ რუსეთი. რუსეთი ხომ ვნებულა!

- კარგი ერთი, იგი არც ისე წამებულა.

სუნთქვა შემეკრა. ამის მოსმენა ძალზე მოულოდნელი იყო. ბლოკისგან ბევრ რამეს შეიძლება მოელოდე, მაგრამ ამას კი არა. მშვიდად ვუუბნები:

– ალექსანდრ ალექსანდროვიჩ, მესმის, რომ ბორიას შეუძლია ასე მოქცევა... თუ ის ბოლშევიკებს მიემხრობა, გავიგებ ამას. მაგრამ ის ხომ „დაკარგული ბავშვია“. თქვენ კი! ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ... თქვენ!

მდუმარება. შემდეგ მოულოდნელად, თითქოს სხვა ხმით, ძალიან შეცვლილით:

– იქნებ, მეც... შესაძლოა, მეც ასევე „დაკარგული ბავშვი“ ვარ?

ეს სიტყვები დიდხანს ხშიანობდა ჩემს ყურებში. ეს იყო ბლოკთან ჩემი უკანასკნელი სატელეფონო საუბარი.

„რუსეთი არც ისე წამებულია... უმალ ბოლშევიკებს შევეუერთდები... იქნებ, მეც „დაკარგული ბავშვი“ ვარ...“

*

...შემოდგომის დღე, საკმაოდ მზიანი. ძველი სტილით 17 სექტემბერი.

ტრამვაი ხალხით ივსება...

პირველი, ვინც შემოვიდა და დადგა გასასვლელში, პირდაპირ ჩემს გვერდით, უცებ ამბობს:

– გამარჯობა!

ეს ხმა არავისში არ აგერევა. შეგხედვ: ბლოკი. რაღაც ქუდი ახურავს (სწორედ ქუდი და არა შლაპა). სახე დაგრძელებული, ჩამომხმარი, გაყვითლებული, ჩაშავებული აქვს.

– ხელს გამომიწვდით თუ არა?

ლაპარაკისას თავს ძალას ატანს და მიიმედ წარმოთქვამს ასევე მიიმე სიტყვებს.

ხელს ვუწვდი და ვეუბნები:

– პირადად – კი. მხოლოდ პირადად. არა საზოგადოებრივად.

იგი კოცნის ჩემს ხელს და დუმილის შემდეგ:

– მადლობას გიხდით.

ერთხანს ისევ დუმს:

– თქვენ მართლა მიემგზავრებით?

– სხვა რა გზა გვაქვს... აქ ან უნდა მოკვდე, ან წახვიდე, თუ, რასაკვირველია, აცტი თქვენს მდგომარეობაში არ იმყოფება...

იგი დიდხანს დუმს, შემდეგ განსაკუთრებით მოღუშულად და ხაზგასმულად ამბობს:

– სიკვდილი ყოველ მდგომარეობაშია შესაძლებელი.

შემდეგ ამატებს:

– მე ხომ ძალიან მიყვარხართ...

– თქვენ იცით, რომ მეც მიყვარხართ...

ვაგონი, ოდნავ დაცარიელებული, დიდი ხანია თვალს ადევნებს ამ უცნაურ სცენას. ყველა გაჩურჩულდა. ჩვენ კი არ გვრცხვნივ, ხმამაღლა ვლაპარაკობთ. არ ვიცით, რას ფიქრობენ მსმენელები, მაგრამ ბლოკის სახე ისე აშკარად

ტრაგიკული ჩანს (ეტყობა, ამ წუთებში მისი ბუნებითი ტრაგიკულობა ყველამ ნათლად დაინახა), რომ ეს სცენაც მათ ტრაგიკულად ეჩვენათ.

ვღებები, ჩემი ჩასვლის დროა.

– მშვიდობით, – ამბობს ბლოკი, – მადლობას გწირავთ ხელის გამოწვდისათვის.

– საზოგადოებრივად ჩვენ შორის ხიდეები აფეთქებულია. თქვენ იცით. არასოდეს... მაგრამ პირადად... როგორც უწინ ვიყავით...

მე მის წინაშე ვდგავარ, კვლავ ვუწვდი ხელს. იგი ისევ ზრის თავის ჩაყვითლებულ, აკადემყოფურ სახეს, ნელა მუამბორება ხელზე, „მადლობელი ვარ“... – და მე უკვე მტკრიან ქვაფენილზე ვდგავარ, ვაკონი ჩემ გასწვრივ მიცურავს და ვზედავ, როგორ გადის ბლოკი ტრამეის მოედანზე, ვარჩევ მის მუქ სამოსს... დიახ, მუქლოვჯ პერანგს...

სულ ესაა. ეს იყო დასასრული. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა დედამიწაზე. დიდად სასიხარულოა ჩემთვის ის, რასაც ახლა ვიტყვი.

ჩემმა თვალებმა ვერ ნახეს უკანასკნელი წლების ბლოკი, მაგრამ არის ორი-სამი ადამიანი, რომელთა თვალებისა ისე მჯერა, როგორც საკუთარისა. ამიტომ მწამს, რომ ისინი, ბლოკის ისეთივე მეგობრები, როგორც მე ვიყავი, მის „მწუნარე დაცემას“ ისეთივე ტკივილით ეკიდებოდნენ, როგორც მე. ერთმა მათგანმა, ბუნებით ბლოკზე არანაკლებ ერთგულმა და მართალმა, ჩემი „უკანასკნელი ლექსების“ ბლოკისთვის გაგზავნის გამო მკაცრად მისაყვედურა: ეს რად გააკეთეთ?

და აი, შეგნებულად ვიზღუდები მხოლოდ ამ ადამიანების უცილობელი დამოწმებით, მხოლოდ იმით, რაც მათ ნახეს და მოისმინეს.

მათ კი ნახეს – ბლოკის ნელი ამბობება, როგორც მისი სულიერი აღორძინება, ტრაგედიის გამარჯვებული დასასრული. თავისი დაცემის სიღრმიდან ის წამოიძარტა და ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომელზედაც, შესაძლოა, ვერ აღიოდნენ ისინიც კი, ვინც არ დაცემულა, მუდამ ინარჩუნებდა სიფხიზლეს და მიწაზეც მყარად იდგა. მაგრამ ბლოკი გონს რომ მოვიდა, დაინახა იმათი სახეები, ვინც შეურაცხყოფდა, ამცირებდა და ღუპავდა მის სატრფოს, მის რუსეთს.

არის ჩვენ შორის ერთი კაცი მაინც, ყველაზე მახვილადმხედველი, ყველაზე შეურიგებელი, ვისაც პეტერბურგის ტყვეობაში ყოფნისას არ შეეხო კომპრომისის თუნდაც აჩრდილი, ვინც ვინმეს გამო არაფერი სთხოვა გორკის, ვისაც არ მოუწია მტრის ხელიდან აღებული ჩაღის ღეჭვა? მე – ვიცი. მე ვიცი ჩაღის ქრქვის, წყეული საჭმლის, გემო. ასევე მსმენია უმაჩნისი რომანების უსარგებლო თარგმანის შესრულებისათვის მიღებული საბჭოთა ფულის ტკაცუნა.

ბლოკი კი თავისი ცხოვრების ბოლო წლებში გაემიჯნა ყოველივე ამას. იგი დაღუპდა, თითქმის აღარავის ელაპარაკებოდა, ერთ სიტყვასაც არავის ეუბნებოდა. შეიძულა თავისი პოემა „თორმეტნი“. მისი თანდასწრებით პოემის

ხსენებასაც კი ვერ იტანდა. ვიდრე ძალა შესწევდა, პეტერბურგიდან მიემგზავრებოდა პირველ სადგურამდე, სადღაც იქ ატარებდა მთელ დღეს, დაბრუნებული ისევ ჩუმად იყო. იცოდა, რომ კვებოდა, მაგრამ, ამბობდნენ, ჯალათთა ხელიდან არაფრის მიღება არ ეწადა. როცა ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, ახლობლებს უნდა მოეტყუებინათ. იგი იზრჩობოდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და დაიხრჩო კიდევ.

წერილმანებს აღარ შეეგებები. ოდესმე, თავის დროზე, ისინი გამჟღავნდება. აქ საკმარისია იმის თქმა, რომ უდიდესი ტანჯვითა და სიკვდილით მან გამოისყიდა არა მარტო თავისი ყოველი ნებსითი თუ უნებლიე დანაშაული, არამედ, შესაძლოა, ნაწილობრივ რუსეთის შერცხვენა და ცოდვა.

დაე, დაგვჩხავლონ თავზე ყორნებმა,
როს მოგვადგება სიკვდილი კარზე.

ოლონდ, უფალო, შენტან მიიღე
სული რჩეულთა, სიკეთით სავსე.

(თარგმანი რუსუდან ჭანტუიშვილისა)

სასიხარულოა, რომ მან შეძლო გამხდარიყო ერთი ყველაზე ღირსეული. ისიც სასიხარულოა, რომ იგი სამარადისოდ ჩვენია, რომ ჩვენ, დღევანდელები, და მომავალი, მკვდრეთით აღმდგარი რუსეთი, — შევძლებთ სევდის გარეშე გვიყვარდეს იგი, ცოცხალი.

1922.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი:

1. დიმიტრი მერეჟკოვსკი — (1865-1941) — რუსი დეკადენტი პოეტი, ისტორიული რომანების ავტორი, რელიგიური მოაზროვნე.
2. ბორია ბუგაევი — (1880-1934) — ანდრეი ბელის სახელით ცნობილი რუსი სიმბოლისტი პოეტი.
3. „Новый путь“ — რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების ჟურნალი, დაარსდა პეტერბურგში 1901 წ. ზ. გიპიუსის ინიციატივით.
4. ვიაჩესლავ ივანოვი — (1866-1949) — პოეტი, რუსული სიმბოლიზმის თეორეტიკოსი. მის პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობოდა ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების კულტურულ-ფილოსოფიურ პრობლემატიკას.
5. ვლადიმერ სოლოვიოვი — (1853-1900) — რუსი ფილოსოფოსი, იდეალისტი, ღვთისმეტყველი, პუბლიცისტი და პოეტი. წერდა სიმბოლისტურ ლექსებს, უარყოფდა დეკადენტიზმს.

6. ლუბოვ მენდელეევა – (1881-1939) – სახელგანთქმული ქიმიკოსის, დიმიტრი მენდელეევის, ასული, ალექსანდრე ბლოკის მეუღლე.
7. „Речь“ – კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტიის ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წ. თებერვლიდან.
8. „პეტრე, შენ კლდე ხარ“ – იოვანე, 1, 42.
9. ბორის საენიკოვი – (1875-1925) – ესერების პარტიის გამოჩენილი წევრი, ა. კერენსკის თანამოაზრე.

თარგმანი და კომენტარები
ანა და თეიმურაზ ქურდოვანიძეებისა

მეზარ კვიციანი

იების დედოფალი

2004 წლის 3 თებერვლის საღამოს გულდამძიმებული ავდიოდი ჩემი მეგობრების, ნანა და მარინე ჯიქიების, ხის ფართო კიბეებზე – ცოხალი აღარ იყო მათი საარაკო სილამაზის დედა, ქალბატონი თინათინ ჯიქია.

სამძიმრის სათქმელად მივედი და დიდი, მაღალჭერიანი სასტუმრო ოთახის ნახვამ გამოვანა. ირგვლივ ერთ აუწერელი სილამაზე განფენილიყო. მზისფერი კედლები არამიწიერ სიწმინდესა და სინათლეს გამოსცემდნენ. ყველაფერს მანც თაიგულებად შეკონილი იების სილურჯე ნთქავდა. ყველგან იები იყო – სპილენძისა თუ თიხის ჯამებში, თითბრისა თუ ვერცხლის ძველებურ, ფართო თასებში, თავბრუ დაგეხვეოდა. საკვირველია – ფუტკრის ფრთებისოდნა ფურცლები აქვს იის ყვავილს და ასეთ უფაქიხეს, გონისწამრთმევე სურნელს როგორ აფრქვევს ეს ციცქნა, მუქ ლაფარდისფრად გალანდული მშვენიერება, რა არაამქვეყნიურ ხილვებს აჩენს... ორ დღეში ორი ათას კონამდე ია ეწყო გლოვისთვის განკუთვნილ ოთახში.

ქალბატონი თინათინი დაბალ, განიერ ტახტზე ესვენა. ასე მეგონა, იებს შორის თავად მშვენიერება იწვა. უჩვეულოდ ლამაზი სპარსული ქსოვილი ეფარა, რომელსაც მონუსხული დაფურებდი. ზედ თითქოს სიზმრად ნანახი სამყარო იყო გამოსახული. მისი წიაღიდან ნელა მოეფინებოდა არყოფნის ლურჯი ბინდი. რკალად ჩამწკრივებული მინიატურული ფარშევანგები ცისარტყელისებურ თაღს ქმნიდნენ. ბოლოები, ჩვეულებისამებრ, მარაოებად ჰქონდათ გაშლილი და მეჩვენებოდა – იმ პაწაწინა მარაოებისგან დაძრული უგრილესი ნიავის ჭავლები ყელზე მეკლებოდა, მელამუნებოდა. ალაგ-ალაგ, თვალის დაუნახველად ირწეოდა ქსოვილზე შეუდარებელი ოსტატობით ამოწნული ყვავილთა ლერწები. იქაც ყველა ტონს იისფერი ჯაბნიდა. ისიც მომელანდა – სიცოცხლის ხის მონანავე ტოტებში ლურჯად და მეწამულად დაფერილი სამოთხის ჩიტები დაფრთხილობდნენ და თავიანთ მარადიულ საუფლოში უხმობდნენ მიცვალებულის ლამაზ სულს.

ვინ იცის, სხვადასხვა დროს რამდენი მიფიქრია იაზე, ნეტარებისაგან სუნთქვაშეგუბებულს რამდენჯერ დამიფროსავს!... ტყუილად როდია ჩვენი ყრობის პირველი წიგნის – “დედაინის” – პირველივე ფურცელი გაზაფხულის მახარობლის დამბანგველი სურნელით გაუღენთილი; ზედ სკოლის კარიბჭესთან გვაგებებს პირველი მასწავლებელი ღვთის კაცის, იაკობ გოგებაშვილის, ხელით ჯადოსნურად დაწულ, თვით ღვთისაგან ნაკარნახევ, ორი ურთიერთშებრუნებული სიტყვისგან შექმნილ სასწაულს: “აი, ია! ალბათ, ყველა ჩვენგანს ახსოვს,

იისფერი მელნით ჯერ კიდევ დათხუნული თითი როგორ გავაყოლებთ ამ პირველ, ყველაზე მარტივ, მრავლის დამტვევ წინადადებას და სწორედ იგი გახდა ჩვენი მეგზური, ცხოვრებაში სიკეთისა და სილამაზის დანახვა რომ შეგვძლებოდა.

ქართულ პოეზიაში ვაჟა-ფშაველასავით იას არავინ მიაღწერს. ბუნების მშვენიერების, სინაზისა და უბიწოების გამომხატველი ეს საოცრება დასაკუნობად არ ემეტებოდა. ვის დაავიწყდება შეუდარებელი მეტაფორა, გამაფრთხილებელი, მოიარებით ნათქვამი, როცა პოეტი გადასაცემად, სხვათა პირით უთელის ყვავილთაგან რჩეულს, მიწის წილშივე დარჩეს და ასე გადაკრულად თქმას მეტი ძალა და მომხიბლობა აქვს, სევდაც მეტი ახლავს:

იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეეჭამს ჭიო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიო!
შენ ნუ გვონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მხესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწვე, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო!

ვიცი, ამ დროს ვისაც გლოვობდა “გველის-შჭამელის” შემქმნელი. ყოველთვის მიკვირდა, რამდენ ტკივილს იტევდა ეს მცირე, თვალისმოპყრელი ლაჟვარდისა და ქვესკნელის მრუმი ბჭეების გადამხსნელი, თავბრუდამხვევი სილამაზის გადამშლელი და უძირო სევდის აღმძვრელი უნატიფესი ლექსი. მხოლოდ მის დამწერს შეეძლო, ასევე შეფარვით, გამთოშველ ქარში ფეხებ-მოყინული, უთავშესაფროდ დარჩენილი ნიბლიასათვის ეთქმევიანებინა გამაოგნებელი სიკვდილისწინა სურვილი:

ნაზის იისა კუბო შემიკრან,
გულს დამაყარონ ტურფა კესანე...

უმაღლესობით, როდენ დიდი განმაზოგადებელი ძალა ეძლევა ყვავილოვან ხილვად წარმოდგენილ ამ ნაღველშერეულ ნატვრას.

„ბუნების ეშხით მთვრალი“ ია ვაჟა-ფშაველას მიწის უპირველეს დამამშვენებლად ესახებოდა; ასე რომ არ ყოფილიყო, თავის სხვა ლექსში ვერ დაგვიხატავდა ენით გამოუთქმელ სურათს, ვერ იტყოდა: „და, როცა ვამბობთ:

„ია მოსულა!“ თითქოს აქ ღმერთი ცით ჩამოსულა!“ ია და გაზაფხული მის ფიქრში მუდამ განუყრელია – „გაზაფხულს ია ამოდის“. როგორ შეიძლება, მისი ძალისა და შთაგონების შემოქმედს საბოლოოდ გადაწურვოდა წყალი, შელეოდა იმედს, ზამთარსა და წვედიადს დანებებოდა. მაშინ ხომ არ მოსწყურდებოდა მის გრძნეულ ბაგეებს ეს ლოცვასავით წმინდა და კაშკაშა სტრიქონები, მცენარეული სამყაროს, თვით ბუნების დაუსრულებელ კვდომასა და განახლებას რომ გვისურათხატებს:

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელმოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ შემცვლელს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა.

მგონისგან დალოცვილი გიორგი ლეონიძის ხელთუქმნელ წიგნს – „ნატვრის ხეს“ – უძღვის გარდაცვლილი დედისადმი მიძღვნა, რომლის აუღელვებლად, დიდი განცდის გარეშე წაკითხვა შეუძლებელია:

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის! ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყის პირებში ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯკეულად ამოდიოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.

ის სიყვარული დედამ შთამავონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო.

თვითონაც ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში დაგვმორდა...“

სწორედ გაზაფხულის პირზე, „პირველი იების მოსვლის დღეებში“ დატოვა სამზო დიდებულმა ქალბატონმა თინათინ ჯიქიამაც, იის სიზმარეულ ტალღებში გაეხვია და თვალს მოეფარა. გიორგი ლეონიძის ლექსებში არაერთგან ანათებს ლურჯად მოციანე ია. ნიადავ სათაყვანებელ ქართულ სიტყვასაც ასე მიმართავს იგი: „პირველ მოწყვეტილ იების დღიდან მე ვარ დამწვარი შენი მსახური...“

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოცემულ მომცრო „საუნჯეში“ წამიკითხავს ხალხური ლექსი, რომლის ორ სტრიქონს, როგორღაც, ვაჟაფშაველასეული იერი დაჰკრავს: „გოგო, რა მშვენიერი ხარ, გულს რომ იყვავებ ითა.“ რევაზ ინანიშვილმა, იდუმალი შეგრძნების ერთ-ერთმა ყველაზე პოეტური ბუნების პროზაიკოსმა, თითქმის ზებირად იცოდა ყველა ბალახისა თუ ყვავილის სახელი. იას განსაკუთრებით შესტროფოდა. ამის დასტურად გამოდგება მის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსი, სადაც მოქმელი თვით იას ამეტყველებს. ეს გულსაკლავი, ბინდისფრად გაწყობილი დანაჩვილები სულ ექვსი სტრიქონია და აჯობებს მთლიანად მოვიყვანო:

ნეტავი შენ, ენძელაო,
სამჯერ მოხვალ სერზელაო,
ერთხელ მოვალ, მოვშავდები
ამ დასაწვავ ხევზელაო,

ბიჭები ქულზე მაჭკნობენ,
გოგონები – ყელზედაო.

კვლავ ჯიქიების სამგლოვიაროდ მორთულ იმ დიდ ოთახში მეგულება ჩემი თავი. რა დამავიწყებს – ულამაზესი ქალები თავდახრილები მოედინებოდნენ, წრეს უვლიდნენ კუბოს, იის კონებს აწყობდნენ გადასაფარებლის ჩამოუქებულ ნაკეცებზე... ამ დროს უთუოდ ირწმუნებ ომარ ხაიამის ხატოვან ნათქვამს, რომ იის ლაქვარდოვანი ფოთლები ოდესღაც მშვენიერ ქალთა თვალები იყო. უცნაური დამთხვევა – ვინც თინათინ ჯიქიას ახალგაზრდობას მოსწრებია, თურმე, ამბობდნენ: თვალების ალაგას, სახეზე, ორი იის ტბა უკრთოდა, მზერას ვერ გაუსწორებდიო. ამიტომაც იყო, მრავალი ცნობილი შემოქმედის შთაბეჭდილები რომ გახდა, არაერთი პოეტისა და მხატვრის მუზად იქცა.

ფანჯარასთან ვდგავარ და მტკვარგაღმა ვიყურები. თებერვალში თეთრად ბრწყინავს თრიალეთის მთები. დამრეცი კალთები თოვლისგანაა ჩამოთეთრებული და რატომღაც დარწმუნებული ვარ, ამ დროს დაიბადებოდა იშვიათ სიმღერად ქცეული ნაღვლიანი ხალხური ლექსი: „ამ მთაზედა, თოვლიანზედა, ვარდი დავთესე, ია მოსულა...“ რა შეედრება იებით გადაწინწყლულ თოვლს? ვინ იცის, ამ სიმღერამაც მისცა ღვთაებრივი ბიძგი გალაკტიონისეული „იისფერი თოვლის“ დაბადებას. ერთხელ, დაბადებაზე წასულმა, ზემო იმერეთში, დანგრეული ეკლესიის გაღავანთან, ადრიან გაზაფხულზე, თავად ვინილე სანახევროდ გამდნარ თოვლში თავამოჩენილი იები. ასეთ წუთებში შენდა უნებურად იფიქრებ, რომ ამგვარი სურათის შექმნაში უფლის ხელი ურევია.

ადრე ნათქვამს ვუბრუნდები. სხვებსაც ვატყობდი გაოცებას, მარტო მე არ მომჩვენებია ასე – ვინც კი ლამაზი ქალი იყო თბილისში, თანაც თითქმის ყველა თაობისა, ამ უკეთილშობილეს ქალბატონთან გამოსამშვიდობებლად მოისწრაფოდა. მომაჯადოებელი იყო ეს დაუსრულებელი წრებრუნვა. როგორ არ უნდა გაგხსენებოდა ამ დროს „იისფერი სიტყვების“ მძებნელის, გალაკტიონის, ფერითული ხატი, მისი „პირიმზე“ რომ გვიმხელს:

კუბო კი ღამით სავსეა იით
და წაქცეული სვეტები ღება:
ამოდის მთვარე და სამაიით
ფერმკრთალ ქალების მიმოდის წყება...

იების გადალურჯებულმა, თიხისა და სპილენძის თასებში ჩაფენილმა კონებმა უეცრად შორეულ სიყმაწვილეში გადამისროლა, გამახსენა ალფონს დოდეს პროვინციის პეიზაჟებით გადანათებული წიგნი „წერილები ჩემი წისკილიდან“, უფრო კი პროზად დაწერილი ერთი ზღაპრული ბალადა „სუბრეფექტი ბუნების წიაღში.“ მოსირმულ-მოქარგულ ტანისამოსში გამოწყობილ ეტლში მჯდარ მოხელეს მსახურები მიჰყვებიან, რათა სამიწათმოქმედო ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვას. უცნაურად ატაცებულს, შინაგანად აფორიაქ-

ბუღს, ვერაფრით ვერ მოუსაზრებია, რა უნდა უთხრას ყრილობაზე შეკრებილთ. ვზად მუხნარი შემოხვდება, ეტლს გააჩერებინებს და მსახურებს ეუბნება, დამელოდეთ, ჩემი სიტყვა ამ მუხნარში უნდა შევადგინო. ჯადოსნური პატარა ტყვერი და იქაური ფრინველ-ყვავილნი აღერსიანად ეპატიუებიან, ნაკადულებით დასერილი მთლი იებს დაუფარავთ, ჩვენ დაგეხმარებითო. გარშემო ყველაფერი ლაპარაკობს, კიოტა ჩიტი, ბულბული, ქორიანი ტოროლა მის გარშემო დაფრინავენ, დიდი მწვანე კოდალა საკვც ქუდზე დააჯდება, რომ საბოლოოდ ააღებინოს ხელი საჯაროდ წარმოსათქმელ მაღალფარდოვან სიტყვაზე. მორიდებით თავდახრილი იებიც გულისწამლებად ჩასჩურჩულებენ:

„— ბატონო სუპრეფექტო, გრძნობთ თუ არა თქვენ, რა კარგ სურნელებას ვაკემეთ?“

ეს თვით უბიწო ბუნების ენაა, სამსახურებრივი წვრილმანებისგან თავმო-ბეზრებული მოხელის არსებაში პირველყოფილი სილამაზის გრძნობას რომ აღვიძებს და ისიც ვეღარ უმკლავდება ამ უნაზეს, მაგრამ ყოვლისწამლეკავ ძალას, დაუჯერებელი სანახაობაა დოდეს უცნაური ჩანახატის ფინალი: „როცა ერთი საათის შემდეგ სუპრეფექტის მსახურები შეშფოთდნენ და პატარა ტყეში შევიდნენ თავიანთი პატრონის მოსაძებნად, მათ თვალწინ ისეთი სანახაობა წარმოუდგათ, რომ უკან დაიხიეს ღრმად შეძრწუნებულებმა... ბატონი სუპრეფექტი პირქვე ჩაწოლილიყო ბალახში, ბოშასავით მკერდგაღელილი. მას გაეხადა თავისი მუნდირი, იებს ლეჭავდა და ლექსებს თხზავდა...“

დიდი ხნის წინათ, ახალდაარსებულ „ცისკარში“, გაზაფხულის პირზე, თამაზ ჭილაძეს სწორედ აღფონს დოდეს ეს ბალადა ახსენდებოდა, როცა რედაქციის კედლებში გული აღარ უდგებოდა და წამოიძახებდა: „წამოდით, ბიჭებო,“ ჰაერზე გავიდეთ, იები ვლეჭოთო!

ცხონებული ვივი გვეგვკორი აღტაცებული და მისებული ღიმილით ივონებდა ხოლმე უფროსი მეგობრის ამ საგაზაფხულო წამოძახილს და ფიქრში, ალბათ, სიტაბუკის დაუბერებელ წლებს ვფერებოდა. ია მასაც პოეზიისთვის გაჩენილ უპირველეს ყვავილად, თვით ლექსის ხატად მიაჩნდა. გვიის და მე ხშირად გვითქვამს, როგორ გაალამაზა და გაამდიდრა ჩვენი ყმაწვილკაცობა ბრძენმა, ხელმადლიანმა კაცმა, გერონტი ქიქოძემ, დოდეს ამ უბერებელი წიგნისა და ფრანგული პროზის სხვა შედევრების უბადლო მთარგმნელმა. გული გვწყდებოდა, რომ ბატონ გერონტის (მას ხშირად ვხედავდით მწერალთა კავშირის ბაღში მჯარს) მადლობის სიტყვა სიცოცხლეში ვერ გავავაღონეთ.

გასაკვირალი არც ის უნდა იყოს, რომ იების გარემოცვაში მყოფს გამახსენდა იასუნარი კავაბატას რომანის „ძველი დედაქალაქის“ ერთი პოეტური ადგილი. პატარა ბაღში დგას ბუბერი ნეკერჩხლის ხავსშემოკრული, გვერდზე გადახრილი ხე, რომლის ორ მიწით ამოვსებულ ფულუროში ყოველ გაზაფხულს ერთმანეთს დაშორებული იის ორი პაწია ბუჩქი ჰყვავის (კავაბატა მათ „გაზაფხულის აღერსიან სუნთქვას“ ეძახის). ამ იებს სასოებით უყურებს და შეტრფის

მშენიერი, თვალტანადი, მეოცნებე გოგონა ტიეკო და წუხს, იციან თუ არა ცალ-ცალკე ამოფეთქილმა იებმა ერთმანეთის არსებობა. იებს ახალდაჩეკილი თეთრი პეპლები ეხვევიან და თვალისმომჭრელ ლურჯ ფონზე მკვეთრად ჩანს ფრთებმოცახცახეთა სიქათქათე. იების ცქერისას ტიეკოს სიმარტოვის აუხსნელი გრძნობა ეუფლებს. ყვაკილების ქვემოთ, თხელ ფილაზე, ქრისტეს მოძვრო, ქვისაგან გამოკვეთილი ქანდაკება დგას და ზოგჯერ გოგონას ისიც ეჩვენება, რომ იები ქალწულ მარიამის გულია...

თავს სრულებითაც არ ვატან ძალას. აქ ერთი საგულისხმო ამბავიც ცოცხლდება. ჯვაროსანი რაინდების შთამომავალს, უძველესი ფრანგული არისტოკრატიული გვარის მემკვიდრეს, განუმეორებელი ხელწერის მხატვარს გრაფ ანრი ტულუზ-ლოტრესკს, მონმარტრის მეძავების მესაიდუმლესა და ქომავს (ხეიბრობა და გარეგნული სიმახინჯე ხელს არ უშლიდა სილამაზის შეუმცდარი დამფასებელი და დაუცხრომელი მაძიებელი ყოფილიყო), ერთმა ბორდელში მომუშავე გოგონამ, მისი ნიჭისა და ადამიანობის თავყანისცემის ნიშნად, ორ სუდ ნაყიდი იების კონა მიართვა სახელოსნოში. ლოტრესკ მდიდარი დედის განუწყვეტელი მზრუნველობის გამო ფული და ფუფუნებაში ცხოვრება არასდროს მოჰკლებია, მაგრამ იმ საცოდავი გოგონას მცირედმა ძღვენმა უზომო სიხარული მოჰგვარა – რას ვიფიქრებდი, თუ ამნაირ ქალებს ასეთი დელიკატური საქციელის გამოვლენა შეეძლოთო, გაკვირვებული ამბობდა: ყველა მომხვლელს, თურმე, შეყვარებული ყმაწვილივით, ლარნაკში სათუთად ჩაწყობილ იებს უჩვენებდა და ის გზაარეული გოგოც უმაღლესი მდიდარი სულის პოეტურ არსებად გარდაისახა მის თვალში.

თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობაში „წესია ასეთი“ ელგუჯა ბერძენიშვილი კუბოში ჩაწვენილ მიცვალებულს ალაპარაკებს საკუთარი დასაფლავების წვრილმანებზე. აი, ერთი ადგილი:

„ვიღაცა დაიხარა და იების კონა დამაყარა გულზე, ქერა ნაწნავი ჩამოუვარდა, უმაღლესი შეტრიალდა და წავიდა. ჩურჩული ატყდა, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ... რაღაც კი გამახსენდა, მაგრამ ეს იის სურნელის ბრალი იყო. შორს, ძალიან შორს გადამიყვანა იმ სურნელებამ, სოფელი გამახსენდა, აყვავებული ვაშლის ხეები... წყაროზე გამგზავნა დედამ, იქ, ხევში, დიდი წიფელი იდგა, ფესვებიდან ჩუმად წვეთავდა წყალი. დიდხანს ვუცდიდი თუნგის გაგსებას. ხავსიანი ხის ღარში მოწვეთავდა წყალი. აი, იქ, მახლობელ კორდზე, დავინახე პირველად უამრავი ია. ყველგან, საითაც გაიხედავდი, ია მოჩანდა. ხავსიანი ხის ძირას, ხავსიანი ლოდების გვერდით, ბილიკის ჩაყოლებაზე, მესრის ძირას, ყოლის თავზე – ყველგან იები იყო მოფენილი. წაეწეკი გრილ ბალახში და ვწოხავდი სიცოცხლის უნაზეს სურნელს, რა ვიცოდი მაშინ, პატარა რომ ვიყავი და იების სურნელით მთვრალი, რომ ის იები ჩემს კუბოს დაამშვენებდა. ვინ იყო? ვინ მოიტანა? როცა დაიხარა, ქერა ნაწნავი ჩამოუვარდა და ჩემს ნესტოებს შეეხო სურნელოვანი თმა. სიცოცხლის სურნელება ჩამეწვეთა გვამში.“

მოყვანილ ნაწყვეტში თუნდ აღნიშნული არ ყოფილიყო, უამისოდაც მივხვდებოდით — „სიცოცხლის სურნელება“ ზღაპრულ კორდზე მოდებული იების ბანგი იყო, პატარაობისას რომ იხილა სოფლის წყაროზე გაგზავნილმა, ამ მონოლოგის წარმოშობა და არც იმის მიხვედრა გვიჭირს, რომ ავტორმა თავისი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილება მოიხმო და გააცოცხლა.

წამიკითხავს (უეჭველია, ბიოგრაფია სარწმუნო წყაროს ეყრდნობოდა), უსიამო წამლის სიმწარე რომ გაენელებინათ, ავად გამხდარ შექსპირს, თურმე, იის ვაჟინას აყოლებინებდნენ. ვარდის მურაბა ვის არ უგემნია, მაგრამ იის ვაჟინა მანამდე არ მსმენოდა. იის ფოთლების ნახარშს რომ წამლად იყენებდნენ, ეს ბავშვობაში მაქვს გაგონლი. გასახსენებელსა და თვალის საამებელ სურათებს რა გამოლევს. შექსპირის ღირსეული თანამედროვის ჯონ ღონის უმშვენიერეს სატრფიალო ლექს „ექსტაზში“ ნეტარებას თავმიცემული შეყვარებულები ზღვის ამაღლებულ სანაპიროსთან იებით გარშემორტყმული სხედან და მათი თითები ერთმანეთშია ჩახლართული, ერთ სხეულად, ერთ არსებად ქცეულან იის სურნელით გაბრუებულები. აქ იბადება მძაფრი სურვილი, რომ იის ყვავილი მინდვრიდან ბაღში გადაინერგოს, რათა იგი სულ სხვა სილამაზით გაბრწყინდეს და განათდეს. წმინდა, ღვთაებრივი სიყვარულის მქადაგებელი ეს დიდებული ქმნილება თითქოს თავიდან ბოლომდე იის ფოთლებით არის მოქარგული.

მრავალთაგან განსხვავებული აზროვნების ინგლისელ მწერალს ავტობიოგრაფიულ წიგნში (იგი მთელი ცხოვრება ოპიუმს ეტანებოდა და ფანტასტიური ხილვები ჰქონდა) მოაქვს დიდი სწავლულისა და ალქიმიკოსის პარაცელსის ერთობ თამაში, ძნელად დასაჯერებელი დანაქადი, რომ მას შეეძლო დამწვარი იის ფერფლიდან ამ უნაზესი ყვავილის პირველქმნილი მშვენიერებით აღმოცენება.

ერთგან, დღიურში, შარლ ბოდლერი ლამობს ამოიციოს იის ფერის საიდუმლო და ასკვნის, რომ ეს არის ფარული, უიდუმალესი სიყვარული. ბოდლერმა იცოდა, ია მწუხარების, სინაზისა და სიწმინდის სიმბოლოც რომ იყო და ამიტომაც იგრძნო, იის სილურჯე გამოუთქმელ მწუხარებასაც და დაფარულ სიყვარულსაც თანაბრად ესადაგებოდა.

ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი ანა ახმატოვას „უემირო პოემის“ გამაოგნებელი სახე: „პარმის იების მთები აპრილის თვეში...“ ამ სტრიქონს ახსნა არ ესაჭიროება, თავისით იკვალავს გზას წამიკითხველის გულისა და გონებისაკენ, რათა ენით აუწერელი მშვენიერება გადაგვიშალოს. როგორ გინდა, არ ირწმუნო იმავე ანა ახმატოვას ნათქვამი, როცა იგი ერთ ლექსში წერს, ქალწულის ბაგეები იის სურნელს აფრქვევენო.

გამოჩენილი ასირიოლოგი, პოეტური სულის პიროვნება ვლადიმერ შილეიკო ერთ სასიყვარულო ბარათში წერს, როგორ შეიძინა ქოთანში ჩარგული იები და უკლის მათ. სხვა ქალაქში მყოფ, დროებით დაშორებულ მეუღლეს ატყობინებს: „დღისით აქ მზის ათინათი დაბორილაობს. ღამით — ქათქათა, ახალდაქორწინებული მთვარე, ორიგენი სტუმრობენ ჩემს ფანჯარას და იები

ამოჰყავთ“. მერე სინანულით ამოიხრებს: „ეჰ, ქალიშვილო, ქალიშვილო, რა კარგი იყო ის დრო, როცა შენც ია იყავი!“

გაზაფხულის მანარობლობის გარდა, თავისი ფერისა და სინაზის გამო, ია იმთავითვე მწუხარების ყვავილადაც ითვლებოდა და ამიტომაც მიმართავს ანა კალანდაძე მონატრებული, დიდი ხნის გარდაცვლილი მეგობრის აჩრდილს: „იის სურნელი საით მოგვკვა, თეთრო ფერიავ! ო, თმებიც შენი, ოქროსფერი, იით ავსილა...“

ქართული პოეზიის უდიდესი გლოვის ჟამს, „საგაზაფხულო მიწას“ მოსსლექტილი გალაკტიონის მშფოთვარე სული ანა კალანდაძემ „ბეთანიის ლურჯი იებით“ მორითო და, ჭეშმარიტად, უკეთესი, უფრო შესაფერისი სამკაული კუბოში მწოლი „პირიშხის“ დამწერის გასასახივოსნებლად არც მოიძებნებოდა. სხვაგანაც, როცა ძვირფასი ადამიანის მიმართ უსაზღვრო თავყვანისცემის გამოხატვა სურს, იების მოტრფიალე ანა კალანდაძე ლოცვასავით წარმოთქვამს: „დავდე შენს ფერხითთ იის ყვავილი...“

იყო ამქვეყნად ჩემი უსაყვარლესი კაცი და პოეტი ზაურ ბოლქვაძე, ვისაც სიკვდილის მათრობელი ჟრჟოლა სიჭაბუკიდანვე გაუჯდა ტანში და საკუთარი თავი, დაღუპვამდე დიდი ხნით აღრე, სულეთში ეგულებოდა. ცხოვრების უერთგულესი თანამეზავრისადმი მიძღვნილ საუკეთესო ორსტროფიან ლექსს იგი ასე იწყებს: „მოგენატრება შენ როდესაც ღიმილი ჩემი, შენ მოიწყენ და დაიღლები მოწყენილობით“.

ლექსის ბოლო ორი სტრიქონი ბუნებრივად, სამაგალითო სიზუსტით ეხმიანება და ებმის დასაწყისს და ნაღვლიანი, სულის განმასპეტაკებელი განწყობილება მთლიანდება. იშვიათი ფერწერული ხატით მთავრდება მონატრებას მიღვენებული ეს მთროლოვარე მიმართვა:

მე ამოვეზავნი საფლავიდან ჰატარა იას
და ფერმკრთალ ღიმილს გამოვატან, ძვირფასო შენთან!..

ზაური სიცოცხლეში რამდენჯერმე ესტუმრა ჯიქიების ოჯახს, მარინეს საზღაპრო შეილს, ოდრის, საუცხოო ლექსი უძღვნა, ქალბატონ თინათინსაც მოხვევია ხელზე და, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ისიც იების კონას მოიტანდა მასთან გამოთხოვების ჟამს.

ველარ მოესწრო ბოლო გაზაფხულს ულამაზესი ქალბატონი, ოღონდ ეს კი გააკეთა – თავისი იისფერი სიცოცხლის წრე არტისტული მოხდენილობითა და კდემამოსილებით დახურა, დაგმანა, თოვლის თეთრი ფარდა დაჰკიდა მოწყენილ ფანჯარას. იქ უკვე სამარადისო ღუმილი სუფევდა, ველარავინ შეიხედავდა.

ბევრჯერ მიფიქრია, კიდევაც დამიწერია, რომ სიკვდილსაც ახლავს თავისი სილამაზე. რა წლებსაც ჩემი მეხსიერება სწვდება, შემიძლია ვთქვა – მსგავსი დასაფლავება თბილისში ცოტას თუ რგვბია. ისევ და ისევ არ მშორდება სამარის კართან წუთიერად შეყოვნებული სურათი – კუბოში, ღია ცის ქვეშ,

იწვა იების დედოფალი და იის კონები დასტიროდნენ. განსაკვიფრებლად მოუხდებოდა ამ წუთებს თინათინ ჯიქიას განუმეორებელი სინატიფის ერთ-ერთი თავყანისმცემლის სააღბომო ჩანაწერი:

თვალთა ლაჟვარდი ლურჯი იების
ცვარ-მარგალიტით გიბანდა სახეს...

იმ წუთებში თითქოს ჩამესმოდა და ზედგამოჭრილიც იყო რობერტ ბროუნინგის ნათელმზილველური, ჟრუანტელისდამცემი სტრიქონები:

უკანასკნელად დააცქერდი სიყვარულის ნაშთს,
იის სამარეს...

ერთ სათქმელად ისიც კმარა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო, განმაურებული ლექსი თინათინ ჯიქიასადმია მიძღვნილი. მწერალმა მრავალი წიგნი უსახსოვრა ქალბატონ თინათინს. ერთ მათგანზე ამ ლექსის პირველი სტრიქონია მიწერილი: „ჩემს მუხას – ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას – ავტორი“.

წმინდანები რომ დაეხატათ, პოეზიასა თუ მხატვრობაში ძველთაგანვე იყენებდნენ ლურჯ ფერს. ამდენად, ძალზე სახიერ, დაუვიწყარ მეტაფორად აღიქმება ნიკო სამადაშვილის ლექსის – „ატენის სიონის“ – სტრიქონები, სადაც თვალთ მზილველის სიცხადითაა გაცოცხლებული ქრისტეს რჯულზე ჩვენი მომქცეველი, ქართლში, ტანას ნაპირას, ჰაეროვნად მომავალი კაბადოკიელი ქალწული:

ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები
ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს...

რამდენი ხანიც არ უნდა გავიღეს, ჩემი და მრავალ იქ მყოფთა მენსიერებიდან არასოდეს ამოიშლება 2004 წლის 7 თებერვალი, როდესაც დიდებულ ქალბატონს მივაცილებდით უკანასკნელ, იის კონებით მოფენილ და დატბორილ გზაზე. ზღაპრული სანახავი იყო – გაჭრილი სამარე მთლიანად ამოავსო მისმა საყვარელმა ყვავილებმა. იმ დღეს არავის გაუგონია კუბოს სახურავზე ქვებისა და ბელტების უსიამო გუგუნი. ნამიანმა იებმა ჩაახშეს დასაფლავების თანმხლები შემადრწუნებელი ხმაური. მიწას არ დაუმძიმებია კვიპაროსებით დაჩრდილული მყუდრო განსასვენებელი. ახლაც, ამჯერადაც, სანამ ამ სევდიან ფურცლებს ვწერდი, არ მომშორებია მაშინდელი უცნაური განცდა – თითქოს იის ლურჯი, მათრობელა სურნელი მბურავდა და საწუთროს გულდასაწყვეტ წარმავლობასთან ერთად მის განუმეორებელ შშვეიერებასაც მახსენებდა.

მარადი აწყო — თეიმურაზ მალლაფერიძე — 70


„ზა ფრანციუ“ — ბატონო თემურ!

თეიმურაზ მალლაფერიძე ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსზე სემინარებს გვიტარებდა უახლეს ქართულ ლიტერატურაში. ამ საგანს ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 60-იანი წლების დასაწყისიდან ასწავლიდა. შემთხვევით არ მითქვამს ასწავლიდა-მეთქი. ლექციების წაკითხვაზე უარს ამბობდა. პრაქტიკული მეცადინეობის წარმართვა ერჩია. ყველგან და ყველა სიტუაციაში ემოციური და ცოტა პირქუში გარეგნობის კაცი სემინარზე საოცრად მშვიდი და შემწყნარებელი იყო, ზოგჯერ დამყოლიც. შეეძლო წყნარად მოესმინა მისთვის ყველაზე მიუღებელი მოსაზრება, ჩვენი უმწიფარი და ინფანტილური აზრი. ეგ იყო მხოლოდ, მსჯელობისა თუ დისკუსიის სადავეებს ხელიდან არასოდეს გაუშვებდა, ნელ-ნელა აქცევდა ჩვენს ემოციურ და ხანდახან უთავბოლო სტუდენტურ დავა-კამათს მისთვის სასურველ კალაპოტში. მერე ჩვენც გვიადვილდებოდა განსჯა და დასკვნების გამოტანა. ეს იყო ტიპური ლიტერატურული მასტერკლასი. სხვებთან ერთად მეც გავიარე იგი.

მერე და მერე მოწაფე-მასწავლებლობა თანამეინახეობაში გადაიზარდა. ქართული ლხინი და მხატვრული ლიტერატურა, ასე მგონია, თანაბრად უყვარდა. ოღონდ მკაცრ ჩარჩოებსა და დოგმატურობას ვერც ერთგან იტანდა და ვერც მეორეგან, თითქოს ანგრევედა დადგენილ ნორმებს და თავისი რომანის — „გაულ გავხეს“ — გმირებივით გამუდმებით თავისუფლებას ელტვოდა. ვისაც ეს წიგნი არ წაუკითხავს, ვეჭვები: იქ საოცარი ამბავია აღწერილი. სვანების სოფელი ხალდე რუსებს აუჯანყდა. პაწია თემმა რამდენიმე თვეს გასაოცრად გაუძლო შემოტევას. მერე, როცა საშველი აღარ იყო, „გაულ გავხეს“ სიმღერით ხიდზე გადავიდნენ და იარაღაუყრელნი ჩაბარდნენ. ეს ფაქტი და კიდევ — კონსტანტინე დადეშქელიანის გმირობა, მგონი, საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით ხიბლავდა.

გამუდმებით თავისუფლებას ელტვოდა-მეთქი, მოგახსენეთ. ერთი მოგონება მინდა გავუზიარო მკითხველს, ჩემთვის არც თუ დიდად თავმოსაწონი, მაგრამ დაუვიწყარი, რადგან, მგონია, მკაფიოდ წარმოაჩენს თეიმურაზ მალლაფერიძის დაუოკებელ სწრაფვას სულიერი თავისუფლებისადმი.

70-იანი წლების დასასრული თუ 80-იანი წლების დასაწყისი იყო, ზუსტად აღარ მახსოვს. სამნი ვიყავით: თეიმურაზ მალლაფერიძე, ჯუმბერ თითმერია და მე. სადღაც ვიქეფეთ. ჯუმბერი სახლამდე მივაცილეთ. თავი მოიკლა, ახლა ჩემთან ავიდეთ და იქ გავაგრძელოთ. ჯუმბერის მეუღლემ სახელდახელო სუფრა გაგვიწყო. საუბარი პოლონურ „სოლიდარნოსტზე“ ჩამოვარდა. ძირითადად ჯუმბერი და მე ვლაპარაკობდით ლეს ვალენსაზე და ყველაფერ იმაზე, რაც „ამერიკის ხმისა“ თუ „რადიო თავისუფლების“ მეშვეობით გვქონდა მოსმენილი წინა სადამოს პოლონეთზე და მის თითქოსდა პროფკავშირულ მოძრაობაზე, სინამდვილეში კი დამოუკიდებლობისათვის ჯერ კიდევ შენიღბულ ბრძოლაზე.



თეიმურაზ მალლაფერიძე.
რეკავს სირაძის ჩანახატი

ეჭვი გამოვთქვი, საშიშია, ჩანასახშივე არ მოაშთონ პოლონური „სოლიდარნოსტი“-მეთქი. ამაზე ჯუმბერ თითმერიამ მიპასუხა, ეგ ღმერთმა ნუ ქნას, თორემ ჩვენი თავისუფლება კიდევ ერთი საუკუნით გადაიწვესო. მაშინ ჭიქას ხელი წავატანე, ფეხზე ავდექი, მხედრულად გავიჭიმე და წარმოვთქვი - „ზა პოლშუ“, „ზა სოლიდარნოსტ“, ჯუმბერი მხარის დაჭერას აპირებდა... თეიმურაზ მალლაფერიძე ნელა წამოიმართა და თქვა: „ზა ფრანციუ“. ეს სადღევრძელო მისგან სხვა დროსაც არა ერთხელ მქონდა მოსმენილი. შექეიფიანებული, თითქოს ყოველგვარი საბაბ-მიზეზის გარეშე იტყოდა ხოლმე: „ზა ფრანციუ“. მაგრამ ახლა ნასვამი გავჭირვეული და გავუბედე, ეგ რა შუაშია, მე პოლონეთის თავისუფლების სადღევრძელოს ვსვამ-მეთქი. მან მკაცრად გამიმეორა: „ზა ფრანციუ“. ახლაც მრცხვენია, უკადრისი რამ ჩავიდინე, ბავშვივით გავეკიუტდი, გავეჭინჭყლდი - მე პოლონეთის სადღევრძელო დავლიე, თქვენ კი ჩემს სადღევრძელოს პატივს არ სცემთ-მეთქი, ავდექი და წამოვედი.

მერე მოგვიანებით მივხვდი, თუ რატომ არ გადაუხვია თემომ თავის საყვარელ და აჩემებულ სადღევრძელოს - „ზა ფრანციუ“. ეს მხოლოდ ფრანგული მწერლობის (რომელსაც დიდ პატივს სცემდა) ან პარიზის (სადაც არასოდეს ყოფილა) სიყვარულიდან არ მომდინარეობდა. საფრანგეთი მისთვის პიროვნული და ეროვნული თავისუფლების სიმბოლო იყო. მე და ბევრ ჩემნაირს, იმჟამად, საოცნებოდ მხოლოდ

ეროვნული თავისუფლება გექონდა. არ მესმოდა, რომ არანაირი თავისუფლება არ არსებობს გარეშე პიროვნების თავისუფლებისა. ახლა, როცა ამაზე ვფიქრობ, თემოს, თითქოსდა, ახირება საფრანგეთის სადღეგრძელოს დაღვევისა, ერთ ღიღებულ ქართველ მწერალთან მავლებინებს პარალელს — გერონტი ქიქოძესთან. მან განსწავლის წლები გერმანიაში გაატარა. საფრანგეთში სულ რამდენიმე თვე დაჰყო, მაგრამ თავს ფრანგული კულტურის ადებტად მიიჩნევდა. მიზეზი ამ შემთხვევაში იგივე იყო, რაც თემოს ახირებაში — „ზა ფრანციუ“. გერონტი ქიქოძეს ფრანგულ ყოფასა და კულტურაში პიროვნული თავისუფლება ხიბლავდა. ამ აზრით ამბობდა თეიმურაზ მალლაფერიძეც — „ზა ფრანციუ“.

თეიმურაზ მალლაფერიძეს მაისის თვეში 70 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ გაცილებით ადრე დაგვშორდა. ახლა, როცა ხელთა გვაქვს საიუბილეოდ გამოცემული მისი ახალი წიგნი — „მარადი აწმყო“ — ხმამაღლა და დანანებით მინდა ვთქვა — „ზა ფრანციუ“ — ბატონო თემურ!

ამირან გომართელი

P. S. მათთვის კი ვინც ნაკლებად იცნობს თეიმურაზ მალლაფერიძის შემოქმედებას ვიტყვი: თეიმურაზ მალლაფერიძემ პირველი ნოველები 1959 წელს გამოაქვეყნა. პირველი წიგნი, ვრცელი მოთხრობა „უშა“ — 1963 წელს. ავტორია რომანებისა: „წყურვილი“ (1973), „გაულ გაგზე“ (1976); „ცხრაკარა“ (1979), „სოლო სიმღერა შემოდგომაზე“ (1984).

მასვე ეკუთვნის სცენარები კინოფილმებისა: „მალე გაზაფხული მოვა“ (ოტია იოსელიანთან ერთად) — 1967; „ცისკრის ზარები“ (1967); „ანარეკლი“ (1975); „ესკულაპეს მოწაფე“ (1979).

ქვემოთ გთავაზობთ თეიმურაზ მალლაფერიძის წიგნის — „მარადი აწმყო“ — რედაქტორის წინათქმას და ამონარიდს ამ წიგნის ერთი ნარკვევიდან.

წიგნის რედაქტორის წინათქმა

ქართული კულტურის რაობას მრავალმხრივ განსაზღვრავდა-ხოლმე სულიერი არისტოკრატიზმი. ამით მწერლობაც და ინტელიგენციაც ხშირად ღებოდა ამა თუ იმ ეპოქის მალლა. ესაა ნაჩვენები ამ წიგნში.

ეს წიგნი გამიზნული იყო სადოქტორო დისერტაციად, რომლის დაცვა თეიმურაზ მალლაფერიძეს აღარ დასცალდა.

მისი სტილი განერიდებოდა-ხოლმე ფორმალურ აკადემიზმს. აქაა თავისუფალი და მართალი ფიქრი ფიქრზე და ასეა წარმოჩენილი ბედი ქართული ინტელიგენციისა. მაშინ ამას არცვი ჰქონდა მაინცდამაინც დიდი ტრადიცია. არჩილ ჯორჯაძის შემდეგ იშვიათად თუ გაკრთებოდა-ხოლმე მართალი სიტყვა ქართულ ინტელიგენციაზე.

60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში თითქმის აღარ იყო წამყვანი ე.წ. სოციალიზმი. თუმცა ნომენკლატურული ლიტერატორებისთვის თავისუფლება დისკომფორტს ქმნიდა. ჭირდა სიახლეებთან შეგუება. თ. მალლაფერიძისთანა ლიტერატორები კი ამას შინაგანად მომზადებულნი შეხვდნენ. ამისი საფუძველია ყადრი ჭეშმარიტად მაღალი ლიტერატურისა.

თ. მალლაფერიძის მიმართება ლიტერატურისადმი აღბეჭდილია ღირსეული სიღალთა და სიმართლით.

სრულიად განსაკუთრებული სიღრმით იცოდა თ. მალლაფერიძემ მწერლობა, ქართულიც, რუსულიც და დასავლეთევროპულიც. მისთვის, თითქოსდა, განუყოფელი იყო მწერლობა და ყოფითი ცხოვრება. ასეთი ბუნება აახლოებდა მას უნივერსიტეტის ღირსეულ მასწავლებლებთან, კერძოდ, ბატონ გრიგოლ კიკნაძესთან და ბატონ ფარნაოზ ერთელიშვილთან.

ქართული ინტელიგენციის შეფასებისას მას ჰქონდა ასეთი თვალთახედვა: ესაა სულიერი (და არა სოციალური) არისტოკრატიზმი; ჩვენ ვიტყვოდით, ესთეტიკური არისტოკრატიზმი, რაც მისთვის ერთგვარად ათანაბრებდა ხალხურ მთქმელსაც და ცნობილ მწერალსაც.

ყოველი ახალი დრო გაააქტუალურებს-ხოლმე ფიქრებს ინტელიგენციაზე. ასეა დღესაც და ასევე იქნება მომავალშიც.

ამიტომ ამ წიგნში წარმოდგენილი გააზრებანი ქართულ მწერლობასა და ინტელიგენციაზე განათლებული მკითხველისათვის, ალბათ, შეიძლება იქცეს ფიქრად თავისთავზე.

რევაზ სირაძე

თეიმურაზ მაღლაფერიძე

ამონარიდი ნარკვევიდან - არჩილ ჯორჯაძე: პიროვნება და ნააზრევი

არჩილ ჯორჯაძის გარეშე შეუძლებელია XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივი აზროვნების თბილისური ისტორიის გადმოცემა. იგი იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში იდგა, ინტელიგენციის აღიარებული ლიდერი და, დიმიტრი უზნაძის სიტყვებით თუ ვიტყვი, „კულტურული ცხოვრების ახალი ხანის შემქმნელი“ იყო.

არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი, მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ხუთ მომცრო ტომშია მოთავსებული. აქედან ოთხი - მის სიცოცხლეში დაისტამბა, ხოლო მეხუთე - სიკვდილის შემდეგ. ამავე ტომის მცირე წინასიტყვაობაში აღნიშნულია:

„განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ მეხუთე და მეექვსე ტომისათვის თითქმის სრულიად გამზადებული მასალა დასტოვა. წერილები პორთფელში იმ რიგად იყო დაწყობილი, როგორც ესლა იბეჭდება. ჩვენ შეუძლებლად დავინახეთ თვით განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის მიერ დალაგებული მასალის წეს-რიგის შეცვლა. თხზულებათა მეექვსე წიგნში შევა მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ.“

კი გვპირდებოდნენ, მაგრამ მეექვსე ტომი ცალკე წიგნად აღარ დაბეჭდილა. აღარ დაბეჭდილა ალბათ იმიტომ, რომ ჯერ მსოფლიო ომმა მოუსწრო, მერმე რევოლუციამ, ბოლოს კი საქართველოში პოლიტიკური ვითარების ძირფესვიანმა შეცვლამ და ცხოვრებამაც დღის წესრიგში სხვა, უფრო აქტუალური საკითხების წყება დააყენა. ხოლო დიდი ერუდიციითა და ელვარე სტილით დაწერილი მონოგრაფია - „დიმიტრი ყიფიანი“, რომელზედაც არჩილი უკვე სიკვდილის აგონიით შეპყრობილი მუშაობდა, დღესაც მოთმინებით თვლემს „სახალხო გაზეთის“ ჩაყვითლებულ ფურცლებზე და მომაპტრონებელს ელოდება, რათა ბოლოს და ბოლოს, მზის სინათლე იხილოს. (ამჟამად ეს ნაკლი გამოსწორებულია: მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“ ჯერ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ჩემი პუბლიკაციით, შემდეგ კი ა. ჯორჯაძის ერთტომეულში 1989 წელს).

ვინც არჩილ ჯორჯაძის ტომეულების კომპოზიციურ განლაგებას დააკვირდება, შეუძლებელია არ შეამჩნიოს ერთი, მეტად ნიშანდობლივი კანონზომიერება: პირველ ტომში მოთავსებულია წერილები ეროვნული პრობლემების გარშემო, მეორეში - საზოგადოების შესახებ (თემატურად ამ რკალს ეკუთვნის მეხუთე და მეექვსე ტომის „მასალები

ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ და „დიმიტრი ყიფიანი“), მესამეში - ნააზრევი ხელოვნების, ფილოსოფიის, რელიგიის სფეროში, ხოლო მეოთხე ტომი მთლიანად ეთმობა დღიური საჭიროებისადმი მიძღვნილ წერილებს. მაშასადამე, სქემა ასეთია: ერი - საზოგადოება - ნაზრევი. ეს სამი სფერო, ცხადია, უმჭიდროესად არის ერთმანეთზე გადასკვნილი და ერთმანეთისაგან აუცილებლობით გამოძინარეობს. ერი არ არსებობს საზოგადოების გარეშე, ხოლო საზოგადოება თვინიერ სახელოვნო, ფილოსოფიური თუ რელიგიური აზროვნებისა და არჩილ ჯორჯაძესაც, როგორც ჩანს, სწორედ ამის ხაზგასმა ეწადა.

მთლიანად, ტომეულებში დიდი სულიერი ფასეულობაა დაუნჯებული და XX საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების წარმოდგენა ამ ფასეულობათა გარეშე, თუკი ისტორიის გაყალბების ვანდალური მიზნები არ გვაპოძრავებს, ყოველად შეუძლებელია!

XX საუკუნის დამდეგი მთელი რუსეთის იმპერიაში დიდი წინათგრძნობით, განგაშითა და დაძაბული მოლოდინით აღინიშნა. ამის მიუხედავად, ახალი ასწლეულის პირველი წელი განსაკუთრებული ფუფუნებითა და ზარზეიმით იღვესასწაულეს. ქუჩები გაკაშკაშებული იყო, ბალებსა და ბულვარებში მუსიკა გრიალებდა, მაღაზიები დულდა და გადმოდიოდა. დგებოდა ახალი ხანა ცხოვრებისა და, რაღა თქმა უნდა, ამ თარიღს განსაკუთრებული აღნიშვნაც ეკუთვნოდა, მაგრამ მხოლოდ ამაში არ გახლდათ საქმე: უფრო არსებითი ის იყო, რომ მთავრობა ცდილობდა მასების ყურადღება ჩამოეცილებინა იმ მძაფრი სამრეწველო კრიზისისაგან, რაც იმპერიას დაატყდა თავს 90-იანი წლების ეკონომიური ბუმიის შემდეგ.

ყველასათვის, ვისაც მიმადლებული ჰქონდა დაკვირვებისა და განსჯის უნარი, ცხადი შეიქნა, რომ ახალი საუკუნე გრანდიოზულ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მოიტანდა: პირისაგან მიწისა აღიგებოდა ძირმომპალი იმპერია, ერები სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, დენთისა და მხუთავი გაზების სუნი დაზრჩობით დაემუქრებოდა კაცობრიობას, მოხდებოდა გრანდიოზული რევოლუცია, იდენდა სისხლის წვიმები.

დადგა ახალი საუკუნე და ფორმულა, რომელიც XIX საუკუნეში ბუნდოვან მირაჟად ესახებოდათ, ძალზედ რეალური, კონკრეტული და საჩქაროდ ამოსახსნელი აღმოჩნდა. დიას, „ჩვენნი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, მაგრამ ვიცით კი, ვინა ვართ? საიდან მოვედით? ანდა საით მივდივართ?

არჩილ ჯორჯაძე ერთი უპირველესთაგანი გახლდათ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელმაც თავისი მძლავრი ინტელექტი და მამულიშვილური სინიღისი ამ პრობლემათა გარკვევას, ახსნასა და განმარტებას შეაღია.

პირველი ტომი არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა, როგორც ითქვა, მთლიანად ეროვნულ პრობლემისადრია მიძღვნილი. მასში ექვსი პუბლიცისტურ-პოლემიკური წერილია მოთავსებული: 1. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად (1907 წ.), 2. სამშობლო და მამულიშვილობა (1908 წ.), 3. კიდევ წარსული და მისი ანდერძი (1908 წ.), 4. ისტორიის სამართალი?! (1908 წ.), 5. კამათის დასასრული (1909 წ.) და 6. შეთანხმების იმედი (1909 წ.).

საერთოდ, თუ ა. ჯორჯაძის ეროვნულ კონცეფციას მოკლედ, დაჯამებული სახით წარმოვიდგენთ, დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ:

- ქართველი ერი ერთი უძველესთაგანია თანამედროვე მსოფლიოში. მან ადრევე შექმნა თავისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და ერადაც ადრევე ჩამოყალიბდა. მისი ძველი კულტურა იქნებ ტონის მიმცემი არ ყოფილა იმდროინდელ ცივილიზაციებისა, მაგრამ მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობა გააჩნდა და თავისი კუთვნილი ადგილიც ეკვირა. ისტორიულმა ძნელებლობამ, რასაც პერმანენტულად განიცდიდა საქართველო, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში ეროვნულ სახელმწიფოებრიობის საერთოდ მოშლამ და გაუქმებამ, უძნელესი ვითარება შეუქმნა ქართველი ერის ბუნებრივ განვითარებას, იგი თითქმის გადაშენების დონემდე მიიყვანა. ამ დამლუპველი პროცესის საწინააღმდეგოდ ბევრი იღვაწეს XIX საუკუნის ინტელექტუალებმა თაობებმა, განსაკუთრებით „სამოციანელებმა“ და მათმა იდეურმა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ და აი, XX საუკუნის დასაწყისში, დაისახა ერის მომავალი აღორძინების პერსპექტივა. რომ ეს აღორძინება სწორი გეზით წარიმართოს, საჭიროა ქართველმა ერმა სწორად შეიმეცნოს თავისი წარსული, მასზე დააფუძნოს აწმყო, რეალურად განჭვრიტოს მომავალი, რომელიც რევოლუციის შედეგად ნანატრ და გამოტანჯულ თავისუფლებას მოუტანს მას. მაგრამ როგორი იქნება ეს თავისუფლება? იგი უნდა იყოს უთუოდ ავტონომიური და კონფედერაციული. ე.ი. არა რუსეთიდან გამოყოფა, არა სეპარატიზმი, არამედ ყოფნა და განვითარება მასთან ერთად; მის ფარგლებში - მხოლოდ კი საკუთარი ენით, სახელმწიფოებრივი პარლამენტით, ფულით და სხვა ატრიბუტებით.

რაც შეეხება ნ. ჟორდანიას, აი, რას წერს იგი წერილების სერიაში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“.

„ისტორიულმა საქართველომ ეროვნული შემეცნების აზრი ვერ შეიმუშავა. თავისი დამოუკიდებლობის დროს არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა - ადებ-მცემობა და რაღა გასაკვირველია, ვერ შეემუშავებინა ის ნიადაგი, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყება“. ა. ჯორჯაძის სიტყვით, ნ. ჟორდანიას ისტორიული საქართველო „ზულუ-ბუშმენტა ქვეყანას მოგავს, სადაც ხალხი მოუხარშავ ხორცსა სჭამს და ტანზე საცმელს არ იკარებს. ამ ბედკრულ ველურებს მეთვრამეტე საუკუნეში დიდი ბედნიერება ეწვიათ, მოვიდა დიდებული, განათლებული, კულტურული ძლიერი ქვეყანა, მფარველობა გაუწია ველურებს, ჭამა-სმა ასწავლა, ტანისამოსსაც მიაჩვია, ფრაკ-სერთუკებში გამოაწყო. და აი, დადის დღეს ამ ტანისამოსში გამოწყობილი ზულუ-ქართველი ქუთაისის ბულვარზე და თბილისის პროსპექტებზე და სტკება ბედნიერებით, სტკება გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილ მამდარ სიცოცხლით!“

ერთი სიტყვით, ნ. ჟორდანიას თუ დავუჯერებთ, არავითარი კულტურა და ცივილიზაცია საქართველოს არ ჰქონია. მხოლოდ და მხოლოდ „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი გაუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურულად ამაღლებისა და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით“. ამიტომ, ჩვენ უნდა მივესალმოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, რადგან ამან ობიექტურად ბევრი სიკეთე მოუტანა საქართველოს, მათ შორის ბატონ-ყმობის გადავარდნაც. მალე დაემხოთ თვითმპყრობელობა, მოისპობა კლასობრივი ჩაგვრა, თუ მაინცდამაინც, კულტურული ავტონომიის სტატუსით და ეს იქნება მისი დიდი მონაპოვარი რევოლუციის შემდეგ.

ორივე ამ თვალსაზრისზე, ისტორიამ კარგა ხანია თავისი სიტყვა თქვა. მათ ავტორებთან ხელახლა კამათის წამოწყება მხოლოდღა ღია კარის მტვრევა იქნებოდა, და თუ მე მაინც მოვიხმე აქ ერთიც და მეორეც, მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენებინა: სოციალ-ფედერალისტი ა. ჯორჯაძის ეროვნული კონცეფცია გაცილებით ახლობელი და მისაღებია ჩვენთვის, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართველებისათვის, ვიდრე სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანიას ნააზრევი ამავე საკითხზე.

უმთავრესი, რაც სოციალ-ფედერალისტებს აერთიანებდა, საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოთხოვნა იყო. ეს მოთხოვნა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ განმანათლებლებმა წამოაყენეს, მაგრამ მათს იდეურ-ლიტერატურულ და განსაკუთრებით პრაქტიკულ მოღვაწეობას

სოციალ-ფედერალისტები ეროვნულ ლიბერალიზმს უწოდებდნენ და მოახლოებულ რევოლუციურ ვითარებაში არასაკმარისად მიიჩნევდნენ, მაგრამ ისინი არა თუ უარყოფდნენ, არამედ ავითარებდნენ და ასაბუთებდნენ ჰუმანისტ და რადიკალ განმანათლებელთა ეროვნულ პროგრამას, მათ იდეურ შემკვიდრებად გამოდიოდნენ.

ფედერალისტთა პარტია ეროვნულ ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების უპირველეს და უმთავრეს საკითხად აცხადებდა. ყოველივე სხვას იგი ამ ამოცანას უქვემდებარებდა. სოციალ-ფედერალისტები არ უარყოფდნენ დაპირისპირებული კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსებობას 1905-1907 წლების საქართველოში, მაგრამ ყველა კლასის ამოცანად საერთო მტრის - რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეროვნული ბრძოლა მიაჩნდათ და ცარიზმის დამხობამდე ჩაგრული ერის მთელი ძალების ერთობას მოითხოვდნენ.

არსებითად, ამით უნდა დამთავრებულიყო ეროვნული საკითხის ირგვლივ მსჯელობა, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის მთელი ნააზრევის სპეციფიკა ის გახლავთ, რომ ყველა პრობლემას, რასაც კი მისი კალამი ეხება, მხოლოდ ქართველი ერის ძირეული ინტერესებიდან გამომდინარე აშუქებს. ამ თვალსაზრისით იგი ილიას შემკვიდრება და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი. სწორედ ასეა დაწერილი არჩილ ჯორჯაძის მონოგრაფიებისა და წერილების სერია, რომლებსაც თვით არჩილ ჯორჯაძემ „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ უწოდა, მაგრამ თამამად შეიძლება „ისტორიაც“ გვეწოდებინა, რამეთუ ავტორი მართლაც რომ პირუთვნელი ჟამთააღმწერლის სიღინჯით იკვლევს აწლიან პერიოდს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისას - დაწყებული საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან, ვიდრე 1905-07 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი ხანით. უნდა ითქვას, რომ კოლოსალური შრომაა ჩატარებული: ნუ დაგვავიწყდება, ამ საქმეში არჩილ ჯორჯაძეს არავითარი ტრადიცია არ დახვედრია და არც წინამორბედი ჰყოლია, თვითონ უზღებოდა პირველწყაროების შოვნა, ძველ ჟურნალ-გაზეთებში ქექვა და საჭირო მასალების მისხალ-მისხალ მოპოვება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არჩილ ჯორჯაძე ამ დროს უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, მიღებული შედეგები ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს.

თუ „მასალებს ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ დაწერისა და გამოქვეყნების პრინციპით კი არ დავალაგებთ, როგორც ეს არჩილ ჯორჯაძის ხუთტომეულშია გაკეთებული, არამედ დროულ-ისტორიული ქრონოლოგიით, ასეთ სურათს მივიღებთ:

ნაწილი პირველი („თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში“. „როგორ მოხდა?“ „წარსულის გაკეთილი“. „დოკუმენტების მიხედვით“. თემატურად ამავე რკალს მიეკუთვნება მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“).

ნაწილი მეორე: („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, 1852-1863 წ; „დროება“, „მნათობი“, „კრებული“).

ნაწილი მესამე: („მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“. ამავე წრისაა სპეციალური გამოკვლევები - „პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე“ და „ნიკო ნიკოლაძე“).

დასასრულ, ნაწილი მეოთხე: („რევოლუციის შემდეგ“, „კრიზისის გარშემო“, 1909-1910 წელი, „გარდამავალი ხანა“, „ჩვენი სატკივარი“, „მავნებელი სენი“, „ავადმყოფი საზოგადოება“, „პრესა და საზოგადოება“, „მუსაიფი“ და სხვა).

მეოთხე ნაწილის წერილებში დასმული და განხილული პრობლემების ის წყება, რაც ქართული (და არამართო ქართული) საზოგადოებრივი აზროვნების დღის წესრიგში იდგა, უშუალოდ 1905-07 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ. აქ ჩვენ კვლავ ვნახავთ ფართოდ გაშლილ პოლემიკას ნოე ჟორდანიასთან ეროვნული საკითხების ირგვლივ, მხურვალე მოწოდებას იმის თაობაზე, რომ ერის ინტერესებისათვის, უაზრო პარტიული კინკლაობა დროებით მაინც გადაედოთ განზე, გაერთიანებულიყვნენ და მხოლოდ თავისუფლების მოპოვების შემდეგ გაერკვიათ სადავო საკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში, რისხვას ვერ აიცილებთო ქართული მიწისას. ნუ დაგავიწყდებათო, იძლეოდა გაფრთხილებას არჩილ ჯორჯაძე, რომ ამ „მიწის შვილნი ვართ, მიწას გაუუწიოთ ანგარიში, დრო მოვა, მიწას მივებარებთ!“

ამაოდ!

ეს ღალადისი შესმენილი არ იქნა.

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ ფუნდამენტალურ ნაშრომში, რომლისთვისაც საბოლოო, დასრულებული სახის მიცემა ვერ მოასწრო, არჩილ ჯორჯაძე იძლევა მრავალფეროვან სურათს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიისას XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით. აზროვნების ისტორიისას, რაიც იმდროინდელი პრესის ფურცლებზე აირეკლა უპირატესად.

„მასალების“ ციკლს ხსნის „თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება XIX საუკუნეში“, კერძოდ, „როგორ მოხდა?“ აქ ჩვენ შევხვდებით ვრცელ საუბარს XIX საუკუნის ქართველ ინტელიგენტთა პირველი თაობის (ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე...)

სულიერ დუალიზმზე, როდესაც იგი, ინტელიგენტი, ერთის მხრივ ემონებოდა გარემოებას, მეორეს მხრივ კი თავისუფლებას ეძებდა, ოცნებით იკვებებოდა. ქართული ინტელიგენტური აზროვნება თითქო გაბრუნებული იყო, ძალა, რომელიც მის წინაშე იდგა, უჩვეულო ზომისა აღმოჩნდა, ამიტომ 1832 წლის შეთქმულება იმთავითვე, გამცემლობის გარეშეც, საფუძველშივე იყო განწირული. ჩვენი ინტელიგენციის პირველი ნაკადის სულიერი დრამაც, ა. ჯორჯაძის აზრით, სწორედ აქ იმალებოდა. ინტელიგენტი იმას ცდილობდა, რომ სინიდისი და ნება როგორმე შეგნებასთან მოერიგებინა, მაგრამ მათი მთავარი საბრძოლო ძალა და მთავარი იმედი მხოლოდ ოცნება და სურვილები გახლდათ. შეთქმულების მარცხის შემდეგ, ქართველი ინტელიგენციის სინიდისი ისევ შეიბოჭა, გულში კვლავ შიში, კრძალვა და ორჭოფობა შეიპარა. იმედი ხსნისა დაიკარგა და ხელმეორედ დაიწყო პროცესი შეგუებისა და მოთავდაბლებისა, სისტემად იქცა ორაზროვნება და ორსახოვნება. რაც ყველაზე უარესი იყო, ინტელიგენციამ აქაც იპოვა გამოსავალი. ეს გამოსავალი იყო ნიჰილიზმი, რაიც ამა თუ იმ სახით იჩენდა ხოლმე თავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე.

მაგრამ იყო გამონაკლისებიც: ამ გამონაკლისთა რიცხვს, არჩილ ჯორჯაძის რწმენით, ეკუთვნოდა დიმიტრი ყიფიანი. საერთოდ, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძესთან და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა „მასალებისა ინტელიგენციის ისტორიისათვის“. პირველად მისით დაინტერესებამ თავი იჩინა პუბლიცისტურ წერილში „წარსულის გაკვეთილი“. ხსენებულ წერილამდე ქართველმა საზოგადოებამ, რაღა თქმა უნდა, იცოდა ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლი და მნიშვნელობა, გავისხენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე წერილები, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის დაშსახურება ის გახლავთ, რომ მან პირველად სცადა დიმიტრი ყიფიანის პიროვნების შინაგანი, ფსიქოლოგიური ახსნა. მაინც რით მიიქცია დ. ყიფიანმა პუბლიცისტის ყურადღება? რატომ გაიხსნა მისი ბიოგრაფია და ფსიქოლოგიური პორტრეტი დაუჩინებელი კვლევის საგნად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა „წარსულის გაკვეთილით“ შეიძლება.

ა. ჯორჯაძის აზრით, XIX საუკუნის პირველი თაობის ინტელიგენტებმა „მამულიშვილობას“ „ერთგული ქვეშევრდომობა“ გადააბეს და ამ შეუღლებას მისცეს რაინდული ხასიათი. „მამულის“ ინტერესების დაცვისათვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ, ერთგულ-ქვეშევრდომობის გრძნობა კი მუდამ ცხოვლად ჰქონდათ

გულში. ეს ტრაგიკული ეპოპეა, რომელსაც XIX საუკუნის ქართველი ერის ისტორია ჰქვია, იმ გულუბრყვილო რაინდობაზე გახლდათ აგებული, „ხოლო ამ ეპოპეის პირველი დიდი მომქმედი პირი დიმიტრი ყიფიანი იყო“; - წერს არჩილ ჯორჯაძე და იქვე დასძენს: „მაგრამ დიმიტრი ყიფიანი სრულიად არ იქნებოდა საინტერესო, ამ ერთგულების მეტი სხვა რომ არ ყოფილიყო მის ცხოვრებაში აღსანიშნავი. დიმიტრი ერთგულებას სერიოზულად უყურებდა. მის თვალში ეს იყო საშუალება ქართველი ერის დაცვისა. და მან მონიღობა კიდევ დაცვა ერთგულების საშუალებით, მაგრამ როდესაც ამგვარი მისი მოქმედება არ შეიწყნარეს, უკან არ დაიხია და „ფორმულის“ გადარჩენის გულისთვის „მამულს“ არ უღალატა და მსხვერპლადაც შეეწირა სამშობლოს“. ამ თეზისს, ცოტა მოგვიანებით, ა. ჯორჯაძე საგულდაგულოდ გაშლის ვრცელ, დოკუმენტურ-ბიოგრაფიულ წიგნში „დიმიტრი ყიფიანი“, რომელიც 1913 წლის „სახალხო გაზეთის“ №794-813-ში დაისტამბა და რომელმაც საზოგადოების ჭეშმარიტი აღტაცება გამოიწვია. მანამდე კი აი, რას სწერს გრიგოლ რობაქიძეს (ქვეყნდება პირველად):

„ისევ ჩავიკეტე კარი და დაუწყე ჩხრეკა დიმიტრი ყიფიანის ქალაქებს. ახლა უკვე დამთავრებულია ჩემი შრომა და იბეჭდება კიდევ „სახალხო გაზეთში“. თქვენი ბარათები რომ წაეიკითხე (ილია ჭავჭავაძის შესახებ, ჩემდამი მოძღვნილი - გითვლით გულწრფელ მადლობას), ვიგრძენ, რომ თითქმის ერთი და იგივე აზრი მუშაობდა თქვენსა და ჩემს გულში და ამ აზრმა სხვადასხვა ფორმით ერთიდაიგივე გამოხმაურება ჰპოვა. თქვენ ილიას ფსიხიკას ძლიერ ახლოს მიუღეკით. დიდად მენათესავება ის აზრი, რომ ილიას სული „დაავადებული“ იყოს საქართველოს „სახის“ დაავადებით და რომ საზოგადოდ ილია, თავის ფსიხიური განცდით, შემეცნებელი იყო ამ თითქმის დაკარგული „სახისა“. იგივე ითქმის დიმიტრი ყიფიანზეც, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ილია შეცნობილად ენათესავება ამ „აზრ-ოცნებას“, დიმიტრი კი სრულიად შეუმცნობლად. ამიტომ დიმიტრი მიმჩნია მატარებლად ამ „სახის“ შეუმცნობელი ნებისა. ჩემს წერილებს თუ წაიკითხავთ, ნახავთ, რომ ეს პრობლემა მაინტერესებდა უწინარეს ყოვლისა. მხოლოდ არ ვიცი, საკმარისად ნათელვყავი იგი თუ არა. ამგვარად საკითხის დაყენება ბევრს არ დააკმაყოფილებს. უნდათ, რომ დიმიტრი უსათუოდ მოწინავე რადიკალი იყოს. არ არის რადიკალი, არც ლიბერალია, უკიდურესი კონსერვატორია - აზნაური და მონარქისტი, ასე რომ, ეს დიადი თვისება რომ არ ჰქონოდა,

ზემოთ რომ ვლაპარაკობდი, დიმიტრის ცხოვრებაში არა იქნებოდა რა მაინცა და მაინც საინტერესო. ხოლო ცენტრს თუ ამ ფსიხოლოგიურს პრობლემაზე გადავიტანთ, სულ სხვა ნათელი ეფინება ყოველივეს - ლიბერალ-რადიკალობას მნიშვნელობა ეკარგება და ჩვენ მოწმენი ვზღვებით ფსიხოლოგიურ საიდუმლოებისა, სადაც შეუმცნობელი ჰჳარავს შეცნობილსა და ნება ამარცხებს აზრსა. ძლიერ მოხარული ვიქნები, თუ მისაღები გახდება მკითხველისათვის ის დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც ვაწვდი“.

გრიგოლ რობაქიძის პასუხი ასეთი გახლავთ:

(ნაწყვეტი).

„21 იანვარი, 1913

პეტერბურგი

ძვირფასო არჩილ!

მაღლობა ბარათისათვის. მე თვითონ ვფიქრობდი თქვენს კარჩაკეტვას და თქვენს გაჩუმებასაც მით ვხსნიდი. ესეც არ იყოს, გულნატკენი არასოდეს არ ვიქნები თქვენგან ამ მხრით: პიროვნების განცდა და მისი ცდა, თქვენც კარგად უწყით, სულ სხვა რამით ისაზღვრება. ვკითხულობ „დიმიტრი ყიფიანი“. თქვენი აზრი ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინ მაქვს გაცნობილი. როცა დამთავრდება გაზეთში ეს შრომა, სიამოვნებით მოგწერთ ჩემს აზრს. მომწონს თქვენი აზრი: „დიმიტრი მიმანია მატარებლად ამ „სახის“ შეუმცნობელი ნებისა.“ საერთოდ, დიმიტრი ნების მომენტის პიროვნებაა და გმირულს ტიპს ეკუთვნის. ეს ტიპი ისტორიაში განსაკუთრებულია. შესაძლოა სრულებით არ ვეთანხმებოდეთ გმირის მსოფლიო მხედველობას, მაგრამ, ამასთანავე, ისიც შესაძლოა, რომ ასეთი ადამიანი ძალზე გვატყვევებდეს. აზრი, სიტყვა ასეთ პიროვნებაში სულ სხვა ძალას ჰპოულობს. არსებობს „პირადი ენერჯია“, გამოუთქმელი, თანდაყოლილი, სასწაულმოქმედი, რაც შეეხება დიმიტრის რადიკალობას, აქ უთუოდ სიმართლემ უნდა დასდოს მსჯავრი: თავის მოტყუებას ძვირად დაგიჯენს ისტორია. ჭეშმარიტება, - აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავისი სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და მაშასადამე, არც არსებობისა“....

თქვენი გრიგოლ რობაქიძე

აქვეა მოსაყვანი ერთი პაწია ბარათი, რომელსაც ხელს აწერს მაშინ ახალგაზრდა კაცი, შემდგომში კი სასიქადულო მეცნიერი - აკაკი შანიძე:

„ღრმად პატივცემულ ბატონო არჩილ:
მსურს ორიოდ სიტყვით მოგმართოთ და გთხოვთ, ყური
მათხოვოთ.

ქება შეგასხათ, რა საჭიროა: თქვენ ახლა არ გამოდიხართ
სამწერლო ასპარეზზე. ეს ერთი, და აგრეც რომ იყოს, ჩემი
მოწონება ვის რას შემატებდა, ან დაწუნება ვის რას მოაკლებდა?!

არა! მე მინდა მხოლოდ მოგახსენოთ ღრმა მადლობა იმ
სიამოვნების გამო, რომელსაც ვგრძნობ ხოლმე თქვენი წერილების
წაკითხვის დროს. დიმიტრი ყიფიანი, გულახდილად უნდა გითხრათ,
მხოლოდ ახლა გავიცანი თქვენი წერილების წყალობით. წრფელი
გული, ნათელი აზრი, საღი და მიუდგომელი მსჯელობა, მაი, რა
მახარებს ყოველთვის თქვენს ნაწერებში.

გმადლობთ, დიდად გმადლობთ!
თქვენი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის მოსურნე და ღრმად
პატივისმცემელი

აკაკი შანიძე“

ამით ვამთავრებ „დიმიტრი ყიფიანზე“ მსჯელობას. დავუმატებ
მხოლოდ, რომ იგი დოკუმენტურ-ბიოგრაფიული რომანის თავკიდურია
ჩვენს ლიტერატურაში, ჭეშმარიტად ევროპულ დონეზეა დაწერილი
და თავისი მასშტაბურობით შტეფან ცვაიგის და ანდრე მორუას
საუკეთესო წიგნებს მოგვაგონებს.

ბეცნიერება

აკოლონ სილაბამი

იამბიკოს სტრუქტურისათვის

1. იამბიკო, როგორც ქართული სასულიერო პოეზიის ყველაზე გავრცელებული ფორმა, დაახლოებით 8-ე საუკუნიდან მკვიდრდება. ცნობილი თეზისი იმის შესახებ, რომ მისი გენეზისი ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიას უკავშირდება, მხოლოდ მცირედენ დაზუსტებას საჭიროებს: იგი არის პირდაპირი იმიტაცია (და არა თუნდაც ოდნავი ვადამუშავება ქართულ ნიადაგზე) პირველწყაროს შესაბამისი ფორმისა, რის გამოც ქართული ვერსიოფიკაციისთვის პრინციპულად არადაზნასათებელი რამდენიმე თვისება აქვს.

ბერძნული ენის ფონოლოგიურ სისტემაში მესამე საუკუნისთვის განხორციელებულმა ცვლილებებმა ბიძგი მისცეს შესაბამის პროცესს ლექსთწყობაში, რომელიც დასრულდა მეექვსე საუკუნისათვის ახალი, სილაბური ტიპის (აქცენტური მანასიათებლებით), სისტემის ჩამოყალიბებით. კონკრეტული სალექსო გარდაქმნებისათვის ბაზას წარმოადგენდა ძველი, კვანტიტატიური, მეტრიკა. თუმცა ბევრი რამ იქიდან, ბუნებრივია, დაიკარგა, მაგალითად, ვერ დამკვიდრდა მოდერნიზებული ჰექსამეტრი. სამაგიეროდ, ზოგიერთმა სხვა ფორმამ ადვილად იპოვა ადგილი, მაგალითად, ტროქეულმა ტეტრამეტრმა მოგვცა 8+7 სქემის 15-მარცვლელი (ე.წ. “პოლიტიკური ლექსი”), ხოლო იამბურმა ტრიმეტრმა – 12-მარცვლელი ცეზურით 5 ან 7 მარცვლის შემდეგ.

ქართული იამბიკოს ფორმა ამ უკანასკნელის პირდაპირ გადმოღებას წარმოადგენს (ბიზანტიური 12-მარცვლელის შესახებ იხ. 1). ეს არის 5-სტრიქონიანი ლექსი (ან სტროფი), ყოველ სტრიქონში 12 მარცვლით, ცეზურა 5 ან 7 მარცვლის შემდეგაა.

შეუსაბამობას ქართული ლექსთწყობის კანონებთან ის ქმნის, რომ ქართულში იამბიკოს სტრიქონის ყველაზე გავრცელებული სახე 5+7 არღვევს წესს, რომლის თანახმადაც ორწევრიან აგებულებაში პირველი წვერი მეორის ტოლია ან მასზე გრძელია; კერძოდ, ბინარულ რიტმულ აგებულებათა ის ქვესისტემა, რომლის პირველი წვერი 5-მარცვლიანია, ასე გამოიყურება: 5+5, 5+4, 5+3, 5+2, 5+1, 5+0; როგორც ვხედავთ, 5+7 აგებულებას აქ ადგილი არ აქვს. მეორე შეუსაბამობა ისაა, რომ რიტმული აგებულებები ქართულში არ იცნობენ 7-მარცვლიან უმცირეს შემადგენელს (ქართული ლექსის ეს წესები ჩამოყალიბებულია – 2, გვ.30-35; 3; ზოგიერთი გამონაკლისის ახსნა იხ. 4, გვ. 91).

საბოლოოდ, იამბიკომ ვერ პოვა ადგილი ქართული ლექსთწყობის სისტემაში. რაც შეეხება პოეტურ პრაქტიკას, აქ იგი დარჩა სპეციფიკურ ფორმად საეკლესიო პოეზიის შიგნით; სხვა, სპორადული, შემთხვევები შემოიფარგლება იმით, რომ “საერო” პოეტები მათ მიმართავენ განსაკუთრებული საჭიროებისას, როდესაც თემატიკა სასულიეროა ან მასთან ასოცირებული — მაგალითად, ეპიტაფიების ჟანრში (იხ. 5, გვ. 24-29).

2. იამბიკოს სტრუქტურის სპეციფიკურობამ გარკვეული კვალი დააჩნია ამ ფორმის ფუნქციონირების ისტორიას. აქ სიტუაცია ასეთია: ერთი მხრივ, ცნობილია და გამოყენებადი მისი კანონიკური აგებულება, მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირია დარღვევათა შემთხვევები, — თქმული ეხება სტრიქონის სიგრძესაც, ცეზურის ადგილსაც. კერძოდ:

ა) ჩვენ გვაქვს შემთხვევები 12 მარცვლის ადგილზე 10-ის, 11-ის, 13-ის, 14-ის და ა.შ. გამოჩენისა;

ბ) ჩვენ გვაქვს შემთხვევები ცეზურის პოზიციის გადატანისა მე-6 მარცვლის შემდეგაც, მე-8 მარცვლის შემდეგაც, მე-9 მარცვლის შემდეგაც. შედარებისათვის: საკუთრივ ქართული ლექსთწყობის სისტემის პოეტური რეალიზებისას — შაირის ორივე სახეობის ან ფისტიკაურის გამოყენებისას — ავტორები, რუსთველიც და ჩახრუხაძეც, არავითარ პროსოდიულ გადახრებს არ უშვებდნენ; ამ შემთხვევაში ავტორიც და მკითხველიც ქართული სალექსო მეტყველების მატარებელია.

შესაბამისად, იამბიკოთი შესრულებულ ტექსტებში ორგვარი სიტუაციაა: ჩვენ აღმოვაჩინეთ, ერთი მხრივ, ვერსიფიკაციულად ზუსტ და კრისტალიზებულ ნიმუშებს — მაგ., მიქელ მოდრეკილის “უბიწოფთა მით ვნებითა, ქრისტე ღმერთო” ან დემეტრე მეფის “შენ ხარ ვენახი” (ორსავე შემთხვევაში, 5+7 სტრუქტურის სტრიქონი), მეორე მხრივ, სქემიდან გადახრილ ნიმუშებს, — მაგ., იოანე შავთელთან “გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი”-ში, თვით ისეთ დახვეწილ ავტორებთანაც, როგორცაა ეფრემ მცირე.

რადგანაც ეს სიტუაცია ერთდროულადაა წარმოდგენილი ერთსა და იმავე სინქრონულ ჭრილში, უნდა გამოირიცხოს თეორიულად შესაძლებელი დასკვნა იმის შესახებ, რომ იამბიკოს სტრუქტურა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩამოყალიბებულია და გვაქვს ტენდენციები, რომლებიც შემდგომ შექმნიან სტაბილურ სურათს. მისაღები ჩანს შემდეგი დასკვნა: იამბიკოს სტრუქტურა თავიდანვე ცალსახად ჩამოყალიბებული იყო, მაგრამ იგი, როგორც არაქართული ფორმის იმიტაცია, არ იძლეოდა ისეთ წესებს, რომლებიც ბუნებრივი იყო ქართულისათვის, და ქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ მისი სტრუქტურა გააზრებულიყო ინდივიდუალურად (იხ. 4, გვ. 87-88).

თქმულის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გადახრების ანალიზისას ხშირად აღმოჩნდება ხოლმე შეგნებული ბუშაობის კვალი, რომელიც

მიუთითებს ავტორთა მცდელობაზე, დაუახლოვონ ეს ფორმა ქართული ლექსის ბუნებრივ აგებულებებს.

ასე მაგალითად, საკმაოდ ხშირია 7+7 სტრუქტურის გამოჩენა, განსაკუთრებით, ბოლო სტრიქონის პოზიციაში; ასევე გვაქვს 5+5 სტრიქონიც. საინტერესო მაგალითს გვაწვდის ამ მხრივ გიორგი მთაწმინდელის ანდერძი პავლეს ეპისტოლეს თარგმანისა “ქება პავლესი” (ტექსტი იხ. 6, გვ. 580-581) – იგი პრაქტიკულად მხოლოდ ამ აგებულების სტრიქონებისგან შედგება, სულ რამდენიმეჯერ წარმოდგენილი 5+7, 7+5 და სრულიად ამორფული 12-იანი სტრუქტურის გვერდით; ნიმუში:

აჰკედ სამ ცამდე/ ღმრთივ სწავლულ იქმენ
პირი ბრძენთა მათ/ ზუავთანი დაჰკმენ
აცხოვნენ კაცნი/ იქსენ სოფელი
ვითარცა მზე რაჲ/ ალავესე სოფლით
ლოცვით მადლობა / ღმრთისა მოგუმადლე
ეშმაკთა მტერთა/ საბრკენი დაჰქსენ.

კიდევ უფრო საინტერესო ნიმუშს გვაწვდის “გალობანი გიორგისნი”, რომლის ავტორობა გრიგოლ ხანძთელს მიეწერება: აქ წარმოდგენილი რვა გალობიდან შვიდი იამბიკოს კლასიკურ სახეს მისდევს, მაგრამ მერვე თავისი თითო ხუთსტრიქონიანი სტროფიდან ყოველში ახალ ფორმას გვაწვდის, რომლის ორიგინალობას ერთსა და იმავე ადგილზე ნახმარი 7+7 და 5+5 განაპირობებს:

ქალწულის დედოფლისა მადლის დედისა ღმრთისა 7+7
მისა მიმართ შენ შესწირე ძღვენი 5+5
მართლად აღსარებისა მ ახოვანო 7+5
სიმდიდრე იგი ნიჭთა ძისა მისისა 5+7
მიიღე და განუყავ მაქებელთ შენთა. 7+5

ყველა ეს შემთხვევა საყურადღებოა იმის გამო, რომ გვიჩვენებს ანარეკლს ქართული ლექსთწყობის გავლენისა და ავტორთა შეგნებულ პოზიციაზე მიუთითებს. ამ შემთხვევებში ავტორები სწორედ ქართული ვერსიფიკაციის კანონების დაცვას ცდილობენ, ლაპარაკია წესზე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: ბინარულ სტრუქტურებში პირველი წევრი მეორეზე მოკლე არ უნდა იყოს; უფრო მეტიც, ისინი ითვალისწინებენ ძველ ქართულ ლექსში ყველაზე უფრო გავრცელებულ შემთხვევას, რომელიც გულისხმობს ორი ტოლი სეგმენტისგან შემდგარ აგებულებებს (ასეთია მაღალი შაირისა და ფისტიკაურის სტრუქტურები).

ამ მხრივ ყველაზე საინტერესო მაგალითს გვაწვდის ეფრემ მცირე (ჩვენ გვქონდა საშუალება, გვემსჯელა ამის შესახებ – იხ. 4, გვ. 95-96). ეს არის მაგალითი იმისა, რომ სასულიერო მწერლობის წიაღში მიმდინარებდა პროცესი იამბიკოს სტრუქტურის არა მხოლოდ გააზრებისა, არამედ მისი გადაკეთებისა და ახალი ფორმის შიქმნისა ჩართული ოპოზიციონალიზმის მიხედვით.

პრინციპების მიხედვით. ევრემ მცირე ქმნის ფორმას, რომელშიც დაცულია სტრიქონის 12-მარცვლიანობა, მაგრამ უარყოფილია სტრუქტურა, ქართულისთვის უჩვეულო 7-მარცვლიანი შემადგენლისგან აგებული; ამ ახალ ფორმას აგებს სამჯერ გამეორებული 4-მარცვლიანი სეგმენტი, რომელიც ბუნებრივია ქართული ლექსისთვის (მასზეა აგებული, მაგალითად, ძალადი შაირის სტრუქტურა). ევრემ მცირეს 60-სტრიქონიანი იამბიკო ადამის ზესთა ქმნილო პრაქტიკულად მთლიანად ამ სახის სტრუქტურებისგანაა აგებული (გამონაკლისი 9 სტრიქონიდან ზოგისთვის ამკარა კონიექტურის საჭიროება), ნაწყვეტი (ტექსტი იხ. 7, გვ. 363):

ჴ ადამის/ ზესთა ქმნილო/ დამცუეღ ხატის
ფრთე ოქროვან/ სასოებით/ ენოსისებრ
რომლისათვის/ ნოე ყოფაჲ/ ითქუმოდეს თუ
ისაკისებრ/ აბრაამის/ მსხუერპლ ხარ დაკლულ.

ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ, ვერ ერთი, ევრემ მცირისთვის ეს შეგნებული ექსპერიმენტი, მეორეც, ამ ექსპერიმენტმა მოგვცა იამბიკოს ახალი ფორმა. ევრემ მცირე მას სხვა თხზულებებშიც მიმართავს; რაც საყურადღებოა, ამ თხზულებების სპეციფიკა — კიდურწერილობა — ზუსტად განსაზღვრავს 4+4+4 აგებულებას და გამორიცხავს სეგმენტაციის სხვა შესაძლებლობას. ასეთია, მაგალითად, “იქმნა ემბან სულის დავით და ძალ ნიშთა”:

ათნი ესმ/ სრულ რიცხუედალ/ ლამპრად გაქუნდინ
ნაწილ და გუამ/ იყვნელ შენდა/ ანეულნი
მათნი ვეჯღლებ/ ლოცვათა ზუამ/ ძალ მტერთ უმიშ
ქებით ბრძენსა/ შგალობდი/ აღიტყუ ესრეი
იქმნა ემბან/ სულის დავით/ ლა ძალ ნიშთა.
(ტექსტი იხ. 6, გვ. 582)

საინტერესოა ისიც, რომ ევრემ მცირისეულ ფორმას უკვალოდ არ ჩაუვლია, მას ვხვდებით მე-13 ს-ში პეტრე გელათელთან, ამასთან — აქაც იმგვარივე სახის კიდურწერილობა (ამ შემთხვევაში — “კიბელ ვინა ცად მიავლენ, წარმიმართე”) განსაზღვრავს 4+4+4 სეგმენტაციის რეალურობას:

ღასთა დასცამ/ იყვან ზენა/ ილუწი რაბამ
მგზა ეგვი/ მათ აღვლად ფრკიშ/ მისლვად ღმრთისა
ბაძვად ამცენ/ ლა ქმნად პირველ/ რათა დაშუწრ
იმსთვე აწცა/ ასწრვე მართემ/ აღსავალთაჲი
კიბელ ვინაჲ/ ცად მიავლენ/ წარმიმართი.
(ტექსტი იხ. 7, გვ. 394)

3. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვვაქვს შემთხვევები, რომლებიც გვიჩვენებენ იამბიკოს სტრიქონის ამორფულობას, იამბიკოსთვის დადგენილ სტრუქტურებად

უნდა ჩაითვალოს 5+7 და 7+5. ისმის კითხვა: რომელია ამათგან ძირითადი სახეობა და რომელი – ფაკულტატიური ალტერნანტი?

იამბიკოს სტრიქონის კანონიკურ აგებულებად უნდა ჩაითვალოს 5+7.

ამაზე, პირველ ყოვლისა, ის მიუთითებს, რომ ასე და არა სხვაგვარად ჰქონდათ აღქმული 12-მარცვლიანი სტრუქტურა იამბიკოს ავტორებს. ზემოთ უკვე იყო ნახსენები, რომ სასულიერო პოეზიაში მიმდინარეობდა იამბიკოს ფორმის, კერძოდ მისი სტრიქონის სტრუქტურის, გააზრების პროცესი. უფრო მეტიც, იამბიკოს ნიმუშებში ჩვენ გვაქვს ისეთი სპეციფიკური შემთხვევები, რომლებიც აიძულებენ ავტორს, გააზროს და ტექსტში თვითონ წარმოადგინოს სტრიქონის აგებულება, კერძოდ შემადგენლებად მისი სეგმენტაცია. ეს შემთხვევები სწორედ 5+7 სტრუქტურას გვაძლევენ.

ლაპარაკია ისეთ აკროსტიქებზე, როდესაც თავიკიდური ასოები სტრიქონის ტექსტის შიგნითაც უნდა ჩაჯდეს, რაც ბუნებრივად მოითხოვს სტრიქონის დაყოფას. ეს დაყოფა იამბიკოს ავტორებთან, ჯერ ერთი, ემთხვევა სტრიქონის რიტმულ შემადგენლებად სეგმენტაციას, მეორეც, გვიჩვენებს 5+7 აგებულებას.

ასეთია “ორპირად კიდურწერილის” შემთხვევა. აქ ჩვენ ვხედავთ თავიკიდურა ასოებს სტრიქონის პირველი მარცვლის პირველი ასოს ადგილზე და მეექვსე მარცვლის პირველი ასოს ადგილზე, რაც 5+7 სეგმენტაციას ქმნის. მაგალითად, გაიოზ არქიერის აკროსტიქი “ვესტატისთვის”:

მესტატის თავი (5) თავს ადამანტის წარხდა (7)

ზინადგან აქა (5) იპოვების საკვირველ (7)

სიმტკიცე სიბრძნე (5) სხვანი მიდმოებანი (7)

ტრფიალებითნი (5) თმით ზესთ გონების მმტვიფრი (7)

ბლთა გულისთა (5) სავსე მმცხადე ნიადგა. (7)

ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის, რადგანაც იგივე ხდება, როდესაც საქმე გვაქვს “სამიან კიდურწერილთან”: პირველი მარცვლის პირველი ასო – მეექვსე მარცვლის პირველი ასო – მეთორმეტე მარცვლის ბოლო ასო; ამ შემთხვევაშიც გვაქვს 5+7; მაგალითად, “გაქებ მამაო იოანე”:

ბანჰსწმნდი აქა რა (5) მამაო, სხვა მოსეი (7)

ბლნი რა გულსა (5) ბლატყინე ზესთ-საღმრთ(ი) (7)

ქმნილ ღმრთისა მიერ (5) მოძრაობითა წმინდა (7)

მლვა მსოფლიო (5) ამაონი განჰსთხიედნ (7)

ბრძენ განსაკვირველ (5) ოქროვან იოანე. (7)

იგივე 5+7 ცალსახად გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც “ოთხიანი კიდურწერილია”: პირველი მარცვლის დასაწყისი – მეხუთე მარცვლის ბოლო – მეექვსე მარცვლის დასაწყისი – მეთორმეტე მარცვლის ბოლო. მაგალითად, იოანე პეტრიწის აკროსტიქი (“არ სიფუაროლისათვის სოფლისა”):

ამას მართაჲ (5) იწყე ბრძენო გონებას (7)
რა თვან არაბ (5) სოფელი მოიძულე (7)
საწუთროს ვითარ (5) არ მყოფსა მყოფად ნუ ჰყო (7)
იმას ახედე (5) ომით-მყოფსა უფროს მართალ (7)
შოვლითურთ მიხვალ (5) საუკუნუსა მზისა (7).

ის, რომ 5+7 კანონიკური აგებულებაა (ყოველ შემთხვევაში, ასე ჰქონდათ გააზრებული ავტორებსა და გადაწერებს), დასტურდება სხვა არგუმენტებითაც.

ა) როგორც ცნობილია, იამბიკოებიც და ე.წ. სტროფული პოეზიის (პ. ინგოროყვას ტერმინოლოგიით, “საგალობელთა მარცვლელი”) ნიმუშებიც გრაფიკულად ძირითადად ფორმდებოდა პროზის სახით – გაბმით, სტრიქონებად და შემადგენელ მონაკვეთებად დანაწევრების გარეშე. ამავე დროს, დანაწევრების ადგილების აღსანიშნად გამოიყენებოდა წერტილები – ე.წ. მეტრული პუნქტუაცია (6, გვ. 591). ჩვენთვის საგულისხმოა ის შემთხვევები, როდესაც იამბიკოებში აღინიშნებოდა სტრიქონის დაბოლოება, ხოლო სტრიქონის შიგნით სეგმენტაციას აღნიშნავდნენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სტრიქონი წარმოდგენილი იყო 5+7 სტრუქტურით; თუ სტრიქონი 7+5 (ან სხვა სტრუქტურას) წარმოადგენდა, წერტილი 7-ის შემდეგ არ დაისმოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრადიცია აღიქვამდა მხოლოდ 5+7 სტრუქტურას, ხოლო 7+5 (და სხვა) შემთხვევებს განიხილავდა როგორც დაუნაწევრებელ (ან ნებისმიერად დანაწევრებად) 12-მარცვლელს. მაგალითისთვის (იხ. 6, გვ. 592), მიქელ მოდრეკილის კრებულის ხელნაწერში წარმოდგენილი “იამბიკონნი თქუმულნი იოანე მინჩხისანი” ასე გამოიყურება (ნაწყვეტი):

“განუკუეთელი. განიკუეთა ქუეყანაჲ და დაეფლა აბელი რომელ მოიკლა ძმისა კელითა. შეიწყვეა ქუეყანაჲ. ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი იკურთხა მის წილ. აწ და უკუნისამდე”.

წერტილების დახმარებით თუ დავაღაგებთ ამ ხუთსტრიქონიან სტროფს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

განუკუეთელი/ განიკუეთა ქუეყანაჲ	5+7
და დაეფლა აბელი რომელ მოიკლა	12
ძმისა კელითა/ შეიწყვეა ქუეყანაჲ	5+7
ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი	12
იკურთხა მის წილ/ აწ და უკუნისამდე	5+7.

ბ) ყურადღებას იმსახურებს იმ გვიანდელ ავტორთა პოზიციაც, რომლებ-ბისთვისაც სასულიერო პოეზია, ჟანრობრივადაც და ფორმალურადაც, უჩვეულო და უცნობი მოვლენაა. როდესაც სპეციფიკურ და გამონაკლის შემთხვევებში (იხ. ზემოთ) ასეთი ავტორები მიმართავენ იამბიკოს ფორმას, ისინი, ბუნებრივია, უნდა დაეყრდნონ არა თავიანთ გამოცდილებას და პრაქტიკას, რომელიც მათ

არ აქვთ, არამედ მათთვის ცნობილ ინფორმაციას. გარდა ამისა, ამ დროს ფორმა, რომელსაც ისინი ირჩევენ, მათთვის აპრიორულად არა მარტო უჩვეულოა, არამედ არასწორიც. ამ მხრივ საინტერესოა გრ. ორბელიანის მაგალითი: როდესაც მე-19 ს-ში, 1839 წ., იგი თავის შემოქმედებაში პირველად და უკანასკნელად მიმართავს იამბიკოს ფორმას – “ჩემი ეპიტაფია”, ირჩევს 5+7 სტრუქტურას. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ირჩევს 12 სტრიქონიდან პირველ 11-ში, მაგრამ ბოლო, მეთორმეტეში, გვაძლევს 4+4+4=12 სტრიქონს (sic!). საქმე ისაა, რომ უჩვეულო ფორმის აგებისას, ან ვერსიფიკაციული ნოვაციის განხორციელებისას ავტორები სწორად მოცემული ლექსის სწორედ ბოლო სტრიქონში იძლევიან ჩვეულებრივ, ან ნოვაციისთვის ამოსავალ (ე.ი. ისევ ჩვეულებრივ, მაგრამ წინა სტრიქონებში უარყოფილ) აგებულებას (ამის შესახებ იხ. 2, გვ. 82). ვერსიფიკაციული ინფორმაცია, რომელსაც გრ. ორბელიანი ამ შემთხვევაში გვაწვდის, ასეთია: მისთვის იამბიკოს სტრუქტურაა 5+7, მაგრამ ეს აგებულება არ არის ქართული ლექსის სტრუქტურა, ქართული ლექსის პოზიციებიდან, 12-მარცვლელი ბუნებრივად უნდა დანაწევრდეს 4-მარცვლიან შემადგენლებად.

ლიტერატურა:

1. P. Maas, Der byzantinische Zwölfisielber. Byzantinische Zeitschrift, Zwölfter Band, Leipzig 1903, S. 278-323.
2. ა. სილაგაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, თბილისი, 1987.
3. A. Silagadze, Das prinzipielle Schema des Zeilenbaus und der Verknüpfung von Zeilen im georgischen Gedicht. Georgica, Heft 8, Jena – Tbilisi, 1985, S. 40-44.
4. ა. სილაგაძე, ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბილისი, 1997.
5. ა. სილაგაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია როგორც სისტემა და ლიტერატურული ნორმების საკითხი, თბილისი, 2000.
6. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954.
7. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.

ალექსანდრე თვარაძე

„ამბავი ორმოცი ვეზირისა“

(რომელიც მოგვითხრობს ხვარაზმელი უფლისწულის და ქართველი მეფის ასულის თავგადასავალს)

წინამდებარე სტატიაში ვაქვეყნებ „ხვარაზმელი უფლისწულის და ქართველი მეფის ასულის ამბავს“, რამდენადაც ვიცი, ქართული მეცნიერებისათვის დღემდე უცნობს. ეს ხლაპრული ამბავი შედის ეგრეთ წოდებულ შეიხ-ზადას თურქულ კოლექციაში, რომელიც „ორმოცი ვეზირის ამბის“ სახელით არის ცნობილი. „ხვარაზმელი უფლისწულის და ქართველი მეფის ასულის ამბავი“ შესაძლოა უკვე XII საუკუნეში იყოს შექმნილი. თუმცა დათარიღების საკითხებს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხები, ამჯერად კი წარმოვადგენ საკუთრივ ამ აღმოსავლური ამბის სრულ თარგმანს. აღნიშნულ ამბავს, ტექსტის მიხედვით, სპარსეთის მეფეს მოუთხრობს მისი ერთ-ერთი ვეზირი:

„ერთი ხვარაზმელი უშვილო ხელმწიფე ნიადაგ იმას შესთხოვდა ზეცას – მემკვიდრე მიბოძეო. ყოვლის უმაღლესმა ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და უწყალობა ნათელი დღის უმშვენიერესი ვაჟი. ხელმწიფემ გაჟიშვილის შობა დიდი ზარზემით გადაიხადა. ამ დღის აღსანიშნავად ზოგ დიდებულს ქალაქები გადასცა სამართავად, კიდევ სხვებს უხვი საბოძვარი მიმადლა. ისე რომ, ყველანი მონაწილენი შეიქნენ მეფის დიდი ზეიმისა. შემდეგ ხელმწიფემ შეკრიბა თავისი სამეფოს ყველა ვარსკვლავთმრიცხველი და უბრძანა უფლისწულის ჰოროსკოპი შეედგინათ. ვარსკვლავთმრიცხველთა დაკვირვებანი ხელმწიფისათვის უსიამოვნო გამოდგა. მათ იწინასწარმეტყველეს ათასგვარი უბედურება და საფრთხე, რომლებიც უფლისწულს ოცდაათ წლამდე მოელოდა. ბოლოს

¹ თარგმანი შესრულებულია ინგლისურიდან. თვითონ ორიგინალის მოძიება ჩემთვის, სამწუხაროდ, შეუძლებელი აღმოჩნდა. „ხვარაზმელი უფლისწულის და ქართველი მეფის ასულის ამბის“ რამდენიმე ვერაულო თარგმანი არსებობს, თუმცა ყველა მათგანი შესრულებულია XVIII საუკუნესა ან XIX საუკუნის დასაწყისში. შემდგომ ეს ამბავი ცალკე არ გამოცემულა. ჩემს თარგმანს საფუძვლად დავედე ინგლისური ტექსტი, რომელიც ერთ-ერთმა მთარგმნელმა თავის აღმოსავლურ ამბავთა კრებულში შეიტანა: Tales of the East, Trans. Henry Weber, ტ. 3, Edinburgh 1818, გვ. 206-215. გარდა ამისა, არსებობს ამბის ფრანგული თარგმანებიც: L'histoire de la sultane de Perse et des visirs 1722; ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგის მიხედვით, არსებობს აღნიშნული ამბის კიდევ ერთი ფრანგული თარგმანი, შესრულებული ვინმე Antoine Galland-ის მიერ ამსტერდამში 1707 წელს. ეს თარგმანი ხელახლა ჩნდება შემდეგ წიგნში: Le cabinet des fées, ტ. 16, Amsterdam 1785-1789 (აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ: David BLAMIREs, Herzog Ernst and the otherworld voyage, Manchester 1979, გვ. 4, 24, 26, 33, 87-89).

მოახსენეს: უფალმა თუ უწყის იმ უბედურებათა ამბავი, რომლებიც თქვენს გაუს შეიძლება შემთხვევსო.

ამ წინასწარმეტყველებამ ხელმწიფის სიხარული გააქარწყლა და დაადარდიანა. მიუხედავად ამისა, ვარსკვლავებთან შებმა გადაწყვიტა. ბრძანა უფლისწული მის თვალწინ აღეზარდათ. მიიღო ყველა შესაძლო სიფრთხილის ზომა, რათა ბავშვი ყოველგვარი უბედური შემთხვევისაგან დაეცვათ. ასეთმა სიფრთხილემ თავისი შედეგი გამოიღო. უფლისწული თხუთმეტი წლის ისე შეიქნა, არც ერთ უბედურ შემთხვევას არ დაუდასტურებია ჰოროსკოპის წინასწარმეტყველება. თუმცა ბედისწერასთან ყოველგვარი დაპირისპირება ამაო გამოდგა. ერთ დღეს ამხედრებული უფლისწული ზღვის ნაპირისაკენ გაემართა, რადგან ზღვის ჰაერი მონატრებოდა. იქვე ბრძანა გემის წესრიგში მოყვანა და თავისი ამაღლის ორმოც წევრთან ერთად ავიდა ზომალდზე. ზღვაში გასვლა ძლივს მოასწრეს, რომ ევროპელი მეკობრეები დაესხნენ თავს. ერთი პირობა მცირეოდენი წინააღმდეგობა კი გაუწიეს, მაგრამ უფრო ძლიერმა მტერმა ავლილად ჩაივლო გემი ხელში. ყველანი სამსარების კუნძულზე წაიყვანეს და იქ დაყიდეს.

სამსარები იყვნენ მონსტრუალური კაციჭამიები, რომელთაც ჰქონდათ ადამიანის სხეული და ძაღლის თავი. უფლისწული და მისი მსლებელნი დაამწყვდიეს ერთ სახლში, სადაც მათ რამდენიმე კვირა ძალისძაღად კვებავდნენ ნუშით და ქიშმბით. ამის შემდეგ დღეში თითო კაცი მიჰყავდათ თავიანთი მეფის სამზარეულოში და იქ მისგან ამზადებდნენ იმგვარ კერძებს, რომელთაც სამსარების მბრძანებელი ნუგბარად მიიჩნევდა. ასე შეჭამეს ორმოცი კაცი. ხვარაზმელი უფლისწული, როგორც განსაკუთრებით ნუგბარი ლუკმა, ბოლოსთვის შემოინახეს. ამგვარი საზარელი დასასრულის მოლოდინში უფლისწულმა თავს უთხრა: „კარგად ვიცი, რომ სიკვდილს ვერ გადავურჩები, მაგრამ რატომ გამოვაჭრევეინო ყელი მორჩილად? უმჯობესი არ იქნება, ძვირად დავუსვა ჩემი სიცოცხლე? ისე დავიცავ საკუთარ თავს, რომ ჩემი თავგანწირვა საბედისწერო იქნება, სულ ცოტა, რამდენიმე ამ სისხლისმსმელი ურჩხულისათვის“. როდესაც სამსარები შემოვიდნენ, ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მეფის სამზარეულოში ისე წაიყვანეს, უფლისწულს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. როგორც კი იქ შევიდნენ და მაგიდაზე დიდი დანა დაინახა, რომლითაც მისთვის ყელი უნდა გამოეჭრათ, ძალა მოიკრიბა, ხელბორკლისგან თავი დაიხსნა, სწრაფად აიტაცა დანა, სამსარების შეტევები მოიგერია და შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით დაიწყო მათი ხოცვა. ნელ-ნელა გზა გაიკვალა სამზარეულოს კარისკენ და ვინც წინააღმდეგობის გაწევა გაბედა, ყველა მისი მსხვერპლი შეიქნა. სასახლეში არეულობა დაიწყო. სხვადასხვა მხრიდან ისმოდა კივილი და ტირილის ხმა.

როდესაც მეფეს საქმის ვითარება მოახსენეს, გაუკვირდა, რომ ერთმა კაცმა შეძლო ყველა მისი მსახურისათვის წინააღმდეგობის გაწევა. თავადვე მივიდა

უფლისწულთან და უთხრა: „ყმაწვილო, აღფრთოვანებული ვარ შენი მამაცობით და ამიტომ გჩუქნი სიცოცხლეს. შეწყვიტე ბრძოლა ჩემი ქვეშევრდომების წინააღმდეგ, რადგან მრავალნი არიან და საბოლოოდ მაინც გაჯვობებენ. მითხარი, ვისგან მიიღე დღის სინათლე“. „ბატონო ჩემო – უპასუხა უფლისწულმა – მე ვარ ხვარაზმის მეფის ვაჟი“. „შენი დიდებული საქმეები, რომლებიც ცოტა ხნის წინ აღასრულე – უთხრა კუნძულის მეფემ – საკმარისად აღასტურებენ შენს კეთილშობილ წარმომავლობას. ნურაფრის გეშინია: ჩემი სამეფო კარი შენთვის მსოლოდ სასაძოვნო სამყოფელი იქნება. კაცთა შორის უბედნიერესიც გახდები, რადგან მე მსურს, რომ იყო ჩემი სიძე და დაუყოვნებლივ შეერთო ცოლად ჩემი ასული, მშვენიერი ქალწული, რომელიც ჩემი სამეფო კარის ყველა დიდგვაროვან ჭაბუკს თავდავიწყებით უყვარს. მაგრამ მე აქ ვგონებ, რომ ყველაზე მეტად შენ ხარ მისი ღირსი“. „ბატონო ჩემო – მიუგო უფლისწულმა, რომელსაც წინადადება მაინცდამაინც არ მოეწონა – თქვენი უდიდებულესობა ზედმეტ პატივს მომაგებს. ჩემი აზრით, სამსარი ჭაბუკი გაცილებით შესაფერისი იქნება ხელმწიფის ასულისათვის, ვიდრე მე“. „არა, არა – თქვა სწრაფად ხელმწიფემ – მე მნებავს, რომ შენ შეერთო. ჩემი ნებაა ეს და ამიტომ ნუ მეურჩები, თორემ ინანებ“. პრინცმა სწორად შეაფასა ვითარება. თუ ქორწილზე უარს იტყოდა, ამით განრისხებული სამსარების მეფე მაშინვე სიკვდილით დასჯიდა მას. ამიტომ დათანხმდა და ცოლად შეირთო ხელმწიფის ასული, რომელსაც მთელ კუნძულზე უმშვენიერესი ძაღლის სახე ჰქონდა. ვერაფრით ვერ შეეგუა უფლისწული ამ ამბავს და სამსარი მეფის ასულისადმი საშინელ ზიზღს გრძნობდა. რაც უფრო მეტს ეფერებოდა ხელმწიფის ასული, მით უფრო საზარელი ჩანდა მის თვალში. უფლისწულის სიძულვილს დამღუპველი შედეგები მოჰყვებოდა, მაგრამ სიკვდილის ანგელოზმა იხსნა იგი. ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მეუღლის სარეცელს რომ უახლოვდებოდა, სამსართა მეფის ასული გარდაიცვალა.

დიდხანს არ დასცლია უფლისწულს თავისი ბედნიერებით ტკბობა – ეს რა საზარელი მეუღლისგან განვთავისუფლდითო. უთხრეს: ამ კუნძულზე, სერენდების² მსგავსად, ჩვეულებად გვაქვს ცოცხალი ქმარი გარდაცვლილ ცოლს ჩაეატანოთ საფლავში, ისევე როგორც ცოცხალ ცოლსაც მიცვალებულ ქმარს თან ვაყოლიებთო. ისიც მოახსენეს: ამ საზარელ კანონს, ჩვეულებრივ ადამიანთა მსგავსად, მეფეებიც ემორჩილებიანო. სამსარები ამას ისე იყვნენ მიჩვეულნი, რომ თავიანთი დაკრძალვის დღეს ყოველგვარი შემფოთების გარეშე უყურებდნენ. ამიტომ დაკრძალვაზე გლოვის ნაცვლად მხიარულება უფრო სუფევდა ზოლმე. სამგლოვიარო პროცესიაზე დამსწრე კაცები და ქალებიც უფრო სახალისო სიმღერებს მღეროდნენ, ვიდრე სამგლოვიაროს. ამ ცნობებმა ხვარაზმელი უფლისწული სულის სიღრმემდე შეძრა, მაგრამ ბედისწერას სად გაექცეოდა. გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად მოათავსეს საკაცებე,

² შუა საუკუნეებში ცვილონს ხშირად სერენდისს უწოდებდნენ.

იქვე დაუდეს ერთი პური, ღოჭით წყალი და ასე წაიფვანეს დაკრძალვის ადგილამდე. ეს იყო მიწის სიღრმეში გაკეთებული ვრცელი აკლდამა, რომელიც ამგვარი მიზნისათვის გამოეთხარათ მიწის ქვეშ. ჯერ თოკებით ძირს ჩაუშვეს მეფის ასულის ცხედარი. ამ დროს ყველანი, ვინც პროცესიას თან ახლდა, ორ ნაწილად გაიყვენ, დაიწყეს სიმღერა და ცეკვა. ერთ მხარეს გამწკრივდნენ შეყვარებულნი თავიანთ სატრფოებთან ერთად, მეორე მხარეს კი ახალდაქორწინებულნი. პირველებმა ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდეს, დაიწყეს წრეში ცეკვა და თან მღეროდნენ სპარსულ ლექსს: „მარადიულია შეყვარებულების კეთილშობილ სულთა აქ გამაერთიანებელი ჯაჭვები; ზეცა ჩვენს ხელებს რომ აერთებს, ჩვენ ვდებთ ფიცს, ვიყოთ მარად მართალნი და კეთილნი; როდესაც სიკვდილი მშვენიერ სატრფოს წარგვტაცებს, ჩვენი საზეიმო აღთქმა რომ არ დავარღვიოთ, იმავე აკლდამაში შთავსდებით და ჩვენი ნებით ვირჩევთ იმავე ბედს“. ახალდაქორწინებულნი წყვილებად ცეკვავდნენ, ყოველი კაცი თავის ცოლთან ერთად, და ყოველი ქალი, თავის მხრივ, მღეროდა შემდეგ ლექსს: „ჩემო ძვირფასო მეუღლე, რათა შენ და მე თავი დავადწიოთ იმის შიშს – პირველი რომელი მოგვკვდებითო, ვიცხოვროთ ერთმანეთს მოხვეულებმა, თანაბრად დაგვწვას სიყვარულის ნაზმა ცეცხლმა, რათა საბოლოოდ არც ერთი არ დავრჩეთ ცოცხალი და ორივე ერთად აღვესრულოთ“.³

ყველა ამ სიმღერის და ცეკვის შემდეგ, რომლებმაც ზვარაზმელი უფლისწული მაინცდამაინც ვერ გაართეს, ის მისი ცოლის მსგავსად დაბლა ჩაუშვეს, მიწისქვეშა გამოქვაბულში. შიგ ჩასასვლელი სამსარებმა დიდი ღოდით ამოქოლეს. ამ საზარელ ქვესკნელში რომ აღმოჩნდა, უფლისწულს აღმოხდა: „ო, ღმერთო ჩემო! კიდევ სადამდე უნდა დამაყნინო? ეს არის ის ზვედრი, რომლითაც შენ დააჯილდოვე უფლისწული, მუდამ მკაცრად რომ იცავდა ყურანის მცნებებს? მამჩამს, ხელმწიფეს, მისი მუდარის სანაცვლოდ ჩემი თავი აჩუქე, რათა შემდეგ ყველაზე საზარელი სიკვდილით დაგესაჯე?“ მერე მწარე ცრემლებით ატირდა.

ზვარაზმელ უფლისწულს არ ჰქონდა იმის იმედი, რომ ოდესმე შეძლებდა ამ საბედისწერო ადგილისათვის თავი დაეღწია. მაგრამ როგორც კი საკაცედან წამოდგომისას ფეხქვეშ მიწა იგრძნო, ხელის ცეცებით გაჰყვა შემხვედრ კედელს. ასი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი და მის წინ გაკრთა სინათლის სხივები. ნაბიჯს მოუმატა და მალე დაინახა: ეს იყო ქალი სანთლით ხელში. უფლისწული მისკენ წავიდა, მაგრამ ქალმა ნაბიჯების ხმა გაიგო და სანთელი ჩააქრო. „ო, ზეცათ, – თქვა უფლისწულმა, – ნუთუ მოვტყუვდი? მართლა დაინახე თუ არა სინათლე? იქნებ ეს მხოლოდ ჩემს არეულ გონებაში წარმოქმნილი ილუზია იყო? ალბათ ყველაფერი მომეჩვენა! ეჰ, უბედურო უფლისწულო, სამუდამოდ უნდა დაკარგო მზის სინათლის ნახვის იმედი?

³ აქ მომაქვს ორივე ლექსის პწყარდული თარგმანი. ტექსტში ლექსები ინგლისურთან ერთად სპარსულ ენაზეც არის მოცემული.

შენ ბუნების მიერ განსაზღვრულ დროზე ადრე ჩამოეშვი მარადიული ღამის სამყოფელში. ო, ხვარაზმის მეფეო, ჩემი დაბადების უბედურო შემოქმედო, ნულა ელოდები ჩემს დაბრუნებას! შენი შვილი ვედარასდროს იქნება შენი ხანდაზმულობის ნუგეში და მხარში ამომდგომი. აქ ამ უბედურ დღეში დალუკვა მიწერია“. ამ ბოლო სიტყვებზე გაიგონა ხმა, რომელიც მას მიმართავდა: „ნუ იქნებით სასოწარკვეთილი, უფლისწულო; რაკი თქვენ ხართ ხვარაზმის მეფის შვილი, მაშინ აქ არ დაასრულებთ სიცოცხლეს: მე გაგათავისუფლებთ თქვენ, ოღონდ იმ პირობით, თუ აღმითქვამთ, რომ ჩემზე იქორწინებთ“.

„ქალბატონო – მიუგო უფლისწულმა – უეჭველად მკაცრი სასჯელია, თხუთმეტი წლის ასაკში ცოცხლად დაგმარხონ. მაგრამ, თუკი ჩემი ცოლყოფილის მსგავსი ხართ, მირჩევნია ავიტანო მთელი ეს საშინელება, ვიდრე თქვენ აზგარი პირობა მოგცეთ. მის მსგავსად ძაღლის თავი თუ გაქვთ, ვერაფრით შევძლებ თქვენს შეყვარებას“. „მე არ ვარ სამსარი – უთხრა ქალმა – გარდა ამისა, მე ვარ თოთხმეტი წლის და მჯერა, რომ ჩემი სახე არ დაგაფრთხობთ“. ამ სიტყვებზე ანთო თავისი ჩირაღდანი და უფლისწულს თვალი მოსჭრა სახემ, რომლის მშვენიერებისგან განცვიფრებული დარჩა. „ეს რა მშვენიერებაა – აღმოხდა აღფრთოვანებულ უფლისწულს, – ვერაფერი შეედრება იმას, რასაც მე ვხედავ. გვედრებით, მითხარით თქვენი ვინაობა: თქვენ ფერია უნდა იყოთ, რაკი მპირდებით, რომ ამ ქვესქელიდან ჩემი განთავისუფლება შეგიძლიათ“.

„არა, ბატონო ჩემო – თქვა ახალგაზრდა ქალმა – მე არ ვარ ფერია. საქართველოს მეფის ასული ვარ და დიღარამი მქვია. ჩემს ამბავს სხვა დროს მოგიტხრობთ. ეხლა იმასლა გეტყვით, ამ საბედისწერო კუნძულზე ქარიშხალმა გადმოგვისროლა. ჩემი სიცოცხლე რომ გადამერჩინა, იძულებული გავხდი ცოლად გაყოლოდი სამსარ დიდებულს, რომელიც გუშინ გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. ჩვეულების თანახმად, მეც აქ ჩამომასვენეს ერთი პურით და ერთი დოქი წყლით; თუმცა ჩემს დაკრძალვამდე მოვასწარი კაბის ქვეშ კვეს-აბედის და მცირე ზომის ჩირაღდანის დამალვა: როგორც კი ამ გამოქვაბულში აღმოვჩნდი, ხოლო სამსარებმა ზემოთ დაქოლეს ჩამოსასვლელი, ჩამოვედი საკაციდან და ჩირაღდანი ავანთე. თავიდან ვერ გავაცნობიერე მთელი საშინელება, რაც ამ პირქუშ ადგილას შელოდა. თუმცა ზეცას განზრახული ჰქონდა ჩემი გადარჩენა და საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა. გავეყვი ბილიკს ჩემ წინ. ვცდილობდი გვერდი ამეველო ათასგვარი ძრწოლისმომგვრელი საგნისათვის. მინდოდა გასაქცევი გზის პოვნა. ასი ნაბიჯიც არ მქონდა გავლილი, როდესაც რაღაც თეთრი შევნიშნე. ეს იყო, ბატონო ჩემო, მარმარილოს ლოდი, რომლის დანახვა ეხლაც შეგვიძლია: იქითკენ წავედი და განცვიფრებული დავრჩი, როდესაც ზედ ჩემი სახელი ვნახე ამოჭვიფრული. მობრძანდით აქეთ, უფლისწულო, - დასძინა დიღარამმა, - მობრძანდით და წაიკითხეთ ეს წარწერა; ჩემზე ნაკლებად არ დარჩებით განცვიფრებული“. სანთელი გადასცა უფლისწულს, რომელიც ლოდს მიუახლოვდა და წაიკითხა

„უფლისწულს, რომელიც ლოდს მიუახლოვდა და წაიკითხა“

ეს სიტყვები: „როდესაც ხვარაზმელი უფლისწული და ქართველი ხელმწიფის ასული აქ ერთმანეთს შეხვდებიან, მათ უნდა აწიონ ლოდი და მის ქვეშ კიბით დაბლა ჩავიდნენ“. „ეჰ, - თქვა უფლისწულმა, - კი მაგრამ, როგორ შევძლებთ ამ ვეება ლოდის დაძვრას? საამისოდ ასი კაცის ძალაა საჭირო“. „ბატონო ჩემო - თქვა მეფის ასულმა - ჩვენ მაინც ჩვენსას ვეცადოთ. ნამდვილად ვილაყ კეთილი ბრძენი არის დაინტერესებული ჩვენი საქმეებით და გული მიგრძნობს, რომ შევძლებთ აქედან გაქცევას“. უფლისწულმა ჩირადიანი დილარაჰს დაუბრუნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეეცადა ლოდის ადგილიდან დაძვრას. თუმცა ამის აუცილებლობა არც იყო, რადგან შეეხო თუ არა ლოდს, ის თავისით დაიძრა ადგილიდან. მის ქვეშ გამოჩნდა კიბე, რომლის მეშვეობითაც ორივემ მაშინვე შეძლო სხვა გამოქვაბულში ჩასვლა. იქ გრძელი ტალანის მეშვეობით გავიდნენ მთის ძირში გამოკვეთილ მღვიმესთან. ეს უკანასკნელიც გაიარეს და მდინარის პირზე აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ ორივემ მხურვალედ ილოცა, როგორც მათს მსგავს ღრმადმორწმუნეებს შეშვენოდათ. ღმერთს მადლი რომ შესწირეს, მდინარის პირას დაინახეს მცირე კარჭაპი, რომელიც მანამდე ვერ შეენიშნათ. ეჭვი არ შეპარვიათ: ეს იყო მორიგი სასწაული, ღმერთის სიკეთის მიერ მათთვის მოვლენილი. ამან კიდევ უფრო მოუმატა დღის სინათლის კვლავაც ხილვის იმედი. კარჭაპს არც მეზღვაურები ჰყავდა და არც ნიჩბები ჰქონდა, მაგრამ გაბედულად ჩასხდნენ შიგ. „ამ კარჭაპს, - თქვა უფლისწულმა - უეჭველად მფარველი ანგელოზი მართავს, რომელსაც ნამდვილად სურს დასახლებულ ქვეყანაში ჩვენი მიყვანა. მივყვეთ მდინარის ნაკადს და ნურაფრის შეგვეშინდება“.

თავი მიანდეს მდინარეს. მისმა სისწრაფემ თანდათანობით იმატა. შემდეგ კალაპოტმაც დავიწროება დაიწყო. ნაკადი შედიოდა თაღოვანი, ვრცელი გამოქვაბულის ქვეშ. ამ თაღს ქმნიდა ორი მთა, რომელთა მწვერვალები ერთდებოდა. შიგნით წყვდიადი სუფევდა. ცხადია, არ ჩანდა არც ზეცა და არც მიწა. კარჭაპი მდინარემ ისეთი ძალით შეაგლო ქვაბულში, რომ უფლისწულმა და მეფის ასულმა გადარჩენის ყოველგვარი იმედი დაკარგეს. იფიქრეს: ზეცა ისე არ ზრუნავს ჩვენზე, როგორც ეს იმთავითვე წარმოვიდგინეთო. ტალღები კარჭაპს ხან ქვაბულის წვერისკენ აისროდნენ, ხანაც თითქოს ქვესკნელში ინთქმებოდა კარჭაპი. მხურვალედ ლოცულობდა ქალ-ვაჟი და მათი ლოცვა შესმენილ იქნა. კარჭაპმა ბოლოს და ბოლოს განვლო ქვაბული და ნაკადმა ის ნაპირზე გარიყა. მაშინვე გადასხდნენ მიწაზე და ძველი მხნეობა დაუბრუნდათ. თვალი მოაღლეს მათ წინაშე გადამდილ ვრცელ ველს იმის იმედით, რომ სადმე დაინახავდნენ სახლს, სადაც საჭმელ-სასმელის გამოთხოვის საშუალება ექნებოდათ. მთის ფერდობზე დაინახეს დიდებული შენობა. ის მეტისმეტად ჰგავდა Coubbay Khirament-ს.⁴ გაემართნენ მისკენ და როდესაც მიუახლოვდნენ, ნახეს: შენობა ცალკე იყო მოთავსებული

⁴ თურქების რწმენის მიხედვით, ამ სახელის მქონე შენობაში გახლდათ ადამი და, რძალოლი-

განსაცვიფრებელი დიდებულების სასახლეში. სასახლის პორტალზე რამდენიმე კაბალისტური იეროგლიფი იყო ამოტვიფრული. იქვე ჩანდა არაბული წარწერა: „შენ, რომელსაც ამ მდიდარ სასახლეში შემოსვლა გინდა, იცოდე, რომ ვერასოდეს შემოხვალ აქ, თუ მსხვერპლად არ შეწირავ რვა ფეხის მქონე ცხოველს“.

„სულ გამიცრუვდა იმედები, - თქვა მეფის ასულმა დილარამმა - როგორ მეგონა, სასახლეში შესვლას შევძლებდით“. „ქალბატონო - უთხრა უფლისწულმა - მეც ასეთივე იმედი მქონდა. მაგრამ ჩვენი იმედის დაკმაყოფილება შეუძლებელი ჩანს. ყველა ჩვენი ცდა, შევეცადოთ კარიბჭის გაღებას, ამით იქნება. ფიგურები სასახლის პორტალზე ქმნიან თილისმას. ეს თილისმა კი ჩვენი სურვილის აღსრულებას უშლის ხელს“. „კარგი, - თქვა ქართველმა ასულმა - დაესხედო ცოტა ხნით მოლზე, ცოტა ღავისვენით და მოვიფიქროთ, მერე როგორ მოვიქცეთ“. „ჩემო ქალბატონო, - უთხრა ხვარაზმის უფლისწულმა - სჯობს მომითხროთ თქვენი ამბავი, მის გაგებას მოუთმენლად ველოდები“.

„მოკლედ მოგიყვებით, - მიუგო დილარამმა, - საქართველოს მეფემ ისე აღმზარდა თავის სასახლეში და ისე ზრუნავდა ჩემზე, როგორც ყველაზე მოყვარული მამა შეიძლება ზრუნავდეს შვილების გამო. ხელმწიფის კარზე მყოფ, ჩვენი გვარის (სახლის) ერთ ახალგაზრდა უფლისწულს, ჩემი ხილვის უფლების მქონეს, მწველი გრძობით შევეყვარდი და მეც შემიყვარდა. ამ დროს საქართველოს მეფის კარს ეწვია მეზობელი ხელმწიფის დიდი ვეზირი და თანხმობა მთხოვა, მის პატრონს გავეყოლოდი ცოლად. მამაჩემმა ეს წინადადება სასურველად და მომგებიანად მიიჩნია. ამიტომ იოლად მისცა თანხმობა. მაიძულეს ვეზირთან ერთად გასამგზავრებლად მოვმზადებულიყავი. ახალგაზრდა უფლისწული, ჩემი სატროფო, ჩემთან განშორებამ იმდენად დაამწუხრა, რომ დარდს გადაჰყვა. მიჯნური ცხარე ცრემლებით გამოვიტირე, და ის ცრემლები მისდამი ჩემი სიყვარულის დასტური იყო. ჩემი ყველამ ასე იცოდა - მამა ძალიან უყვარსო. ამიტომ ჩემი ცრემლების მიზეზი შეცდომით გაიგეს და უფრო მოყვარულ შვილად ჩამთვალეს, ვიდრე სინამდვილეში ვიყავი. შემდეგ ვეზირთან ერთად ავედიტო მცირე გემზე და ღია ზღვისაკენ გავემართეთ. მოულოდნელად ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი. ჩვენმა მეზღვაურებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ და გემი ტალღებს მიანდეს, ხოლო ტალღებმა გემი სამსარების კუნძულზე გამორიყეს.“

ჩვენს დანახვაზე ეს მონსტრები ზღვის სანაპიროსკენ გამოიქცნენ და ყველანი დაგვატყვევეს. მომდევნო ამბების გახსენება ხომ ეხლაც მაძრწუნებს. ვეზირიც შეჭამეს და ყველა დანარჩენიც. ჩემსას თუ ვიტყვით, საბედნიეროდ, ჩემმა სახემ მოხიბლა ბებერი სამსარი დიდებული და ასე მითხრა - ცოლად თუ გამომყვებით, თქვენი თანამგზავრების ბედი ავცდებათო. სხვა რა გამოსავალი მქონდა. უნდა გამოვტყდე, ისე შემინოდა, რომ შემჭამდნენ, იძულებული გავხდი, მის ცოლობას დავთანხმებოდი. თუმცა მისი ძალის თავის ყურება მულამ თავზარს

მცემდა. ქორწინებიდან ორი დღის შემდეგ ჩემი ქმარი ავად შეიქნა. ავადმყოფობა კარგახანს გაგრძელდა. ბოლოს სიკვდილმა...“ – აქ ხვარაზმელმა უფლისწულმა სწრაფად შეაწყვეტინა სიტყვა მეფის ასულს, რადგან მის კაბაზე დაინახა ტარანტული. „ერთი წუთი, ქალბატონო, - წამოიძახა მან, - თქვენს კაბაზე ვხედავ ტარანტულს“. ამ სიტყვებზე დილარამმა, რომელმაც იცოდა, რა საშიში შეიძლება იყოს ტარანტულის ნაკბენი, ერთი შეჰკივლა, ზეწამოიჭრა და ტანსაცმელი დაიფერთხა. უფლისწულმა ფეხით გასრისა დავარდნილი ტარანტული. ძლივს მოასწრო ამის გაკეთება, რომ სასახლიდან დიდი ხმაური გაისმა. კარიბჭე თავისით გაიღო. ამ სასწაულით განცვიფრებულებმა შეხედეს ერთმანეთს და დაასკვნეს: ტარანტულს რვა ფეხი ჰქონდა აღბათ და ეს იყო ის ცხოველი, რომლის მსხვერპლად შეწირვაც მოიხსენიებოდა წარწერაში. გაემართენ სასახლისკენ. თავდაპირველად მოხვდნენ დიდ ბაღში. იქ თითქოს მთელი ქვეყნიერებიდან შეეკრბათ ყოველგვარი ჯიშის ხეები, რომელთა ტოტებიც მწიფე ნაყოფით იყო დახუნძლული. უფლისწულს მოშივდა და ხილის მოკრეფა დააპირა, მაგრამ როცა ხეებს მიუახლოვდა, ნახა, რომ ყველა ნაყოფი ოქროსი იყო. შუაგულ ბაღში წყარო მოჩქეფდა. მის კამკამა ზვირთებში ფსკერზე გაფანტული უთვალავი ძვირფასი ქვა ჩანდა.

როგორც ეკადრებოდა, ისე გულდასმით დაათვალიერეს ბაღი და გაემართნენ დიდებული შენობისკენ, რომელმაც ნაპირზე გადმოსვლისთანავე მიიპყრო მათი ყურადღება. ეს შენობა ერთიანად ქვის ბროლით იყო ნაგები. ისე განვლეს, არც ერთ სულიერს არ შეხვედრიან. გაიარეს მრავალი ოთახი. ყოველ კუთხეში ელავდა ოქრო, ბრილიანტის და ლალის თვლები. ბოლოს მიაღწენ ვერცხლის კარიბჭეს, გააღეს და შევიდნენ უმშვენიერეს ოთახში, სადაც ზურმუხტის გვირგვინოსანი ბერიკაცი იჯდა ტახტზე. მისი ვერცხლის წვერი მიწას სწვდებოდა. ოღონდ ის წვერი ექვსად ექვსი განცალკევებული თმის ღერისგან შედგებოდა. მისი ქილვაშების სამი ღერი ნიკაპს უწვევდა და იქ ერთვოდა ბერიკაცის წვერს. ფრჩხილები ერთი წყრთის სიგრძე მაინც ექნებოდა.

ღირსეულმა მოხუცმა შეათვალიერა ახალმოსულები: „ახალგაზრდებო, – მიმართა მათ, – ვინ ხართ თქვენ?“ – „ბატონო ჩემო, – მიუგო უფლისწულმა, – მე ვარ ხვარაზმის მეფის შვილი, ეს მშვენიერი ქალბატონი კი ქვეყნად მის მოვლინებას საქართველოს ხელმწიფეს უმაღლის. ჩვენს თავვადასავალს, როცა კი თქვენთვის სასურველი იქნება, მაშინ მოგიხსრობთ. დარწმუნებული ვარ, თანაგრძნობას გამოიჩენთ ჩვენდამი და ვაკბედავ იმის ფიქრს, ისეთი კეთილშობილი იქნებით, რომ მოგვცემთ თავშესაფარს“. – „ღიახ, უფლისწულო, – უპასუხა მოხუცმა ბრძენმა, – მე სიამოვნებით მიგიღებთ ორივეს. რაკი ორივენი მეფური წარმომავლობის ხართ, ასევე კარგი ბედის აღმოჩნდით და ამ სასახლეში შემოსვლა შესძელით, ესლა უკვე თქვენზეა დამოკიდებული, გაზიაროთ ის ბედნიერება, რომელსაც მე ვვლობ აქ. დარჩით ჩემთან და

მარადიული ნეტარების მფლობელნი შეიქნებით. სიკვდილი, რომლის ძალასაც გრძნობს ნებისმიერი ადამიანი, თქვენგან საპატიო მანძილზე დარჩება მუდამ. ოდესღაც მე ჩინეთის ხელმწიფე ვიყავი. ფრჩხილების სიგრძეც მიგანიშნებოდა ჩემს ასაკს. ჩემს სამფლობელოში მომხდარი ამბოხების გამო იძულებული გავხდი, ქვეყანა მიმეტოვებინა. ეს სასახლე ავაგებინე რამდენიმე ჯინს, რომლებიც მემორჩილებიან როგორც კაბალის მცოდნეს. ეხლა ათასი წლის ვარ და აქ მარადიულად ვაპირებ ცხოვრებას. მე ვფლობ ფილო¹: ფოსთა ქვის საიდუმლოს და, მაშასადამე, უკვდავი ვარ. მინდა ეს ზებუ ივი საიდუმლო თქვენც გაგანდოთ, როდესაც ჩემთან ერთად აქ მრავალ წელს გაატარებთ. ჩემი სიტყვები თქვენს განცვიფრებას იწვევს, — დასძინა მან, — მაგრამ რაც გითხარით, სრული ჭეშმარიტებაა. ის კაცი, ვინც იცის, თუ როგორ უნდა დამზადდეს ფილოსოფოსთა ქვა, ბუნებრივი სიკვდილით არ მოკვდება. თუმცა, უნდა ვაღიარო, მისი მოკვლა შესაძლებელია. საიდუმლო ვერ დაიცავს მას ძალადობრივი სიკვდილისაგან. მაგრამ ამ ფატალური შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად სავსებით საკმარისია ადამიანი განმარტოვდეს მიწისქვეშა გამოქვაბულში, ან კიდევ აიშენოს ამის მსგავსი სასახლე უკაცურ ადგილას. მე მთლიანად დაცული ვარ. ვერც შური, ვერც თავხედური ამპარტანება ვერაფერს გააწყობენ ჩემ წინააღმდეგ. კარიბჭის თავზე თილისმა რომ ნახეთ, იმგვარად არის გაკეთებული, ვერც ქურდი, ვერც გულებოროტი და ვერც გარყვნილი ადამიანი აქ ვერ შემოვა, გინდაც ათასი რვაფეხიანი ცხოველი შემოწიროს მსხვერპლად. ვინც ასეთ ცხოველს მოკლავს, კარგი ადამიანი უნდა იყოს. უამისოდ კარიბჭე არ გაიღება“.

თავისი მონათხრობი რომ დაასრულა, ჩინეთის ხანდაზმულმა ხელმწიფემ მეგობრობა შესთავაზა უფლისწულსა და მეფის ასულს. მათ სასახლეში დარჩენა გადაწყვიტეს. შემდეგ ჰკითხა — რაიმე საჭმელს ან სასმელს ხომ არ ისურვებთო. ორივე მოშიებული იყო. ჩინეთის ხელმწიფემ თითოთ მიანიშნა ორ შადრევანზე, რომლებიც ორ დიდ ოქროს ჭურჭელში ჩაედინებოდა. ერთში საუცხოო ღვინო მოედინებოდა, მეორეში — საოცარი სახის რძე. მოხუცმა ხელმწიფემ სამი ჯინი იხმო და მათ დაავალა ახალმოსულთა მომსახურება. გააწყვეს სუფრა, სამი ოქროს თევში ჩამოდგეს. ხვარაზმელი უფლისწული და ქართველი მეფის ასული მაღიანად სადილობდნენ, დროდადრო ჯინები ბროლის თასებით ღვინოს მიართმევდნენ ხოლმე. მოხუც ხელმწიფეს ფრჩხილების სიგრძის გამო ხელების ხმარება არ შეეძლო. ამიტომ მხოლოდ პირს ადებდა და ჯინი, როგორც ბავშვს, ისე ეხმარებოდა საკვების თუ სასმელის მიღებაში. აურობა რომ დასრულდა, ხელმწიფემ სთხოვა მათ — თქვენი თავგადასავალი მიაბეთო. უფლისწულმა და მეფის ასულმა გულით მოუთხრეს თავიანთი ამბები. „მოვისმინე თქვენი ნაამბობი — თქვა მოხუცმა ხელმწიფემ. — ანუგეშეთ ერთმანეთი წარსულ უბედურებათა გამო. ორივენი ახალგაზრდები და მშვენიერი სანახავნი ხართ. ერთმანეთზე თუ დაინიშნებით, უჩვეულოდ კარგ ბედს დაუდებთ

სათავეს: „უფლისწულს და მეფის ასულს ერთმანეთისათვის უკვე შეფიცული ჰქონდათ მარადიული სიყვარული. მათ განაახლეს თავიანთი ფიცი და დაქორწინდნენ მისი უდიდებულესობა ჩინეთის ხელმწიფის ხელდასხმით. ჩინეთის მეფემ ორივეს მოწმის როლი შეასრულა.“

ნაზი წყვილი მთელ დროს სიყვარულს უძღვნიდა. ჩინეთის მეფისთვისაც რომ ესიაძოვნებინათ, დღის ნაწილს მასთან საუბარში ატარებდნენ. უფრო სწორად მისი დროის ათასგვარ ამბებს ისმენდნენ ხელმწიფისგან. ხნიერი ხელმწიფე გატაცებით მოუთხრობდა მათ ამ ამბებს. მეფის ასული დაორსულდა და შობა თრი მშვენიერი უფლისწული, რომელთაც თვითონ კვებავდა. ცოტათი რომ წამოიზარდნენ, ჯინმა ათასგვარი საოცარი რამ ასწავლა მათ. ისინი ექვსი წლისანი იყვნენ, როდესაც მეფის ასულმა მიმართა თავის მუუღლეს: „ძვირფასო ბატონო ჩემო, უნდა გამოგიტყდეთ, უკვე მიჭირს ამ სასახლეში გაძლება. სულ ამათა, აქ ყოველდღე ათასგვარ საოცარ რამეს რომ ვხედავ. ამ სასახლეში საშუალოდ ცხოვრების აუცილებლობა ყველაფერს ხიბლს უკარგავს. ჩინეთის ხანდაზმული ხელმწიფე შეგვპირდა — არასდროს არ მოკვდებითო. მაგრამ მე მაინცდამაინც არ მხიბლავს ეს დანაპირები. მისი საიდუმლო ვერაფერს აწყობს წლების მომატების საწინააღმდეგოდ. ბედნიერებაზე მეტად უბედურება უფროა იცხოვრო წლებით დატვირთულმა. გარდა ამისა, ძალიან მინდა მამაჩემის ნახვა, თუ ჩემი დაკარგვით გამოწვეულმა დარღმა უკვე სიცოცხლე არ მოუსწრაფა მას.“ „ჩემო ქალბატონო, — მიუგო უფლისწულმა, — ამ შეპირებულ უკვდავებაში ჩემი ერთადერთი მიზანი და სიაძოვნება თქვენი მარადიული სიყვარულია. ზეცა მყავს მოწმედ, მეც ასევე მძაფრად მსურს კიდევ ერთხელ ვნახო მამაჩემი, რომლის გახსენებისასაც ხშირად ვტირი: მაგრამ რა ვზით შეიძლება წავიდეთ საქართველოსკენ?“ — „ბატონო ჩემო, — უპასუხა მეფის ასულმა, — ჩვენი კარჭაბი ჯერ კიდევ იმ ნაპირზეა, სადაც ტალღებმა გამორიყეს. მეორეჯერაც მივანდოთ მას ჩვენი ბედი. გავყვეთ მდინარეს და ის გაგვიყვანს რაიმე ადგილზე, საიდანაც ალბათ შევძლებთ მამაჩემის სამეფო კარისკენ ან სვარაზმის მეფის სამფლობელოებისკენ გზის გაგნებას“. „მე თანახმა ვარ, ქალბატონო, — უთხრა უფლისწულმა. — ჩემი მიზანია ყველაფრით ვასიაძოვნოთ თქვენ. წავიდეთ მაშინ ჩვენს შვილებთან ერთად ამ სასახლიდან, რაკი თქვენ დაგლალათ აქ ყოფნამ. მაგრამ რა უბედურს გახდის ჩვენი წასვლა ჩინეთის ხელმწიფეს. მას საკუთარი შვილებივით ვუყვარვართ და ვერ დაიჯერებს, რომ ოდესმე შეიძლება დავტოვოთ. ამას თუ გავაკეთებთ, ვედარაფერი ანუგეშებს“. „მოვესაუბროთ, — უთხრა მეფის ასულმა, — ნუ გავუმხელთ ჩვენს ჩანაფიქრს. სასოწარკვეთილებას რომ არ მიეცეს, დავარწმუნოთ — უეჭველად დაგბრუნდებითო“.

ამ სიტყვების შემდეგ ეახლნენ ხანდაზმულ ხელმწიფეს და მოახსენეს — მშობელთა მონახულების ისეთი დიდი სურვილი გვაქვს ორივეს, რომ საკუთარ თავს წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევთო. შევედრნენ, თავ-თავიანთ ქვეყნებში

დაბრუნების უფლება მიეცა მათთვის. პირობაც მისცეს ჩინეთის ხელმწიფეს — რამდენიმე წლის შემდეგ უეჭველად დაებრუნდებითო. ამ სიტყვებზე ხელმწიფემ ტირილი დაიწყო: „ჩემო შვილებო, ეტყობა, გკარგავთ. ველარასდროს გნახავთ ხელახლა“. „ბატონო ჩემო, — მოახსენა უფლისწულმა, — ნება მოგვეცით გავყვეთ ჩვენი სისხლის ძახილს. როდესაც აღვასრულებთ მას, დავებრუნდებით აქაურ განმარტოებას და კვლავ დავსახლდებით უკვდავების თქვენს სამყოფელში“. მეფის ასულმაც იგივე მოახსენა ხელმწიფეს. მართალია, ორივე შეპირდა უკან დაბრუნებას, მაგრამ ხელმწიფემ, ვითარცა Mekachefa-ს მეცნიერებაში განსწავლულმა, ადვილად წაიკითხა მათი გულის ფსკერი და დარწმუნდა — ისინი თავიანთი სიტყვის შესრულებას არ აპირებდნენ. იმ ადამიანთა დაკარგვის დარდმა, რომლებიც განსაკუთრებული სინაჲთ უყვარდა, ხელმწიფის სიცოცხლე აუტანელი გახადა. მან იხმო სიკვდილის ანგელოზი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში თავისი ხელოვნების საიდუმლოთა წყალობით ახლოს არ იკარებდა, უარი თქვა ყველა იმ საშუალებაზე, რითაც თავისი ცხოვრება მარადიული გაეხადა, და გარდაიცვალა. მისი გარდაცვალებისთანავე ჯინებიც ყველანი ერთბაშად გაქრენ. ასევე იმ წამსვე გაქრა სასახლე. უფლისწული და მისი ცოლ-შვილი ზრიალ მინდორში აღმოჩნდნენ. ცრემლებს ვერ იკავებდნენ, რადგან მიხვდნენ — ჩინეთის ხელმწიფე ჩვენი მიზეზით გარდაიცვალაო. მაგრამ დარდი მალე შეცვალა სასიამოვნო ფიქრებმა, რომ კვლავ ნახავდნენ თავიანთ შშობლებს. მოგზაურობის გარდა აღარაფერზე ფიქრობდნენ. შეაგროვეს ცოტაოდენი ხილი, მიუხედავად მიწის უნაყოფობისა ეს ხილი კეთილგანწყობილმა ბუნებამ თითქოს საგულდაგულოდ მათთვის გააჩინა იქ. კარჭაპი იქვე იყო მიბმული, სადაც დატოვეს. ოთხივენი ავიდნენ კარჭაპზე და მიჰყვნენ მდინარის ნაკადს. სამი მეოთხედი მილის შემდეგ მდინარე ზღვას უერთდებოდა.

მდინარის შესართავთან კარჭაპს თვალი მოჰკრეს მეკობრეთა გემიდან. მათი ხომალდი კარჭაპს მოუახლოვდა და ყჩაღების თავკაცმა უფლისწულს უთხრა — შენი საკუთარი და სხვა შენიანების სიცოცხლის შენარჩუნება თუ გსურს, დაგვნებდიო. უფლისწულს თან არანაირი იარაღი არ ჰქონდა, რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია შეიარაღებული მეკობრეებისათვის? ამიტომ ამო თავგანწირვა აღარ ისურვა და მეკობრეებს ჩაბარდა. ევედრებოდა და აფიცებდა მათ, არ დაეხოცათ მისი შვილები და ღირსება შეენარჩუნებინათ ცოლისათვის. მეკობრეებმა ყველანი აიყვანეს გემზე და ხომალდი სრული სვლით გაემართა უახლოესი კუნძულისაკენ. იქ ზვარაზმელი უფლისწული აიძულეს ნაპირზე გადასულიყო, შემდეგ ისევ ზღვაში გავიდნენ და მეფის ასული თავის ორ შვილთან ერთად თან წაიყვანეს. შეუძლებელია ერთმანეთს დაცილებული უფლისწულისა და დილარამის უბედურების აღწერა. ისმოდა მათი საბრალბოელი მოთქმა, ვიდრე გემი თვალს არ მიეფარა, უფლისწული შეუწყვეტლად უყვიროდა მეკობრეებს: „გარეწრებო! არ დაიჯეროთ, რომ ღმერთი

დაუსჯელად დატოვებს თქვენს დანაშაულს. ქვეყნიერების რომელ კიდეშიც უნდა შეეცადოთ დამაღვას, ვერასდროს გაექცევით ღმერთის სამართლიან სასჯელს“. შემდეგ მიმართა ზეცას: „სამართლიანო ზეცაო, შენ ყოველთვის მწყალობდი და ამჟამად კი მიმატოვე! როგორ დართე იმის ნება, რომ ცოლ-შვილი ამგვარად მომტაცეს? თუ შენ ჩემი ძვირფასი ადამიანების უკან დასაბრუნებლად ახალ სასწაულს არ მოახდენ, მაშინ მეტი საფუძველი მექნება გლოვისთვის, ვიდრე შენს წარსულ მოწყალებათა სადიდებლად. რატომ მიხსენი ამდენი საფრთხისაგან? ამ დროს ელოდებოდი, რომ დაკარგულ მამასა და ცოლზე დარდით მოგეკალი?“ ამგვარად რომ მოთქვამდა, დაინახა, რომ უახლოვდებოდა მეტად უცნაური ხალხის ჯგუფი. მათ ადამიანის მსგავსი სხეულები ჰქონდათ, მაგრამ უთავოები იყვნენ, ფართო პირი ჰქონდათ მკერდზე, ხოლო თითო მხარზე თითო თვალი იყო მოთავსებული. ამ მონსტრებმა დაატყვევეს უფლისწული და მიჰკვარეს თავიანთ მეფეს: „ბატონო, — მოახსენეს მათ მეფეს, — ეს უშნო და უცნაური აღნაგობის უცხოელი ზღვის პირას ვიპოვეთ. შეიძლება ჩვენი მტრების მიერ მოგზავნილი მზვერავია“. „კეთილი, — ბრძანა მეფემ, — მოამზადეთ ამის დასაწვავი კოცონი და შეგაღეთ ზედ იმის მერე, რაც მის ვინაობას გამოვიკითხავ. ყმაწვილო, — განაგრძო მეფემ და უფლისწულს მიუბრუნდა, — ვინ ხარ? საიდან მოხვედი? და ვინ მოგიყვანა ამ კუნძულზე?“ უფლისწულს არ დაუძალავს წარმომავლობა და დაწვრილებით მოუთხრო თავისი თავგადასავალი. მეფეს ძალიან მოეწონა უფლისწული და უთხრა: „ცხადად ვხედავ, ზეცა მფარველობს შენს სიცოცხლეს. ვინადაც შენს მიერ მოთხრობილი საოცარი ამბების პირდაპირი დამადასტურებელი საბუთები არ ჩანდეს, თანაგრძობის ის განცდა, მათ ჩემში რომ აღძრეს, ეჭვის არავითარ საფუძველს აღარ მიტოვებს. მე არ გავუწევ წინააღმდეგობას ჩემს ამგვარ განწყობილებას: დიახ, შენ იცოცხლებ. ჩემი სამეფო კარი იქნება შენი თავშესაფარი. ასევე ვფიქრობ, გამოუსადეგარი არ იქნები იმ ომში, რომელსაც მე ვაწარმოებ მეზობელი კუნძულის მეფესთან. ესლავე აგისხნი, რა არის ამ ომის მიზეზი. ის და მისი ქვეშევრდომები არ გვგვანან ჩვენ, უთავო ადამიანებს. მათ აქვთ ჩიტის თავები. მათი ლაპარაკი მეტად მიაგავს წყლის ფრინველების ჟივიკვს. ამიტომ როდესაც რომელიმე მათგანი ჩვენს კუნძულზე მოხვდება, შეიძლება შემთხვევით შეგვეშალოს, ის წყლის ფრინველად ჩავთვალოთ და შევჭამოთ. ამ გარემოებამ მათი მეფე განარისხა. რათა შური ეძია თავისი ხალხის სანაცვლოდ, დაიწყო დროდადრო ფლოტილიების გამოგზავნა და ჩვენზე თავდასხმების მოწყობა. თუმცა ამ თავდასხმებს მისთვის რაიმე დიდი წარმატება არ მოუტანიათ. ამისდა მიუხედავად თავდასხმებზე ხელი მანც არ აიღო; მეორე მხრივ, იმედი გვაქვს, რომ შევჭამთ მასაც და მის ქვეშევრდომებსაც. ასეა ჩვენი საქმეები, — განაგრძო უთავო ხალხის კუნძულის მეფემ, — სულმუდამ ვფრთხილობთ, რათა მოულოდნელად არ დაგვესხან თავს. აქამდე უპირატესობას ვფლობდით ჩვენს მტრებთან“.

ხვარაზმელმა უფლისწულმა დახმარება შესთავაზა მეფეს. მან უფლისწული თავისი არმიის გენერლად დანიშნა. ახალგაზრდა მეთაურმა თავის ახალ თანამდებობაზე დიდი მონდომება გამოიჩინა და დაამტკიცა, რომ ეს პასუხისმგებლობა მისთვის შეუფერებელი არ ყოფილა. კუნძულის ნაპირთან მალე გამოჩნდა გემების დიდი ფლოტი, რომელსაც ჩიტიისთავიანთა მეფე მეთაურობდა. თავის ქვეშევრდომთა დიდი ნაწილი თან ჰყავდა წამოყვანილი თავდასხმის მოსაწყობად. ხვარაზმელმა უფლისწულმა საშუალება მისცა, თავისი ძალების დაახლოებით ნახევარი გადმოესხა ხმელეთზე, ამის მერე სწრაფად დაესხა მოწინააღმდეგეს თავს, არეულობა შეიტანა მის რიგებში და აიძულა უკან დაეხიათ. ბევრი დახოცა, მტრის მეომართა ნაწილი ზღვაში დაიხრჩო და ჩიტიისთავიანთა მეფე თავისი ფლოტით უკან გაბრუნდა. უთავოთა მეფის არც ერთ არმიას ამგვარი სრული გამარჯვება არ მოუპოვებია. უფლისწულს დიდი პატივი მიაგეს. ჯარისკაცები აღიარებდნენ, რომ აქამდე მათთვის არავის ასე კარგად არ უხელმძღვანელია და არც ერთ მათს საუკეთესო გენერალს ასეთი დიდი ღირსებები არ გამოუვლენია. ამ ქებამ ახალი ძალებით აღავსო ჭაბუკი მხედართმთავარი. მეფეს შესთავაზა — ფლოტით ზღვაში გავალ და უშუალოდ მტრის ქვეყანას დავესხმიო. მეფემ მოიწონა მისი წინადადება. ბრძანა ასი გემის აგება. მას შემდეგ, რაც გემები სათანადოდაც აღჭურვეს, მძლავრი ფლოტი ხვარაზმელი უფლისწულის მეთაურობით ჩიტიისთავიანთა კუნძულისაკენ გაემართა.

კუნძულზე ღამით გადასხდნენ. უფლისწულმა მეომრები უჩუმრად საბრძოლოდ დააწყო და გამთენიისას ქალაქისაკენ დაიძრენ. ქალაქის მცხოვრებლები არავითარ თავდასხმას არ ელოდნენ. ვინც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ყველანი დახოცეს. მეფე და მისი სამეფო კარი დაატყვევეს. საბოლოოდ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ უთავოთა კუნძულზე. აქ ხვარაზმელ უფლისწულს წარმოუდგენელი ზეიმით დახვდნენ. სახალხო ზეიმი ერთ თვეს გაგრძელდა. ტყვეები კუნძულის მცხოვრებლებმა დაინაწილეს. ტყვეები იმ საწებლებით შეჭამეს, რომლებსაც ჩვეულებრივ წყლის ფრინველებისთვის იყენებდნენ ხოლმე. დამარცხებულმა მეფემაც იგივე ბედი გაიზიარა — უთავოთა კუნძულის სამეფო ოჯახის ზეიმზე მთანთქეს.

ექსპედიციამ ბოლო მოუღო ყოველგვარ ომს. ამის შემდეგ ხვარაზმის უფლისწულს კუნძულზე რაიმე დიდი საქმე აღარ გამოსჩენია. უთავოთა მეფის კარზე დარჩა ცხრა წელიწადს. მეფე უაღრესად აფასებდა მას და ერთ დღეს უთხრა: „უფლისწულო, მე ასაკში ვარ შესული და ვაჟი არ მყავს. ჩემს მემკვიდრედ შენ დაგამტკიცებ, ოღონდ იმ პირობით, თუ ქვეყანას ჩემს ქალიშვილთან ერთად მართავ: მართალია, შენი სხეულის აღნაგობა ყოვლად არაბუნებრივი და საკმაოდ სასაცილოა, მაინც მსურს, რომ ჩემი სიძე გახდე“. უფლისწული შეეცადა ფრთხილად თავი აერიდებინა ამგვარი საუბარისათვის. მაგრამ მეფე ყოველდღე იმავეს უმეორებდა. როდესაც მეფემ შეამჩნია, რომ

უფლისწულს ეს ქორწინება მაინცდამაინც არ ხიბლავდა, ტონი შეცვალა და უთხრა მას: „შენ უარს მეუბნები იმ პატივზე, რასაც მე ვთავაზობ. იცოდე, ვერავითარი ძველი სამსახური ჩემი რისხვისაგან ვერ გისნის, თუკი ურჩობას გააგრძელებ. ეს საქმე შენი გადასაწყვეტია. ჩემს ქალიშვილზე უნდა იქორწინო ხვალ, თორემ მოვკვებით მაგ ბურთს (თავს), რომელიც შეუწყვეტლად მოძრაობს შენს მხრებს შორის და გიმახინჯებს მთელს გარეგნობას“.

ამ სიტყვებმა უფლისწული მიახვედრა — ან მეფის ასულის ცოლად შერთვას უნდა დავთანხმდე, ან უნდა მოვკვდეო. მწარე დილემის წინაშე მყოფს აღმოხდა: „ფატალური ვარსკვლავო, რომლის ქვეშაც მე დავიბადე, ნუთუ შენს ბოროტებას დასასრული არ ექნება? საკმარისი არ იყო, ერთი ძაღლისთავიანი ცოლი მყოლოდა, რომ ეხლა კვლავ მონსტრზე უნდა დავქორწინდე? ო, დილარამ! მშვენიერო დილარამ! შენი ხსოვნა წარმოუდგენელი და განუქარვებელი დარდით მაცხებს. როგორ შეიძლება უფლისწულმა, რომელიც სათუთად ინახავს თავის გულში შენს ხატებას, იცხოვროს ცოლთან, ვისაც ბუნებამ თვალები, საზარელი სახით, მხრებზე მოუთავსა? რომლის მკერდზე გამობმული პირი ქმრის ჩასანთქმელად უფრო გამოდგება, ვიდრე ამბორის მისაღებად“. — ამ ზიზღის მიუხედავად იძულებული გახდა ქორწინებას დათანხმებოდა. საქორწინო წესები დიდი ზარ-ზეიმით აღასრულეს.

ქორწინების ღამეს უფლისწული შეიყვანეს ოთახში, სადაც მანამდე მსახურები მეფის ქალიშვილს შეუძღვენენ და მარტო დატოვეს ისინი. მეფის ასული პირველად რომ მიუახლოვდა, ზარდაცემულ უფლისწულს კანკალი დააწყებინა. მაგრამ ქალის სიტყვებმა მალე დაუბრუნეს ჩვეული სიმშვიდე. „ბატონო ჩემო, მე ძალიან კარგად ვიცი, — თქვა მეფის ასულმა, — რომ თქვენაირ კაცს ჩემი მსგავსი ქალი ალბათ უნდა სძულდეს. თქვენს გრძნობებზე საკუთარი განცდების მიხედვით ვმსჯელობ. ისეთივე ზიზღს ვგრძნობ თქვენდამი, რაც თქვენც უნდა გქონდეთ ჩემს მიმართ. ჩვენ თანაბრად ვთვლით ერთმანეთს მონსტრებად. ორივეს გვაქვს საკმარისი მიზეზი სადარდებლად, რომ ერთმანეთთან ყოფნას გვაიძულებენ. თქვენ ასე მოიქცით, რათა სიკვდილისათვის დაგელწიათ თავი. მე იძულებული ვიყავი მამაჩემს დავმორჩილებოდი. მაგრამ ნება მომეცით ვითხრათ: თუ თქვენ უარს იტყვით მეუღლის სტატუსზე, მე შემოიძლია თქვენ ბედნიერი გაგხადოთ“. „ქალბატონო, — უპასუხა უფლისწულმა, — მე ამ სტატუსზე მთელი გულით ვაპბობ უარს, რაკი თქვენ ითხოვთ ჩემგან ამგვარ მსხვერპლს. მაგრამ როგორ შეგიძლიათ ჩემთვის ბედნიერების დაბრუნება?“ ქალმა უთხრა: „იცოდეთ, მე მიყვარს ჯინი, რომელსაც ჩემდამი ასევე მძაფრი გრძნობა მოსვენებას არ აძლევს. როგორც კი გაიგებს, რომ მამაჩემმა გამათხოვა, მაშინვე მომიტაცებს. მაშინ მე შევევედრები მას, რომ გადავიყვანოთ თქვენს ქვეყანაში. ეჭვი არ მეპარება, ის უაღრესად კმაყოფილი დარჩება იმ პატივისცემით, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩემდამი და იმას გააკეთებს, რასაც თქვენ მოისურვებთ“. — „ძალიან კარგი, მშვენიერო ქალბატონო, — თქვა

იმედმოცემულმა უფლისწულმა. — მე თანახმა ვარ თქვენს ჯინს დავუთმო ყოველგვარი სიმდიდრე, რაც კი ზეცას ჩემთვის განუსაზღვრია“. ამ სიტყვებით ის დაწვა ტახტზე და დაიძინა. მეფის ასული მეორე ტახტზე დაწვა და მანაც ღრმა ძილს მისცა თავი.

როდესაც ორივეს ეძინა, გამოჩნდა შეყვარებული ჯინი, ხელში აიყვანა ორივენი და მოიტაცა. ჯინი გაჩერდა ერთ ახლომდებარე კუნძულზე და იქ მწვანე მოლზე დატოვა უფლისწული. თავისი სატრფო კი წაიყვანა გამოქვაბულში, რომელიც ამ შემთხვევისათვის თავშესაფრად ჰქონდა გამზადებული. ხვარაზმელ უფლისწულს მალე გამოეღვიძა და განცვიფრებული დარჩა, რომ უცნობ კუნძულზე იმყოფებოდა. მაშინვე იფიქრა: აჰ ალბათ მეფის ასულზე შეყვარებულმა ჯინმა მომიყვანაო. თუმცა ჯინმა ისეთი მადლიერება არ გამოიჩინა მისდამი, როგორც ამას მეფის ასული პირდებოდა, რადგან შობლიურ ქვეყანაში გადაყვანის ნაცვლად ბედის ანაბარა მიაგლო კუნძულზე, რომელიც შესაძლოა სამსარების მსგავსი ბარბაროსული ხალხით იყო დასახლებული. ამგვარმა აზრებმა უფლისწული მეტისმეტად ცუდ გუნებაზე დააყენა. ამ დროს ზღვის ნაპირზე ბერიკაცი დაინახა. უფლისწული მისკენ გაემართა და გამოელაპარაკა. უცნობი მაჰმადიანი აღმოჩნდა. უფლისწულს ასე მიმართა: „ვინ ხართ ყმაწვილო? თქვენი კეთილშობილი იერი მაფიქრებინებს, რომ ლიტონი კაცი არ უნდა იყოთ.“ „მართალს ბრძანებთ, — მიუგო უფლისწულმა, — მეფის შვილი გახლავართ“. „რომელი მეფეა მამათქვენი? — ჰკითხა მაჰმადიანმა, — ნუ დამიფარავთ სიმართლეს. ვფიცავ ჩვენი დიდი წინასწარმეტყველის სახელს, გულწრფელი ვარ და რაიმე ცუდი ჩანაფიქრი არ მაქვს. დარწმუნებული იყავით: თქვენი სამსახური უფრო მინდა, ვიდრე ენების მოყენება. ილაპარაკეთ ღიად, ნურაფერს დამიძალავთ“. „რაკი ჩემი სახელის ცოდნა გსურთ, — უპასუხა უფლისწულმა, — გეტყვით: ხვარაზმელი უფლისწული გახლავართ“. „ო, ღმერთო, — შეაწყვეტინა ბერიკაციმა, — ნუთუ შესაძლებელია თქვენ იყოთ ის უბედური უფლისწული, ვეროპელმა მეკობრეებმა რომ გაიტაცეს?“ „საიდან იცით თქვენ ეს ამბავი?“ ჰკითხა პრინცმა. „ბატონო ჩემო, — უპასუხა მოხუცმა, — მე მამათქვენის საბრძანებელში დავიბადე და ერთი იმ ვარსკვლავთმრიცხველთაგანი ვარ, რომელთაც თქვენ ჰოროსკოპი შეგიღვინეს. ესლა შეგატყობინებთ თქვენთან დაკავშირებულ ამბებს. თქვენი გატაცების შემდეგ მეფე ისეთმა დარდმა მოიცვა, რომ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ხალხმა, რომლის საყვარელი მონარქიც იყო ის, დიდხანს იგლოვა მეფის დაღუპვა. როდესაც თქვენი გამოჩენის იმედი გადაეწურათ, ტახტზე თქვენი სისხლის უფლისწული აიყვანეს. ამ ახალმა მონარქმა შეგვკრიბა ყველა ვარსკვლავთმრიცხველი და დაგვავალა გვეკითხა ვარსკვლავებისათვის, თუ როგორ წარიმართებოდა მისი მეფობის წლები. ჩვენმა წინასწარმეტყველებებმა ის განარისხეს. დაუფარავად მოვანსენეთ, თუ რა ბოროტებებით ეშუქებოდა ზეცა. ამის გამო ჩვენი სიკვდილით დასჯა

ბრძანა. მეფის ჩანაფიქრი მანამდე ჩვენი ხელოწინების საიდუმლოებათა მეშვეობით ამოვიცანით, ქვეყანა სასწრაფოდ დაგვტოვებდა და ყოველმა ჩვენგანმა ქვეყნიერების ის ნაწილი ამოირჩია საცხოვრებლად, რომელიც მისთვის იყო სასურველი. მე ქვეყნიერების ბევრი მხარე მოვიარე და ბოლოს ამ კუნძულზე დავრჩი. აქ ისეთი სიკეთის დედოფალი მბრძანებლობს, რომ მისი ქვეშევრდომების მსგავსად ბედნიერი ქვეყნად არავინ იპოვება“.

ვარსკვლავთმრიცხველის მონათხრობის სმენისას ზვარაზმელი უფლისწული მწარედ ტიროდა. მამის გარდაცვალების ცნობამ ისე შექმრა, რომ ბერი ვარსკვლავთმრიცხველი იძულებული გახდა თხრობა შეეწყვიტა და ენუგემებინა. „ბატონო ჩემო, — თქვა მან, — სამწუხარო ამბები გამცნეთ. თუმცა ასევე მინდა ვითხრათ თქვენთვის მეტად სასიამოვნო ამბავიც. მე ჯერ კიდევ მახსოვს ჩვენი დაკვირვებანი: ზეცა თქვენ ბედნიერ მომავალს გპირდებოდით ოცდაათი წლის ასაკის გადაბიჯების შემდეგ. ესლა ოცდათერთმეტი წლის ხართ. მაშასადამე ყველა თქვენი უბედობა წარსულს ჩაბარდა. წამომყევით, თუ შეიძლება, და მე მივიყვანთ დიდ ვეზირთან, რომელიც კარგი კაცია. ის წარგადგენთ დედოფალის წინაშე. დედოფალი ისე მიგიღებთ, მოახსენებენ თუ არა მას თქვენს ამბავს, როგორც ამას იმსახურებთ“. უფლისწული და ვარსკვლავთმრიცხველი ვეზირს ეახლნენ. უფლისწულის ვინაობა რომ მოახსენეს, განსაკუთრებული განცვიფრება შეეტყო და წამოიძახა: „ო, ღმერთო ჩემო, მხოლოდ შენ ძალგამს სასწაულთა მოხდენა! მობრძანდით, ბატონო ჩემო, — განაგრძო მან, — წავიდეთ დედოფალთან. თქვენ იქ გაიგებთ ჩემი გაკვირვების მიზეზს“. ვეზირი უფლისწულს სასახლისაკენ წარუძღვა. დედოფლის სამყოფელს რომ მიუახლოვდნენ, ვეზირმა სთხოვა — ცოტახანს მოიცადეთო. მისი რანგის უფლისწულის მისაღებად დედოფალი საგანგებოდ უნდა მომზადებულიყო. ვეზირი საკმაო ხანს დარჩა დედოფალთან. ბოლოს დედოფალი გამობრძანდა იმ ოთახში, სადაც უფლისწული იმყოფებოდა. ისე დააკვირდა სტუმარს, თითქოს იცნობსო. „ო, ბატონო ჩემო, — თქვა დედოფალმა და მის მოსახვევად ხელები გაშალა, — შეიძლება თუ არა რაიმე ბედნიერება შეედაროს იმას, რასაც მე ესლა თქვენი ხელახალი ნახვისას განვიცდი?“ უფლისწულმა შეხედა, რომ მისი ძვირფასი დილარამის წინაშე იდგა. ერთბაშად აიტაცა განცვიფრების, სიყვარულის და ბედნიერების გრძობებმა: „ო, ჩემო ქალბატონო, შესაძლებელია თუ არა ეს, რომ ხელახლა გხედავთ თქვენ. ზეცას რა უბედურებანიც არ უნდა გამოეგზავნა ჩემთვის, ვალიარებ: მისი ამჟამინდელი წყალობა ფარავს ადრე გამოჩენილ ყოველგვარ სიმკაცრეს. რადგან თქვენი თავი დაუბრუნა ჩემს სიყვარულს“.

ისინი კვლავ და კვლავ ეხვეოდნენ ერთმანეთს იმგვარი სიმძაფრით, რომლის გადმოცემა მეტად ძნელია. შემდეგ უფლისწულმა მათი შვილების ამბავი იკითხა. „ბატონო ჩემო, მალე ნახავთ მათ, — უთხრა დედოფალმა, — სულ მალე დაბრუნდებიან ნადირობიდან“. — „ქალბატონო, როგორ გახდით ამ კუნძულის

დედოფალი?“ – ჰკითხა პრინცმა. „რათა დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა, – უთხრა დილარამმა, – მოვითხრობთ, როგორ მოვიპოვე აქ ძალაუფლება. ოღონდ ამ ტახტზე ხვალვე უარს ვიტყვი და თქვენ გამოგყვებით, თუკი ჩემმა ქვეშევრდომებმა არ ისურვეს, რომ თქვენთან ერთად ვმართო კუნძული. როდესაც მეკობრეებმა თქვენ კუნძულზე დაგტოვეს და ხელახლა ზღვაში გავედით, ექვსი ლიგაც არ გვქონდა გავლილი, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. გემი ქარიშხალმა დიდი სიმძლავრით დააჯახა ამ კუნძულის სანაპირო რიფებს და ხომალდი ნაწილ-ნაწილ დაიმსხვრა. რამდენიმე მეზღვაურმა ნაპირზე ცურვით გამოაღწია. მეკობრეთა უძრაველესობა დაიღუპა. მე ხელი მოვხვეი ჩემს ორივე შვილს და მეგონა მათთან ერთად დავიღუპებოდი. ტალღებმა თანდათან შთანთქმა დაგვიწყვეს. მაგრამ ხომალდის კატასტროფა კუნძულიდან დაუნახავთ აქაურ მცხოვრებლებს და მცირე კარჭაპებით წამოსულან ჩვენს დასახმარებლად. ბევრზე მოგვისწერეს და შეძლეს ჩვენი გადარჩენა. დაინახეს, რომ ჯერ კიდევ ვსუნთქავდით, წაგვიყვანეს თავიანთ სახლებში და იქ საბოლოოდ დაგვაყენეს ფეხზე. ამ კუნძულის მეფემ შეიტყო გემის დაღუპვა და თავისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩვენი ნახვა მოისურვა. მაშინ ოთხმოცდაათი წლის იყო. მის ქვეშევრდომებს ღირსეული მონარქი მეტისმეტად უყვარდათ. არაფერი დაჰმიალავს და სრულად მოვუყევი ჩემი თავგადასავალი. მან გულთან ახლოს მიიტანა ჩემი უბედურებანი და იტირა კიდევ მონათხრობის სმენისას. დიდი ყურადღებით მისმენდა და ბოლოს მითხრა: „შვილო ჩემო, დიდი სიმტკიცით შესძელი მრავალი უბედურების გადატანა. ესენია ის გამოცდები, რომელთა წინაშეც ზეცა ჩვენს სათნოებას აყენებს. თუ მათ მოთმინებით ვუმკლავდებით, ტანჯვათა სანაცვლოდ ზეცა თითქმის ყოველთვის ბედნიერებას მოგვაცვებს ხოლმე. დარჩით ჩემთან, მე ვიზრუნებ თქვენზე და თქვენს ბავშვებზე“. უფრო მეტად ყურადღებანი ვერ იქნებოდა ბავშვებისადმი, ისინი მისი საკუთარი შვილებიც რომ ყოფილიყვნენ. ასეთივე განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენდა ჩემდამი. გარდა ამისა, თავისი ქვეყნის მართვის საკითხებში რჩევებსაც მეკითხებოდა. მან თავის სახელმწიფო საბჭოში შემიყვანა. რათა ეჩვენებინა, თუ რა კეთილგანწყობილი იყო ჩემდამი, დიდ ქებას ასხამდა ყველაფერს, რასაც მე ვიტყოდი. ასე გავიდა ხუთი წელი. ერთ დღეს მითხრა: „მეფის ასულო, მოვიდა დრო შეგატყობინოთ ჩემი ჩანაფიქრი, რომელიც თანდათან ჩამომიყალიბდა. მინდა, რომ ჩემი გარდაცვალების შემდეგ სამეფო თქვენ იმემკვიდროთ. სამეფოს თქვენთვის დამტკიცება რომ შეეძლო, ცოლად უნდა შევირთოთ: ყველა ჩემი ქვეშევრდომი, რომელნიც თქვენი სათნოებებით მოხიბლეთ, მოიწონებს ამ გადაწყვეტილებას და არაჩვეულებრივად ნასიამოვნები იქნება, როდესაც თქვენ გიხილავენ ჩემს მემკვიდრედ“. ჩემი ბავშვების ინტერესმა მაიძულა, დავთანხმებულიყავი ამ ქორწინებას. სამეფოს მცხოვრებლები მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. არც მაშინ ყოფილან ნაკლებად კმაყოფილნი, როდესაც მისი გარდაცვალების შემდეგ, მეფე კი ქორწინებიდან მალევე გარდაიცვალა, შეიტყვეს,

რომ, გარდაცვლილის ნებით, მათს მონარქად ვიყავი დადგენილი. ამ დროიდან აქ ვმართავ ქვეყანას და შემიძლია გავბედო თქმა, ჩემს ერთადერთ მიზნად ქვეშევრდომთათვის ბედნიერების მინიჭება დავისახე⁵.

დღღოფალმა ამ სიტყვებით საუბარი რომ დაასრულა, დაინახა: ორი უფლისწული ნადირობიდან სახლში ბრუნდებოდა. „უფლისწულებო, მოდით, — დაიმახა მან, — მოდით და მოეხვიეთ მამათქვენს, რომელიც ზეცამ გადაარჩინა“. სისხლის ძახილმა მათ მაშინვე დააჯერებინა ეს სასწაული. მიიბრინეს ხვარაზმელ უფლისწულთან. მამამ ხელები გაშალა და მოეხვია მათ, თვალები დაუკონა. როდესაც უნაზესი გრძნობებით აღსავსე ეს ოთხი ადამიანი ერთმანეთს ვერ შორდებოდა, დიდმა ვეზირმა, დღღოფლის მითითებით, შეკრიბა კუნძულის მცხოვრებლები და მოუთხრო მათ მთელი ამბავი. შემდეგ მოუწოდა, ეცნოთ უფლისწული თავიანთ მმრძანებლად. ხალხი ერთხმად დათანხმდა და ხვარაზმის უფლისწული საკუთარ მეფედ გამოაცხადა. დიდხანს იმეფა ამ კუნძულზე თავის ძვირფას ქართველ ქალბატონთან ერთად. იმგვარად, რომ მისი მმართველობის წლები „ბედნიერის“ სახელით დარჩა ისტორიაში“. — ბატონო, ეს ამბავი იმიტომ მოვყვები, თქვა სპარსეთის მეფის მეცნრე ვეზირმა, რათა თქვენი უდიდებულესობისათვის მერყვნებინა: მეფეთა შვილებიც ჩვეულებრივი ადამიანების ბავშვების მსგავსად არიან დაქვემდებარებული ვარსკვლავთა ბოროტ ნებას“.

პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანი უნდა იყოს აღნიშნული ამბის დათარიღების საკითხი. კონკრეტული სამეცნიერო ლიტერატურა ამ ისტორიის შესახებ ვერსად მოვიძიე. ერთადერთი, „ხვარაზმელი უფლისწულის და ქართველი მეფის ასულის ამბავი“⁶ გარკვეულ საკითხთან კავშირში მიიქცია გერმანული მედიევისტიკის ყურადღება. XIX საუკუნის გერმანელმა მეცნიერებმა ბარჩმა და ჰოლვეიუსმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ დაახლოებით 1170 წლით დათარიღებული გერმანული სათავგადასავლო რომანი „ჰერცოგი ერნსტი“ რიგ პუნქტებში ემყარება ამ აღმოსავლურ ამბავს.⁶ გერმანულ სათავგადასავლო რომანში

⁵ აღნიშნულ ლიტერატურულ ძეგლს ქვემოთ მოვიხსენიებ როგორც „ამბავს“.

⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით შტრ. David BLAMIRE (იხ. ზემოთ შენ. 1), გვ. 4. თვითონ გერმანული ნაწარმოების ტექსტი და ზოგადი მიმოხილვა აღნიშნულ ძეგლზე იხ. Herzog Ernst: Ein mittelalterliches Abenteuerbuch, hrsg. v. Bernhard Sowinski, Stuttgart 1994. მაგრამ ბარჩი და ჰოლვეიუსიც მიიჩნევენ, რომ „ამბავი“ ეკუთვნის „ათას ერთი ღამის“ ციკლს, მას მოიხსენიებდნენ ე. წ. თურქული „ათას ერთი ღამის“ შემადგენელ ნაწილად. ოღონდ არც ერთი მკვლევარი არ აღნიშნავს, თურქული „ათას ერთი ღამის“ რომელ კონკრეტულ ვერსიას გულისხმობდნენ. ინგლისელი მკვლევარი ბლამირესი მიუთითებს, რომ ჩვენთვის საინტერესო ამბავი „ათას ერთ ღამეს“ თითქოს არ უნდა უკავშირდებოდეს და ის ჩართულია ე. წ. შეიხ-ზადას თურქულ კოლექციაში, რომელიც „ორმოცი ვეზირის ამბავის“ სახელით არის ცნობილი (შტრ. David BLAMIRE [იხ. ზემოთ შენ. 1], გვ. 4). არსებული მასალის საფუძველზე ეს უკანასკნელი შეხედულება უფრო მართებული უნდა ჩანდეს.

მოთხრობილია ნაწარმოების მთავარი გმირის, ჰერცოგ ერნსტის, იერუსალიმსა და შემდეგ ზღაპრულ აღმოსავლეთში მოგზაურობა.⁷ რამდენიმე პასაჟი ამ ორ ლიტერატურულ ძეგლში, განსაკუთრებით მიწისქვეშეთში ყოფნა, საოცარ აღაძინებთან მოხვედრა და მრავალი სხვა, მართლაც მეტად ჰგავს ერთმანეთს. თუმცა უფრო გვიანდელ გერმანულ მედიევისტიკას ეს ვარაუდი საბოლოოდ არ გაუზიარებია. რადგან ანონიმ გერმანელ ავტორს იმავე პასაჟების გადმოღება სხვა წყაროებიდანაც შეეძლო. ამდენად, „ამბავი“ ნამდვილად საფუძველად რომ დასდებოდა „ჰერცოგი ერნსტი“⁸ რიგ პასაჟებს, მაშინ, ბუნებრივია, ეს „ამბავი“ 1170 წელზე ადრე უნდა იყოს შექმნილი. სამწუხაროდ, ევროპელ მკვლევარებთან არ არის მითითებული, რის საფუძველზე ხდება აღმოსავლურმა ისტორიის 1170 წელზე ადრინდელი ხანით დათარიღება. ჩემი დაკვირვებით, ერთგვარად აპრიორი არის მიჩნეული, რომ ეს ამბავი ადრეული ხანის უნდა იყოს. თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: თავისი სტილისტიკით „ამბავი“ უფრო ძველ, მაღალი შუა საუკუნეების პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

თუ გერმანულ რომანზე „ამბავის“ გავლენა არ დადასტურდა, რაც თითქოს ნაკლებად დასაშვებია ჩანს, მაშინ შექმნის სავარაუდო პერიოდი უფრო ფართოდ შეიძლება მოიხაზოს. უფრო სწორად, თუ როდის გათამაშდა იმ კონკრეტული ამბების მსგავსი მოვლენები, რამაც ზღაპრული ამბის შექმნას მისცეს ბიძგი. „ამბავის“ კონკრეტულ სიუჟეტში მოხსენიებულია მხოლოდ სამი რეალური ქვეყანა და მათი მმართველები: ჩინეთი, ზვარაზში, საქართველო. ამასთან, ეს ქვეყნები იმგვარ კონტექსტში არის ნახსენები, რომ იგულისხმება: საქმე გვაქვს მძლავრ სახელმწიფოებთან. ჩინეთი, ცხადია, მუდამ რჩებოდა ერთგვარ ანგარიშგასაწევ სიდიდედ. ზვარაზმს და საქართველოს კი ამგვარი ძლიერების შედარებით მოკლე პერიოდები ჰქონდათ. საქართველოს უმთავრესად 1100-1220 წლებში, ხოლო ზვარაზმს – დაახლოებით 1150-1220 წლებში. ამის შემდეგ ზვარაზმის დამოუკიდებელი სახელმწიფო აღარც არსებობს (ზვარაზმის პროვინცია ძირითადად შედის სხვადასხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში). ამიტომ ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელი ზვარაზმის სახელმწიფოს არსებობისა და ძლიერების წლებია. მაშინ საწყის ზოგად ჩარჩოდ ვიღებთ 1150-1220 წლებს.

შემდგომი დაზუსტების საშუალებას, ჩემი აზრით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ შექმნის თარიღი უნდა გვაძლევდეს. ერთ კონკრეტულ მონაკვეთში სიუჟეტური მსგავსება „ვეფხისტყაოსანს“ და „ამბავს“ შორის თვალმისაცემი უნდა იყოს. „ამბავი“ მოგვითხრობს: საქართველოს მეფეს

⁷ აქვე შევნიშნავ, რომ „ამბავის“ სხვა ლიტერატურულ ძეგლებთან სიუჟეტური შედარებისგან თავს ვიკავებ. სტატიის სპეციფიკიდან გამომდინარე ამის აუცილებლობა აქ არ უნდა იყოს. ერთი შეხვედრითაც მრავლად ჩანს სიუჟეტური პარალელები მრავალ დასავლურ და აღმოსავლურ რომანთან. მაგალითად მეფის უშვილობის, ვაჟის გაჩენის, ასტროლოგთა მოწვევის, შვილის განსაკუთრებული სიფრთხილით აღზრდის მოტივები მაშინვე მოგვაგონებს „ბალავარიანს“.

ჰყავს ქალიშვილი; ერთმანეთი უყვართ მეფის ასულს და სამეფო გვარის უფლისწულს, რომელიც იმავე დროს საქართველოს სამეფო კარზე ცხოვრობს; უცხო ქვეყნის ელჩი მოდის საქართველოს სამეფო კარზე და ითხოვს მეფის ასულ დილარამის ხელს თავისი მმართველისთვის. საქართველოს მეფე თანხმდება, რაკი ეს ქორწინება პოლიტიკური თვალსაზრისით მომგებიანი ჩანს. დილარამი ქორწინების წინააღმდეგია. შემდგომ შეიძლება უკვე შორეულ ანალოგიებზე ლაპარაკი: დილარამი ხვარაზმელი უფლისწულის ცოლი ხდება, განსხვავებით „ვეფხისტყაოსანის“ რეალობისაგან. სხვათა შორის, იმავე მეფის ასულ დილარამის სამსარების კუნძულზე მოხვედრაც ერთგვარ შორეულ ანალოგიას აღძრავს ნესტანის გადაკარგვასთან. თვითონ სახელი „დილარამ“ უცნაურად გავს „დინარას“. როგორც ცნობილია, თამარ მეფეზე სრსებულ შუა საუკუნეების რუსულ ლეგენდაში ქართველთა მეფე ამ სახელით მოიხსენიებოდა.

ყველაფერიდან ცხადია, რომ არც „ამბავს“ და არც „ვეფხისტყაოსანს“ ერთმანეთზე გავლენა არ მოუხდენიათ. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ორივე ნაწარმოები უნდა ამოდიოდეს ერთი კონკრეტული ისტორიული ამბიდან, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე გათამაშდა და რომელშიც რაღაც ფორმით ხვარაზმის სამეფოც იყო ჩართული. როგორც ზემოთ ნათქვამიდან გამოძინარეობს, ხვარაზმელებთან დაკავშირებული ამგვარი ამბავი 1150 წელზე ადრე სავარაუდოდ ვერ მოხდებოდა. „ვეფხისტყაოსანის“ რიგი რეალიები, კარგად არის ცნობილი, თითქოს თამარის მმართველობის პირველ წლებზე მიანიშნებენ. ის რეალური ამბები, რაც „ამბის“ ამ კონკრეტულ სიუჟეტს საფუძვლად შეიძლება დასდებოდა, 1195 წლამდე უნდა იყოს მომხდარი (რუსთაველმა, სავარაუდოდ, ამ დროს დაიწყო თავის რომანზე მუშაობა), რადგან ამგვარი მსგავსება „ამბავს“ და „ვეფხისტყაოსანის“ რამდენიმე პასაჟს შორის შემთხვევითი ვერ იქნება. ყველა ნიშნის მიხედვით, „ამბავის“ აღნიშნული პასაჟები დასაბამს უნდა იღებდნენ გარკვეული რეალური მოვლენებიდან, რომლებიც თამარის ზეობის დასაწყისში საქართველოს სამეფო კარზე გათამაშდა. „ვეფხისტყაოსანს“ და „ამბავში“ სხვადასხვა კუთხიდან უნდა იყოს ერთი რეალობა არეკლილი. თუმცა „ამბავის“ შემდგომ განვითარებას ამ დროის საქართველოს რეალურ ისტორიასთან საერთო აღარაფერი აქვს. ძნელი სათქმელია, დილარამის შემდგომ ბედში გარკვეულწილად აისახა თუ არა რომელიმე ქართველი პრინცესას აღმოსავლეთში, თუნდაც ხვარაზმში გათხოვების ისტორია.⁸ თუმცა სხვადასხვა პლასტების არსებობა „ამბავში“

⁸ ერთადერთი ხვარაზმელი მმართველი, რომელიც ქართველ „მეფის ასულს“, ან „მეფის ასულებს“ უკავშირდება, იყო ჯალალედინი. სხვა რეალური ისტორიული დოკუმენტები აღნიშნულ საკითხებზე არ მოგვებოვება. როდესაც 1230 წელს ჯალალედინმა ხლათი აიღო, ნადავლად მას ივანე მხარგრძელის ქალიშვილი თამთაკ ერგო. ეს უკანასკნელი აიუბიანი აღმსრავლის ცოლი გახლდათ. მაგრამ „ამბავში“ აღნიშნულ მოვლენათა რაიმე ანარეკლი არსად ჩანს. მანამდე ჯალალედინმა დედოფალ რუსუდანს მოციქულის პირით შესთავაზა, ცოლად გაჰყოლოდა, რაზეც უარი მიიღო. „ამბავში“ აღნიშნული მოვლენის გამოძახილიც თითქოს არ

სავარაუდოა. ამდენად, „ამბავის“ შექმნის თარიღის 1170 წლის უკან გადატანა მართებული არ მგონია. მით უმეტეს, რომ გერმანულ სათავგადასავლო რომანზე „ამბავის“ გავლენის შეხედულება მხოლოდ ჰიპოთეტურია. „ამბავის“ ის რეალური პლასტი, რომელზეც აქ გვექონდა საუბარი, სავარაუდოდ 1180-იან წლებში უნდა მოთავსდეს. სავარაუდოდ ეს ამბავიც ამ დროის ახლო ხანებში უნდა აღმოცენებულიყო.

„ამბავის“ დათარიღებისათვის აგრეთვე მნიშვნელოვანია „ვეროპელი მეკობრეების“ საკითხი. აღნიშნულ ცნებას საერთო სურათში ერთი შეხედვით არეულობა შემოაქვს. ამიტომ აქ თავიდან სასურველია „ამბავის“ მოკლე გეოგრაფიული მონახაზის მოცემა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში რეალური გეოგრაფიული სურათის აღდგენის იმედი არ უნდა გვექონდეს. მაგრამ მოქმედება აშკარად მიმდინარეობს აღმოსავლურ სამყაროში და, კონკრეტულად, აღმოსავლეთის ზღვებში. ვეროპელები მეკობრეები, უფრო სწორად — ვეროპელი ზღვაოსნები აღმოსავლეთის ზღვებში, კერძოდ, ინდოეთის ოკეანეში ჩნდებიან XV საუკუნის დასასრულიდან. „ამბავი“ კი აშკარად უფრო მაღალ შუა საუკუნეებშია შექმნილი. თუ „ვეროპელი მეკობრეები“ გვიანდელი ჩანართი არ არის, რაც ნაკლებ სავარაუდოა, მაშინ ამ ფაქტს შემდეგი ახსნა უნდა ჰქონდეს. დიდი აღმოჩენების ეპოქამდე ვეროპელ მეზღვაურებს გამონაკლისის სახით რამდენჯერმე ვხვდებით ერთადერთ აღმოსავლურ ზღვაში, კასპიის ზღვაში. IX, X, XI საუკუნეებში სკანდინავიიდან რუსეთის სტეპებში გადმოსული ნორმანები სისტემატურად აწყობენ სწორედ მეკობრულ, მძარცველურ რეიდებს კასპიის ზღვაში. სხვადასხვა დროს გაძარცვეს გურჯანის, გილანის სანაპიროები, დაარბიეს ქალაქი არდაბილი. XI საუკუნეში კასპიის ზღვის მხრიდან ნორმანების ერთი რაზმი ქალაქ ბარდავამდეც კი მოვიდა. არ არის გამორიცხული, ის რუსები, რომლებიც იმყოფებოდნენ იმ ფლოტში, გიორგი III-ის ზეობის ხანაში დერბენტის ამირას წაქეზებით შირვანს რომ დაესხა თავს, სწორედ ნორმანები ყოფილიყვნენ. გიორგი III-ს ისინი კასპიის ზღვაზე დაუმარცხებია და განუდევნია. ზოგადად ნორმანთა რეიდებმა კასპიის ზღვაზე მუსულმანურ სამყაროზე საკმაო შთაბეჭდილება მოახდინა და მათ გამოძახილს ბევრ იმდროინდელ მაჰმადიან ავტორთან ვხვდებით. თუ „ვეროპელ მეკობრეებს“ ამგვარ ინტერპრეტაციას მივცემთ, ამ ვარაუდს კარგად უნდა ესადაგებოდეს „ამბავის“ გეოგრაფიული რეალობაც. ხვარაზმელი უფლისწული თავისი სამეფოდან გადის ზღვაში, სადაც მას დაატყვევებენ ვეროპელი მეკობრეები და მიჰყვებიან კაცეჭამია სამსარებს. ქართველი მეფის ასული დილარამი გემით ასევე თავის სახელმწიფოდან გადის ზღვაში. იქ შტორმში მოხვდება და საბოლოოდ ისიც სამსარების კუნძულზე აღმოჩნდება. ამგვარი ზღვა საქართველოს და ხვარაზმის სახელმწიფოებს შორის, ბუნებრივია, მხოლოდ კასპიის ზღვა შეიძლება იყოს. მართალია, ნორმანების რეიდები კასპიის ზღვაში თამარის ეპოქაზე ადრეული ხანით თარიღდება, მაგრამ აქ უკვე

შეიძლება დაეუშვათ, რომ „ამბავის“ ავტორთან საქმე გვაქვს სხვადასხვა ისტორიულ შრეებთან, რაც მონათხრობში ერთ მთლიანობად შეირწყა.

მაგრამ აღნიშნულ ზღვაში მოხვედრის შემდეგ იწყება ზვარაზმელი უფლისწულის და დილარამის მოგზაურობა მონსტრუალური რასებით დასახლებულ კუნძულებზე. შუა საუკუნეების ევროპული გეოგრაფიული ველტიბლდისათვის კასპიის ზღვა იყო მხოლოდ მსოფლიო ოკეანის ყურე და ის უშუალო სიანხლოვეში იმყოფებოდა უკიდურეს ჩრდილოეთსა თუ ზღაპრულ აღმოსავლეთთან. ამიტომ იმავე კასპიის ზღვასთანაც ათავსებდნენ მონსტრუალურ რასებს თუ საოცარ ადამიანებს. ისლამურ სამყაროში შუა საუკუნეებშივე კარგად იცოდნენ, რომ კასპიის ზღვა არის მხოლოდ ტბა და მის ჩრდილოეთით კიდევ დიდი სივრცეებია გადაჭიმული. მაგრამ ამგვარი ფანტაზმაგორიული არსებანი იმავე მაჰმადიან ავტორსაც თავისუფლად შეიძლებოდა კასპიის ზღვაში მოეთავსებინა. აქ არის კიდევ ერთი გარემოება: სამსარების კუნძულიდან მიწისქვეშა მდინარით ახალ ზღვაში მოხვედრის შემდეგ რეალური გეოგრაფია პრაქტიკულად მთლიანად უკანა პლანზე გადადის და გეოგრაფიულ რეალიებში ზედმეტი სიზუსტით აღარც უნდა ვეცადოთ ისტორიული სინამდვილის აღდგენას.

საინტერესოა აგრეთვე „ამბავის“ მსოფლმხედველობრივი მხარეც. წინა პლანზე ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი ერთგვარი ფატალიზმი: ვარსკვლავები და მათი მემკვობით ერთი ღმერთი მთლიანად განაგებენ ადამიანთა ბედს. ზვარაზმელი უფლისწულის და დილარამის თავგადასავალი წინასწარ არის განსაზღვრული. ამას მოწმობს წარწერა, რომელიც მათ გამოქვაბულში იხილეს. ყველა მოვლენა თუ ყოველი პერსონაჟი ერთი რეჟისორის მიერ გათამაშებული გრანდიოზული დადგმის მონაწილენი არიან. ვარსკვლავებიდან წამოსული მოჩვენებითი ბოროტებით მხოლოდ ადამიანთა სათნოების გამოცდა და სრულყოფა ხდება, როგორც ფინალში კუნძულის ხნიერი მეფე ეტყვის დილარამს. ასევე შთამბეჭდავია ჩინეთის ხელმწიფის დალუპვის სცენა, რეალური ცხოვრებიდან ამოვარდნილი ერთგვარად ილუზორულ მარადიულ სამყაროს ქმნის. თუმცა რეალურ სამყაროსთან შეხებაში მოსვლა თავისთავად ამსხვრევს მის თავშესაფარს.

დასასრულ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ზვარაზმელი უფლისწულის და ქართველი მეფის ასულის ამბავი“, თუნდაც არაპირდაპირ, ყურადსაღებ მასალას გვთავაზობს შუა საუკუნეების საქართველოსთან დაკავშირებით. აღმოსავლურ ამბავში საქართველოს კარზე გათამაშებული სცენები ანარეკლი უნდა იყოს იმ რეალური ისტორიული მოვლენებისა, რომელთაც თავიანთი მხატვრული ასახვა „ვეფხისტყაოსანში“ პოვენს.

თამარ პატარიძე

ანტიასტროლოგიური პოლემიკის
ინტერპრეტაციისათვის ბასილი
კესარიელის „ექუსთა დღეთას“ მიხედვით

„ექუსთა დღეთას“ VI ჰომილია მნათობთა დაბადების შესახებ სწავლებას გადმოგვცემს და შესაქმის შესაბამის მუხლებს განმარტავს: და *იქუა ღმერთმან: იყვნედ მნათობნი სამყაროსა ცისასა განმანათლებლად ქუეყანისა და გამაწვალებლად შორის დღისა და შორის ღამისა. და იყვნედ სასწაულებად და ყაშებად და წელიწადებად. და ქმნა ღმერთმან მნათობნი იგი დიდ-დიდნი* (შესაქმე, I, 14-16). აღნიშნულ სწავლებას ბასილი დიდი მკვეთრად პოლემიკური ტიპის ანტიასტროლოგიურ განმარტებებს ურთავს. შესაბამისად, მთელი მეექვსე ჰომილია ისევე, როგორც ნაწილობრივ პირველიც, ვარსკვლავთმრიცხველობის წინააღმდეგ განვითარებულ ვრცელ მსჯელობებს ეთმობა. *კექსემერონში* ამ დისკუსიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წმინდა მამის კონცეფციების უშუალო ანალიზამდე საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის მოკლე ისტორია მოვხაზოთ, რაც, ჩვენის აზრით, იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ბასილი დიდის ადგილი გამოვკვეთოთ ასტროლოგიასთან ზანგრძლივი დაპირისპირების ისტორიაში და უფრო ადეკვატურადაც შევაფასოთ მისი მსჯელობების სპეციფიკა.

ასტროლოგიური ტექსტებით ბაბილონის ისტორიაში ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ.-ის VIII საუკუნიდან ცნობილი ქალდეველთა მეცნიერება ძველ საბერძნეთშიც (ძვ. წ. აღ.-მდე III ს.) შეითვისეს. ქალდეველთა შეხედულებით, ყველაფერი მნათობთა მოძრაობით აიხსნებოდა, ხოლო ამქვეყნიური მოვლენები რიცხვებსა და რიცხობრივ პროპორციებში ჩაქსოვილი ძალებით იმართებოდა. მნათობების მოძრაობაში, სეზონთა ცვალებადობაში რიცხობრივ კანონზომიერებებს სწავლობდნენ და ზეციურ და მიწიერ რეალობათ ერთმანეთთან აკავშირებდნენ. ამ მოძღვრებამ აუცილებლობა და ფატალურობა გააფეტიშა და ყოველ არსებაზე მოწუხილი ბედი ვარსკვლავთა გავლენით ახსნა.

ანტიფატალისტური არგუმენტაცია, თავის მხრივ, უტყვევს დოქტრინას, რომელიც ნიშნებით მოვლენათა წინასწარ განსაზღვრას შესაძლებლად მიიჩნევს, ზედმეტად ენდობა ვარსკვლავური გავლენების ეფექტურობას და გონიერ არსებათა იმ უნარსაც, რომლის მიხედვითაც მათ იმის ანალიზი შეუძლიათ, რასაც ეს გავლენები გვიქადაიან. ასტროლოგიის უარყოფის მიზეზები ტრადიციულად მორალზე აპელირებით ყალიბდებოდა. იდეოლოგიური მორალი იქნება ეს, ფილოსოფიური თუ რელიგიური. მეორეს მხრივ, ვარსკვლავებით განსაზღვრული

ბელისწერის ფენომენი ღვთის პროვიდენციასა და თავისუფალ ნებას, როგორც ქრისტიანული მორალის დოგმატურ საფუძველს, ეწინააღმდეგებოდა. ორივემ იმთავითვე განჭვრიტა ქრისტიანობის მიმართ გამოვლენილი ის საფრთხე, რომელიც ვარსკვლავთა მხრიდან ადამიანთა სულებზე განხორციელებადი ვავლენის კონცეფციაში მდგომარეობდა და ამ წესით ადამიანის შინაგან სამყაროში იჭრებოდა, იქ, სადაც, ჩვეულებრივ, ღმერთის ადგილია (6, გვ. 3, 13-14).

ამჯერად საინტერესოა, თუ რა დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ქრისტიან მთაწარმეებთან წრეში ასტროლოგიის მიმართ. მათ საეჭვოდ არასოდეს გაუხდიათ შეხედულება იმის თაობაზე, რომ ციური სხეულები გარკვეულ ვავლენას ახორციელებენ: ეს საყოველთაოდ ცნობილი თეზა იყო. საზრუნავი მხოლოდ ის იყო, თუ როგორ, რამდენად უნდა მინდობოდნენ და რა დამოკიდებულება გამოეჩინათ ამგვარი ვავლენებისადმი. ე.წ. *ბუნებრივი ასტროლოგია* და ის უპირატესი როლი, რასაც ვარსკვლავები ამქვეყნიურობაში ასრულებენ, კამათის საგნად არასოდეს ქცეულა. ამავე დროს, პირველი ქრისტიანები იმას საყვედურობდნენ ასტროლოგებს, რომ მათ მომავლის განჭვრეტის ფუჭი მცდელობებით არა მხოლოდ მოატყუეს პუბლიკა, არამედ ურცხვად გაბედეს ყოვლისშემძლე ღმერთის პრეროგატივების უზურპაცია. ამრიგად, ქრისტიანები გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდნენ – ერთის მხრივ, მათ სურდათ ჰოროსკოპთა მალმერთებელი მათი წარმართი მეზობლების უტრირებული კონცეფციებისაგან გათავისუფლებულიყვნენ და, მეორეს მხრივ, თავადაც დაბეჯითებით მისწრაფოდნენ ასტროლოგიური ცოდნისაკენ: ზეციურ სხეულთა წესრიგის ღვთისთვის დაქვემდებარებასაც ცდილობდნენ და იმასაც, რომ თავიანთი რწმენის აღიარების საფუძველი კოსმიურ წესრიგში მოენახათ. ორივენს შემდგომმა მოაზროვნეებმა გარკვეული შემწყნარებლობა გამოიჩინეს *ვარსკვლავული ვავლენების* მიმართ, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი მხოლოდ ფიზიკური სამყაროთი შემოსაზღვრეს (მათ შორის ადამიანის სხეულითაც). ამავე დროს, ქრისტიანები ე.წ. “*ბუნებრივი ასტროლოგიასაც*“ აღიარებენ მისი მეტეოროლოგიური, სოფლის სამეურნეო და სამედიცინო მნიშვნელობით, თუმცა ადამიანის ფსიქიკურ-შინაგანი სამყაროს კონტროლი ექსკლუზიურად რელიგიას განუკუთვნეს. XIII საუკუნიდან კი თეოლოგების დამოკიდებულება ასტროლოგიის მიმართ კიდევ უფრო ტოლერანტული გახდა, ვიდრე ნეტარი ავგუსტინეს ეპოქაში. ისინი, რეალურად, არც მხარს უჭერენ ასტროლოგიას და არც აკრიტიკებენ, უბრალოდ ინდიფერენტულნი არიან მის მიმართ. მათი საზრუნავი უფრო ისაა, რომ ასტროლოგიისადმი ეკლესიის პოზიცია განსაზღვრონ და შეინარჩუნონ *თავისუფალი ნების* დოგმა. ამ მიდგომის მიხედვით, საქმე ასტროლოგიის პრობლემის მართვას ეხება, მისთვის ფუნქციის მინიჭებას, საზღვრების დადგენას და, ბოლოს და ბოლოს, მისგან საბოლოოდ განთავისუფლებასაც. მიუხედავად ამისა, ეკლესიის ისტორიაში ჰეტეროდოქსია ფაქტობრივად არასოდეს აღმოფხვრილა. ასტროლოგიამ კი მაინც შეძლო

თავისი გავლენის მოპოვება და არსებობის შენარჩუნება ქრისტიანობასთან გარკვეული ადაპტაციით. ამ პროცესს ხელი იმანაც შეუწყო, რომ ქრისტიანულ კულტურაში ძველი ასტროლოგიური ტრადიციებიც არსებობდა და იმანაც, რომ თეოლოგიური პრობლემების გადაჭრას შეჭიდებული დიდი მოაზროვნენი წინაქრისტიანული სამყაროს საუკეთესო მიღწევების გამოყენებას ცდილობდნენ სამყაროზე თავიანთი ახლებური შეხედულებების სისტემაში (5; 1-3).

რასაკვირველია, მნათობნი და ვარსკვლავები მომაგალს წინასწარმეტყველებენ, მაგრამ ისინი იძლევიან მხოლოდ ნიშნებს, მხოლოდ ღვთიურ სურვილებს გვიმჟღავნებენ, მის გადაწყვეტილებათა მხოლოდ მაჩვენებელი და გადმომცემნი არიან. საბოლოოდ, ქრისტიანობამ მნათობები ანგელოზთა გამგებლობაში ჩააყენა¹.

ამჯერად შეიძლება იმ არგუმენტების განხილვაზეც გადავიდეთ, რომლებიც ანტიფატალისტური პოლემიკის ფარგლებში შემუშავდა. ფილოსოფოსმა კარნეადმა (ძვ. წ. აღ.-ის II ს.) ბაბილონელების ასტროლოგიისა და სტოიკური ფატალიზმის წინააღმდეგ არგუმენტთა ის სერია შეიმუშავა, რომელიც მოდელად დარჩა საუკუნეთა განმავლობაში. მისი არგუმენტები ქრისტიან მოაზროვნეთა წრეებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე გაითავისეს. დავიდ ამანის დასკვნით: “ერთი და იგივე რეფრენი გულდასაწყვეტი მონოტონურობით მეორდებოდა, ერთსა და იმავე ტრადიციულ არგუმენტებს იმეორებდნენ განუწყვეტლივ. ისიც შევნიშნოთ, რომ ეს პოლემიკა, რომელშიც სიახლის შტრიხები არასოდეს შესულა, არც კი ითვალისწინებდა ასტროლოგიური თეორიების თანდათანობითი განვითარებისა და დახვეწის რეალურ ფაქტს“ (1, გვ. 42). ანტიფატალისტური არგუმენტაცია ძირითადად კარნეადის მიერ თავის მოწაფეებთან ზეპირად გამოთქმულ არგუმენტაციას ეყრდნობა და მისი ძირითადი პოსტულატები ასეთია: ერთსა და იმავე დროს დაბადებული ადამიანების სხვადასხვაგვარი ბედი; ომში ან ბუნებრივი კატასტროფების დროს იმ ადამიანთა კოლექტიური და ერთგვაროვანი სიკვდილი, რომლებიც სხვადასხვა დროსა და ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიტუაციებში დაიბადნენ; ერთსა და იმავე კლიმატურ პირობებსა და კულტურულ გარემოში დაბადებული ადამიანების ურთიერთმსგავსება და განსხვავებულობა ცხოველისა და ადამიანისა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს იბადებიან.

ამჯერად შეიძლება უშუალოდ *ჰექსემერონის* მსჯელობებსაც მივუბრუნდეთ. თუკი არგუმენტებს კონცეპტუალურად სრულად დავაჯგუფებთ, წმინდა მამის ანტიფატალისტური დოქტრინის ძარღვი შემდეგია:

¹ ორივენი თვალსაზრისით, ცხოვრების მდინარეა შეიძლება ვარსკვლავებში ამოვიკითხოთო, თუშეცა ამის უნარი არა ჩვენ, არამედ ინტელიგიბელურ არსებებს (ანგელოსებს) აქვთ. ის ფაქტი, რომ ღმერთმა იცის ყველას მომავალი, არ ქწინააღმდეგება ჩვენს თავისუფალ ნებას. ანალოგიურად, არც ერთი ის ნიშანი, რომლითაც ღმერთი მიუთითებს, არ ავიწროვებს ჩვენს თავისუფალ ნებას. ცის წიგნი მომაგალზე უწყებას მართლაც შეიცავს, რაც იმას მოწმობს, რომ მომაგალის შესახებ სწავლება აღსრულდება.

- იმის გამო, რომ ციურ სხეულთა მოძრაობა წრიული, თანაბარი და განუწყვეტელია, არ უნდა დავასკვნათ, თითქოს სამყარო დაუსაბამო და დაუსრულებელი იყოს. არითმეტიკული მეთოდებით და ყბადაღებული ასტრონომიის ამოცებით იმ დასკვნამდე მიდიან, რომ შემოქმედის მსგავსად სამყაროც მარადიულია, და ვერ ხვდებიან, რომ იქ, სადაც ნაწილები ხრწნადობას ემორჩილება, მთელიც უცილობლად თავისი ნაწილების მსგავსად შეიცვლის სახეს (2, ჰომილია I, გვ. 4, 3-32).
- ამ სოფლის ფილოსოფოსებმა ცის შესახებაც იქადაგეს თავიანთი სწავლება: მათი დოქტრინის მიხედვით, ცა ოთხი სტიქიისაგანაა შედგენილი. სხვათა კი ზეცისა და ვარსკვლავების წარმოშობას საფუძვლად მესხეთე ელემენტი დაუდეს, ეთერული ნივთიერება, რომელიც არც ერთი ოთხ ელემენტთან არ არის და წრიულად ბრუნვადია (2, ჰომ. I, გვ. 13, 1-13).
- მნათობთა ნიშნები ადამიანთათვის სასარგებლო და აუცილებელი მხოლოდ ზომიერების ფარგლებშია. მხოლოდ ასეთი დაკვირვება იძლევა პრაქტიკულ და სასარგებლო დასკვნებს მოსალოდნელ ამინდსა და ბუნების მოვლენებზე (3, ჰომ. VI, გვ.82, 6-11).
- ქალდეველთა მოძღვრების მიმდევრებმა კი ზომიერების საზღვრები გადალახეს და ადამიანის ბედს ციურ სხეულებზე დამოკიდებულად სახავეს (3, ჰომ. VI, გვ. 83, 19-26).
- ბედის წინასწარმეტყველმა ასტროლოგებმა შენიშნეს, რომ დროის ვრცელ მონაკვეთებში მრავალი სახე უსხლტებოდათ და დროის საზომის საზღვრები რაც შეიძლება დაავიწროვეს. უმოკლეს დროში სხვაობა შობიდან შობამდე მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. ზოდიაქოს წრე თორმეტ ნაწილად დაყვეს, თითოეული მეთორმეტედი ოცდაათ ნაწილად, შემდეგ ყოველი ასეთი ნაწილი სამოც ნაწილად, თითოეული კიდევ სამოცად და შედეგად ის მიიღეს, რომ ერთ წამში რომ ქალაქთა მფლობელი იბადება, მომდევნო წამში დაბადებული ლატაკია (3, ჰომ. VI, გვ. 84, 6-20).
- ფატალიზმი, რომელიც ადამიანის ბედს განსაზღვრავს, უგულბებელყოფს მის თავისუფალ ნებას (3, ჰომ. VI, გვ. 87, 25-35; გვ. 88, 6-20).

თუკი ჩამოყალიბებულ კონცეფციებს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, შეიძლება ზოგადად შევნიშნოთ, რომ წმ. მამის მსჯელობანი ჰარმონიულად ეხმიანება ტრადიციას ე.წ. *ბუნებრივი ასტროლოგიის* შეწყნარების თაობაზე (რაც, მაგალითად, გულისხმობს ასტროლოგიური დაკვირვებების პოზიტიურ როლს მეტეოროლოგიურ პროგნოსტიკაში).

თავის მხრივ, ბასილი დიდის თვალსაზრისი, რომელიც ასტროლოგიაში თავისუფალი ნების დოქტრინის წინააღმდეგ განვითარებულ კონცეფციებს

ხედავს, ყველაზე ტრადიციული და ამ პოლემიკის ფარგლებში ყველაზე აპელირებადი არგუმენტი. ტრადიციული კომენტარების თანახმად, ასტროლოგიის ფატალისტური ასპექტი ცუდ გავლენას მოახდენდა ადამიანის რელიგიურ ცხოვრებაზე (უარყოფდა საეკლესიო პრაქტიკას, ლოცვის აუცილებლობას, შეასუსტებდა რწმენას), მორალურ ცხოვრებასა (პირადი ძალისხმევის შესუსტება, სათნოებისა და ღირსების ცნებების უგულვებელყოფა, მორალური საქმეების კეთების ამაოება) და სამოქალაქო ცხოვრებაზეც (კანონის დაუმორჩილებლობა, სამართლებრივი სასჯელის უსაფუძვლობა). მართლაც, როგორ შეიძლება განვსაზღვროთ მორალური დანაშაულისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცნებები, როგორ გავამართლოთ დამნაშავეთა დასჯა, თუკი ვაღიარებთ, რომ ვარსკვლავური წარმოშობის შინაგან საჭიროებებს ვემორჩილებით, თანაც ჩვენი ნებელობისაგან დამოუკიდებლად?

ასტროლოგიის მიმდევართა მხრიდან “ზოდიაქოს წრის“ დროითი დანაყოფების მინიმუზაციის მოყვარულთა კრიტიკისას ბასილი დიდი, ცხადია, იმავე უხერხულობაზე მიუთითებს, რომელიც კარნეადის მსჯელობაშია აქცენტირებული: თუკი ერთსა და იმავე დროს დაბადებული ცოცხალი არსებების ბედი სხვადასხვაგვარია, ასტროლოგთა გათვლები ლოგიკას მოკლებულია; თუკი ყოველწამობრივი განსხვავება უმნიშვნელოვანეს ცვლილებათა მომტანია, — დროის უმცირეს მონაკვეთთა ანალიზის შესაძლებლობა აბსურდული აღმოჩნდება, ხოლო წამების დევნა — სასაცილო.

ცის ბუნების თაობაზე წმინდა მამის მიერ გამოთქმული თვალსაზრისების შესახებ კი შეიძლება გაიხსენოთ, რომ ტრადიციულად, ზეციური ცირკულარული მოძრაობის სრულყოფილების გამო, ძველი მოაზროვნენი ცას ღვთაებრივ ბუნებას ანიჭებდნენ. არისტოტელეს მიხედვით, მოძრაობის ორი სახე არსებობს: ბუნებრივი და ბუნების საწინააღმდეგო, იძულებითი. ეთერის მოძრაობა პირველი სახისაა, რადგან ეთერისათვის წრიული მოძრაობა თავისთავადია. ამრიგად, ცირკულაცია ზეციური მოძრაობის შინაგანი პრინციპია და ამით საფუძველი ეყრება ცის თვითმოძრაობის რწმენასაც. არისტოტელე ებრძვის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ცის მოძრაობა შეიძლება რაიმეგვარი იძულებითი ფაქტორის შედეგი იყოს. ცის ბრუნვა მის ბუნებასთან თანხმობაშია და ამ ფაქტითვე იკვეთება მისი სრულყოფილება. ამგვარი მსჯელობებით ფილოსოფოსი იმ თეოლოგიურ ტრადიციაში განთავსდება, რომლის თანახმადაც ღვთაებრივი ბუნებისადმი ყოველგვარი ძალისხმევა შეუთავსებელია (II, გვ. 185-192). იმის გამო, რომ ის ყველა არსებას უნდა მოიცავდეს, სამყაროს სფერულად სახავენ, ვინაიდან სწორედ სფერო მოიცავს თავის თავში ყველა ფორმას (ფიგურას) და თვითონ კი ყველაზე სრულყოფილი და თვითმსგავსია. აქედანვე ცხადია, რომ ჰექსემერონში მესუთე ელემენტის შესახებ განვითარებული მსჯელობების უშუალო ადრესატი არისტოტელეა. ვარსკვლავთა ღვთაებრიობის აღიარებაში არისტოტელე ტიმეოსიდან მომდინარე ტრადიციას მისდევს.

აღნიშნული დოქტრინა ჩანს პლატონის *კანონებშიც*, საკუთრივ არისტოტელეზე შემოიტანა მეხუთე ელემენტის, ეთერის, ცნებაც. ეს უკანასკნელი ზეციურ სხეულთა სუბსტანცია და წრიული მოძრაობის პრინციპია. ეთერის თვისებაა ცირკულარულობა, პომოგენურობა. ბასილი დიდი არისტოტელეს გავლენას განიცდის (II, გვ. 221) იმის მტკიცებისას, რომ ეთერის არსებობის აღიარებას ცირკულარული მოძრაობის სრულყოფილება მოითხოვდა; ასეთივეა თეზა სხვა ელემენტებისაგან შეურეწელი ეთერის სიწმინდისა; თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ცა შედგენილი იყოს ელემენტთა ნაირსახეობისაგან, რომელთა დაპირისპირებული მოძრაობაც ცის სხეულს დაშლიდა (2, გვ. 13, 1-35). მიუხედავად ამისა, ბასილი დიდი ამ მსჯელობებისას არ ასახელებს თავის წყაროს - არისტოტელეს².

ბოლოს, წმინდა მამის მსჯელობების მიხედვით, არსებობს ურთიერთობა მეხუთე ელემენტის დოქტრინასა და ცის უზრუნველობის მტკიცებულებას შორის და ის ამ საკითხშიც არისტოტელეს დოქტრინას განიხილავს. წმ. ბასილი მეხუთე ელემენტის დოქტრინის შესახებ თავის თხრობას მისი კრიტიკით ამთავრებს და უარყოფს მას იმ ზომით, რამდენადაც ეს უკანასკნელი ტრადიციულად ცის მარადიულობის სამტკიცებლად გამოიყენებოდა (წრიული მოძრაობის პრიორიტეტის გამო, მისი სრულყოფილების გამო, ეთერის პრიორიტეტის გამო სხვა ელემენტებთან შედარებით და იმის გამოც, რომ ცის სხეული ჩაუსახველია). ამით ეგზეგეტი სრულიად ცალსახად უპირისპირდება ცის მარადიულობისა და სამყაროს დანარჩენ ნაწილებთან შედარებით მისი უპირატესობის თეორიას³. საზოგადოდ, სამყაროს მარადიულობის შესახებ დამოწმებული თვალსაზრისი ფილოსოფიაში ცნობილ პოლემიკას უკავშირდება: თუკი სამყაროს კორუფციის შინაგანი მიზეზები არ აქვს, მაშასადამე მისი არსებობა მარადიული, უდასასრულოა. აღნიშნული პოლემიკა სათავეს კვლავ არისტოტელეს შრომებიდან იღებს (II, გვ. 88), სადაც ჩანს დაპირისპირება «ტიმეოსის» დოქტრინასთან, რომლის მიხედვითაც, სამყარო დასაწყისის მქონეა, თუმცა მარადიულ არსებობას ნაზიარებია. ამრიგად, პლატონიზმით, ქვეყანას საწყისი აქვს, მაგრამ არა დასასრული, რაც სრულიად მიუღებელია არისტოტელესათვის, რომლის მტკიცებით, შეუძლებელია მარადიული იყოს ზრუნადი, ე.ი. რაც ყოველთვის არსებობს, უზრუნადია, იმავე მიზეზით, ის, რაც ყოველთვის არსებობს - არის ჩაუსახველიც, ე.ი. თუკი სამყარო მარადიულია (უდასასრულოა), ის ასეთი, არისტოტელესთვის, უნდა

² გრიგოლ ნაზიანზელიც (ანონიმურად) სწორედ არისტოტელეს აკრიტიკებს, როცა ლაპარაკობს ფილოსოფოსებზე, რომლებიც ღმერთს მეხუთე ელემენტისაგან შექმნილი სხეულით მოიაზრებენ, რომელიც იმანენტური, უსხეულო და წრეზე მბრუნავია (Oratio 28 de Theologia, 8, PG 36, 36A).

³ ანალოგიურად განმარტავს ამ საკითხებს ბასილი დიდის გავლენით შექმნილ თავის *ჰექსემერონში* ამბროსი მედიოლანელიც.

იყოს ორი აზრით: ჩაუსახველობით და უხრწნადობით. აქ ცენტრალურია იდეა, რომ უხრწნადობა ითხოვს ჩაუსახველობას და არსებობს ცხადი ოპოზიცია: სამყარო ან დასაწყისის მქონე და ხრწნადია, ან დაუსაბამო და უხრწნადი (უდასასრულო). თავად არისტოტელეს კონცეფციით, სამყაროს არც საწყისი აქვს და არც დასასრული, ის მარადიულია (11, გვ. 81-84). ბასილი დიდი თავის *ჰექსემერონში* ცხადად და მრავალმხრივი მსჯელობებით ეწინააღმდეგება არისტოტელეს ამ დოქტრინას, მათ შორის, მნათობთა ცირკულაციაზე დაკვირვების დროსაც. დაბადება გვასწავლის, რომ “დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ” რათა “არა დაუსწყებლად ჰგონონ იგი ვიეთმე” (2, გვ. 25, ჰომ. I, 19), ხოლო მნათობთა განუწყვეტელი მოძრაობა იმ აზრზე ნუ დაგაყნებთ, თითქოს სამყარო დაუსაბამო და დაუსრულებელი იყოს: “ნუ ჰგონებ, კაცო, დაუსაბამოდ ხილულთა ამათ, ნუცა ვინამთგან მრგულივ შენსა გამო რბიან ცათა შინა მოძრაენი იგი, ხოლო სიმრგულისა მის დასაბამი საცნობელთა ჩუენთაგან ვერ მისაწითმელ არს და ამისათჳს დაუსაბამოდ ჰგონო მრგულივ მორბედთა მათ გუამთა ბუნებაჲ”; ან “და ეგრეთვე შენცა, ვინამთგან მრგულიად მოძრაენი იგი თავისა მიმართ თჳსისა დასრულდებიან, მოძრაეობისა მათისა სიგლუვე და შუვა არარაჲთა განკუეთილი ერთობაჲ დაუსწყებელობასა და დაუსრულებლობასა სოფლისასა საცდურადმცა ნუ დაგიტევებს შენ” (2, გვ. 4, ჰომ. I, 3-18). სამყაროს დასასრულის და ცვალებადობის შესახებ დოგმატების გაცხადებაა წმ. წერილის «რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ» (1. კორ. 7. 31) და «ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ» (მათე, 24, 35). სამყაროს დასასრულის შესახებ თეზა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ბასილი დიდის *ჰექსემერონში*, ვინაიდან თხზულებაში განვითარებული ამ დისკუსიის უკან რეალურად ბასილი დიდის მიერ მხარდაჭერილი ეპაპროზისის დოქტრინა დგას: თეოლოგის თვალსაზრისით, სამყაროს შემადგენელი ოთხი ელემენტიდან (მიწა, ცეცხლი, წყალი და ჰაერი) ცეცხლის ძალა უპირატესია. იგი თანდათან ანადგურებს სველ ელემენტს, რომელიც რაოდენობრივად ყველა ელემენტს სჭარბობს და მისი მასა სამყაროში იმ ზომითაა დაუნჯებული, რომ ცეცხლისაგან თანდათან განადგურებადი იმდენ ხანს იყოს, რამდენიც სამყაროს დგომისთვისაა განკუთვნილი. მიუხედავად ამისა, ღვთის განგებით სამყაროს დგომისათვის განკუთვნილი დროის გასვლის შემდეგ ცეცხლი ყოველივეს გამოაშრობს და მოხდება სამყაროს კონფლაგრაცია ცეცხლში (ეპაპროზისი). ეს მოძღვრება წარმოშობით სტოიკოსთა დოქტრინაა. ამ უკანასკნელთ მიაჩნდათ, რომ სამყაროს დაწვა სტიქიათა ურთიერთქმედების მიზეზით უნდა მომხდარიყო; ქრისტიანებისათვის კი კონფლაგრაცია ღვთის ნებით განხორციელდება, როგორც მისი სამართლიანი სასჯელი, ანუ მიზეზი არ იქნება ბუნებრივ მოვლენებში, არამედ ბოროტებაში, რომელიც მისთვის შესაძლო მასშტაბებით განვითარების შემდეგ განადგურდება ცეცხლით (9, გვ. 99). თავის მხრივ, ეპაპროზისის შესახებ სტოიკოსთა დოქტრინას ბასილი დიდმა იმ მიზანდასახულებით

დაუჭირა მხარი, რომ ამ გზით შესაძლო გამხდარიყო სამყაროს ზედა⁴ წყალთა პირდაპირი აზრით ინტერპრეტაცია⁵. ამრიგად, ტენის სიჭარბე ცეცხლოვანი ელემენტის დასაბალანსებლად შექმნილი, თუმცა ის ამ ფუნქციას მხოლოდ სამყაროს არსებობისთვის განკუთვნილი დროის მანძილზე გასწევს, საბოლოოდ კი ცეცხლოვან ელემენტთან ჭიდილში მისი მარაგი ამოიწურება. მკვლევართა მითითებით, აქედან გამომდინარე, ბასილი დიდის თხზულება განთავსდება იმ ნაწარმოებთა რიცხვში, რომლებიც სამყაროს მარადულობის თეზის წინააღმდეგ არის შექმნილი (9, გვ. 101).

ორიოდე სიტყვა იმაზეც შეიძლება გვეთქვა, რომ მნათობთა შესახებ სწავლებაში განვითარებული შეხედულებები უშუალოდ ეხმიანება ბასილი დიდის ჰექსემერონის ყველაზე საყვარელ თემატიკას – კოსმოლოგიურ არგუმენტს: “ექუსთა დღეთაში” ნაცადია დიალექტიკური შემეცნების გზა, ღვთის არსებობის დადასტურება სამყაროს წესრიგის მიხედვით, ჰარმონიის ჭვრეტის გზით და სწორედ ესაა კოსმოლოგიური არგუმენტი⁶. ასეთია პასაჟი – “უკეთუ გიხილავს ღამესა წმიდასა მშუენიერებაჲ იგი ვარსკულავთაჲ მიუთხრობელი, განგიძრახავს განმამზადებლისა მისთჳს ყოველთაჲსა, თუ ვინ მოწერნა ცანი ესევეთართა ყუავილთა და ვითარ იგი არს უნებლებით მათა

⁴ “და განყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო ქუეშე-კერძო სამყაროჲსა და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროჲსა” (შეს. 1,7).

⁵ რაც ალევგორიული ინტერპრეტაციების მოყვარული ალექსანდრიული სკოლის მიერ შემუშავებულ და ორიგენედან მომდინარე დოქტრინას უპირისპირდება, რომლის მიხედვითაც, სამყაროს ზემოთ დაუნჯებელი “წყალნი” ფიგურულად ინტელიგიბელური არსებების, ანუ ანგელოსთა, ძალების მოხსენიებას უნდა გულისხმობდეს. ზეციური წყლების ალევგორიზაციის ეს დოქტრინა ვრიგოლ ნოსელმაც გაიზიარა, რომლის მიხედვითაც, სამყარო გრძნობადი სინამდვილის უზემოესი ზღვარია და მის ზემოთა წყალნი ფიგურულად მხოლოდ ნოეტურ არსებათა კრებულს შეიძლება გულისხმობდეს. შესაბამისად, ბასილი დიდის ჰექსემერონის პასუხად დაწერილ თავის ეგზეგეტიკურ შრომაში ვრიგოლ ნოსელთან გაზიარებული არ ჩანს ბასილი დიდის ეკბიროზისის თეორია და, შესაბამისად, სამყაროს ზემოთ ჭარბი რაოდენობით წყლის მარავის დაუნჯება, ნისის ეპისკოპოსის აზრით, სამყაროს შესანარჩუნებლად საჭირო არ არის: სამყაროს შემადგენელი ოთხივე ელემენტი განუწყვეტლად გადადის ერთმანეთში და ესაა ელემენტთა წრიული, ციკლური: მოძრაობის უწყვეტი ჯაჭვი. ელემენტთა უწყვეტი ურთიერთგარდასახვა მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მიზეზია იმისა, რომ ყოველი სტიქია მარადიულ არსებობას ინარჩუნებს. ყოველი ელემენტი რჩება შესაქმის დროს მიღებულ ზომებში, რომელიმე მათგანის გაქრობა სინამდვილეში ილუზორულია, საქმე მხოლოდ ცირკულაციას ენება ერთმანეთში უწყვეტი ტრანსფორმაციის გზით; ამრიგად, სამყაროს არა აქვს შინაგანი კორუფციის მიზეზები და მისი არსებობა მარადიულია.

⁶ პეპინი აღნიშნავს, რომ, თვით მტკიცებულებები შემოქმედი ღმერთის არსებობის შესახებ მატერიალური სამყაროს შესანიშნავის შესახებ მედიტაციებამდე მიდიან. ამ სქემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ელინისტური და რომაული ეპოქის თეოლოგებთან, ბიბლიაშიც (სიბრძ. სოლ. 13, 1-5; რომ. 1, 19-20; ფსალმ. 8, 2-10; 18, 2-7; 103, 2-32; ობი 12, 7-9) = და ამგვარი ტრადიციების გათვალისწინებითაც ამ მიმართულებით აზროვნების განვითარებაში სტოიციზმმა უპრეცედენტო წვლილი შეიტანა.

მიმართ საკმარებაა უფროაშს შუენიერებისა თუალთამას მათდა მიმართი? და კუალად უკეთუ გიხილვან საკურველებანი დღისანი გონებითა მღვდართა, განიზრახე ხილულთა მათგან უხილავისა მისთვის?“ (3, ჰომ. VI, გვ. 77, 13-21). მშვენიერებისა და სიბრძნის ჰარმონიით შესაძლებელია შედარებით რაციონალური შემეცნება ღვთისა, რომელიც, მაშასადამე, ხილულის მშვენიერებიდან გამომდინარე, მშვენიერია და უსასრულო - ქმნილებებში ჩენადი მისი ძალის სიდიდიდან გამომდინარე. აქედან ჩანს რწმუნება, რომ შემოქმედის არსებობას გულისხმობს სამყაროს გრანდიოზულობა და მიზანშეწონილი მოწყობის წესი. ამრიგად, საქმე გვაქვს კოსმოლოგიურ არგუმენტთან, იქიდან გამომდინარე, რომ შექმნილის საკვირველი ნაირგვარობა და მრავალფეროვნება შეუძლებელია დამბადებლის გარეშე მოიაზრებოდეს. შესაბამისად, კესარიის ეპისკოპოსისათვის უეჭველია, რომ მნათობთა მიწვესრიგებული მოძრაობის ჰარმონია აუცილებლად გულისხმობს მის გამომწვევსა და შემნარჩუნებელ ტრანსცედენტულ ძალას, გარეშესა და კოსმოსისათვის არაიმანენტურს. ამ ლოგიკით წმ. მამა ასტროლოგიის მოყვარულთა იმ ასპექტსაც უპირისპირდება, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელნი ხილვად ბუნებას ისე აღმერთებდნენ, რომ უხილავის არსებობას აღარც ვარაუდობდნენ.

განხილულ მსჯელობებთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს კიდევ ერთი ნაშრომი, პეტრიწის «განმარტების» *ბოლოსიტყვაობა*, კერძოდ კი, მისი ერთი ნაწილი, რომელშიც ვრცელი საუბარია ბასილი დიდის შესახებ და, კერძოდ, «ექუსთა დღეთაში» წარმოდგენილი მსჯელობებია დამოწმებული. აღნიშნული «*ბოლოსიტყვა*» შედგენილობის მიხედვით, საკმაოდ ჭრელია. «მთელი ტექსტი, როგორც თემატურად, ასევე ენობრივი თვალსაზრისით, არაერთგვაროვანია, რაც ლოგიკურად ბადებს აზრს იმის შესახებ, რომ იგი რაღაც სხვა, დამოუკიდებელი ნაშრომის თუ ნაშრომების ნაწყვეტებისაგან უნდა იყოს შემდგარი» (7, გვ. XVIII). ენობრივ მასალაზე დაკვირვების შედეგად დ. მელიქიშვილს გამოაქვს დასკვნა იმის თაობაზე, რომ «ბოლოსიტყვაობის» – მისი დაყოფით III და IV ნაწილები (გრიგოლ ნაზიანზელის *ეპიტაფია* და ბასილი დიდის განმარტებები სოლომონის “ივანთა” წიგნზე) – ენობრივი მახასიათებლებით ამოვარდნილია პეტრიწის ლოგიკური ტერმინოლოგიის სისტემიდან და შემთხვევითა ჩანს მოხვედრილი პეტრიწის ამ თარგმანსა და მისი განმარტებების «ბოლოსიტყვაში» (7, გვ. XVIII). აღნიშნული მონაკვეთის პეტრიწისადმი მიკუთვნების საეჭვოობაზე თავის დროზე ვარაუდი სიმ. ყაუხჩიშვილსაც ჰქონდა გამოთქმული (8, გვ. XVII).

როგორც ჩანს, *ბოლოსიტყვაობა* მართლაც შემთხვევით ჩანს მოხვედრილი პეტრიწის ნაშრომის შემცველ ხელნაწერებში. მისი დასაწყისი იოანე პეტრიწის დამოუკიდებელი ნაშრომის ფრაგმენტია და ფსალმუნთა წიგნს უკავშირდება. მომდევნო ნაწილი საერთოდ არ უნდა ეკუთვნოდეს პეტრიწს და თანხვედრას ავლენს გელათური სკოლის თარგმანებთან. აღნიშნული

ანონიმური ტექსტის ერთ-ერთ წყაროდ სოლომონის იგავთა ბასილი დიდისეული განმარტებების დასაწყისი ფრაგმენტი ივარაუდება. რაც შეეხება ტექსტის შუა ნაწილს, მას ტრადიციულად მიიჩნევენ ნაწვევებად გრიგოლ ნაზიანზელის ეპიტაფიიდან ბასილი დიდის შესახებ ნონეს კომენტარების გათვალისწინებით. ამ ნაწილის უშუალო წყარო ჩვენს მეცნიერებაში უკანასკნელ ხანს აღმოაჩინეს (10, გვ. 210). ეს გახლავთ გრიგოლ ნაზიანზელის ეპიტაფიის (Or. 43)⁷ ნიკიტა პერაკლიელისეული (XI ს.) კომენტარის ზუსტი თარგმანი გელათური სკოლის უცნობი მოღვაწის მიერ (XII ს.). აღნიშნული ბერძნული ტექსტის (10, გვ. 230-239) გამომცემელ მკვლევართა მითითებით, გრიგოლის აღნიშნული პოშილია ნიკიტამდე კომენტარებული ჰქონდათ ფსევდონონეს და ბასილი მინიშუსს, რომელთა კომენტარებსაც, თავის მხრივ, ნიკიტა იყენებს.

პეტრიწის «შრომების» გამოცემის წინასიტყვაობაში მ. გოგიბერიძე სვამს საკითხს იმის შესახებაც, თუ რა დანიშნულებისაა პეტრიწის აღნიშნული ტრაქტატი (ბოლოსიტყვაობა) და მიუთითებს, რომ მასში ნაცადია გაკეთდეს რწმენისა და ცოდნის გარკვეული სინთეზი. გელათის საღვთისმეტყველო სკოლა იოანე პლატონური ფილოსოფოსის მეთაურობით სიმბოლურად ათენისა და იერუსალიმის აკადემიისა და ეკლესიის ერთიანობისთვის იღვწოდა. ამ ტენდენციას ეხმაურება ბოლოსიტყვაობაში ქრისტიანობის უდიდესი მოაზროვნის - ბასილი დიდის ავტორიტეტზე დაყრდნობით (მისგან და საზოგადოდ) ფილოსოფიის გონივრულად (ზომიერად) გამოყენების პრაქტიკის ქება; ბასილი დიდი, ბოლოსიტყვაობის ავტორის დასკვნით, ორივე აზრით თანასწორად საქებარია - არჩეულთა გამოც, რადგანაც (ფილოსოფიიდან) საუკეთესო გამოკრება და გამოტოვებულთა გამოც, რადგანაც უარესნი განადგო.

ბოლოსიტყვაობის ის ნაწილი, რომელიც ბასილი დიდს უშუალოდ შეეხება, პირობითად შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს. მსჯელობანი

1. რიტორიკის შესახებ; მოგვითხრობს, რომ ბასილი დიდის რიტორიკული ხელოვნება იგავმოუწველომელია, ზომიერი და მადლით სავსეა. მკვლევართა მითითებით, რიტორიკაზე საუბარში ნიკიტას წყარო ბასილი მინიშუსია.

2. გრამატიკის შესახებ; შექებულია ბასილი დიდის, როგორც გრამატიკოსის, მოღვაწეობა, ბერძნული ენის დახვეწა, შერყვნილისა და საკუთარი ფორმების გარჩევის უნარი, თეორიული მსჯელობანი ენათმეტყველებასა და მზამეტყველებაზე. გრამატიკის განმარტებისას ნიკიტა კვლავ გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტს იმოწმებს ბასილი მინიშუსს კომენტარებით.

3. ფილოსოფიის შესახებ; ამ მონაკვეთის მიხედვით, წმ. ბასილს ბადალი არ ჰყავს ფილოსოფიაში, ლოგიკურ მეცნიერებებსა და დიალექტიკის ხელოვნებაში. მის მიერ დაგებული მახიდან ძნელად თუ ვინმე შეიძლება

⁷ იხ. გრიგოლ ნაზიანზელი, «სიტყვა ეპიტაფიად ბასილისა დიდისათვის» (ORATIO XLIII, IN LAUDEM BASILII MAGNI): Migne, Patrologia Graeca, T. 36.

გამოსვლას, თუკი, ცხადია, ასეთ კამათს საჭიროდ მიიჩნევდა. აღნიშნული მსჯელობა მთლიანად გრიგოლ ნაზიანზელის *სიტყუას* მისდევს, შემდეგ კი გაგრძობილია მსჯელობით საქმითი (პრაქტიკული, ლოგიკური ანტითეზების შემსწავლელი) და მხედველობითი (თეორიული, ბუნებისმეტყველებითი) ფილოსოფიის შესახებ. ამჯერადაც ნიკიტას წყარო ბასილი მინიმუსია.

4. ვარსკვლავთმრიცხველობის, ანუ ასტროლოგიის, შესახებ ნათქვამია, რომ დიდმა ბასილიმ გეომეტრიის, არითმეტიკისა და ასტროლოგიისაგან იმდენი მიიღო, რამდენიც არ დააბრკოლებდა, დანარჩენი კი გადაყარა. აღნიშნულ ციტატას მოჰყვება საკმაოდ ვრცელი კომენტარი, რომ ბასილი დიდმა უარყო მომაკვდინებელი აზრი ბედისწერის არსებობისა და მისი ვარსკვლავებთან კავშირის შესახებ, თუმცა, მნათობთა მიხედვით, ამინდზე დაკვირვების გონივრული ჩვეულება შეიწყნარა.

5. ბასილი დიდმა (მნათობთა წრიულ მოძრაობასთან დაკავშირებული) ხილული სოფლის მარადისობის ცრუ აზრიც უარყო; მათემატიკიდან კი შეითვისა რიცხვთა ურთიერთმიმართების საკითხები, თუმცა უარყო აზრი რიცხვთა ფატალური მნიშვნელობის შესახებ. ამრიგად, ბასილი საქებარია იმისთვისაც, რაც აირჩია, და იმისთვისაც, რაც დაიწუნა. ასტრონომიის, გეომეტრიისა და არითმეტიკის შესახებ განმარტებები საერთოდ არ გვხვდება ნიკიტა ჰერაკლიელის წყაროში - *ეპიტაფიაში* და ბასილი მინიმუსთან.

6. შემდგომ საუბარია ბასილი დიდის ხორციელ უძღურებაზე, რის გამოც თეოლოგმა მკურნალობის თეორიული ცოდნა ფილოსოფოსობით მოიპოვა, პრაქტიკული კი - ტკივილების გზით; ბოლოს კი, მინოსისა და რადამანთის ხსენებაზე პეტრიწი მოგვითხრობს მითს, რომელიც კვლავინდებურად ემყარება ნონეს კომენტარებში მოცემულ თხრობას.

ამრიგად, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მკვლევართა დასკვნით (10), ბასილი დიდის შესახებ *ბოლოსიტყუაობაში* გადმოცემული ამ (პირობითად) ექვს პუნქტიანი მსჯელობების ავტორი ნიკიტა ჰერაკელი, მნათობთა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა გარდა (4-5 პუნქტები), გრიგოლ ნაზიანზელის Or. 43-ის კომენტარებულ ტექსტს ეყრდნობა. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია შევავსოთ ეს მსჯელობა ნაკლები პუნქტების წყაროზე მითითებით და აღვნიშნოთ, რომ მსჯელობანი ბედისწერისა და ვარსკვლავების განლაგების კავშირზე (4 პუნქტის ბოლო ნაწილი), ისევე, როგორც თვალსაზრისი ხილული სოფლის არამარადიულობაზე (5 პუნქტი), უშუალოდ *ექუსთა დღეთას* თემატიკაა და აქედანვე ჩანს დამოწმებული.

შევესოთ ამ საკითხებს უფრო კონკრეტულად. *ბოლოსიტყუაობის* შესაბამისი პასაჟი ერთგულად და კონცეპტუალურად სრულად გადმოსცემს *ჰექსემერონის* მეექვსე ჰომილიის შინაარსს, პეტრიწთან, კერძოდ, ნათქვამია: «ხოლო ვარსკვლავთ-მრიცხველობისა და ქუეყანისმზომელობისა და მრიცხველობითისაგან ესე ოდენ მიიღო, რავდენ ვერ შებრკობებადმდი მათ შორის ბრძენთა»

მათ და მკვერთაგან. და სსუანი ნეშტნი განსთხინა, ვითარცა ყოვლად უქმარნი ქრისტიანეთათჳს. რომლისათჳს გარეშე საკვირველთა მათ ქრისტეს პირთა და ქრისტიანობისა სიმტკიცეთ — აღწერილებისა და წიგნთა მათთა შინა მოკსენიებულისა ვარსკულაჲთ-მრიცხველობისათჳს და შემდგომთა მოსწრაფენი და მკითხველნი, ეგრეთვე ყოვლითურთ უქმარ არიან ქრისტესათჳს და ქრისტიანობისა. რამეთუ წმიდამან ბასილი ვარსკულაგთა იგი თხზვანი, რომელთა მიერ მოსპობილ იქმნების მათდამი მხედველთა და შედგომილთა მიერ წინმოურნებოამ ღმრთისაჲ და შობასა და ბედსა და სუესა და შესრულებითა რათმე და ქცევასა ვარსკულაგთასა მიმცემელობამ მყოფთა და ქმნულთაჲ, ვითარცა ყოვლად წინააღმდეგომნი ღმრთისა — განენოწყუა და განიშორა; ხოლო ცნობამ ოთხთა ჟამთა ქცეულებისაჲ, თუ ვითარ იქმნებიან განწესებულისა მისგან მნათობთა მოძრაობისა და ღმრთისმიერიისა წესიერებისა ზეციერთაჲსაგან დაკურვებით დამბადებლისაჲ და ზომისაებრ მნათობთა მათ ნიშნებისა გამოძკულვევლობამ, რომელი ნოტიობასა ცხად ჰყოფენ, ანუ უნოტიობასა, გინა ქართა მძვრელობასა ანუ სსუსას ესე ვითარსა — ესე არა განავდო, არამედ შეიწყნარა და ღმერთსა მიაღვენა სსუანიცა ყოველნივე და ამათი მოძრაობანი...» (8, ტ. II, გვ. 224-225). აქ დამოწმებული შეხედულება ვარსკულაგთმრიცხველობაში ზომიერების აუცილებლობისა და ზომიერი გამოყენებისას მისი სარგებლიანობის შესახებ უშუალოდ ეყრდნობა *ჰექსემერონის* მეექვსე პომილიის შესაბამის ვრცელ მსჯელობებს “მოსწავებანი იგი მნათობთანი სარგებელ არიან ცხორებისათჳს კაცთაჲსა. რაჟამს არავინ გარდაჰკდეს საზომსა გამოძიებისათჳს, ჰპოო მათგან სარგებელი მრავლად გამოცდილებითა. და ისწაოს მათგან სიმრავლე წყმათაჲ და სიმცროჲ მათი და სიორძილი ქართაჲ ფიცხელთაჲ” (3, გვ. 82, 6-11). ამის შემდეგ ვრცელი საუბარია იმ პრაქტიკულ სარგებელზე, რაც ასტროლოგიურ დაკვირვებას მოაქვს ამინდის ცვალებადობის ვარაუდისას (3, გვ. 82 11-32, გვ. 83, 1-18). ქალდეველთა ფატალიზმის შესახებ ციტირებული მონაკვეთი კი ზედმიწევნით ეხმიანება *ჰექსემერონის* მსჯელობას: «არამედ რომელნი იგი ხლდებიან უფროჲს მოხრებლისა, მოიზიდვენ თქმულსა შობისათჳს კაცისა და იტყვან, ვითარმედ განგებულებამ ცხორებისა ჩუენისაჲ შეყოფილ არს სიორძილსა ვარსკულაგთასა და ამისთვის ჰგონებენ ქალდეველნი ვარსკულაგთაგან ყოფასა მიზეზთა მათ, რომელნი შეგუემთხუევიან ჩუენ. და სიტყუამ იგი წიგნისაჲ არა გულისკმაყვეს, ვითარმედ ჟამთა ქცევისათვის თქუებულ არს იგი და შეცვალებისათჳს ჰაერისა» (3, 19-30, გვ. 83).

უფრო საინტერესოა ამ მსჯელობაზე უშუალოდ დართული სხვა მონაკვეთი *ბოლოსიტყუაობისა* (5), რომელიც კვლავინდებურად ბასილი დიდის *ჰექსემერონის* უკვე განხილულ კონცეფციას აჯამებს და მეტი თვალსაზრისით ეხილავს პეტრიწისა და ბასილი დიდის ტექსტებს პარალელურად წარმოვადგენთ:

პეტრიწი

ბასილი დიდი

«ხოლო ესე რომელ ვინამთგან სიმრგულე რამე გარე ურბის ზეციერთა, ესე იგი არს მნათობერთა მოძრაობათა, და მრგულისა საწყი ვერ კელის-კელ მისაწთომელ არს გრძნობისა ჩუენისაგან, ამისთჳს უდასაწყისოდ მათგან მეჭუელობად და მგონებლობად ხილულისა ამის სოფლისა და ღმრთისა თანა სამარადისო ესე რავდენნი ესე ვითარნი სიჩქურნი არიან მათნი, განყარა და განდევნა“ (8, ტ. II, 1937, გვ 225).

ნუ უკუე ჰგონებ, კაცო, დაუსაბამოდ ხილულთა ამთ, ნუცა ვინამთგან მრგულივ შენსა გამო რბიან ცათა შინა მოძრავნი იგი, ხოლო სიმრგულისა მის დასაბამი საცნობელთა ჩუენთაგან ვერ მისაწთომელ არს და ამისათჳს დაუსაბამოდ ჰგონო მრგულივ მორბედთა მათ გუამთა ბუნებად. და რამეთუ არცაღა სიმრგულე ეგი, რომელ არს ვაკედ განმარტებული, და მრგულივ გარე შემოწერილი, ვინამთგან ევლტის საცნობელთა ჩუენთა, და ვერცა ვინამთგან იწყო მას ვჰპოვებთ, და ვერცა სადაით იგი დაესრულების მას ვსცნობთ, ამისათჳს თანა გუაც, რამთა არა დაუსაბამოდ ვჰგონოთ იგი. რამეთუ დაღაცათუ საცნობელთა ჩუენთა ევლტის, არამედ ჭემმარიტებისა მიერ უეჭუელად იწყო საღამთმე მრგულამან მან წერტილსა ზედა მოვლებულმან, რაოდენითაცა სიშორითა გარე შემოიწერა იგი. ეგრეთვე შენცა, ვინაითგან მრგულად მოძრავნი იგი თავისა მიმართ თჳსისა დასრულებიან, მოძრავობისა მათისა სიმრგულე და შუვა არარამთა განკვეთილი ერთობად დაუწყებელობასა და დაუსრულებელობასა სოფლისასა საღურადმცა ნუ დაგიტევებს შენ.

(2, გვ. 4)

ხოლო ის, რომ რაღაც წრე გარეულის ზეციურ, ესე იგი მნათობთა მოძრაობებს და რომ წრის დასაწყისი ხელმისაწვდომი არ არის ჩვენი გრძნობისაგან, და ეჭვი და აზრი ამ

ამიტომ, ადამიანო, ნუ წარმოიდგენ, რომ ხილულნი დაუსაბამონი არიან და იმის გამო, რომ ცაზე მოძრავი სხეულები წრეს წერენ, ხოლო წრის დასაბამი ჩვენი გრძნობის ორგანოები-

ხილული სოფლის უდასაწყისობისა და ღმერთთან მისი თანამარადისობის შესახებ და კიდევ რამდენი ამგვარი მათი მატყუარობა და სინამახე გაყარა და გააძევა.

(7, გვ. 218).

სათვის მიუწვდომელია, ნუ იფიქრებ, რომ წრიულად მოძრავი სხეულების ბუნება დაუსაბამოა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს შეგრძნებებს გაურბის და არც იმის პოვნა შეგვიძლია, თუ სად იწყება იგი და არც იმისა, თუ სად მთავრდება. დაუსაბამოდ არც ეს წრე, ანუ სიბრტყეზე ერთი ხაზით შემოხაზული გეომეტრიული ფიგურა, უნდა მივიჩნიოთ. მართალია, ჩვენს შეგრძნებებს გაურბის, მაგრამ სინამდვილეში, ვინც წრე ცენტრიდან გარკვეული მანძილით შემოწერა, მან იგი უეჭველად საიდანმე დაიწყო. ამგვარად შენც, როცა დაინახავ, რომ სხეულები, რომლებიც წრიულად მოძრაობენ, თავისსავე თავში სრულდებიან, მათი თანაბარი და განუწყვეტელი მოძრაობა იმ მცდარ აზრზე ნუ დაგაყენებს, თითქოს სამყარო დაუსაბამო და დაუსრულებელი იყოს.

(4, ჰომ. I. გვ 115).

ამრიგად, ცხადია, რომ პეტრიწის ბოლოსიტყვაობის აღნიშნული მონაკვეთი “ექუსთა დღეთას” პირველი ჰომილიის შესაბამისი პასაჟის საფუძველზეა შექმნილი. იგი ფორმალურად აგრძელებს მნათობთა თემატიკას, რითაც უკავშირდება უშუალოდ მის წინა მსჯელობას ასტროლოგიის შესახებ რომელიც, გავიშორებთ, ასევე “ექუსთა დღეთას” ერთ ჰომილიას, კერძოდ, მეექვსეს ეხმიანება. ბასილი დიდის მსჯელობანი დიდი სიზუსტით არის გადმოცემული ბოლოსიტყვაობაში, მაგრამ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებდით (“კავშირის” განმარტებებში გადმოცემულ) თვითონ პეტრიწის თვალსაზრისებთან მათ შეთავსებადობაზე. ამ აზრით, თავს იჩენს პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ პეტრიწის შრომის ძირითად ნაწილში (ანუ უშუალოდ განმარტებებში) მნათობთა მოძრაობის თაობაზე პლატონური სწავლება ჩანს ასახული. შევხვით ამ საკითხს უფრო დაწვრილებით: პეტრიწი “განმარტებებში” მიუთითებს: “ხოლო არსება ცისა და სულისა მიერ საღმერთოდას აღივო, და იპყრობვის სულისა მიერ, და ჰვიეს თავის უკუდავებასა შორის” (8, გვ. 116, თ. 130, 9-13.), ციურ სფეროთა მოძრაობა მარადიულია (“იყო ქცევაჲ სფეროთაჲ და არს ქცევაჲ სფეროთაჲ და იყოს ქცევაჲ სფეროთაჲ”),

ცის წარსული უკავშირდება მომავალს და უერთდება მას, დასასრული დასაბამი ხდება და „ჰვიეს იგი უკუდავად და დაუვსებლად“. არსებობს ორი სახის უკვდავება, მარტივი და უძრავი (უცვლელი და უქცევია) და მუდმივ მოძრავი, ცისეული უკვდავება - ანუ ქცევითი და განმეორებადი. ამისაგან განსხვავდება ჩვეულებრივ მოკვდავთა, ზრწნად არსებათა ბუნება, რადგან მათ არ ძალუძთ დასაბამისა და დასასრულის შეერთება და უკვდავად არსებობა (8, გვ.110, თ. 50, 5-25). ცის მყოფობა საუკუნოებრივია, განსხვავებული მოკვდავთა წარმავლობისაგან, რომელნიც ოთხი ელემენტისაგან შედგებიან და ოდესმეობას ემორჩილებიან, ხოლო „საყოველთაონი ბუნებანი და ანავი ცისა სისავსისამ სამარადისოდ ქმნასა და ქცევასა“ (8, გვ. 120-121, თ. 55, 22-35, 1-2, ამაზევეა საუბარი 28-ე თავშიც) ემორჩილება. ეთერის სფერო უფრო ღვთაებრივია სხვა ელემენტისაზე, რადგან „საუკუნესა თანაგანზომილად თან ჰყვების, და სამარადისოდ მიდრკების, ვითარცა სხუანი უკუდავისა ხუედრისა ნაწილნი“, ამიტომ ცთომილნი უკუქცევასში ყოველთვის იცავენ წვესრივს, როგორც ამბობს ტიმოუსი („იზყვს ტიმოუ“) (8, გვ. 89, თ. 36, 30-35), და სხვ. ამრიგად, პეტრიწის მიხედვით, ციურ მნათობთა მოძრაობა განუწყვეტლივ განახლებადი, მარადიული და უდასასრულოა, ისევე, როგორც თვით ცის არსება. ცხადია, ეს თვალსაზრისი წინააღმდეგობაშია ბასილი დიდის (შესაბამისად, ბოლოსიტყუაობის) სწავლებასთან. როგორც თავის დროზე მივუთითებდით, ბასილი დიდი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემობას, რომ შექმნილი სამყაროს და მათ შორის ცის არსებობა არ არის მუდმივი, მას ექნება დასასრული იმის გამო, რომ ჰქონდა დასაწყისიც და კიდევ გავიმეორებთ, რომ არისტოტელეს ამ ცნობილი დოქტრინის გამოყენებით წმ. ბასილის ნაწარმოები იმ თხზულებების გვერდით იკავებს ადგილს, რომლებიც სამყაროს მარადიულობის თეზის წინააღმდეგაა მიმართული⁸. თავისთავად ის გარემობა, რომ პეტრიწის „განმარტებების“ ძირითადი ტექსტი ამ საკითხში პლატონს ახსენებს და ეყრდნობა, უკვე გულისხმობს მის მოსალოდნელ დაპირისპირებას ბასილი დიდის თვალსაზრისთან. ამასთანავე, როგორც ვისაუბრეთ, განსახილველ საკითხზე პოლემიკა ფონად ელო მთელს შუასაუკუნეების ეპოქას. აღნიშნულ შეუთავსებლობას უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთს „ექუსთა დღეთას“ ციტირებული მონაკვეთის დასასრული, მისი ბოლო ნაწილი, რომელსაც მოვიყვანთ კიდევ ერთხელ: მნათობთა მოძრაობის მარადიულობა „დაუწყებელობასა და დაუსრულებლობასა სოფლისასა საცდურადმცა ნუ დაგიტევებს შენ. რამეთუ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ (1. კორინ. 7, 13) და ცაჲ და ქუეყანაჲ წარკდენ აღსასრულისათჳს (მათე, 24, 35)... ვინაიცა ყოველი ჟამისაგან დაწყებული თჳნიერ ყოვლისა

⁸ გრიგოლ ნოსელი, როგორც ვისაუბრეთ, საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებდა და ეს შინაგანი დაპირისპირება მეცნიერთა მიერ მთავარ წინააღმდეგობადაა მიჩნეული *ექუსთა დღეთასა* და *პასუხს შორის* (9).

ლონისა ჟამსავე შინა დაესრულების, ვინაითგან ჟამიერი არს დასაბამი, ამისთჳს ნუ იჭვენულ ხარ აღსასრულსაცა" (2, გვ. 4, 17-23). ამრიგად, ბასილი დიდის სათქმელის ძირითადი არსი ისაა, რომ მიუხედავად მნათობთა მოძრაობის წრიულობისა, ეს მოძრაობა არაა მარადიული, შესაბამისად, დასასრულიანია მნათობთა არსებობაცა და მთელი შექმნილი სამყაროც. საპირისპიროდ, პეტრიწის კომენტარებით (გვულისხმობთ ბოლოსიტყუაობის გარეშე) ციურ მნათობთა მოძრაობა და ცის არსება მარადიულია (თანახმად პლატონურ-ნეოპლატონური ტრადიციისა). ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად მოულოდნელი ჩანს ბოლოსიტყუაობაში (ბასილი დიდის) იმ თვალსაზრისისადმი ხოტბის შესხმა, რომელიც წინააღმდეგობაშია კომენტარების ძირითადი ნაწილის ფილოსოფიასთან. ეს შეუთავსებლობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, როგორც ვთქვით, ბასილი დიდისათვის სწორედ სამყაროს დასასრულის შესახებ მოძღვრებაა უმნიშვნელოვანესი. ჩვენი თვალსაზრისით, ეს დოქტრინული შეუთავსებლობა იმის მორიგ დასტურად შეიძლება გამოდგეს, რომ ბოლოსიტყუაობის III ნაწილი მართლაც არ არის პეტრიწის შრომის ორგანული ნაწილი. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთი გარემოებაც: როგორც ამ მიმოხილვისას მივუთითებდით, სოფლის მარადიულობასთან დაკავშირებული სწორედ ეს მსჯელობა (შეესაბამება 4-5 პუნქტებს მთლიანად) არ გვხვდება გრიგოლ ნაზიანზელის *ეპიტაფიაში*. ამრიგად, ბოლოსიტყუაობის განსახილველი მონაკვეთის ავტორი ბასილი დიდზე საუბრისას ძირითადად გრიგოლ ნაზიანზელის *ეპიტაფიას* ეყრდნობა, და ავრცობს მას ჰექსემერონიდან მომდინარე მსჯელობებით, მნათობებზე ბასილი დიდის სწავლებათა გასრულებული სახით გადმოსაცემად, ამასთანავე, ბასილი დიდის თხზულების უმნიშვნელოვანესი მოტივის გადმოსაცემად და მას ცალსახად ემხრობა კიდევ. შედეგად, ნიკიტა ჰერაკლელისა და მისი უშუალო წყაროს (ბასილი დიდის) აღნიშნული მოტივის მსოფლმხედველობა სხვაობს პეტრიწის *განმარტებების* ძირითადი ნაწილის სწავლებისაგან. ბოლოს შევნიშნავთ: თავისთავად ნიკიტა ჰერაკლელზე ბასილი დიდის კოსმოგონიური მოძღვრების ზეგავლენა მართლაც დიდია, ვინაიდან კომენტატორი ღრმად სწვდება ამ უკანასკნელის ძირითად არსს და ხოტბას ახსამს მას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Amand D., *Fatalisme et liberté dans l'Antiquité greque*, Louvain, 1945.
2. ბასილი დიდი, "ექუსთა დღეთაჲ", ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ. თბ., 1947.
3. ბასილი დიდი, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის "კაცისა აგებულებისათჳს", გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ.

4. ბასილი დიდი, “პომილიები ექესი დლისათვის“, თარგმანი გვანცა კოპლატაძისა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2000.

5. Courtney R., Christian Astrology, the Dark Ages and the Celtic Church, London, 2004.

6. Guinard P., Astrologie: la polémique antifataliste, Paris 1993.

7. იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიაღოზოსის “ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დ. მელიქიშვილმა, თბ., 1999.

8. იოანე პეტრიწის შრომები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., ტ. I, 1940; ტ. II, შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1937.

9. E. Korsini, Nouvelles perspectives sur le problème des sources de l'Hexaëmeron de Gregoire de Nysse: Studia Patristika, I, Berlin, 1957, pp. 94-103.

10. თ. ოთხმეზური, ქ. ბეზარაშვილი, იოანე პეტრიწის ე. წ. “ბოლო-სიტყუაობის“ ერთი ფრაგმენტის ბერძნული დედანი, “მწმე“, თბილისი, 2000.

11. Pépin J., Théologie cosmique et théologie chrétienne, paris 1964.

კარლო კაჭარავა 1980-1990-იანელთა თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი ვახლთ ხელოვნებამცოდნე, უნიჭიერესი მხატვარი, პოეტი. კარლო კაჭარავას ეკუთვნის რამდენიმე საფურადღებო ნაშრომი ხელოვნების თეორიის სფეროში. ვთავაზობთ მის სტატიას.

პარლო კაჭარავა

**საუბრები სოციალური პრობლემატიკის
ასპექტებზე უახლეს ქართულ
მხატვრობაში¹**

ამჟამინდელი ვითარება ჩვენში უკვე მოითხოვს ახალი, საყოველთაოსაგან დამოუკიდებელი ღირებულებების შექმნას, რადგან ჩვენში უკვე აღარ ფუნქციონირებს არანაირი ხელოვნება, „საზოგადო“, წინასწარგანზრახულის გარდა, და ისიც სავსებით განსაკუთრებულ იმიტაციას ქმნის. კეთილდღეობისა და იმავდროულად პრობლემატურობის ხელოვნება, რომელიც დაიბრუნებს სოციალურ ფუნქციას, უთუოდ პიროვნების, ინდივიდისა და მისი გარემომცველი ხელოვნებისაკენ მიმართული უნდა იყოს. სხვაგან ალბათ, ძნელი მოსაძებნია რეალობას ესოდენ მოწყვეტილი, მთლიანად ეგზალტირებული და თავის შიგნით დიფერენცირებული ინტელიგენცია, იმავე დროს სავსებით უმართავი, ჯოგადქცეული მასით გარემოცული.

ხელოვნების სოციალურ ფუნქციაზე დღეს ცოტა ფიქრობს ჩვენში. აქ თითქმის არ არის მიღებული სოციალური პრობლემატიკის სრულიად გაცნობიერების ცდა, თუ არა სოციალური სოლიდარობის გამჟღავნება მაინც. ჩვენი ხალხი სოციალურად საშინლად დიფერენცირებულია. ისევ რაღაც უჩვეულოდ ეგზალტირებული, კასტური სისტემის მსგავსი იერარქიით. ყველანი, უჩვეულოდ დაბნეულნი, ცდილობენ კეთილდღეობის იერი შეუქმნან თავიანთ სოციალურ სტატუსს, წარმატებით ჩაეწერონ ამ „ღირებულებათა“ მოთხოვნებში.

ყველაფერს საზარელი, პირობებისა და მისი ინდივიდუალობის სრულიად მანიველირებელი წარმოდგენები, ეგზალტირებული დოგმები მართავს. წარმოდგენები მორალზე (ლოზუნგისებურად განზოგადოებული, დამახინჯებით კონსერვირებული ქრისტიანული მორალი, რომელიც მხოლოდ აკრძალვათა სიად იქცა მას შემდეგ, რაც იქიდან გამოაძევეს ინდივიდი და პიროვნების ცნობიერება), პატრიოტიზმი (მითი ოდინდელ ჩვენს განსაკუთრებულობაზე,

¹ ნაწყვეტი ამავე სახელწოდების ვრცელი გამოკვლევიდან. იბეჭდება პირველად.

რომლის იერი, თურმე, ახლაც გვაძნევეს) და ზოგადად მისაზე „საზოგადოების“ თითოეული წევრისა. აქ უმთავრესია „კაცურკაცობის“ იმიჯი, რომელიც მატერიალური კეთილდღეობის მიღწევით და ზომიერი ქველმოქმედებით, მისი აფიშირებით მიიღწევა.

ჩვენი უბედურებების რიგით ჩამოთვლა და სრულიად გაცნობიერება ღიდად მწუხარე და თითქმის ამოუწურავი საქმეა. რეალობასთან ვერშეგუებული, პარალიზებული ერის თავდაცვითი ფუნქცია თავდაცვითი რეაქციაა, უჩვეულო ეგზალტაცია და ამის გამო რეალობას მოწყვეტილი „ღირებულებების“ შექმნა. შექმნა „ქართული (ქართველობის) მითისა“, ე.ი. სავსებით განსაკუთრებული ცნობრების წესისა, რომლის პროფანაციაც საკმაოზე უფრო იოლი აღმოჩნდა. იგი მთლიანი გადაგვარების წინაშე აყენებს ერს, რომელიც რეალობის გაცნობიერების ნაცვლად ისევე ხელოვნურად შემუშავებული ათასგვარი დიდი თუ მცირე უბედურებებით უარესისაკენ იერშეცვლილი მითით საზრდოობს. არაფერია ცრუ განზოგადებებზე უფრო საშიში.

დღეს ჩვენ ყველაზე პასიური, ყველაზე „რესპექტაბელური“ ახალგაზრდობა გვყავს. ის არაფრით, სრულიად არაფრით არ გამოირჩევა მამებისა და დედებისაგან. მას ძალიან ადრე, ყრმობისას (უფრო ადრეც თუ არა) უჩნდება კეთილდღეობის იერი, რომელიც თითქმის ყოველთვის გადადის ცუდ სიამაყესა და არაადამიანობაში. ახალგაზრდები ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ ადამიანებს. ყველასათვის ერთი საზომი აქვთ. ეს თითქმის ფაშისტური აგრესიის ნიშანია, როცა შენ თავიანთი თავისაგან ვერ გარჩევენ და იმავე წუთს, როცა ამ საყოველთაო მოთხოვნათა ფარგლებს გარეთ დაგიგულებენ, მოვალეობადაც კი მიიჩნევენ შენდამი არა მხოლოდ უნდობლობას, სკეპტიკურ ცინიზმს, არამედ უცილობელ დამცირებას.

დღეს ქართველი საქართველოში ვერ იცხოვრებს, თუკი ქართველთა შეშინება ვერ ისწავლა. აშინებენ სიმდიდრით, ავტორიტეტით, ნაცნობობის წრით (სოციალური სტატუსის ერთადერთი მნიშვნელობა მათთვის).

როგორ ფუნქციონირებს საქართველოში ხელოვნება? ქართველთათვის აღიარებული ავტორიტეტული ხელოვნება საქართველოში ფორმალისტურია და გასაყიდი (სამწუხაროდ, კომერციულსაც კი ვერ უწოდებ).

I. სოციალური რასიზმი

პოსტინდუსტრიული საზოგადოების განსაზღვრის მცდელობისას ამერიკელი სოციოლოგი დ. ბელი წერდა, რომ საზოგადოების მარქსისტული კლასიფიკაცია არააქტუალურია და უკვე შეუძლებელია საზოგადოების დაყოფა მუშათა, საშუალო და უმაღლეს კლასებად. ტრადიციულ კლასობრივ სტრუქტურათა რღვევასთან ერთად (რომელსაც პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე არანაკლები

სისწრაფით განიცდის საქართველოს პრინციპულად სოციალურად (კ) უმნიშვნელოვანესი ხდება კლასიფიკაცია, დაყოფა „კულტურული შეხედულებების“ და „ცხოვრებისეული სტილის“ მიხედვით. აქ კი ცხოვრებისეული ფილოსოფიის და ყოფა-ქცევის მანერების ჩამოყალიბება ხორციელდება „მცირე ჯგუფების“ მიერ, რომლებიც, თავიანთი „ელიტარული“ მცირერიცხოვნების მიუხედავად, არსებით ზეგავლენას ახდენენ ადამიანთა უმეტესობაზე.

საქართველო კონსერვატიული ქვეყანაა. დროთა განმავლობაში აქ ცოტა რომ იცვლება. „მამათა და შვილთა“ ბრძოლა XIX საუკუნის შემდეგ ანომალიად ითვლება. მთელი ქართული კულტურა, საყოველთაოდ მიღებული სურათის მიხედვით, ხვადასხვა თაობის მიღწევათა ტკბილხმოვან ფერხულადაა წარმოდგენილი. ქართველების უნივერსალური ნიშნითაა გაერთიანებული მემარჯვენეებისა და მემარცხენეების, სოციალისტებისა და ანარქისტების, სიმბოლისტებისა და პროლეტკულტელების იოლად მიჩუმათებული „მცირე“ უთანხმოებები.

მკვდრები, ყველანი ერთნაირად გაკერპებული არიან, მათ შორის არავინაა დაძნაშავე, ყველანი ერთად ომხიანი ცეკვა-თამაშით მიუძღვებიან „ტაძრისკენ მიმავალ გზას“. ცხადია, ამ ტაძარს არაფერი აქვს საერთო რუსულ „სობორნი დუხთან“. აქ სხვა, განსაკუთრებული ქართული ტაძარი იგულისხმება – მხოლოდ ქართველთათვის მისაწვდომი ერთობა.

ამ საყოველთაოდ მიღებული კეთილდღეობის სურათში დღევანდლობაც ისე მნიშვნელოვანია, რომ არავითარ იდეალიზაციას არ საჭიროებს. ინსტიტუციონალიზებული კულტურის ყველა წარმომადგენელი გამოჩენილი მწერალი, მხატვარი ან კინორეჟისორია. შვილები გულისამაჩუყებლად ჰვანან სახელოვან მამებს. მწერალთა, ტელემოდვართა, კინორეჟისორთა ან მხატვართა დინასტიის ახალი წარმომადგენლები ისევე აზროვნებენ, მეტყველებენ, წერენ და ხატავენ, როგორც მათი „გამოჩენილი“ მამები. ისევე მკლავმოუღლეად იღვწიან უნიკალური ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის, როგორც მათი ვერგასაგებად მჭევრმეტყველი მამები. სწორუპოვარია ქართული წარუვალი ღირებულებები. ქართველს განსაკუთრებული, ყველასგან განსხვავებული შეხედულება აქვს თავისუფლებაზე, მორალზე...

ქელმალური დამოკიდებულება ადამიანისადმი იწვევს უჩვეულო, ზოგჯერ თვითმიზნურ გაბოროტებას, აგრესიას. ჩვენში არსებული სოციალური დიფერენციაცია მაზინჯი და შემზარავია თავისი სისასტიკით.

არსებობს მრავალთაგან ერთ-ერთი საშუალება იმის გასარკვევად, თუ საიდან მოდის და რითი საზრდობს ჩვენში ე.წ. ალტერნატიული თუ ავანგარდისტული ხელოვნება და მისი შემქმნელი. ამისათვის საჭიროა თითქმის

სქემატურობამდე გავამარტივოთ ყველაფერი. შესაძლო ტენდენციურობისა და უტრირების მიუხედავად, რაღაც სურათს მაინც მივიღებთ. გავინსენოთ ის, რის შესახებაც ჩვენთან რატომღაც არ უყვართ ლაპარაკი – ჩვენი არსებობისათვის დამახასიათებელი უცნაური სოციალური ეთიკა.

შევხედოთ რადიკალურად განსხვავებულ ახალგაზრდა მხატვრებს. ერთნი ისევ უკონფლიქტო, წლების განმავლობაში დამკვიდრებული გემოვნების შესაბამის ტრადიციულ სურათებს ხატავენ, ტრადიციულად იდეალიზებული ნატურმორტების ელემენტებს. ძალიან უბრალოდ რომ ვთქვათ, ისინი იმასვე ხატავენ, რასაც მამები, რადგან ამ უკანასკნელთ კეთილდღეობისათვის ასეთივე გზით მიულწევიათ. ამგვარი მხატვრები მხოლოდ ვიწრო, ვითომ ელიტარული წრის საღონებისათვის „მუშაობენ“. მათ არა აქვთ კრიტიკული დამოკიდებულება გარემო სინამდვილისადმი, რადგან მხოლოდ პრევილენციური მომხმარებლები არიან, მთლიანად დამოკიდებულნი ინსტიტუციონალიზებულ მორალსა და კრიტერიუმებზე. ასე იქმნება მამათა და შვილთა - იდეალური ფერხულის სრული უკონფლიქტობის იერი, რომელსაც ქართველთა რაღაც განსაკუთრებულობის იდეით ამკობენ. კარგია არა, ასეთი „დამჯერი“ შვილების ყოლა? მით უფრო, რომ, როგორც წესი, ამ ფაწვილთა უმეტესობა დასავლეთშიც ნამყოფია და რაღაც სხვაგვარი ხელოვნების არსებობაც იცის. მათი დამოკიდებულება ამ თანატოლებსადმი, ავანგარდისტული პრაქტიკის ათვისებას რომ ცდილობენ, ცინიზმითაა სავსე. ესენი ხომ საცოდავი, გაბოროტებული პროლეტარები არიან, რომლებიც დასავლური კულტურის იმიტაციით ცდილობენ თვითდამკვიდრებას, ბედავენ მხოლოდ ვიდაცისათვის განკუთვნილ მემკვიდრეობაზე პრეტენზიის გაცხადებას.

ჩვენში არსებული სოციალური რასიზმი საოცარია და საკმაოდ კომიკური იმისთვისაც, ვინც მის შეუბრალებლობას როგორმე მაინც გადაურჩება. გამუდმებით უკვირთ, „როცა „არაჩვენიანი“ ვილაც „ჩვენთანს“ იცნობს და მეგობრობს. უკვირთ ამ „არაჩვენიანის“ გამოჩენა პრესტიჟულ მიღებასა ან პრემიერაზე. ისევ იმ განცდით ცხოვრობენ, რომ რაღაც უცნაური იდეალიზაციის საგნად ქცეული ელიტარული წრის ლამის რასობრივ შეურაცხყოფას აქვს ადგილი. ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, ქედმაღლური დამოკიდებულება ადამიანისადმი იწვევს „პლებებებად“ მონათლულთა მასად კონსოლიდაციას, რომელიც საპასუხო აგრესიით შურისძიებაზე ოცნებობს.

მხატვართა მეორე ჯგუფი უფრო მრავალფეროვანია და, თუნდაც უკვე ამიტომ, უფრო საინტერესოც. მათი უმრავლესობა ამ ლამაზ, ბევრისათვის მხოლოდ ტკობის საგნად ქცეულ ქალაქში თითქოს არ ცხოვრობს. ისინი სადღაც გარეუბანში ბინადრობენ, მეტროთი მგზავრობენ და თბილისურ ლუდს სვამენ. თავიანთი ცხოვრებისეული პრობლემებისაგან თავის დასაღწევად თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმას მიმართავენ. გარკვეულწილად ეს მართლა ასეა. მხოლოდ ნაწილობრივ, ეს მართლაც „ინტერნაციონალური“ შემადგენლობაა.

სოციალური დიფერენციაცია მათთვის თითქმის აღარაა პრობლემა. ავანგარდისტთა (ან მასთან ერთად არსებობენ კიდევ სხვებიც, რომლებსაც ასევე ავანგარდისტებად მიაჩნიათ თავიანთი თავი) უმეტესობას ის ადამიანები შეადგენენ, რომლებიც მუდამ უკმაყოფილო იყვნენ გარემოთი. მათ წილად ხვდათ მრავალი უსამართლობის დანახვა და თავისუფლების ძიების პათოსი მათთვის ცხოვრებისეული აუცილებლობაა. მათი უმეტესობა ხვადასხვაგვარად გაურბის აქაურობას: ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, სხვები, რომლებმაც დასავლეთში დამკვიდრება ვერ მოახერხეს, სხვადასხვაგვარ თავშესაფარს იწყობენ – გამოვანებელს ან, უბრალოდ, საინტერესოს.

დღეს, როგოც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების მეშვეობით, ახალი ხელოვნების წარმომადგენელთა შორის სულ უფრო მეტად ვრცელდება მოთხოვნილება რეალური თვითდამკვიდრების, სოლიდარობისა და სასიცოცხლო სივრცის შექმნისა. ჩვენ, ყველანი, ჩვენი ღარიბი ხელოვნების ბაზრის მონოპოლიზაციის, თითქოს ასეთი დაგვიანებით, წვალებით ნაშობი „კულტოკის“ თაობას წარმოვადგენთ. პიროვნების დაცვის, მისი თავისუფლებისადმი პატივისცემის მოთხოვნა სხვადასხვაგვარად გაფორმდა: მართლაც ნამდვილი ღირებულების ნამუშევრებსა და აქციებში. ეს რეალური გამოცდილებაა იმ ხელოვნებისა, რომელიც საკმაო ხანია არსებობს ჩვენში. მიუხედავად იმ ვულგარული დამოკიდებულებისა (უკეთეს შემთხვევაში), რომლითაც ხვდებოდა ჩვენი გარემო მის არსებობას, ახალი რადიკალური ტალღა ბევრ შემთხვევითს, ზერელეს და პრეტენზიულსაც მოიტანს, მიუხედავად რადიკალიზმისათვის დამახასიათებელი ერთგვარი უსამართლობისა, უეჭველად დამკვიდრდება გარემოსადმი განსხვავებული, ფხიზელი დამოკიდებულება, თავისუფალი სხვადასხვა ტრაგიკომიკური ტენდენციურობისაგან.

ჩვენში გავრცელებული პროვინციალური კონიუნქტურის კლიშეებისადმი დაპირისპირება აუცილებელი და სასარგებლო ეტაპია, რომლის პარალელურად თანამედროვე მსოფლიო კულტურის კონტექსტში იმთავითვე გასათვალისწინებელი ნიმუშების კეთებისა და არსებობისათვის უფრო ნორმალური პირობები შეიქმნება. ზერელე, მხოლოდ სუბიექტური პრეტენზიების გამჟღავნებით ნაკვეთ თვითშემოქმედების უსუსურობაც უკეთ გამოჩნდება.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მომხდარი „სახალწლო ომის“ შემდეგ ახალი ხელოვნების შემქმნელთა შორის თვალნათლივ შეიმჩნევა აქტიური კონსოლიდაციისა და სოლიდარობის პათოსი. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ახალი ხელოვნების სასიცოცხლო სივრცის შექმნისა და გაფორმების მოთხოვნილება: სხვაგვარად, საუბარია ჩვენს გარემოში რეალურად თვითდამკვიდრების მცდელობაზე. ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს სოციუმში მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიურ მონაწილეობას, ზოგჯერ „კვაზიპოლიტიკურ“ რადიკალიზმს, სიფხიზლისა და გულისხმიერებისაკენ მოწოდებას პიროვნების თავისუფლებისა და მისი დაცვისათვის ბრძოლის

დროს. ბოროტების ჩვენება არ ნიშნავს ამ ბოროტებაში განურჩევლად ყველას დადანაშაულებას. ყველამ, ვინც ახალი ხელოვნების ნიმუშს ნახავს, როგორმე უნდა დაინახოს, რომ ავტორი მხოლოდ ერთი თხზონით მიმართავს ადრესატს: „მე მხოლოდ იმის ჩვენება მინდა, რომ შენც უფრო მეტი ხარ, ვიდრე გგონია“.

1992 წ.

II. თანამედროვე ხელოვნება და „ქართული ავანგარდი“

ამჟამინდელ საქართველოში თითქმის ყოველი მცირე მხატვარი „ავანგარდისტია“. როგორც ჩანს, სიტყვა „ავანგარდი“ ჩვენში გაიგივებულია მთელს დასავლურ თანამედროვე ხელოვნებასთან და მიჩნეულია ყველანაირი პროფესიული გამოცდილების სრულ უარყოფად და განუკითხაობად. ამგვარი გაგება, მართლაც, სიმპტომატურია ქვეყნისთვის, რომელიც სრულ განუკითხაობას მოუცავს.

არანაირი პრინციპი, არანაირი თანამიმდევრულობა, არანაირი პასუხისმგებლობა — აი, ამ ცხოვრებისეული გამოცდილების პროცირება ხდება ადგილობრივ ავანგარდისტთა ოპუსებში. ზედაპირული ცოდნა თანამედროვე დასავლური ხელოვნების ნიმუშებისა ჩვენი პერსონაჟებისათვის ყველაფრის ნებადართულობის ილუზიას ქმნის, თურმე, შესაძლებელია მხოლოდ გეომეტრიული ფიგურებით ან სხვადასხვა სისქის მონასმებით, ლაქებით ოპერირება. თურმე, შესაძლებელია სურათზე საერთოდ უარის თქმა და ნებისმიერი შემთხვევითი საგნების, ობიექტების ან ინსტალაციების კეთება.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, ჩვენში ასე თვლიან, რომ ამ უახლესი ხელოვნების შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი მხოლოდ ის არის, ვინ უფრო მეტად გააკვირვებს ან შეაწუხებს ვინმეს თავისი პიროვნული ამბიციებით, ე.წ. „უკომპლექსობით“, რომლის კომპლექსი მხოლოდ პიროვნებებად ვერჩამოყალიბებულ, თავისუფლების ვერშემქმნელ სუბიექტებს სტანჯავთ.

საპირისპიროდ ამ „მოსაზრებებისა“, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ დასავლეთის თანამედროვე ხელოვნებაში არსებობს საკმაო ხნის წინათ ჩამოყალიბებული და თანდათანობით სრულყოფილი სისტემა შეფასებისა, რომლის მეშვეობით არტისტები, არტ-კრიტიკოსები და ექსპერტები თითქმის ყოველთვის შეუმცდარად არჩევენ ნამდვილი ღირებულების შემცველ პროდუქციას ცუდი და, მით უმეტეს, კუსტარული, ზერელე იმიტაციებისაგან.

თანამედროვე ხელოვნება წარმოდგენილია პასუხისმგებლობის თვინიერ. ამ პასუხისმგებლობის საზღვრები და ტვირთი თანამედროვე ხელოვანისათვის ვერმოსახილველია. პასუხისმგებლობა შობს რადიკალურ კრიტიკას, არსებული

სტერეოტიპების რევიზიისა და სოციოფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლას: სამყაროს ანთროპოცენტრულ მოდელზე უარის თქმას და არსებული წარმობებით ურთიერთობების ალტერნატიული ფორმების მოძიებისათვის ძალისხმევას. ამგვარი პათოსით თანამედროვე ხელოვანი ემსგავსება პ. კრაპოტკინის მიერ დახასიათებულ ნიჰილისტს, რომელთა შესახებ ანარქისტი თავადი წერდა: „უპირველეს ყოვლისა, ნიჰილიზმმა ბრძოლა გამოუცხადა კულტურული ცხოვრების ე.წ. პირობით ტყუილს, მისი განსაკუთრებული ნიშანი იყო აბსოლუტური გულწრფელობა“.

ამ ბრძოლის შესახებ კარგად შენიშნავდა ალბერ კამიუ: „მემარცხენეები, რომელთა შორის მეც ვითვლები, წინააღმდეგი არიან სხვებისა და თავიანთი ნების“... მხოლოდ ეს ტრაგიკული ბრძოლა ქმნის შესაძლებელს იდეალურ დემოკრატიაზე ზრუნვას, რომელიც, იმავე კამიუს განსაზღვრით, „უმრავლესობის ძალაუფლება კი არ უნდა იყოს, არამედ უმცირესობის დაცვა“.

მე საგანგებოდ მოვიყვანე ურყევი მემარცხენეების მომხრე, პიროვნული პასუხისმგებლობით გამორჩეული რუსი რევოლუციონერი თავადისა და დიდი ფრანგი მწერლის ციტატები იმის შესახებ, რომ თანამედროვე ხელოვნების პათოსი ძალიან დიდ ტრადიციას ეფუძნება და აგრძელებს მას.

XX ს-ის ავანგარდისტული ხელოვნების უნდობლობა არსებული მხატვრული ფორმებისადმი და მათი მუდამ ახალი მოულოდნელი ფორმებით შეცვლა – განაზღვრისაქენ ლტოლვა – თვითმიზნური ფორმალიზმი კი არ იყო, არამედ ფორმის მიღებული არსის უკეთ გამოვლენა-გამოაშკარავების მოთხოვნილება. ამ სწრაფადცვალებად ფორმალურ მეტამორფოზებს თავისი ისტორია და ტრადიცია აქვს, რომლითაც ოპერირებენ თანამედროვე პოსტმოდერნისტები.

ჩვენში კი ავანგარდი ყველანაირი ტრადიციის ზედაპირულ უარყოფასთანაა გაიგივებული, ეს ხომ ასე ხელსაყრელია: არც არაფრის შესწავლა გჭირდება, თუკი მაინც მყისვე უნდა უარყო.

ალბერ კამიუ ასეთი „მხატვრების“ შესახებ წერდა: „ტრადიციის გარეშე მხატვარს უჩნდება ილუზია, რომ ის თვითონ ქმნის წესებს: აი, ის უკვე დამერთია“.

საუბედუროდ, ჩვენი განადგურებული ქვეყანა სავსეა ამგვარი „დამერთებით“. XX საუკუნის ხელოვნება, როგორც და სადაც არ უნდა იყოს ის, ხომ მოუცილებელი ნაწილია ქვეყნის მთელი რეალობისა.

ზემოთ ნათქვამი როდი ნიშნავს იმას, რომ დღევანდელ საქართველოში არ არის ხუთი-შვიდი ნამდვილი არტისტი, რომელსაც შეუძლია თანამედროვე ხელოვნების კეთება (ვგულისხმობ ფერწერის ალტერნატიულ ფორმებს) და რომლებიც აკეთებენ კიდევაც საკმაოდ საინტერესო, აქტუალურ ნიმუშებს. ამ ფერმწერთა შორისაც ყველა ერთნაირად დაკაბალებულია დაბალკულტურული მომხმარებლის გემოვნების შესაბამისი სალონური ფერწერის ნორმებით.

1931 — შესაბამისი პოეტური ტექსტები (მთიბლურების გარდა) სწორედ 16-მარცვლედებად წარმოადგინა და ამისი ორი მიზეზიც ნათლად განმარტა: „ლექსების მუხლები მე ყოველთვის გაშლილად მაქვს წარმოდგენილი (თექვსმეტ-თექვსმეტი მარცვალი) და არა გატეხილად (რვა-რვა მარცვლად), როგორც ამას ჩადიოდა ხალხური ლექსების შემკრებ-ჩამწერთა დიდი უძრავლესობა. ამას ორი მოსაზრებით ვშვრები: ჯერ ერთი, ერთისა და იმავე მოცულობის წიგნში ორჯერ მეტ მასალას ვტევ... მერმე კიდევ: ლექსის აგებულობის თვალსაზრისით ერთეულს თექვსმეტ-მარცვლიანი მუხლი შეადგენს და არა რვა-მარცვლიანი. როდესაც მეხსიერებიდან იკარგება ლექსის ნაწილები, იკარგება მთელ-მთელი ერთეულები, — ამოვარდება თექვსმეტ-თექვსმეტი მარცვალი, თუმცა გამოინაკლისის სახით შეიძლება ერთი მუხლის ერთი ნახევარი გადაებას მეორე მუხლის მეორე ნახევარს, რომელსაც რითმა მოუდის. ასეთი წესი გამოცემისა შეიძლება საყოველთაოდ იქნეს დადგენილი ხალხური ლექსების გამოქვეყნების დროს“.¹ (ხაზი ჩვენია. ა. ა.).

როგორც ვხედავთ, ძირითადი აქცენტი სტრიქონის (მუხლის) სტრუქტურულ ერთიანობაზეა გაკეთებული და ამისი ერთი არგუმენტიც არის დასახელებული: დამახსოვრება-დავიწყების „მთლიანობითობა“.

შეიძლება ამგვარი საბუთიანობა კიდევაც განმტკიცდეს. კერძოდ, დაემატოს ის, რომ პროსოდიული ხმოვანი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ხალხური პოეზიისათვის და რომელიც ძირითადად სტრიქონის ინტონაციური სადემარკაციო ნიშანია, სწორედ 16-მარცვლედს მოუდის და არა 8-მარცვლედს:

*იყრების თუშის ლაშქარი, ნაქერალს გროვლებიანო,
აღარ ხყავ აშკანაი, წინამძღვარს ღონდებიანო.*

ასევე: ხალხურ პოეზიაში არა გვაქვს ჯვარდინი რითმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისითაც 16-მარცვლედის ბოლოკიდური სეგმენტია აქცენტირებული.

2. ამგვარად: ხალხურ პოეზიაშიც, „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, დაცულია 16-მარცვლიან სტრიქონთა პარალელური ვარიანტების წესი და ეს წესი არსებითად უგამონაკლისია:

— *ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარიო?*
— *იელოვანზე გავწირე, გაქანდა როგორც წყალოი.*

განსხვავება თავს იჩენს იმაში, რომ სარიტმო „ჰარმონიას“ ხალხურ ლექსში ისეთი განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ (საზოგადოდ, „ლიტერატურულ პოეზიაში“); განსაკუთრებით კი იმაში, რომ ხალხურ პოეზიაში სტროფი ოთხ 16-მარცვლედად არ არის შეკრული

¹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I ხეცსურული, ტფ., 1931, გვ. 028.

და სტრიქონთა გართმევა მანამ გრძელდება, სანამ შესაფერისი რითმა არ გამოილევა, შემდეგ კი რითმას (ანუ „წყევს“) ცვლიან; როგორც ასეთ დროს ამბობდნენ: „სხვას ყუვზე გადავაბრუნათ, ლექსმ რო ლექს გაავრძელას“...

3. „ვეფხისტყაოსნის“ შაირი, როგორც ცნობილია, ორი რიტმული ვარიანტის სახით არის წარმოდგენილი: მაღალი და დაბალი შაირი. ერთ შემთხვევაში მუხლის ტერფებად დაყოფა თანაბარია: 4/4 4/4; მეორე შემთხვევაში კი — არათანაბარი: 5/3 5/3. ხალხურ პოეზიაში ორივე ეს ვერსიაა გამოყენებული, ოღონდაც წამყვანი ადგილი მეორეს უჭირავს:

„ჩაკვიძელ, ბერო მინდიავ, მუკლი მაიბი ძგლისაო;

ჩაკვიყოლიე უძცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“.

პირველის მაგალითები უფრო იშვიათია, თანაც მას, როგორც ჩანს, ხალხურ პოეზიაში გარკვეული თემატური დატვირთვა შეუძენია: ძირითადად პირადულ, სახუმარო-სალაღობო ლექსებში ვლინდება. ამდენად:

4. ეს ასპექტი „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური პოეზიის ურთიერთმომართებისა უთუოდ ცალკე აქცენტირებას მოითხოვს. დიდი ქართული კლასიკური პოეზიის ფუძემდებელი, როგორც ცნობილია, ცალკე კატეგორიად გამოყოფს ე. წ. „სალაღობო-სათრეველ“ პოეზიას:

„შესამე ლექსი კარვი არს სანადიმოდ, სამღერელად,

საამიკოდ, სალაღობოდ, ამხანავთა სათრეველად“...

ხალხურ პოეზიაში ლექსის ეს კატეგორია ასევე საგანგებოდ გამოიკვეთება. ამ ყაიდის ლექსებისათვის ორი რამ არის ნიშანდობლივი:

ა) ენობრივი თავისუფლება; დიალექტიზმების შედარებითი სიჭარბე ხალხური პოეზიის საერთო ენობრივი შეზღუდვის ფონზე (იხ. ქვემოთ);

ბ) უპირატესად მაღალი შაირის ფორმის გამოყენება:

„ვერ გადავშწი ლექსობასა, ქალებ მირვეკლივ დენასაო.

იმას ვირჩევთ, ქალებო: მაკარით ენასაო!

შინ დასხვით ჭკვიანადა, თავის მამის კერასაო!“

„ვენაცვალე, გასპარაო, ძმობილი ვარ შენაო.

შენ ლექსობამც მამადინა, შენ ფანდურის ეურაიო!“

ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემები უთუოდ დამატებით შესწავლას მოითხოვს, თუმცა შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, რომ სალაღობო შინაარსის პასაჟებში თითქოს იქაც მაღალი შაირი დომინირებს:

„ორნი კაცნი მივიდოდეს სადაურნი სადმე ვზასა,

უკანაშან წინა ნახა ჩავარდნილი შივან ჭასა...“

„ფრიდონს უთხრეს: „რასა კლამი, ჩვენი მოსვლა რას გეწყინა?

პურად ავი მასპინძელი მოგვეგებე ომად წინა!“

5. რაც ერთობ მნიშვნელოვანია: ყოველივე აღნიშნულის თვალსაზრისით საქართველოს ესოდენ განსხვავებულ კუთხეთა ხალხური პოეზია არსებითად ერთიანია.

განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მომენტი გვაიძულებს უფრო ღრმად გავი-
აზროთ „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური პოეზიის აღნიშნული მიმართება.

კერძოდ, მოვლენის ახსნისათვის შეიძლებოდა იმითაც დაეკმაყოფილებუ-
ლიყავით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ძალმოსილება არა მხოლოდ შემდგომი
პერიოდის კლასიკური ქართული პოეზიის განვითარების თვალსაზრისით,
არამედ ხალხური პოეზიის მიმართაც გველიარებინა. მაგრამ რაკი ცნობილია
ფაქტები, რომლის თანახმადაც შაირის ფორმა „ვეფხისტყაოსნის“ უსწრებს
წინ და ყველანაირი ობიექტური განსჯითაც, ეროვნული პოეზიის იმ დონის
მიღწევა, რაც „ვეფხისტყაოსნისა“ გამოვლენილი, მნიშვნელოვან ისტორიულ
წინაპირობათა გარეშე არსებითად შეუძლებელია, ვალდებული ვართ ვივარა-
უდოთ, რომ ის სათავეები, რის „წყალშემკრებადაც“ რუსთაველი დავასახე-
ლეთ, უფრო შორიდან უნდა იღებდეს სათავეს და ერთნაირად უნდა ასაზ-
რდობდეს, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“, ხოლო მეორე მხრივ (როგორც
უშუალოდ, ისე ამ უკანასკნელის მეშვეობით) – ხალხურ შემოქმედებას.

აი, სწორედ მოვლენათა ამ „განლაგებას“ უკავშირდება ხალხური პოეზიის
ენის ის ფენომენი, რომელსაც ქვემოთ პოეტური კოინეს სახელით მოვიხ-
სენიებთ.

როგორც ცნობილია, კოინე არის დიალექტთაშორისი (რეგიონთაშორის-
სი) ურთიერთობის სახალხო ენა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ერთი ან რამდენიმე
ცენტრალური დიალექტის საფუძველზე წარმოიქმნება ხოლმე; ამავე
პრინციპით შეიძლება ჩამოყალიბდეს პირველი სამწიგნობრო ენა, რის მაგა-
ლითსაც წარმოადგენს ძველი ბერძნული koine dialektos და რომელიც, საზო-
გადოდ, შეიქნა მიზეზი აღნიშნული ტერმინის საყოველთაო გავრცელებისა.

ქართულ ისტორიულ სინამდვილეში ამგვარი მოვლენა ფაქტობრივ და-
დასტურებული არ არის. თუმცა ქართველურ ტომთა ისტორიული თანხმობა
საურთიერთო ენის ერთადერთ არჩევანთან დაკავშირებით უთუოდ შეიცავს
არსებით აქცენტს ამ თვალსაზრისით. თავის მხრივ, ასევე გასათვალისწინე-
ბელია ის გარემოება, რომ ჩვენთვის ცნობილი არ არის ძველი ქართული
სალიტერატურო ენის დასაბამი. ქართული მწიგნობრობის პირველ ძეგლებ-
ში ეს ენა არსებითად ჩამოყალიბებული სახით გვევლინება.

რაც მთავარია, კოინეს თავისებურ გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის ფენო-
მენი, რომელიც თვალნათლივ იკვეთება ქართული ხალხური პოეზიის ენის
სახით, საპირისპიროდ შესაბამისი დიალექტური ნაირფეროვნებისა. კერძოდ,
საერთო-ქართული მაღალი ენობრივი შეგნება, ერგვარი მაკონტროლებელი
კილოთა ინტენსიური დეზინტეგრაციული პროცესებისა, სწორედ ხალხურ
პოეტურ შემოქმედებაში იჩენს ხელშესახებად თავს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ხალხური პოეზია ენობრივი თვალსაზრისით კონინეს ილუსტრაციას წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ დიალექტური თავისებურებებით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული კუთხეების პოეტური ფოლკლორი ენობრივად ხელშესახებ მსგავსებას, ერთიანობას ამჟღავნებს. ხალხური პოეზიის ამ ენობრივ თავისებურებას ჩვენ პოეტურ კონინეს ვუწოდებთ,² ვინაიდან ანალოგიური ვითარება, პოეზიის გარდა, ენის ფუნქციონირების არც ერთ სხვა სფეროში არ შეინიშნება. ამდენად, საფიქრებელია, რომ პოეტური კონინე უშუალოდ არის დაკავშირებული გარკვეულ პოეტურ კულტურასთან, შეიძლება ითქვას, მის საფუძველს წარმოადგენს.

დიალექტური თავისებურებებისა და შესაბამისი ხალხური პოეზიის ენის (პოეტური კონინეს) ურთიერთდაცვილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებში (ფშავი, ზევსურეთი, თუშეთი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი), რომლებიც, ერთი მხრივ, დიალექტური თავისებურებებით („დიფერენციაციის ხარისხით“) მკვეთრად განსხვავდებიან ცენტრალური დიალექტებისაგან და, ამდენადვე, საერთო-სახალხო ენისაგან, ხოლო მეორე მხრივ — გამოირჩევიან მდიდარი ხალხური პოეზიით. ამიტომაც ეს დიალექტები პოეტური კონინეს საილუსტრაციოდ განსაკუთრებით ხელშესახებ მასალას წარმოგვიდგენენ. მაგრამ, ამავე დროს, მართებული არ იქნებოდა კონინეს მოქმედების ფარგლები მხოლოდ ე. წ. ფხოვეური არეალით შემოგვესაზღვრა, რამდენადაც უეჭველად მის გამოვლენას წარმოადგენს საქართველოს დანარჩენ კუთხეთა ხალხური პოეზიაც. ამდენადვე, მითითებული პოეტური კონინე თავისი სიძველითა და გავრცელებულობით საერთო-ქართულ, ერთ-ერთ არქექტი პულ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც ითქვა, ისტორია თითქმის არ ათვალსაჩინოებს იმ წინაპირობებს, რასაც დაეფუძნა და რაც ერთ მძლავრ დინებად შეკრება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა, მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შეიძლება, რომ ამ პოეტურმა კულტურამ კიდევ ერთი უკვდავი ნაყოფი აღმოაცენა — ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. დიას, ვაჟა-ფშაველა იმ პოეტური კულტურისა და პოეტური ენის მემკვიდრეა, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ გავლით მარღვაუშრეტლად იდინა XIX საუკუნემდე (და შემდგომაც). მეტიც, ვაჟა-ფშაველამ პირდაპირ მემკვიდრეობად მიიღო აღნიშნული „პოეტური კონინე“, როგორც მზა, ორგანული და გამოცდილი ენა პოეზიისა.

თვით პოეტი არაორაზროვნად ასახელებს საკუთარ შემოქმედებით „წინაპრებად“, ერთი მხრივ, შოთა რუსთაველს, ხოლო მეორე მხრივ, დავით გურამიშვილს, რომელმაც ლამის ერთადერთმა შეძლო „ვეფხისტყაოსნის“

² იხ. ა. არაბული, დიალექტი და ხალხური პოეზია. — III რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბ. 1981; ხალხური პოეზიის ენა და დიალექტები. — „ლიტერატურული საქართველო“. 23.04.1993.

ორბიტის მიზიდულობის დაძლევა. ვაჟა განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ერთგულებას იფიცებს:

*„შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო,
შენის ცრემლებით მოეხარშე
ჩემი გრძნობების ფაფაო“...*

ამით პოეტი თითქოს ერთგვარ ორიენტირს გვთავაზობს — კლასიკურ ლექსთან კავშირზეც ლაპარაკობს და საკუთარი პოეტური სამყაროს ხალხურ ძირებზეც მიანიშნებს.

თუ რუსთველური და ხალხური შაირის ზემოდასახელებულ თავისებურებებს გავითვალისწინებთ, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა ამ ნიშნით ვაჟა სწორედ ხალხური ლექსის, „პოეტური კონიეს“ სისხლი სიხლთაგანია და არა — უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის მემკვიდრე.

შორს რომ არ წავიდეთ და ისევ ა. შანიძის მითითება რომ გავიხსენოთ იმავე ხალხური პოეზიის კონტექსტში, ვაჟას პოეტური ენის წყაროებს თვალნათლივ დავინახავთ:

„მთიდან გამოსული ორივე დიდი მწერალი თავის ნაწერებში ხალხურ შემოქმედებას დიდ ანგარიშს უწევდნენ და ერთი მათგანი მაინც, ვაჟა, ამ პოეზიაზე ჩანს სკოლაგავლილი. ვაჟა ძლიერია, სადაც ხალხურ თქმულებათ და ხალხურ ამბებს (რა თქმა უნდა, თავისებურად გადაკეთებულსა და გადამუშავებულს) ხალხური ლექსების ფორმითვე გვაძლევს და სუსტია, სადაც ამ ნიადაგს ჰშორდება“.³

თვით პოეტი, რომელიც არაერთგზის შეეცადა ნათელი შეეტანა მისი ენობრივი პოზიციის გამო ატეხილ აჟიოტაჟში, ვფიქრობთ, იმ დროისათვის შესაძლებელი ცნებითი ინვენტარით საკმაოდ გასაგებად ამჟღავნებს საკუთარ დამოკიდებულებას ხალხური პოეტური ენისადმი; კერძოდ, მაშინ, როდესაც საკუთარ შემოქმედებაზე რ. ერისთავის შესაძლო გავლენაზე ლაპარაკობს:

„რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად აჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მამინ შეგირდი ვახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მამინაც ლექსებს ვსწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვით, ვბლაჯნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ

³ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 023.

„ივერიაში“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა“... ("Pro domo sua").

აი, რამდენიმე არსებითი მოსაზრება, რომელიც ამ წერილიდან გამომდინარეობს:

1. მწერლის მიერ გავლენის აღიარება სათაკილო და დამამცირებელი არ არის;

2. რაფიელ ერისთავის გავლენაზე საუბარი თავისებური კუთხით მართლაც შეიძლება, კერძოდ, ეს საზიარო „ხალხური კილო“ ყოფილა, რომლის გამოყენების სტიმული დამწყები პოეტისთვის ვაჟასთვის – სწორედ თ. რაფიელს მიუცია, თუმცა თვითონ ამ სამყაროში მეტად „შინაურად“ გრძნობდა თავს;

3. შესაფერისი ფორმის პოვნამდე საკუთარ შემოქმედებას პოეტი უფრო „ბლაჯნად“ აფასებს;

4. რ. ერისთავის „ხალხური კილო“, რა თქმა უნდა, რომელიმე კერძო დიალექტის გაგებით არ არის გამოყენებული;

5. არც ვაჟას მიერ საკუთარ წყაროსთვალად აღიარებული „ხალხური კილო“ ჩანს რომელიმე კონკრეტული დიალექტის შინაარსის შემცველი.

მართალია, პოეტი ერთგან პირდაპირ ახსენებს „ფშაურ კილოს“, მაგრამ საზოგადოდ ტერმინები „კილო“ და „ხალხური კილო“, „საერო კილო“ ამკარად პოეტურ ენას, ხალხური პოეზიის თავისებურებას აღნიშნავს. და რადგანაც აქ რომელიმე დიალექტზე კი არ არის მინიშნება, არამედ პოეტური თვალსაზრისით ანგარიშგასაწვევ საზოგადო მოვლენაზე, სრული უფლება გვაქვს ვაჟას ტერმინებში პოეტური კონინეს გაგება დავინახოთ; დიანხ, ვაჟა მიანიშნებს საკუთარი შემოქმედების ხალხურ პოეტურ ძირებზე და ამ პოეზიის ენა სწორედ აღნიშნულ პოეტურ კონინეს გულისხმობს.

პოეტის მემკვიდრეობიდან ძნელი დასანახი არ არის, რომ რამდენიმე ხანს ვაჟა თითქოს უშედეგოდ ეძებდა საკუთარი სათქმელის ადეკვატურ პოეტურ ფორმას და ბოლოს მან „აღმოაჩინა“, როგორც ძალზე ხშირად ხდება ხოლმე, ის, რაც ობიექტურად ყველაზე ახლოს იყო მასთან, რომელზეც აღზრდილი იყო მისი სმენა და გემოვნება („ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა“). შეიძლება ითქვას, ხალხური პოეზიის ფორმა და ენა ვაჟამ მიიღო როგორც მზა მონაცემი, როგორც დახვეწილი და გამოცდილი ფორმა პოეტური სათქმელის გამოხატვისა; პოეტს ძირითადად თითქმის არ უცდია რაიმე საგანგებო ცვლილებები შეეტანა ამ მემკვიდრეობაში. ამიტომაც შეგვიძლია ვაჟას პოეზიის ენა (ფართო გაგებით) ვაკონტროლოთ იმავე ძირითადი მონაცემებით (მეტრი, რითმა, აგრეთვე ცალკეული პოეტური და ენობრივი ფორმულები), რაც ხალხური პოეზიისათვის არის მონიშნული.

ვაჟას პოეზიის ენის შეფასებას ამ თვალსაზრისით ცალკე აღწერა სჭირდება. ამჯერად კი დავუბრუნდეთ ხალხური პოეტური კონინეს იმ ერთ-ერთ

ძირითად ნიშანს, რომელიც განსაკუთრებით მიანიშნებს მის ტრადიციულობა-სა და სიძველეზე (არქეტიპულობაზე).

როგორც ცნობილია, ა. შანიძე დიალექტების იმ ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებით ხელშესახებად შეუნახავს მითითებული „პოეტური კონინე“ და რომელიც მოიაზრება ვაჟას ენის ძირითად მასაზრდოებლად, „ფხოვური“ ჯგუფის კილოებად მიიჩნევა.⁴

აღიარებულია, რომ ეს ჯგუფი არქაული ნიშნებით გამოირჩევა. ამან შეიძლება გარკვეული მიმართულება მისცეს ჩვენს მსჯელობას პოეტური კონინეს გენეზისის შესახებ. თუ მითითებულ კილოთა აღნიშნული სიახლოვე მათ საერთო ისტორიულ საფუძველს გულისხმობს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის დიალექტური დიფერენციაციის ამ (ფხოვურის ერთიანობის) ეტაპზე ნაკლები იქნებოდა დაშორება ცენტრალურ დიალექტურ არეალსა და სხვა რეგიონებს შორისაც. შესაბამისად, მეტი იქნებოდა საერთო საფუძველი გარკვეული პოეტური ენის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, ენის რომელ — ძველ თუ ახალ — ვითარებას უწევს ანგარიშს პოეტური კონინე, დიალექტის სპეციფიკისათვის ნიშანდობლივ რომელ ენობრივ საშუალებებს იყენებს მეტად — არქაულს თუ ახალჩამოყალიბებულს?

მაგალითად, მთის კილოთა ენობრივ თავისებურებას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, არქაული ნაშთები (კ ფონემა, ზმნის ზოლმეობითის ფორმები...), ხოლო მეორე მხრივ — ახალი მოვლენები (ხევს. მოკლე ო, თუშ. გრძელი ო, თუ ც ფონემა და მისთ.). და უთუოდ საგულისხმო იქნება, თუ პოეტური კონინე განარჩევს ამ სხვადასხვა რიგის მოვლენებს.

ცხადია, საზოგადოდ, ლექსის ენა სტერილური არც ერთი დიალექტური მოვლენის მიმართ არ არის, მაგრამ უთუოდ ნიშანდობლივია, რომ კონინე ამკარად არის ორიენტირებული დიალექტის არქაულ მონაცემებზე, ანუ: იგი თავს არიდებს დიალექტის სპეციფიკურ სიახლეებს, მაგრამ, სამაგიეროდ, სულაც არ გაურბის არქაულ მოვლენებს. ამიტომაც არის, რომ პოეტური კონინე ორგანულად გულისხმობს /კ/ ფონემასაც და ზოლმეობითის ფორმებსაც, მაშინ როცა მითითებულ ინოვაციებს არსებითად არ ვხვდებით.

მეტიც შეიძლება ითქვას: ზოგჯერ ლექსის ენაში ისეთი არქაიზმებიც იჩენს თავს, რომლებიც ამ ლექსის თანამედროვე დიალექტს (საზოგადოდ, ქართულ ენას) კარგა ხანია დაუკარგავს. რამდენიმე მაგალითი:

1. ზემო ალვანში (თუშურის არეალი) ჩაწერილ სატრფილო ლექსში, რომელიც საუკუნის პირველ მესამედშია ფიქსირებული,⁵ მთელი რითმა გამართულია ერგატივის არქაული — მან ნიშნით:

⁴ ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში. — თხზულებანი, ტ. II, თბ., 1982.

⁵ საონაი ხაოხორი შიშიქილობისა. I-III, ა. ჭიონიას რედაქციით, თბ., 1936-37.

„წავიდა, გული წაიღო იმ დღეს მომკვდარ ქალმანა,
ხედვითაც ვერა დააკლო ამ გამოსათხრელ თვალმანა,
მაღალ მთის მწვერვალს შეჭხვია შავი ნისლეები ქარმანა,
ბევრ ვაჟკაცს გული მოუკლა თვალად ლამაზმა ქალმანა“.

როგორც ტექსტიდან ჩანს, სპეციფიკური თუშური დიალექტიზმები არ
ვლინდება, ხოლო მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებას საკმაოდ თავისუფ-
ლად ექცევა მიქმელი (შდრ.: „დღეს მომკვდარ ქალმანა“, „ამ გამოსათხრელ
თვალმანა“, „ლამაზმა ქალმანა“...).

ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიის მონაცემებით ცნობილია, რომ
ერგატივის -მან სუფიქსის გამარტივების (-მა/-მ) შემთხვევები თავს იჩენს
ჯერ კიდევ X საუკუნეში.⁶ (ადიშის ოთხთავი, 897 წ.: და ინაჯ-იღვა კაცებმა.
ი. 6, 10). და მისი გამოვლენა ხალხური პოეზიის ენაში უთუოდ საყურადღე-
ბოა.

2. ა. შანიძეს 1913 წელს გუდამაყარში ჩაუწერია ერთი ფრაგმენტი ხალ-
ხური „როსტომიანიდან“:

„როსტომ თქო: დღემცა კრულია დაბადებისა ჩემისა!
რა დედას დავბადებულვარ, დღე ვერა ვნახე ლხინისა.
ვერცა ავიღე კისერი: უღელი მეღვა რკინისა“.⁷

აქ ყურადღებას იქცევს ორი ფორმა: ა) როსტომ — საკუთარი სახელი
ერგატივში ფუძის სახით, რაც ძველი ქართულის ნორმაა. თუმცა, ამ შემთხვე-
ვას შეიძლება სხვაგვარი ახსნაც მოეძებნოს: ორი მ-ს თავმოყრამ (როსტომ-
მ) ერთ-ერთის დაკარგვა გამოიწვია. საზოგადოდ, ამგვარი დასაწყისი —
„როსტომ თქვა“ — ერთგვარი ფორმულა ჩანს როსტომთან დაკავშირებულ
სენტენციებისა.

ბ) „რა დედას დავბადებულვარ“: მოსალოდნელი იყო სინთეზური ფორმა
— დავბადებივარ. რელატიურ-გარდაუვალ ზმნათათვის ანალიზური წარმო-
ება ჩაისახა ძველ ქართულში და ძველი ქართულის ფარგლებშივე გადავიდა
ის სინთეზურ ფორმებზე.⁸ შდრ. ერთი და იმავე ძეგლის რედაქციები: ესენი
კაცნი არიან, რომელთათჳს ვნება შემთხუეულ არს, ვითარცა კაცთა შემთხვის
ვნება (ბალაგარ. 23, 11-12. ო); 4: შემთხუეულა; BCD: შემთხუევია. და
ერთსა მას გამოსრულ იყო წუერი, ხოლო ერთსა მას ეწყო ოდენ (ნოველ.
II, 126, 15-16. X-XI სს.). ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი ფორმა (დავბა-
დებულვარ მე მას) არქაული მოვლენის ნაშთია.

3. თ. რაზიკაშვილის მიერ მე-19 ს-ის ბოლოს ხევსურეთში ჩაწერილ
ლექსში ერთი გამონათქვამი იქცევს ყურადღებას:

⁶ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ.
361. -მან რუსთაველთან პროსოდიული ფუნქციისა ჩანს.

⁷ ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. I, 1984, გვ. 164.

⁸ ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში,
თბ., 1984, გვ. 79 და შმდ.

„მოველი გათენებასა, ჩემთვინ უფროცა ბნელდება;
მოველი თვალთა ახმასა, მაგრამ უფროცა ზომდება...“⁹

„თვალთა ახმა“ ნიშნავს „თვალების გახელას“. ღ- (აღება, გაღება) ძირის სუპლექტური ფუძე ხუ- (ახმა, გახმა) „მრავლის აღების, გაღების“ მნიშვნელობით ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი, მათ შორის თვალ/ებ/თან კონტექსტში: და აღახუნა თუალნი თუხნი და იხილა მოგზაური კაცი... (G მსჯ. 19, 17); თვალთა ახმადცა ზარედვა, სრულად მიჰხლოდა ცნობასა (ვეფხ. 870, 1); მე რა მნახა თვალახმული, მეფე ყელსა მომეხვია (ვეფხ. 350, 1). შდრ. ცისკარ-გახმა „ცის კარის გაღება“.

4. „კმლის ზახონისის ნამტვრევნი ყანის სიმირგვალთ ხყრიანა“¹⁰
მსაზღვრელის პოსტპოზიცია და ორმაგი ბრუნება ძველი ქართულის ნორმაა. ასეთი რამ ხვესურულ დიალექტურ მეტყველებას არ ახასიათებს.

5. ა. შანიძეს 1913 წელს თუშეთში (სოფ. ომალო) ჩაუწერია ლექსის ვარიანტი, რომელიც წარმოშობით ხვესურული უნდა იყოს; მისი დასასრული:

„— რად გიკვირო, არშაელებო, გზა ეხლა შეისწავლო,
ხუნჯირს უძ ორის მარჯვენა, სატირლად მაიტანაო“¹¹

ეს არის ის ზმნური ძირი, რომელიც ისტორიულად ფუძის ორი სახეობით არის ცნობილი: სასხვისო ვერსიის ფორმით — უ-ძ-ს (> უ-ც-); ნეიტრალური საშუალი გვარის ფორმით — ძე-ს. შდრ.: აპა ეგერა დირე გიც თუალსა შენსა (C მთ. 7,4); რაჲსა სძე და ხურინავ? (კ. იერ.-აღღ. 163, 17).

ძველ ქართ. უ-ძ-ს > უ-ც-ს > უ-ც. დიალექტში აუტანელი კონსონანტური ჯგუფი სხვაგვარად გამარტივებულა: უ-ძ-ს > უ-ძ.

6. „არიო“ ზმნის ფუძის ვითარებას ალ. ჭინჭარაული ხვესურული კილოკავების განსხვავების ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევს.¹² კერძოდ, ხვესურული დიალექტის პირაქეთული და შატილურ-მიღმახეური კილოკავები გვიჩვენებს ამ ზმნის იმ ორივე ფუძეს, რომელთა შერწყმასაც წარმოადგენს ზმნის თანამედროვე პარადიგმა: ვარ, ხარ, არ-ი-ს. პირაქეთულში დასტურდება ვარ (>ორ), ხარ ფუძეები, შატილურში — ვარი, ხარი; მესამე პირში არს გაცვეთილა თავისებურად — ას, პოეზიის ენას შემოუნახავს უფრო არქაული არს ვარიანტიც:

„სწორებ დაიწყებს კითხვასა“. „ნასკვაურისძე სად არსა?“
— ომშია ნასკვაურისძე, მაგის გამოსვლა გძლად არსა,
კაცებს კოცს, კელს კი არა სჭრის: „კცესურის წესი არ არსა“.

⁹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხვესურული, ტფ., 1931, გვ. 266. *ზომდება* გაუგებარია, რაღაც სიტყვის დამახინჯება ჩანს.

¹⁰ ალ. ჭინჭარაული, ხვესურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 384.

¹¹ ა. შანიძე, თხზ., I, გვ. 241.

¹² ალ. ჭინჭარაული, ხოის-ოროის თაისიბ.. 27. IX.

*კელ მასჭერ, ნასკაურისძევე, — უკელოდ სახელ არ არსა*¹³

7. *„ქაღასა სიმოკლე არ უშლის, — ფეკი წადვი და წავებების;
ვაშკაცსა სიმდაბალავე, — ომის კარ მალა დაღებების*¹⁴

ა. შანიძე მიუთითებს, რომ ჩაუწერიანება აბა გიგაურს ხანმატში და მასვე ლექსის ბოლო ამ ვარიანტიტაც უთქვამს: „ომის კარ გაიზარდების“¹⁵ ორივე ფორმა (წავებების, გაიზარდების) არქაული წარმოებაა.

8. *„თოთიამა და კრუმამა ერთმანეთს პასუხ უვესა*¹⁶

„პასუხს უვეს“ გამონათქვამი დიალექტის დონეზე არქაიზმია.

ზოგიერთი შემთხვევა იმასაც ადასტურებს, რომ შეიძლება ამგვარი ტენდენცია გააზრებული, მიზანმიმართული იყოს.

ა. შანიძის მიერ ფშავში ჩაწერილი ერთი ლექსი ასე იწყება:

„ბაღღ ვიყავ პირ-შიშველაი, წვერნ მოვიარენ მთისანი.

ჩაშუედ საჯიხვეშია, შიბნ დავიარენ კლდისანი...“

ა. შანიძე ხაზგასმულ სიტყვას კომენტარს ურთავს: „პირველად თქვა: საჯიკვეჩია“¹⁷ (შდრ. წინამავალი ლექსის: „ომშია ნასკაურისძე“).

ასეა, რომ გარკვეულ ენობრივ მოვლენებს პოეზიაში მთქმელი აკონტროლებს, ე. ი. მისთვის მართლაც არსებობს ზღვარი სამეტყველო ნორმასა და პოეტურ შემოქმედებას შორის. საზოგადოდ, ზემოხმოხილვის ანალოგიური მოვლენები ხალხურ პოეზიაში უთუოდ მეტი იქნებოდა, რომ არა ზეპირი ტრადიციული გავრცელება და შენახვა ხალხური შემოქმედებისა და მისი თანმხლები ბუნებრივი ცვლილებები ამა თუ იმ დიალექტის გავლენით. არაერთი ასეთი შემთხვევა (მთქმელის „ჩარევა“) გამოვლინდება, თუკი ერთისა და იმავე ლექსის სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებულ ვარიანტებს შევპირისპირებთ. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა, ოღონდ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი უნდა დავიმოწმოთ:

„გადმოვიდენ მრევალანი, გადმოხედეს კადასაო.

*თავ-თავისას გაურჩივეთ, ნუ არივებთ სხოთასაო*¹⁸

ჩაწერილია 1913 წელს გუდამაყარში. ამგვარ სენტენციურ ორბჭკარელებში, რომელთა სტრიქონებს შორის არა იმდენად აზრობრივი, არამედ სარიტმოკაემორი იქმნება, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რითმის სიზუსტეს. ამიტომაც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავდაპირველად მეორე სარიტმოცალად იყო სხვათასაო და შემდეგ მთქმელის „სურვილით“ ჩანაცვლა მას

¹³ ა. შანიძე, ხევსურული პოეზია..., გვ. 38, 7-20.

¹⁴ ა. შანიძე, ხვეს. პოეზია, გვ. 127.

¹⁵ იქვე, გვ. 506.

¹⁶ იქვე, გვ. 259.

¹⁷ ა. შანიძე, თხზ., I, გვ. 18.

¹⁸ იქვე, გვ. 160.

დიალექტური სხოთასაო.

მასალის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დიალექტისა და პოეტური შემოქმედების მიმართებაში „უზუალური-არაუზუალური“ ოპოზიციის გაცნობიერება ხდება უმთავრესად ფონეტიკისა და მორფოლოგიის (მორფოფონოლოგიის) დონეზე. ლექსიკა ამ თვალსაზრისით არა ჩანს გარჩეული. რაც შეეხება სინტაქსს, ამ სფეროში უფრო მეტად გარკვეული მყარი პოეტური ფორმულები იქცევა ყურადღებას. თუმცა, როგორც ითქვა, არქაული მოვლენები სინტაქსურ კონსტრუქციებშიც იჩენს თავს (იხ. პუნქტი 4).

აღნიშნული ტენდენციის საპირისპიროდ უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხალხურ პოეზიაში, როგორც ითქვა, მაქსიმალურად არის შეზღუდული დიალექტებისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკური მოვლენები. კერძოდ:

ა) თუშურისა და ხევსურულისათვის ნიშანდობლივია სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის კვეცა (კაცმ, ვინალ, იყვ, მოვიდ...), რასაც პოეტური კონინეს ნორმები არსებითად გამოირიცხავს.

ბ) გარკვეულად ამავე მოვლენასთან არის დაკავშირებული ხევსურულისათვის დამახასიათებელი ენკლიტიკა – ორი სიტყვის ერთ მახვილქვეშ გაერთიანება (კაცი და ქალი > კაცრ-და ქალი > კაცრ-დ' ქალი).¹⁹ შეიძლება ითქვას, ეს მოვლენა კონინეში „აკრძალულია“.

გ) მთიულური დიალექტი გამოირჩევა ფრაზის სპეციფიკური ინტონაციით, რომელიც გრძელი ხმოვნის (ტონური მახვილის) სახელით არის ცნობილი (მკვეთრი დაგრძელება მოუდის ფრაზის ერთ-ერთ სიტყვას ბოლოდან მეორე ხმოვანზე). მითითებულია, რომ ეს მოვლენა მთიულურ პოეზიაში არ აისახება.²⁰ აქვე გასახსენებელია სვანური პოეზიის ენაში გრძელი ხმოვნების ნეიტრალიზება.

ხალხური პოეზიის ენაში მითითებულ ტენდენციებს რომ გარკვეული ენობრივი ტრადიცია, მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული დამოკიდებულება განაპირობებს, ეს უნდა ჩანდეს დიალექტთა თვითგამიჯვნის ტენდენციის თავისებურ გამოვლინებებშიც, რაც ასევე განსახილველ რეგიონში შეინიშნება და უპირველესად პოეტურ კულტურასთან ჩანს დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ურთიერთმოსაზღვრე დიალექტების განვითარების პროცესს აწონასწორებდა ურთიერთსაპირისპირო ენობრივი ტენდენციები – გავლენა-შერევისა და გამიჯვნისა (განსხვავების შენარჩუნებისა). ეს ტენდენციები განაპირობებს, ერთი მხრივ, საზღვრის ზოლის ერთგვარ დიფუზიურ ბუნებას, მეორე მხრივ კი – „თვითგამიჯვნის ტენდენციას“, ²¹ „საზღვრის კონტროლის“ ცნობიერ ტენდენციას.

¹⁹ აღ. ჭინჭარაული, დას. ნაშრ., გვ. 68.

²⁰ არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში. – ტუმ, ტ. 4, 1924, გვ. 333-348.

²¹ ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 37.

თვითგამიჯვნის ტენდენციის გამოვლინების ენობრივ ილუსტრაციად უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევები, როდესაც ერთი დიალექტის წარმომადგენელი მეორე დიალექტის სპეციფიკურ თავისებურებებს „ამხილებს“, ანუ დიალექტებს შორის „სასაზღვრო სამანებს“ აღგვსნ.

ამ შემთხვევაში უფრო საგულისხმო ის არის, რომ ენობრივი ქვესისტემის (დიალექტის) საზღვრის „მაკონტროლებელი“ სუბიექტი საორიენტაციოდ იღებს არა წმინდად დიალექტურ (თუმცა ესეც არ არის გამორიცხული), არამედ დიაქრონიულ, ანუ ენის ისტორიული განვითარების საილუსტრაციო ფაქტებს. სხვისი „დაუსვენლის“ საკუთარ „ნორმასთან“ მიმართება, „უზუა-ლური-არაუზუალური“ ისტორიული საზომით არის განსაზღვრული; ამდენადვე, კონკრეტულ შემთხვევაში „ენობრივი კონტროლის“ პროცესში მონაწილეობს არა მხოლოდ დიალექტური „ამბიცია“, არამედ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა — ისტორიული ენობრივი მეხსიერება.

ამ თვალსაზრისით ზემოაღნიშნული თვითგამიჯვნის ტენდენცია ისტორიული ანდრეზის (ზეპირგადმოცემითი სიბრძნის) ერთ კერძო გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ.

საგულისხმო ილუსტრაციად გვევლინება ა. შანიძის „ხევსურულ პოეზიაში“ (თბ., 1931) 678-ე ნომრით გამოქვეყნებული ერთი ლექსი, რომლისთვისაც შემდგენელს სათაურიც შესაფერისი შინაარსისა შეურჩევია — „ხოლმე და მეთქი“. ლექსის შესაბამისი ფრაგმენტი ასეთია:

„მე კი ჩამავე კახეთა, კლდეთ მაგიერა ხენია.

აქ სახელ-სირცხვილს რა უნდა? წინიდეგ კახის ძენია.

„ხოლმე“ და „მეთქი“ სიტყვანი სათქმელად საკვირელნია“.

ამ ფრაგმენტში ისტორიულ პერსპექტივას და „ნორმატიულ“ ტენდენციას ამთლიანებს სიტყვები: აქ — „წინიდეგ“ — „ხოლმე“ და „მეთქი“ — „საკვირელი“...

შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტული ენობრივი აკრძალვის (თვითგამიჯვნის) ტენდენცია იმ ასაკისაა, რა ხნოვანებისაც არის „ხოლმე“ და „მეთქი“ ნაწილაკთა გენეზისი ქართული ენის კილოებაში და, უკიდურეს შემთხვევაში, ხევსურული დიალექტის საზღვარზე მათი, როგორც „საფრთხის“, გამოჩენა.

თუ არა ამ „ანდრეზის“ ასეთი სიძველე, აღნიშნული ნაწილაკები გარკვეულ ეტაპზე ხევსურულ დიალექტშიც დამკვიდრდებოდა და აღარც დამოწმებული ლექსის წარმოშობის საფუძველი იარსებებდა.

ცხადია, საგულისხმოა ამ ნაწილაკთა ისტორია.

ხოლმე ნაწილაკი „ვევზისტყაოსანში“ დასტურდება სამი ვარიანტით: ხოლმე (815, 3; 1481, 4), ხოლმე (1611, 1), ხვალმე (127, 4; 739, 3). ამდენად, შედარებით ადრეც არის მოსალოდნელი მისი არსებობა; კერძოდ კი, მისი

გამოჩენა უკავშირდება ხოლმეობითის კატეგორიის მოშლას ქართულში, რაც, ფაქტობრივ, მთელ ძველ ქართულ სალიტერატურო ენას გასდევს. ამდენად, ხოლმე-ს არსებობის მიჯნა, პირობითად, XI ს-ის აქეთ ვერ ვადმოიწვევს. საგულისხმოა, რომ ხევსურულს ხოლმეობითის ზმნური კატეგორია შენარჩუნებული აქვს.

სხვათა სიტყვის ნაწილაკები ქართული ენის ძეგლებში სხვადასხვა დროს ჩნდება: -ო აღრიდანვე, უკვე „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში“; თქო/-თქვა შედარებით გვიან: ჰრქუა მას: არა მცალს, ვიდოდეთ-თქუა (ნოველ. II. 161, 24. X-XI სს.); მიჰხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალია (ვეფხ. 158, 3); -მეთქი უფრო მოგვიანებით, „რუსუდანიანში“ დასტურდება. ხევსურულს აქვს -ო (-ე) ნაწილაკი, მარამ თქო და მეთქი მისთვის უცხოა, რასაც გამოხატავს კიდევ ზემოდასახელებული ლექსის ფრაგმენტი.

შეიძლება დავასკვნათ: ქართული ხალხური პოეზია ენობრივი თვალსაზრისით წარმოადგენს თვალსაჩინო ილუსტრაციას საერთო-ქართული ხალხური პოეტური ენის, ანუ პოეტური კონინეს არსებობისას. კონინეს ეს სახე ისტორიულად ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ზანგრძლივი მწიგნობრული ტრადიციის, მეორე მხრივ კი - დიდი ხალხური პოეტური კულტურის პირობებში და სალიტერატურო ენის პარალელურად წარმართავდა ხალხური სულიერი კულტურის ერთ-ერთ გამორჩეულ სფეროს. შეიძლება პოეტური კონინეს თვალსაზრისით ერთგვარ რეგიონულ „ქვეკონინებზეც“ ვილაპარაკოთ (მაგ., ფხოვერი), მაგრამ განსხვავება აქ არსებითი არ არის და ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით უფრო ნაკლები ჩანს. თანამედროვე მონაცემებთან ერთად უპირველესად სწორედ ისტორიული თვალსაზრისით უნდა გუწოდოთ მას საერთო-ქართული პოეტური კონინე.

როგორც ითქვა, ხალხური პოეტური კონინე გულისხმობს მწიგნობრული კულტურის ფონს. თავის მხრივ, პოეტურმა კონინემ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არაერთი ქართველი მწერლის ჩამოყალიბებაზე (ს.-ს. ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ა. წერეთელი, რ. ერისთავი...). განსაკუთრებით სისხლსორცეულად კი პოეტურ კონინესთან ვაჟა-ფშაველა აღმოჩნდა დაკავშირებული. როგორც თავადვე მიუთითებდა, ვაჟამ, გარკვეული ორჭოფობის შემდეგ, საბოლოოდ აირჩია ლექსის ეს „კილო“ და ფაქტობრივ უცვლელად გამოიყენა ხალხის მიერ შექმნილი ეს მდიდარი საგანბური. სწორედ ეს კავშირი ხსნის ვაჟას პოეზიის ენის თავისებურების დღემდე დილემად ქცეულ საკითხს და პოეტური ენის კვლევისათვისაც ახალ შესაძლებლობებს სახავს.

ნიმე დოგორჯინიძე

ქრისტიანული ისტორიოგრაფია და თხუთმეტი სამწერლო ენის ტოპოსი

(ცნობები იბერიული დამწერლობის შესახებ)

წინამდებარე ნაშრომში განსახილველი საკითხები მე საგანგებოდ არც მისწავლია და არც მიკვლევია. ამიტომაც უფრო მეტად კითხვების დასმას ვაპირებ, ვიდრე კითხვებზე პასუხის გაცემას. მე შევეცდები, კულტუროლოგიური, უფრო ზუსტად, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით განვიხილო გარკვეულ თეოლოგიურ კონტექსტში, კერძოდ, ანტიკურობასა და შუა საუკუნეების საეკლესიო ისტორიოგრაფიაში, ჩამოყალიბებული ტოპოსი დამწერლობის მქონე ან მცოდნე ხალხთა შესახებ. იგი ხალხთა და ენათა განყოფის უძველესმა კატალოგებმა, ანუ დიამერიზმებმა (Διαμερισμοί), შემოინახა. დიამერიზმების ყველაზე ძველი რედაქცია დაცულია იპოლიტე რომაელის ქრონიკაში, რომლის სრული სათაურია Συναγυγῆ χριστων και ἑτῶν ἀπὸ κρισσεως κόσμου εἰς τῆς ἐνεστώτης ἡμέρας. იპოლიტე რომაელის ამ ქრონიკის (235-238 წ. ახ. წ.ა.) ბერძნული ორიგინალი დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა,¹ ცნობილი იყო მხოლოდ VI საუკუნის II ნახევარში შესრულებული ლათინური თარგმანი, უფრო სწორად, იპოლიტესეული დიამერიზმების ლათინური გადაამუშავება, ე.წ. Liber generationes.

ეს ტოპოსი დამწერლობის მქონე ან მცოდნე თხუთმეტი ხალხის შესახებ იუდაისტურ ისტორიოგრაფიაშიც აისახა; III საუკუნიდან მოყოლებული თალმუდის ტექსტის განმარტებებსა, ხელნაწერთა სქოლიოებსა თუ მინაწერებში სხვადასხვა ეგზეგეტიკურ საკითხებზე მსჯელობისას არაერთგზის დასტურდება ცნობა დამწერლობის მქონე ხალხთა (მათ შორის იბერიელების) შესახებ. ქრისტიანულის პარალელურად ნაშრომში თალმუდურ-მიდრასული წყაროებიც იქნება განხილული. აქვე მოკლედ შევხები მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპულ მეცნიერებაში ერთ-ერთ საკმაოდ პოპულარულ დისკუსიას, რომლის განსჯის საგანი გახლდათ ამ და სხვა წყაროებში დასახელებულ ხალხთა (განსაკუთრებით ნაკლებად ცნობილ ხალხთა) და მათ დამწერლობათა

¹ იპოლიტეს ქრონიკის ბერძნული ორიგინალი ა. ბაუერმა აღმოაჩინა მადრიდის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერთა შორის (Codex Graec. 121). ბერძნული ტექსტი პარალელურ ლათინური თარგმანებით ის. გამოცემაში: A. Bauer, Die Chronik des Hippolytos im Matrinensis 121, in: Hyppolitus, Werke, Bd. IV (GCS 36), Leipzig 1956.

იღნტიფიკაციის საკითხები. ინტენსიური და წინააღმდეგობებით საგვს კამათის საგანი გახდა იბერიელები და მათი დამწერლობა. ამ დისკუსიის ამსახველი სტატიები სულ ცოტა 10 წლის განმავლობაში იბეჭდებოდა სოლიდური თეოლოგიური ჟურნალის: “Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft” (ბეული ალთქმის სამეცნიერო ჟურნალი) ფურცლებზე. რამდენადაც მე ვიცი, ქართული სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან მას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

აქვე მინდა საგანგებოდ გავუსვა ხაზი ერთ გარემოებას: ნაშრომში წარმოდგენილი წყაროები განხილული იქნება არა დამწერლობათმცოდნეობის ინტერესებით – ამ თავალსაზრისით მათი ღირებულება სულ სხვაგვარი კრიტიკერიუმებით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს – არამედ წმინდა სოციოლინგვისტური და ზოგადად კულტუროლოგიური პოზიციიდან: რა კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ რეალობას ასახავს ან ეხმაურება ეს ტექსტები, როგორ აფასებენ მათი ავტორები ენისა და ხალხის ურთიერთმიმართების საკითხებს და რა რელიგიურ კონტექსტში, უფრო სწორად, რა ნიშნების მიხედვით ანიჭებენ ენებსა და ხალხებს გამორჩეულობის სტატუსს და ათავსებენ მათ “წმინდა ისტორიაში” (მღრ. Historia sacra).²

ხალხთა და ენათა ბიბლიური განყოფის ნუსხები, ანუ დიამერიზმები (Διαμερισμός τῆς γῆς εἰς τοὺς τρεῖς υἱοὺς τοῦ Νῶε, ლათინური ვერსიების მიხედვით – Terrae divisiones tres filios Noe, ან Divisio terrae tribus filiis Noe), ძველი საეკლესიო ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტოპოსი იყო, რომელიც მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ჩარჩოში აღწერდა ბაბილონისდროინდელ ამბებს. ნოეს სამი ძის შთამომავალთა ჩამონათვალმა, ანუ მოსეს ხალხთა დაფებმა, რომელიც შესაქმნის მე-10 თავისა და შესაბამისად ნეშტთა წიგნის (I, 4-24) მიხედვითაა მოღწეული, არღუელ ხანაშივე შეუქმნა საფუძველი დიამერიზმების მრავალრიცხოვანი რეცენზიების შექმნას. ტექსტი, რომლის მიხედვითაც III-XVIII საუკუნეების მანძილზე არაერთი წყარო შეიქმნა იუდაისტურ და ქრისტიანულ ტრადიციაში, ცნობილია “მცირე დაბადების, ანუ იობელებების წიგნის” სახელით (Ὁ Ἰσβηλαίου, ἢ λεπτῆ Γένεσις) და ახ. წ. I საუკუნით თარიღდება.³ ებრაულად დაწერილი ეს აპოკრიფი II საუკუნეში ითარგმნა ბერძნულად, ბერძნულიდან – ეთიოპურად. დღეისათვის შემონახულია ერთადერთი, ძალზე დაზიანებული ეთიოპური ხელნაწერი, საიდანაც ტექსტი ითარგმნა ჯერ ლათინურად (XVI საუკუნეში),

² როგორც ცნობილია, ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაციით რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ მსოფლიოს ხალხები ორ ნაწილად გაყო: ისტორიის ნამდვილ შეიღებად, ანუ “წმინდა ისტორიის” მონაწილე სამოცდათორმეტ (ზოგიერთი წყაროს მიხედვით სამოცდაათ) ხალხად და დანარჩენ სამყაროდ, რომელსაც სამართლიანობისა თანასწორუფლებიანობისმოყვარე დასავლელი მეცნიერები “ისტორიის ვერებს” (Stiefkinder der Geschichte) უწოდებენ (მღრ. Arno Borst, Der Turmbau von Babel, Geschichte der Meinungen über Ursprung und Vielfalt der Sprachen und Völker, 4 Bde., Stuttgart 1957-1963, აქ: ტ. 1, გვ. 292).

³ August Dillmann, Das Buch der Iubileen oder die kleine Genesis, Tübingen 1874.

შემდეგ კი ევროპულ ენებზე. სწორედ ამ წიგნის მერვე და მეცხრე თავი გახდა ამოსავალი მომდევნო რეცენზიებისათვის,⁴ რომელთა შორის ყველაზე აღრინდელად იოსებ ფლავიოსის რედაქცია (*Ἰσθαικὴ Ἀρχαιολογία*, I, 6, 1-4) ითვლება (ახ. წ. ა. 94 წ.). არც იობელეების წიგნი და არც ფლავიოსის ისტორია არ შეიცავს ცნობას დამწერლობის მქონე ხალხთა შესახებ, ეს რუბრიკა, როგორც ზემოთ ვთქვი, პირველად იპოლიტე რომაელის 235-238 წლებში დაწერილ ქრონიკაში დასტურდება.

ქრისტიანული ისტორიოგრაფია ითვლის დიამერიზმების მრავალრიცხოვან ლიტერატურას, რომელთა პირველი მეცნიერული კლასიფიკაცია არნოლდ გუთშმიდის სახელს უკავშირდება. მან საგანგებოდ მოუყარა თავი დიამერიზმებისა და ე.წ. მოსეს “ხალხთა დაფების” ტექსტებს როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ტრადიციაში და 24 ძირითად ჯგუფად დააღაგა ისინი.⁵ როგორც გუთშმიდმა აჩვენა, დიამერიზმების ტექსტებს მეტ-ნაკლებად საერთო სტრუქტურა და შინაარსი აქვს.⁶ ამ სტრუქტურიდან მან რვა ძირითადი რუბრიკა გამოყო:

1. შესავალი ნაწილი, რომელშიც განხილულია: ა. ნოეს შთამომავალთა სამკვიდრებლები და მათი საზღვრები, ბ. სამი დიდი მდინარე, რომლებიც ნოეს შთამომავალთა ტერიტორიებზე მიედინება, გ. მოკლე თხრობა ბაბილონის გოდლის მშენებლობისა და ენათა განყოფის შესახებ.

2. საკუთრივ განყოფის ტექსტი, რომელიც რამდენიმე ქვეთავადაა დაყოფილი: სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავალთა ჩამონათვალი და მათგან წარმოშობილი ხალხების მამამთავართა სახელები, ბ. ხალხები მათი ტერიტორიების მიხედვით, გ. სემის, ქამის და იაფეტის მოდგმის იმ ხალხთა ჩამონათვალი, რომელთაც ანბანური დამწერლობა აქვთ (ან დამწერლობას იყენებენ, წერა იციან), დ. ბიბლიური წარმომავლობის ხალხთა განსახლების საზღვრები, ე. ქვეყანათა ჩამონათვალი, ვ. კუნძულთა ჩამონათვალი, ზ. სასაზღვრო მდინარეთა ჩამონათვალი.

3. სამოცდათორმეტი ენის ჩამონათვალი.

4. მონათხრობი ხალხთა განყოფისა და მათი მიგრაციების შესახებ.

5. ნაკლებად ცნობილი ხალხები და მათი განსახლების ადგილები.

6. მათა ჩამონათვალი.

⁴ იხ. ა. დილმანის დასახელებული გამოცემის მიხედვით გვ. 250-253.

⁵ A. Gutschmid, „Untersuchungen über den Διαιρησις τῆς γῆς und andere Bearbeitungen der Mosaischen Völkertafel,“ in: A. Gutschmid, *Kleine Schriften*, V, Leipzig 1894, S. 585-717.

⁶ დიამერიზმების შემცველი წყაროების უმეტესობა დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. რვავე რუბრიკა სულ რამდენიმე წყაროში დასტურდება, დანარჩენები მეტ-ნაკლებად ავსებენ ერთმანეთს. დიამერიზმების სტრუქტურისა და შინაარსის დადგენისას ა. გუთშმიდი დაზიანებულ და ნაკლებ წყაროთა მონაცემებსაც ითვალისწინებდა.

7. მდინარეთა ჩამონათვალი.

8. ქალაქების ჩამონათვალი შვიდი კლიმატური ზონის მიხედვით.

ღიამერიზმების ცალკეული ნაწილები დამოუკიდებელი ტოპოსების სახით ვრცელდებოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამ გზით უნდა მოხვედრილიყო მათი ფრაგმენტები ძველ ქართულ მწერლობაში.⁷

ღიამერიზმების ამ რუბრიკათაგან წარმოდგენილ ნაშრომში მხოლოდ მეორე რუბრიკის ერთ-ერთ ქვეთავს შევვებთ: სემის, ქამის და იაფეტის მოდგმის იმ ხალხთა ჩამონათვალი, რომელთაც ანბანური დამწერლობა აქვთ. რელიგიურ კონტექსტში შექმნილი ეს ტოპოსი თხუთმეტი სამწერლო ენის შესახებ ღიამერიზმების ყველაზე საინტერესო ნაწილად იქცა და III-XVIII საუკუნეების წყაროებში თითქმის უცვლელი სახით გავრცელდა, როგორც საყოველთაოდ აღიარებული აქსიომა.

ამ რუბრიკის შემცველი წყაროები ჩვენთვის საინტერესო მრავალ პრობლემას სვამს; ამჯერად გამოვიყოფ ერთ საკითხს, რომელიც სოციოლინგვისტური და ზოგადად კულტუროლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა: იბერიული დამწერლობისა თუ იბერიული სამწერლო ტრადიციების არსებობა ძველ კულტურულ სამყაროში მკაფიოდ ჩამოყალიბებული და საყოველთაოდ გაზიარებული აზრია, რომელიც თითქმის უცვლელად მეორდება III-XVIII საუკუნეების როგორც ქრისტიანულ, ასევე იუდაისტურ წყაროებში, ერთმანეთისგან რელიგიურად, ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად დაშორებულ ტექსტებში.

ამ ტოპოსის შემცველი მრავალრიცხოვანი ნიმუშებიდან მაგალითისთვის წარმოვადგენ სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ოთხ რედაქციას. ესენია:

1. 235-238 წლების იპოლიტესეული ბერძნული რედაქცია, რომლის სრული სათაურია: Τῆς γῆς ὁ διαμερισμός τοῖς τρισὶν υἱοῖς τοῦ Νῶε μετὰ τὸν κατακλυσμὸν ἐγένετο πᾶ Σῆμ, πᾶ Χάμ καὶ πᾶ Ἰάφεθ.

2. VI საუკუნის ბერძნული რედაქცია, რომელიც ეპიფანეს საეკლესიო ისტორიას ეყრდნობა.

3. მეშვიდე საუკუნის ლათინური რედაქცია, ე. წ. *Excerpta utilissima Latine conversa ab homine barbaro*, რომელიც *Excerpta latina Barbari*-ს სახელითაა ცნობილი. მისი ანონიმური ბერძნული ორიგინალი ანასტასიოს I-ის (491-518) დროსაა შექმნილი. ლათინური თარგმანი შესრულებულია არაუგვიანეს VII საუკუნისა (მეშვიდე საუკუნისაა ამ ტექსტის შემცველი ყველაზე ძველი ხელნაწერი: *Codex Puteanus*).

4. შედარებით გვიანდელი, XI-XII საუკუნეების რედაქცია, რომელიც კონსტანტინეპოლელ ეპისკოპოსს ეუტუხეს (*Eutybios vel Sa'id ibn Batrik*)

⁷ ენათა და ხალხთა განყოფის ბაბილონისდროინდელი ამბები, ანუ სამოცდათორმეტი ხალხისა და ენის ჩამონათვალი (გუთშმიდის კლასიფიკაციით – III რუბრიკა) რამდენიმე ფრაგმენტითაა შემონახული ძველ ქართულ წყაროებში. ამ წყაროებს ქვემოთ დავუბრუნდები.

მიეწერება; ტექსტი არაბული, ბერძნული და ლათინური რედაქციითაა მოღწეული.

ვნახოთ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტები ამ ტექსტიდან:

1. Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματα εἰσιν

[Japhet]:

Ἰβηρες, Λατῖνοι, οἷς χρωῖνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

[Cham]:

Φοῖνικες, Αἰγύπτιοι, Παμφύλιοι, Φρύγες.

[Sem]:

Ἐβραῖοι οἱ καὶ Ἰουδαῖοι, Πέρσαι, Μῆδοι, Ἰνδοί, Χαλδαῖοι, Ἀσσυριοί, .
(ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ /წერა-კითხვა იციან/, არიან:

[იაფეტისგან]:

იბერიელები, ლათინები, რომლებიც რომაელებად იწოდებიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

[კამისგან]:

ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

იუდეველები, სპარსელები, მედიელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები).

2. Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματα εἰσιν οὗτοι

[Japhet]:

Ἰβηρες οἱ καὶ Τυράνιοι, Λατῖνοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.

[Cham]:

Φοῖνικες, Παμφύλιοι, Φρύγες.

[Sem]:

Ἐβραῖοι, Ἰνδοί, Συροί, Πέρσαι, Χαλδαῖοι.

(ამათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ /წერა-კითხვა იციან/, არიან:

[იაფეტისგან]:

იბერიელები, რომლებიც ასევე ტირანელებად [იწოდებიან], ლათინები, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

[კამისგან]:

ფინიკიელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

ებრაელები, სპარსელები, ქალდეველები, ინდოელები, სირიელები.

3. Qui autem sapiunt ex ipsis litteris hii sunt

[Japhet]:

Ibiri, Latini, qui utuntur Romei, Spani, Graeci, Midi, Armenii.

[Ham]:

Qui autem ex ipsis sciunt litteras sunt haec:

Fynici, Egyptii, Pamphyli, Frygii.

[Sem]

Qui autem noverunt ex ipsis litteras sunt

Hebrei qui et Judei, Persi, Chaldei, Indii, Assyrii.

(მათგან ისეთები, რომელთაც დამწერლობა აქვთ /წერა-კითხვა იციან/:

[იაფეტისგან]:

იბერიელები, ლათინები, რომელთაც წესისამებრ რომაელებს ეძახიან, ესპანელები, ბერძნები, მედიელები, სომხები.

[ქამისგან]:

ფინიკიელები, ეგვიპტელები, პამფილიელები, ფრიგიელები.

[სემისგან]:

ებრაელები, რომლებიც ასევე თურქელებად იწოდებან, სპარსელები, ქალდეელები, ინდოელები, სირიელები).

4. Qui autem litterati sunt:

[Japhet]:

Graeca, Romana, Armenica, Gu(a)rzanica /Jarzanica/, Hispanica.

[Cham]:

Aegyptiaca, Pamphylica Phrygica.

[Sem]:

Ebraica, Syriaca, Persica, Indica, Chaldaea, Arabica.⁸

(მათგან ისინი, რომლებიც წერა-კითხვის მცოდნენი არიან:

[იაფეტისგან]:

ბერძნული, რომაული, სომხური, გურდ(ჯ)ანული, ესპანური.

[ქამისგან]:

ეგვიპტური, პამფილიური, ფრიგიული.

[სემისგან]:

ებრაული, სირიული, სპარსული, ინდური, ქალდეური, არაბული).

⁸ წყაროები დამოწმებულია ს. კრაუსისა და ე. ნესტლეს ნაშრომების მიხედვით. იხ. S. Krauß, 1899: Die Zahl der biblischen Völkerschaften, in: Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft, Nr. 19/1899/, S. 1-14, Gießen; E. Nestle, Die schreibkundigen Völker von Genesis 10, in: Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft Nr. 25 (1905), S. 210-213.

S. Krauß, Zur Zahl der biblischen Völker, in: Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft, Nr. 20/1900/, S. 38-43, Giessen; S. Krauß, Zur Zahl der biblischen Völker, in: Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft, Nr. 26/1906/, S. 33-48, Giessen.

პირველ რიგში რამდენიმე შენიშვნა დასახელებულ წყაროებთან დაკავშირებით:

1. VI საუკუნის ბერძნულ რედაქციაში (აქ მეორე ნომერი) დასახელებული "Ιβηρες οἱ καὶ Τυράνσιοι (იბერიელები ანუ იგივე ტირანელები): ასე მოიხსენიებენ ძველ წყაროებში კავკასიის იბერებს,⁹ პირინეის იბერებისგან განსხვავებით, რომელთაც სხვადასხვა სახელით იცნობენ ისტორიკოსები: კელტიბერები, ვალები, ანუ იბერები (შდრ. Κελτοί, Γάλλοι, οἱ καὶ Κελτίβηρες).¹⁰
2. ევტუხეს წყაროში დასახელებული Ja(u)rzanica/Gu(a)rzanica: ამ ტექსტის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ა. გუთშმიდი თვლის, რომ Jarzanica-Gurzanica აქ იბერიული დამწერლობის აღსანიშნავადაა გამოყენებული. იგი იძოვრებს იაქუტის გეოგრაფიულ ლექსიკონს (Jâqût, Lexicon Geographicum, p. 249), რომელშიც დადასტურებულია არაერთი უცხოენოვანი წყარო, რომელთა მონაცემებით Gu(a)rzan-Jarzan ჰქვია იმ მხარეს, სადაც თბილისი მდებარეობს. როგორც გუთშმიდი აღნიშნავს, ამ წყაროებში Gurzan ზოგჯერ თბილისის აღსანიშნავადაც იხმარება (შდრ. Gurzan = Tiflis, und ersetzt hier die iberische Schrift).¹¹

თუ ზემოთმოტანილ ტექსტებს გადავალავებთ ნოეს ძის, აფეცის, შთამომავლების მიხედვით, დამწერლობის მქონე ხალხთა ჩამონათვალი ასეთი იქნება:

1. "Ιβηρες, Λατῖνοι, οἷς χρώσται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἑλληες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.
2. "Ιβηρες οἱ καὶ Τυράνσιοι, Λατῖνοι, Σπανοί, Ἑλληες, Μῆδοι, Ἀρμένιοι.
3. **Ibiri**, Latini, qui utuntur Romei, Spani, Graeci, Midi, Armenii
4. Graeca, Romana, Armenica, **Gurzanica**, Hispanica.

სამართლიანად შენიშნავდა მკვლევარი ს. კრაუსი, რომ დიამერიზმების ამ რუბრიკების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურის გამო ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად მკვეთრად დაშორებული ტექსტები თითქმის უცვლელად იმეორებს ერთხელ შემუშავებულ მოსაზრებას. "როგორც ჩანს, მართლაც არსებობდა რაღაც ძველი კანონი, რომლის მიხედვითაც 15 სამწერლო ენის არსებობა უნდა ყოფილიყო მიღებული. ეს არის გარკვეულ დროს შემუშავებული სქემა, რომელიც შენარჩუნებულ იქნა მას შემდეგაც, რაც ამ სქემის ჩამომყალიბებელი დამოკიდებულებები შეიცვალა."¹²

დიამერიზმების ტექსტები უპ. ყოვლისა სწორედ მათი კულტურული-ისტორიული პერსპექტივებითაა საინტერესო. როგორც ჩანს, ყველაზე

⁹ შდრ. იპოლიტე რომაელის ქრონიკა "Ιβηρες οἱ καὶ Τυρήσιοι (A. Bauer, Chronik des Hypopolitos..., S. 52).

¹⁰ შდრ. ასე მოიხსენიებს პირინეის იბერებს „ბასქალურ ქრონიკებში“ დაცული დიამერიზმების რედაქცია. იხ. Gutschmid, Kleine Schriften, Bd. 5, S. 243.

¹¹ A. Gutschmid, „Untersuchungen...“, გვ. 691.

¹² S. Kraus, Zur Zahl der biblischen Völkerschaften, in: Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft, Nr. 26/1906/, S. 43.

პოპულარული მაინც ნაკლებად ცნობილ ხალხთა სახელების დადგენა და მათი იდენტიფიკაცია იყო.

XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ აქტუალური ჩანს დისკუსია იბერიელთა ენისა და დამწერლობის შესახებ. ცნობილმა მეცნიერებმა, გ. მიულენჰოფმა, ა. ვუთმბოლმა, ს. პოზნანსკიმ, ს. კრაუსმა, ზ. ბერგერმა, ვ. ბახერმა, მ. შტაინშაიდერმა, საგანგებო ნაშრომები უძღვნეს ამ საკითხებს. მათი თვალსაზრისები იბერიული დამწერლობის ასეთი სიძველის შესახებ საკმაოდ წინააღმდეგობრივია; ერთნი თვლიდნენ, რომ დიამერიზმებში მოხსენიებული იბერებისა და კავკასიის იბერების, იმ პერიოდისათვის ამ ნახევრად ველური ხალხის, იდენტიფიკაცია შეუძლებელია: “ისეთი ძველი კულტურის ხალხებს, როგორცაა ებრაელები, ბერძნები, რომაელები, სირიელები და სხვები, საკუთარი დამწერლობა რომ აქვთ, ამის წაკითხვა ძველ წყაროებში ჩვენთვის არანაირ საკვირველებას არ წარმოადგენს, მაგრამ როგორ ხვდებიან დამწერლობის მქონე ხალხთა სიაში მესამე საუკუნის წყაროების მიხედვით ისეთი ნახევრად ბარბაროსული ხალხები, როგორებიც არიან იბერები, ფრიგიელები და სხვები, რომელთა იდენტიფიკაცია იმ პერიოდის კულტურულ სამყაროში საკმაოდ ჭირს.”¹³

ამ მოსაზრების ავტორები იმასაც მიუთითებდნენ, რომ ამ წყაროების Ἰβήρης, Iberii (Iberii) არც ესპანეთის იბერებს არ გულისხმობს; იაფეტის შთამომავლებად მიჩნეული ესპანელები (Hispani) მოსდევს იბერებს და თუ დავაკვირდებით, წყაროებში ისინი სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც გარჩეულია ერთმანეთისგან.¹⁴

იბერების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით სრულიად საპირისპირო თვალსაზრისიც გამოითქვა; ძველი აღთქმის ცნობილმა მკვლევარმა, ს. კრაუსმა, საგანგებოდ შეისწავლა ცნობები იბერიელებისა და მათი დამწერლობის შესახებ როგორც ქრისტიანულ, ასევე იუდაისტურ ტრადიციაში და დამაჯერებლად აჩვენა, რომ იბერიელებისა და მათი დამწერლობის მოხსენიება ასე ადრეულ ტექსტებში სრულიად კანონზომიერი იყო. კრაუსი თვლიდა, რომ, მედიევსტიკაში განსწავლულობის მიუხედავად, მისმა კოლეგებმა ბევრი არაფერი იცოდნენ ამ ნაკლებად ცნობილი ხალხების, მათ შორის იბერების, დამწერლო ტრადიციების შესახებ და ამიტომ მათი მოხსენიება ასე ძველ წყაროებში საკვირველებად მიაჩნდათ. იბერებთან დაკავშირებით იგი წერდა: “დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული დამწერლობა არსად არ აკლია და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები. ჩვენ რატომღაც მიჩვეულები ვართ იმას, რომ იბერიელები

¹³ იხ. S. Kraus, Zur Zahl der biblischen.... გვ. 41.

¹⁴ პირინეის იბერებისა და კავკასიის იბერების დასახელება წყაროების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. მათი ანალიზი, რომელიც საინტერესო კანონზომიერებას აჩვენებს, ცალკე მსჯელობის საგანია.

კავკასიაში მცხოვრებ ველურ ხალხად წარმოვიდგინოთ, ამიტომაც გვიკვირს ის ფაქტი, რომ ასე ადრეულ წყაროებში ისინი [იბერიელები] 15 გამორჩეულ კულტურულ ხალხთა შორის მოიხსენიება. ჩვენი სიძველეთმცოდნეობა საკმაოდ ღარიბი და ნაკლები ყოფილა, თუკი ამგვარ წყაროთა ცნობებს [ამ შემთხვევაში ცნობას იბერიული დამწერლობის შესახებ] გამოცანად და საკვირველებად მივიჩნევთ. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუპართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერიელთა დამწერლობის ირგვლივ.¹⁵

აქვე საგანგებოდ მინდა ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: დამწერლობის მქონე ხალხები დიამერიზმებში მოხსენიებულია შემდეგი ფრაზებით: Οἱ δὲ ἔπιστάμενοι αὐτῶν γράμματα, ... Qui autem eorum noverunt litteras, hi sunt, ... Qui autem sapiunt ex ipsis litteris hii sunt, ... Qui eorum litterati sunt. ეს გამოთქმები შეიძლება აღნიშნავდეს ხალხს, რომელთაც საკუთარი ანბანური დამწერლობა გააჩნია, ან კიდევ ხალხს, რომლებიც მათ მშობლიურ ენაზე ავითარებენ სამწერლო ტრადიციებს, რომელთა ჩაწერა მაინცადამაინც ორიგინალური დამწერლობის მეშვეობით კი არ ხდება, არამედ შესაძლებელია სხვა რომელიმე ცნობილი დამწერლობის მეშვეობითაც. ეს გახლავთ ძველ კულტურულ სამყაროში კარგად ცნობილი ალოგლოტოგრაფიის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც წინაქრისტიანულ ხანაში საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებული ქართული სამწერლო ტრადიციების არსებობას ვარაუდობს თ. გამყრელიძე. თუმცა იგი გადაჭრით არც ქრისტიანობამდელი ორიგინალური დამწერლობის არსებობას უარყოფს, ოღონდ ეს დამწერლობა არ უნდა ყოფილიყო აშკარად ქრისტიანული ეპოქის ასომთავრული.¹⁶

სხვა საკითხებთან ერთად ამ კონტექსტში ეს კითხვაც დაისმის: ხომ არ არის შესაძლებელი, ამ მრავალრიცხოვანი ბერძნული, ლათინური, სირიული და ებრაული წყაროების მიხედვით უფრო მიახლოებით განისაზღვროს, რომელი ჯგუფის წევრად მიიჩნევა ძველი კულტურული სამყარო იბერიელებს: საკუთარი ანბანური დამწერლობის თუ ზოგადად სამწერლო ტრადიციების მქონედ? იმ წყაროების მიხედვით, რომლებზედაც მე ჯერ-ჯერობით ხელი მიმიწვდება, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. დიამერიზმების რუბრიკები მართლაც კანონის სიზუსტით და ლაკონურობით იმეორებს ერთხელ შემუშავებულ თვალსაზრისს ერთხელ საგანგებოდ შემუშავებული ფორმით და არ აკონკრეტებს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

¹⁵ S. Krauß, Zur Zahl der biblischen..., Nr. 26/1906/, გვ. 43-44.

¹⁶ შლრ. თ. გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული“. კრებულში: *Dedicatio*, ისტორიულ-ფილოლოგიური მივანი, აკად. მ. ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი 2001. გვ. 420-429; მისივე, *Christentum und altgeorgische Kultur*, in: *Georgien im Spiegel seiner Kultur und Geschichte. Zweites Deutsch-Georgisches Symposium, Vortragstexte*, hrsg. von Brigitta Schrader und Thomas Ahbe, S. 88-90, Berlin 1998.

ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ეს ტოპოსი, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით მეორდება III-XVIII საუკუნის წყაროებში, იუდაისტურ ისტორიოგრაფიაშიც საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი ჩანს. როგორც კვლევაძიებამ აჩვენა,¹⁷ თალმუდის ტექსტის მინაწერებსა და კომენტარებში ცალკეულ ეგზეგეტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით არაერთგზის მოიხსენიებენ ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ამ ტოპოსს – ხალხებს, რომელთაც ანბანური დამწერლობა აქვთ. ბიბლიურ ხალხთა რიცხვმა (70 თუ 72) აშკარად განსაზღვრა ზოგიერთი ეგზეგეტიკური კანონი, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში შეუქმავდა თორას ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. თალმუდურ-მიდრაშული ტრადიცია თვლის, რომ თორა შესაძლებელია ითარგმნოს (ორივე მნიშვნელობა იგულისხმება: ა. დედნის ენიდან სხვა ენებზე თარგმნა, ბ. განმარტება) სამოცდაათნაირად.¹⁸ ამ თვალსაზრისმა თანაბრად ეპოქაში ეგზეგეტიკური კანონის სახე მიიღო და მოსაზრებები თორას გრაგნილების ნამდვილი წაკითხვის შესახებ თალმუდის ბევრ კომენტარსა და მინაწერში აისახა. როგორც ს. კრაუსმა აჩვენა, თორას თარგმანისა თუ ინტერპრეტაციის ერთ-ერთ სახეობად იბერიულიც იხსენიება საკმაოდ ძველ, მესამე-მეოთხე საუკუნის ებრაულ წყაროებში¹⁹ თორას გრაგნილების შესაძლო ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით აქ ნათქვამია: „რომელ ენაზეც, რომელი დამწერლობითაც არ უნდა იყოს შესრულებული თორას გრაგნილები, იქნება ეს კობტური, მედიური, ელამური, ბერძნული, იბერიული (צרובי)...“²⁰

თალმუდურ-მიდრაშული წყაროების ეს ადგილები, სადაც თორას ინტერპრეტაციის ერთ-ერთ ენად და დამწერლობად צרובი-ა დასახელებული, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს იყო აქტუალური კამათის საგანი. ვ. ბახერი, რომელმაც ერთ გამოკვლევაში მოუყარა თავი ამ ინფორმაციის შემცველ ყველა ცნობილ ციტატას, ვარაუდობდა, რომ შესაძლოა צרובი ყოფილიყო צרובი-ის მცდარი დაწერილობა, რომლითაც არაბული დამწერლობა აღინიშნებოდა.²¹ ს. კრაუსი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა დიამერიზმების ტექსტებსა და ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ამ ტოპოსს დამწერლობის

¹⁷ გარდა ს. კრაუსისა და ენესტლეს ზემოთდასახელებული გამოკვლევებისა ამის შესახებ იხ. Th. Mommsen, *Chronica minora saec. IV, V, VI, VII*, in: *Monumenta Germaniae Historiae. Auctorum Antiquissimorum tomus IX*, Berolini 1892, p. 78-140.

¹⁸ ამის შესახებ იხ. S. Krauß, *Biblische Völker*, in: *Ungarische Zeitschrift „Magyar Szido Szemle“ XII*, 1904, Budapest; P. Lagarde, *Goettingische gelehrte Anzeigen*, in: *Mitteilungen*, Bd. 4, S. 348-350, Göttingen 1891; P. Lagarde, *Praeternissorum libri duo*, S. 244-249, Göttingen 1879 ზემოთდასახელებული ნაშრომი

¹⁹ ამ წყაროების შესახებ იხ. S. Krauß, *Zur Zahl der biblischen Völkerschaften...*, 1906, გვ. 42-46.

²⁰ ებრაული წყაროს თარგმანი მოტანილია ს. კრაუსის დასახელებული გამოკვლევის მიხედვით. შდრ. Waren sie (Thora-Rollen) geschrieben koptisch, medisch, צרובי, elamisch, griechisch, ... war sie in welcher Sprache immer, in welcher Schrift... (გვ. 42-43).

²¹ იხ. W. Bacher, in: *Ungarische Zeitschrift „Magyar Szido Szemle“ XI*, Budapest, 1902.

მქონე (თუ მცოდნე) ხალხთა შესახებ, მაშინვე გამოენხმურა ვ. ბახერის ამ ვარაუდს (იმავე ჟურნალში, რომელშიც ვ. ბახერის სტატია დაიბეჭდა) და ორი არგუმენტის გამო შეიტანა მასში ეჭვი:

1. არ იყო მოსალოდნელი **צאן**-ისგან **צאן**-ს მიღება,
2. ე გვიპტური დამწერლობა სხვა ფორმით იყო მოხსენიებული დასახელებულ ციტატებში.²²

ს. კრაუსმა საგანგებოდ მოიძია მასალა ახლა უკვე იუდაისტურ ტრადიციებში და საკმაოდ დამაჯერებლად ამოიკითხა **צאן**-ში იბერიელების აღმნიშვნელი სიტყვა. მის არგუმენტს სირიული წყაროებიც უჭერდა მხარს:

„თუ გავითვალისწინებთ ინტერდიალექტურ სხვაობას, სირიულში იბერიულის ორთოგრაფია იგივე იქნება, რაც ჩვენს მაგალითშია: **צ**-ს მაგიერ გვექნება **ח**. სწორედ ამ ფორმით – **חאן** ანუ ინტერდიალექტური სხვაობით, არაერთგზის დასტურდება სირიულ წყაროებში ეს სიტყვა (შდრ. Paune Smith. Thesaurus Syriacus, col. 20: **חאן** ; ibid. col. 136: **חאן**). სხვადასხვა კონტექსტში (ამავე ფორმით) ნახსენებია იბერთა ქვეყანა, იბერიის ზღვა, იბერიის თბილი წყლები. ... სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ დიამერიზმების ნუსხებში იბერიული, როგორც ვნახეთ, არსად არ აკლია და სრულიად კანონზომიერია ის, რომ მედიურისა და ელაზურის გვერდით თალმუდის მინაწერში იბერიულიც მოიხსენიება. ... დიამერიზმების თხუთმეტი დამწერლობიდან თალმუდში სულ მცირე ხუთია დადასტურებული. ... ყველაზე დიდ მნიშვნელობას მე მაინც იმ ფაქტს ვანიჭებ, რომ ქრისტიანული და იუდაისტური წყაროების მონაცემები ამ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს.“²³

ს. კრაუსის გარდა ე. ნესტლემ, პ. ლაგარდემ, ვ. ბახერმაც დაადასტურეს იუდაისტურ ისტორიოგრაფიაში დამწერლობის მქონე ხალხთა – მათ შორის იბერიელების – შესახებ ცნობები (შდრ. VII-VIII საუკუნის ებრაული წყარო, რომელშიც ე.წ. ხალხთა დაფები და დამწერლობის მქონე ხალხთა ჩამონათვალი აშკარად ქრისტიანული ტრადიციის მიხედვითაა შედგენილი დავით ბეთ რაბანის მიერ; მეოცე საუკუნის დასაწყისში იემენში აღმოჩენილი «Midrash ha-Gadol»-და სხვა).²⁴

ს. კრაუსისავე სახელს უკავშირდება ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ერთი მეტად საინტერესო მოკვლევა: მან საგანგებოდ გაადევნა თვალი უცხოენოვან წყაროებში იბერიელების ადგილს ბიბლიური გენიალოგიის ხეზე და დააფიქსირა ის მომენტი, როცა მოხდა აღრევა კავკასიის იბერიელებსა

²² იხ. S. Krauß, Biblische Völker, in: Ungarische Zeitschrift „Magyar Zsidó Szemle“ XII, 1904, Budapest;

²³ იხ. S. Krauß, Zur Zahl der biblischen Völkerschaften... (1906), S. 43, 44, 46.

²⁴ ამის შესახებ იხ. E. Nestle, Die schreibkundigen Völker..., S. 210-213; P. Lagarde, Praetermissorum libri duo ..., S. 244-249.

და ესპანეთის იბერიელებს შორის. იოსებ ფლავიოსის ისტორიის Tubal, a quo Iberi, რომელშიც, საყოველთაოდ გაზიარებული აზრის თანახმად, ნამდვილად კავკასიის იბერები იგულისხმება, ჯერ კიდევ ჰიერონიმემ გაიგო არასწორად და მასში ესპანეთის, ანუ ჰირინეის იბერები დაინახა და ასეთი განმარტებაც დაურთო: Tubal, a quo Iberi, qui vocantur Hispani. აქედან მოყოლებული უკვე გაჭირდა ერთი სახელის მქონე ამ ორი ხალხის იდენტიფიკაცია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მთლიანად დიამერიზმები და განსაკუთრებით ნაკლებად ცნობილ ხალხთა და ენათა იდენტიფიკაციის საკითხი ქრისტიანული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სადისკუსიო თემა იყო და, როგორც ყველა პოპულარული თემა, ესეც ვერ ასცდა კურიოზებს. მაგალითად, ცნობილი რელიგიის ისტორიკოსი, ვ. ბახერი ვარაუდობდა, რომ Hiber (იბერიელი) და Heber (ებრაელი) სიტყვები ეტიმოლოგიურად იდენტური უნდა ყოფილიყო. ამ პოპულარულ დისკუსიაში სხვა არასერიოზული თემებიც გამოჩნდებოდა ხოლმე, თუმცა ისინი ვერანაირად ვერ ჩრდილავდა წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო საკითხებს, რომელთა ანალიზსაც გვთავაზობდნენ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპელი მეცნიერები.

განხილულ კონტექსტში, სხვებთან ერთად, ბუნებრივად ჩნდება ორი კითხვა:
ა. რამდენად იცნობდნენ ძველ საქართველოში დიამერიზმების ტექსტს?
ბ. რატომ გამოჩნათ მხედველობიდან ქართველებს მეოცე საუკუნის ევროპულ მეცნიერებაში მიმდინარე ეს საკმაოდ პოპულარული კამათი იბერიელთა იდენტიფიკაციის შესახებ?

შევეცდები პასუხი გავცე ამ კითხვებს.

დიამერიზმების სრული ტექსტი ძველ ქართულ წყაროებში არ ჩანს, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია შემონახული რამდენიმე ძეგლში. ესენია:

1. ექვთიმე ათონელის კომპილაციური ვერსია²⁵,
2. გიორგი ჰამარტოლის ვერსია, რომელიც შემონახულია არსენ იყალთოელი-სეული თარგმანით,²⁶
3. ფრაგმენტები იპოლიტე რომაელის ქრონიკებიდან. აქ არის მხოლოდ მეფეთა გენიალოგიის ნაწყვეტი,²⁷

²⁵ ექვთიმე ათონელისეული ტექსტი იხ. კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში. კრებულში: *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. 1, გვ. 168-182, თბილისი 1956;

²⁶ იხ. ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა “, კრებულში: *Monumenta Georgica. III, Historici, I, Georgii Monachi Chronikon* ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევდა და საძიებლები დაურთო ს. ფაუნჩიშვილმა. თბილისი 1920);

²⁷ ტექსტი იხ. ილ. აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია (*ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები*, III, გვ. 223-243, თბილისი 1961).

4. დიამერიზმების სირიულ რედაქციებს იცნობს და იყენებს თავის თხზულებებში ლეონტი მროველი.²⁸

ყველა დასახელებული ძველი ქართული წყარო ე.წ. "წმინდა ისტორიის" (historia sacra), ანუ სამოცდათორმეტი ბიბლიური ხალხის კონტექსტში იმოწმებს დიამერიზმების ფრაგმენტებს²⁹ და არა ჩვენთვის ასე მნიშვნელოვან ანბანური დამწერლობის მქონე ხალხთა კონტექსტში. როგორც ჩანს, ძველი ქართული ტრადიცია არ იცნობს დიამერიზმებს, როგორც მთლიან ტექსტს, შესაბამისად არ იცნობს მის ყველაზე საინტერესო ნაწილს, ამ მეორე რუბრიკას; ძველი ქართველი ავტორები თარგმნიან ცალკეულ ფრაგმენტებს იქ და იმ კონტექსტში, სადაც და რა კონტექსტშიც პოულობენ მას ორიგინალში. მართლაც, არცერთი წყარო, რომელსაც ექვთიმე ათონელი, ლეონტი მროველი ან არსენ იყალთოელი ეყრდნობოდა (თარგმნიდა), გასაგები მიზეზების გამო, არ შეიცავს ჩვენთვის საინტერესო მეორე რუბრიკას დამწერლობის მქონე თუ წერის მცოდნე ხალხების შესახებ: გიორგი ჰამარტოლი მეფეთა ბიბლიური გენიალოგიების შესახებ წერდა და, ცხადია, იყენებდა სათანადო ტოპოსს დიამერიზმებიდან და არა მთელ ტექსტს. არსენ იყალთოელი გიორგი ჰამარტოლის თხზულებას თარგმნიდა და მისთვის ეს ტოპოსი გიორგი ჰამარტოლის თხზულების ნაწილი იყო. იგივე შეგვიძლია ვავიძეოთ ლეონტი მროველის შემთხვევაში: მას აინტერესებდა კონკრეტული პერიოდი ქვეყნიერების ისტორიიდან და ეყრდნობოდა შესაბამის სირიულ წყაროებს, რომლებიც, ცხადია, მხოლოდ ამ კონკრეტული პერიოდისთვის საინტერესო ნაწილს იმოწმებდა დიამერიზმებიდან და არა მთელ ტექსტს, ან ჩვენთვის საინტერესო მეორე რუბრიკას.

როგორც ჩანს, ძველი ქართული ტრადიცია არ იცნობს დიამერიზმების სრულ ტექსტს, შესაბამისად არ იცნობს ფართო კონტექსტს, რომელშიც დიამერიზმები შეიქმნა; ქართულ წყაროებში შემონახული ფრაგმენტები ძველი ქართველი ავტორებისთვის კონკრეტული სათარგმნი თხზულების ნაწილებია და არა დიამერიზმების ცალკეული რუბრიკები.

ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით ძველი სომხური ისტორიოგრაფიის შესახებ, რომელმაც მშვენივრად გამოიყენა ეს წყაროები, თარგმნა დიამერიზმების ყველაზე ძველი ნუსხები, მათ შორის იპოლიტე რომაელისა, ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში გულდასმით გადმოწერა ნოეს

²⁸ ლეონტი მროველი, „თარგმანი დაბადებისათ ს ცისა და ქუეყანისა და ადამისათ ს“, რომელიც წამმღვარებული აქვს მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებას“. ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 436-439; მისივე ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები (თბილისის უნივერსიტეტის მოამბე III, გვ. 44-55).

²⁹ დიამერიზმების ძველი ქართული ფრაგმენტები საკმაო მოცულობისაა, მათ ამჯერად ვერ განვიხილავ.

ხალხთა და ენათა დაფები, ნათარგმნ წყაროებს სომხური ენისა და სომეხი ხალხის განმადიდებელი არაერთი ლეგენდარული პასაჟი მიუმატა³⁰ და სომხურის, როგორც ღვთაებრივი ენის, ანუ როგორც კაცობრიობის მამამთავრის, ნოეს, ენის შემომნახველის იდეა დაამკვიდრა ისტორიოგრაფიაში. მოსე ხორენელს დიდი სასომხეთის ისტორია სწორედ დიამერიზმებში მოთხრობილი ამბებიდან, ანუ ბაბილონის გოდლის მშენებლობიდან და ენათა და ხალხთა განყოფის ცნობილი ისტორიებიდან გამოჰყავდა. მისი თქმით, სომეხი ხალხის მამამთავარი, ბიბლიური თოგარმას ძე, გოლიათი ჰაიკი, ბაბილონის გოდლის თანამაშენებელი იყო. ჰაიკმა გაათავისუფლა თავისი ხალხი ბელნიმროდის მონობისაგან. მისი შვილის, არმენაკის, მიხედვით ეწოდა სომეხ ხალხს სახელი. მოსე ხორენელის ამ სიუჟეტს ბეჯითად იმეორებს მომდევნო საუკუნეების სომხური საისტორიო მწერლობა და ამ კონტექსტში აყალიბებს სომხური ენის წარმოშობის ისტორიას: გოლიათმა ჰაიკმა სასომხეთის სამეფო სწორედ იქ დააარსა, სადაც წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი დაეშვა მიწაზე. აქედან გამომდინარე, სომხური კაცობრიობის მამამთავრის, ნოეს ენას ინახავს.³¹

წმინდა დილეტანტის პოზიციიდან ჩემთვის, მართალი ვითხრათ, გაუგებარია ქართული და სომხური ისტორიოგრაფიის ასეთი თვისობრივი სხვაობა. აი, რას ვგულისხმობ: საქართველოდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით სომხურ ენაზე ლამის ერთმანეთის მიყოლებით უმოკლეს პერიოდში იწერება რამდენიმე მსოფლიო ისტორია, ამუშავებენ გლობალური ისტორიის საკითხებს და თითქმის ყველგან სასომხეთისა და სომხური ენის ისტორიას უშუალოდ უკავშირებენ სწორედ დიამერიზმებში გადმოცემულ ამბებს; საქართველოში კი დიამერიზმებს მხოლოდ ფრაგმენტულად იცნობენ ერთადერთ, სხვებთან შედარებით საკმაოდ უმნიშვნელო კონტექსტში – ქვეყნიერების განყოფა და წმინდა ისტორია. მართალია, ქართველთა ისტორიის დასაწყისს ლეონტი მროველიც ბაბილონისდროინდელ ამბებთან უშუალო კავშირში განიხილავს (შდრ. ქართლოსის მამა, თარგამოსი, სწორედ მაშინ მოვიდა და დამკვიდრდა “... ორთა მათ მათა შუა ..., ოდეს ბაბილონს აღაშენეს გოდოლი და განიყვნეს მუნ ენანი და ქუეყანანი”) და თავის ისტორიაში ფაქტიურად დიამერიზმების ცნობილ ტოპოსს იმეორებს, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვი, არც ლეონტი

³⁰ შდრ. ვარდან არველიცის „მსოფლიო ისტორია“ ენათა განყოფის ამბების აღწერისას ყველაზე სასიამოვნო ეპითეტებს სომხურისთვის იმეტებს: „ამის შედეგად მრავალი სიკეთე იქმნა, [...] პირველი უხეში ენისაგან წარმოიქმნა რბილი ელინთა [ენა], მაგარი რომაელთა, მრისხანე ჰუნთა, მვედრებელი ასურთა, მრავალფეროვანი სპარსთა, ლამაზი აღანთა, სასაცლო გუთთა, ყრუ ეგვიპტელთა, ფლურტულა პინდოთა, ყოვლად შემკული და სასიამოვნო სომეხთა“ (ვარდან არველიცი, მსოფლიო ისტორია, თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, თბილისი 2002, გვ. 40).

³¹ იხ. Brosset, Marie Félicité 1869: *Histoire chronologique par Mkhithar d' Airivank, in: Mémoires de l' Akademie Impériale des scienses de St. Petersburg VII*, St. Petersburg, გვ. 31-34.

მროველი და არც რომელიმე სხვა ქართველი ისტორიკოსი არსად არ ახსენებს დიამერიზმების ყველაზე საინტერესო მეორე რუბრიკას. ეს მაშინ, როცა თეოლოგიურ კონტექსტში შექმნილი დიამერიზმების ტოპოსები (როგორც სასომხეთის ისტორიის განხილვა ბიბლიური “წმინდა ისტორიის” კონტექსტში, ასევე თვალსაზრისი დამწერლობის მქონე თხუთმეტი გამორჩეული ხალხის შესახებ) საუკუნეების განმავლობაში სომხური ისტორიოგრაფიისთვის ის მყარი საფუძველი იყო, რომელზეც იგი საკუთარ ისტორიას აგებს.

ამ თვისობრივ სხვაობასთან დაკავშირებით ერთი გარემოება იქცევა ყურადღებას: ცნობილი ისტორიკოსები და მედიევისტები, მიუღწევი, ლაგარდე, ბორსტი და სხვები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ისტორიის, ანუ გლობალური ისტორიის, ფუძემდებლები არიან სირიელები, ძველ სამყაროში თარგუმებად წოდებული ხალხი, რომელთაც მსოფლიოს ცნობილი პოლიგლოტები აჩუქეს. ბერძნულად შექმნილი თითქმის ყველა მსოფლიო ისტორიის თუ გეოგრაფიის ავტორები პოლიგლოტი სირიელები იყვნენ (სექსტუს იულიუს აფრიკანუსი, იოვანე მაალა და სხვები). ბიზანტიელები ისტორიის გლობალურ ხედვამდე ვერ ამაღლდნენ. ბუნებრივია, სომხური ისტორიოგრაფია დიდად არის დავალებული სირიულისგან. გლობალური ისტორიის კონტექსტში სომეხი ავტორებისთვის სწორედ დიამერიზმებში გადმოცემული ამბები იყო საინტერესო. თეოლოგიურ კონტექსტში შექმნილი ამ ტოპოსების არამართო გამოყენება, ზოგჯერ, ალბათ, ამ წყაროებით მანიპულაციაც მოუხდათ სომხებს საკუთარი ისტორიის დასაწყებად, ანუ საკუთარი ისტორიის ჩასასმელად გლობალურ კონტექსტში. ქართველებს, ეტყობა, გლობალური ისტორიების წერას გენიალური პოემის წერა ერჩიათ.

ფართო კონტექსტის, ანუ III-XVIII საუკუნეების ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, ებრაულ და არაბულ წყაროებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტოპოსის, გათვალისწინებით არც XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამხდარა ეს ტექსტები განსჯის საგანი, თუმცა ზოგიერთი მათგანი ცნობილი იყო ჩვენში. ცნობილი იყო ქართულად ნათარგმნი ყველა ფრაგმენტი: კორნელი კეკელიძემ და ილია აბულაძემ სპეციალური წერილები მიუძღვნეს ამ საკითხებს,³² მაგრამ ერთიც და მეორეც მოიხსენიებენ ამ ფრაგმენტებს, როგორც ადგილს კონკრეტული ბერძენი ავტორის თხზულებიდან და არსად ახსენებენ ჩვენთვის საინტერესო მეორე ან სხვა რუბრიკებს, არ ახსენებენ დიამერიზმების ზოგად კონტექსტს. კორნელი კეკელიძე იმოწმებს VI საუკუნის სირიულ ვერსიას, როგორც ცნობას ძველი ქართული დამწერლობის შესახებ. სიმონ ყაუხჩიშვილმა თარგმნა და გეორგიკის პირველ ტომში დაბეჭდა იპოლიტი

³² ეს წერილები დასახელებულია ზემოთ, დიამერიზმების ძველ ქართულ ფრაგმენტებზე მსჯელობისას.

რომაელის ქრონიკების ლათინური ვერსია VI-VII საუკუნეებისა. ბატონი სიმონი რომ საგანგებოდ არ ჩერდება VI-VII საუკუნეების ამ ვერსიაზე, სრულიად ბუნებრივია, ამაზე ბევრად უფრო ადრინდელი ცნობები გვაქვს ქართული დამწერლობის შესახებ. 1936 წელს, როცა სიმონ ყაუხჩიშვილმა გეორგიკის I ტომი დაბეჭდა, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ბერძნული ტექსტი საერთოდ არ იყო ცნობილი და ვარაუდობდნენ, რომ ლათინური ვერსია არასწორად მიეწერებოდა იპოლიტე რომაელს. როგორც ზემოთ ვთქვე, ბერძნული ტექსტი გაცილებით გვიან, 1956 წელს, იპოვა მადრიდის მუზეუმში და გამოაქვეყნა ალან ბაუერმა. ამ გამოცემას იცნობდა ილია აბულაძე, და, როგორც თავის სტატიაში³³ წერს, მან ერევანში ყოფნისას საგანგებოდ შეუდარა იპოლიტე რომაელის ქრონიკების ძველი ქართული ვერსია (ზემოთ დასახელებული მეფეთა გენიალოგია) ბაუერის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტს. ილია აბულაძე არ ახსენებს ჩვენთვის მნიშვნელოვან მეორე რუბრიკას. ეტყობა, მას მთლიანი ტექსტი კი არ წაუკითხავს, არამედ მხოლოდ მისთვის საინტერესო ქართულად შემონახული გენიალოგია და ისიც სომხურ კონტექსტში (ბატონი ილია თვლიდა, რომ ქრონიკები სომხურიდან იყო ნათარგმნი და მისი თვალსაზრისის დამადასტურებელ არგუმენტებს ეძებდა). სხვათაშორის, ბაუერის ამ გამოცემაში მოხსენიებულია ის სტატიებიც, რომლებიც იბერიელთა იდენტიფიკაციის შესახებ გამართულ კამათს ასახავს; ილია აბულაძეს მთლად იმ მეცნიერთა პოზიცია რომ გაეზიარებინა, ვინც ამტკიცებდა, კავკასიის იბერები ამ პერიოდისთვის ნახევრად ველური ხალხი იყო, ამ დისკუსიას და გამოთქმულ მოსაზრებებს მაინც ახსენებდა. როგორც ჩანს, არც ბატონ ილიას წაუკითხავს ეს ტექსტი ფართო კონტექსტში და, შესაბამისად, გამორჩა მხედველობიდან ეს დისკუსია.

როგორც ზემოთაც ვახსენე, თემატიკიდან გამომდინარე (ნაკლებად ცნობილ ხალხთა იდენტიფიკაცია), ეს დისკუსია საკმაოდ პოპულარული იყო. ის, რომ გარკვეულ პერიოდში კონკრეტული საკითხი მეცნიერებაში პოპულარულია, შესაძლოა, სულაც არ მიუთითებდეს მისი სერიოზულობის ხარისხზე. როგორც წესი, პოპულარული თემატიკიდან სერიოზული და იმ პერიოდის მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი ხდება ზოლმე ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში. სწორედ აქედან გამომდინარე შეიძლება ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რამდენად იცნობდნენ და როგორ აფასებდნენ კავკასიის იბერებისა და დიამერიზმებში მოხსენიებული იბერების იდენტიფიკაციის საკითხს ის მეცნიერები, რომლებიც თავად არ მონაწილეობდნენ ამ დისკუსიაში. ამ პერიოდის ორი ენციკლოპედიური ლექსიკონი, ერთი ლაიპციგში და მეორე კემბრიჯში გამოცემული, თანმიმდევრულად იმეორებს ამ დისკუსიაში გამოთქმულ თვალსაზრისებს

³³ ილ. აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკონის..., გვ. 225.

205 ნინო დობორჯგინიძე

იბერიელთა უძველესი სამწერლო ტრადიციების შესახებ.³⁴ ეს კი პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ ეს დისკუსია მარტო პოპულარული არ ყოფილა.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა პარიზში აქტიურად გამოდის კირილ თუმანოვისა და სხვა სომეხ ავტორთა შრომები (სასომხეთისა და კავკასიის ისტორიის საკითხები, რომლებშიც ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ქართველების სამწერლო ტრადიციები გვიანდელია, ქართველთა ეკლესიაც გაცილებით გვიან გახდა ქართულენოვანი ეკლესია, ღვთისმსახურების ენა თავდაპირველად სომხური იყო და ა.შ.), თვალსაზრისი იბერიელთა ასეთი ძველი სამწერლო ტრადიციების შესახებ თანდათან ავიწყდებათ. ევროპაში დაბეჭდილ კირილ თუმანოვისა და სხვათა ამ წერილებს, გასაგები მიზეზების გამო, დიდად არც მოასუსნებები გამოსჩენია, ყოველ შემთხვევაში, ევროპელთათვის გასაგებ ენაზე, ამიტომ შედარებით იოლად მოიკიდა ფეხი კირილ თუმანოვის თვალსაზრისმა. ზაზა ალექსიძემ თავის მონოგრაფიებში ისევ სომხურ წყაროებზე დაყრდნობით დამაჯერებლად აჩვენა, რომ თუმანოვის, მნაკაკანიანისა და სხვათა მოსაზრებები საქართველოში ლიტურგიის ენის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. მოუხდავად ამისა მაინც ძალიან უჭირთ ევროპელებს დამკვიდრებული მცდარი თვალსაზრისის გადასინჯვა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან სერიოზული ლექსიკონები და ენციკლოპედიებიც კი, სერიოზული სამეცნიერო საზოგადოებების მიერ დაფინანსებული, პირდაპირ იწერენ კირილ თუმანოვის თვალსაზრისს. მაგ. 1996 წელს გერმანიაში გამოიცა თეოლოგიური ლექსიკონი (Lexikon der antiken christlichen literatur), რომელსაც გერმანიის სამეცნიერო საზოგადოება (Deutsche Forschungsgemeinschaft) აფინანსებდა. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ არჩევდნენ სტატის ავტორებს, ლექსიკონი პირდაპირ, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, იმეორებს 1918 წელს კირილ თუმანოვის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს ბიბლიის ქართულ თარგმანებთან და ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით.

და ბოლოს, ორიოდე წინადადებით რომ მიუბრუნდეთ დიამერიზმებს: III-XVIII საუკუნეების ამ ტოპოსს დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად კულტუროლოგიური თვალსაზრისით; რაც არ უნდა სადაო იყოს რელიგიურ კონტექსტში შეუმავებული ეს ტოპოსები, ისინი ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების უფლებას მაინც იძლევა:

³⁴ Realenzyklopädie der protestantischen Theologie, 3. Auflage, Sonderausgabe, Leipzig 1997, გვ. 161, სტატის სათაურა: Urtext und Uebersetzungen der Bibel; Swete, Introduction to the Old Testament in Greek, Cambridge 1900, გვ. 120.

**დაკაბადონება და დიზაინი
გიორგი ზარუბაძე**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა
ლელა გეგუჭკორი**

**გარეკანი
თამარ მინაშვილისა**



